ოკუპაციის შესახებ კანონი ქართველებისა და აფხაზების დაახლოებას აფერხებს 2

გალის ქართული მოსახლეობა ქვეყნის ხელისუფლებას პრეტენზიებს უყენებს 3

მიხეილ ნიკოლოზის ძიდან მიხეილ ნიკოლოზის ძემდე 10-11

SOS! SOS! SOS!

„დემოკრატიულ საქართველოში“ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის მცირე სტატისტიკა 14-19


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

5 — 11 აგვისტო, 2009 №24

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net


„მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასი მცირდება, საქართველოში ფასების ცვალებადობა არ შეიმჩნევა. ეს დაკავშირებულია სააკაშვილისა და მისი ოჯახის ბიზნესინტერესებთან: „სოკარი“ და „ვისოლი“ მათი საკუთრებაა.“ 2




## სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი საწვავის ღირებულებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებს



4-5

2008 წლის აგვისტოს მოვლენების თაობაზე გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთა დასკვნითი განცხადება

უგუნურთა პოლიტიკამ სამშობლო დამაკარგვინა, ოჯახი დამინგრია და შვილი გამიუბედურა 21

სიგიჟეს ბოლო არ უჩანს 22

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ოკუპაციის შესახებ კანონი ქართველებისა და აფხაზების დაახლოებას აფერხებს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი — რეზო ბენდელიანი) 2003 წლიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობაში დიდი ხნის უნახავი მრავალი ქართული და აფხაზური ოჯახი, ქართველი და აფხაზი ნათესავი შეახვედრა ერთმანეთს. არადა, ამ ნათესაურ კავშირს შეუძლია, უდიდესი როლი შეასრულოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენაში.**



ერთი თვის წინათ ქართველი და აფხაზი ნათესავები ერთმანეთს ენგურისპირა სოფელ განმუხურში შეხვდნენ. ამ დღეებში შეხვედრა ისევ ენგურისპირას – ხურჩაში შედგა. პარალელურად, აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით ერთმანეთს შეხვდნენ ქ. გალში.

ენგურსგაღმა მდებარე სოფელი ხურჩა ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის. სოფელში მცხოვრებ 120-მდე კომლს მრავალი ჭირ-ვარამი აქვს გადატანილი. გალის რაიონის სოფ. ნაბაკევისაგან ხურჩას პატარა მდინარე ხურჩა ყოფს, რომელზეც საცალფეხო პატარა ხიდია გადებული. ამ ხიდს აფხაზები სახელმწიფო საზღვარს ეძახიან.

გზა შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსებმა გადათხარეს, აფხაზები კი მთელი თვე დათარეშობდნენ ხურჩაში. ამ მდგომარეობამ უამრავი ტკივილი გაუჩინა მცხოვრებთ. სოფლის თავკაცს ფრიდონ კვარაცხელიას გულის ოპერაცია დასჭირდა. უგზოობის გამო იგი იძულებული გახდა, ადიდებული ენგური ხამით გადაეცურა. **„არა მარტო მე, არამედ მთელი სოფლის მოსახლეობა სამკურნალონი ვართ, მე გულის ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. მძიმე მდგომარეობაშია ბევრი ჩემი თანასოფლელი. მოსახლეობა რამდენჯერმე ააწიოკეს და ააოხრეს აფხაზურ-რუსულმა ძალებმა, რის შემდეგაც კარმიდამოს დატოვება მოუხდა. ამ დაძაბულმა ცხოვრებამ შეარყია ჩვენი ჯანმრთელობა.**

## ჩემს სახლში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც არის ნამყოფი. მან გვითხრა — ხურჩელები გმირები ხართო, თუმცა ამას იქით საქმე არ წასულა.

**ყურადღებას არავინ გვაქცევს, ჩვენთვის მიუწვდომელია სამედიცინო დახმარება. განა არ შეიძლება, უფასო გამოკვლევები ჩაგვიტარონ ამდენ უბედურებაგადატანილ ხალხს“,** — ამბობს ფრიდონ კვარაცხელია.

სოფლის მცხოვრებთ ზუგდიდში ჩასვლა (18 კმ) 4 ლარი უჯდებათ, რადგან არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ხურჩელების განმარტებით, მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას ხურჩის მიმართულებით ავტობუსის დანიშვნის მოთხოვნით, მაგრამ გამგეობა გზების უვარგისობას იმიზეზებს. გზა კი როდის გაკეთდება, არავინ უწყის. უგზოობისა და უტრანსპორტობის გამო ხურჩელი ბავშვები სოფელ ნაბაკევის (გალის რაიონი) სკოლაში დადიან, რადგან ხურჩაში საშუალო სკოლა არ არსებობს, სოფელ კოკის სკოლამდე კი 4 კილომეტრია.

ჯერჯერობით ნაბაკევისკენ მიმოსვლა არის, მაგრამ რუსების ან აფხაზების მხრიდან ყოველ წუთსაა მოსალოდნელი ხურჩელი მოსწავლეებისთვის ე.წ. საზღვარზე გადასვლის აკრძალვა.

ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ქართველი და აფხაზი ნათესავების ურთიერთობა. ახლახან მოწყობილმა შეხვედრამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის თავკაცი რეზო ბენდელიანი, ხოლო შეხვედრას უძღვებოდა გამოცდილი მწვრთნელი, ქალბატონი ქრისტინე კილანავა, ვფიქრობ, თავისი საქმე გააკეთა. შეხვედრის მონაწილე ქართველმა და აფხაზმა ნათესავებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების შესახებ. მათ გამოავლინეს მაღალი მოქალაქეობრივი დონე, ნიჭი, ურთიერთობის აღდგენის საინტერესო ხედვა. ითქვა, რომ ამჯერად ქართველებსა და აფხაზებს შორის მთავარია ნდობის ფაქტორის აღდგენა, რისთვისაც, უპირველესად, საჭიროა ურთიერთმიტევება, ამას კი ხელი ხელისუფლებამაც უნდა შეუწყოს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილია სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა — ხელისუფლებამ შეიმუშაოს კონფლიქტის მოგვარების გეგმა.

## რეზო ბენდელიანი: ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა სავაჭრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, ხურჩა, შამგონა, ფახულანი, მუჟავა, ჭალე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია...

გალის რაიონში ამ ბოლო დროს აფხაზებს რუსები ჩაენაცვლნენ. რუსებმა კარგად იციან, რომ გალი სუფთა ქართული რაიონია და იქ აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ. ისიც იციან, რომ შემოსავლიანი რაიონია, რის გამოც იქ თავს იყრიდნენ აფხაზები. ამიტომაც გადაწყვიტეს, თავად დამკვიდრებულიყვნენ, აფხაზები კი თავიანთი მშობლიური რაიონებისკენ გაეგზავნათ.

## აფხაზებთან შედარებით, რუსები მეტი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობიან გალის მოსახლეობას.

ამ შეხვედრაზე ესეც აღინიშნა და მიესალმებიან რუსების ამგვარ ქმედებას, მაგრამ ამ ფაქტს აქვს უარყოფითი მხარეც — აფხაზებისგან განსხვავებით, რუსებმა გადაკეტეს ენგურზე ყველა გასასვლელი გზა, შედეგად კი მცხოვრებთა მიმოსვლა შეიზღუდა. რუსები მოსახლეობას აიძულებენ, მხოლოდ ცენტრალური გზით ისარგებლონ.

ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით დაგეგმილი იყო ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში სავაჭრო ბაზრობების გახსნა, რომელიც იქნებოდა ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალება, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ სურვილის ასრულებას ხელს უშლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ.

**„ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა სავაჭრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, ხურჩა, შამგონა, ფახულანი, მუჟავა, ჭალე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია, როგორც კი ამის შესაძლელობა გვექნება, ამ პროექტს განვახორციელებ“,** — აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რეზო ბენდელიანმა.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

# სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი საწვავის ღირებულებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებს

**ეკონომიკური კრიზისი, უპირველესად, შავი ოქროს ბაზარზე აისახა. ნავთობის ღირებულების კატასტროფულმა ვარდნამ მსოფლიო მაგნატები შეაშფოთა და ცდილობდნენ, ეს პროცესი როგორმე შეეჩერებინათ, თუმცა ამ მცდელობამ მათთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და უკანასკნელი კვირის მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობის ღირებულება კიდევ რამდენიმე დოლარით დაეცა. ქართულ ბაზარზე კი ეს პროცესი არაორდინარულად აისახა — საწვავი გაძვირდა. დღეისათვის მისი ღირებულება 1,50 ლარიდან 1,80 ლარამდე მერყეობს. ყველაზე მაღალი ხარისხის და, შესაბამისად, ყველაზე მაღალი ფასებიც „ეკოს“ ბენზინგასამართ სადგურებზეა, შემდეგ მოდის „რომპეტროლი“, „ლუკოილი“, „ვისოლი“ და „სოკარი“. ქართული ბაზრის დიდი ნაწილი „ვისოლს“ და „სოკარს“ უჭირავს. საზოგადოების ერთი ნაწილი ამ საქმეში ხელისუფლების ინტერესებს ხედავს; უფრო კონკრეტულად კი, როგორც ამბობენ, კომპანიებში — „ვისოლსა“ და „სოკარში“ ქვეყნის პრეზიდენტის ძმის — დავით სააკაშვილის ინტერესებია.**

აქედან, პრაქტიკულად, ხელოვნური მონოპოლიაა შექმნილი. თუ სხვა კომპანიები ბიზნესთამაშში არ აჰყვებიან მონოპოლისტურ კომპანიებს, ისინი საერთოდ ჩაიძირებიან.

ეს არის სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი და ამიტომაც მოქმედებენ ასე თავისუფლად და საწვავის ფასებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებენ.

**— შესაძლებელია პროცესის დარეგულირება?**

—თუ ხელისუფლება ინებებს, შესაძლებელია ფასთა რეგულირება, მაგრამ ეს მის ინტერესში ეს არ შედის.

**ლეიბორისტების პოლიტიკური ფანტაზიის ნაყოფია თუ არა სააკაშვილის და მერაბიშვილის ბიზნესინტერესები ნავთობში, საკამათოა, მაგრამ მონოპოლიის არსებობას არც ექსპერტები გამორიცხავენ.**




**გიორგი გუგავა:**

— მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასი თითქმის ყოველდღიურად მცირდება, საქართველოში ფასების ცვალებადობა არ შეიმჩნევა. ეს დაკავშირებულია სააკაშვილის და მისი ოჯახის ბიზნესინტერესებთან. „სოკარი“ და „ვისოლი“ მათი საკუთრებაა. ესენი ძირითადი იმპორტიორები არიან და, აქედან გამომდინარე, მათ სრული კარტბლანში აქვთ მიცემული, გავლენა იქონიონ ქართულ ბაზარზე. შესაბამისად, ფასის გაზრდასთან ერთად იზრდება მათი ანგარიშებიც. ეს კი ხალხის ხარჯზე ხდება. როდესაც მსოფლიო ბაზარზე უმნიშვნელოდ ძვირდება ნავთობი, ჩვენთან საწვავის ფასი ორმაგდება. ამ პროცესს ხელს ვერავინ უშლის, იმიტომ, რომ ეს კომპანიები სააკაშვილის პატრონაჟის ქვეშაა.

**— თუმცა ქართულ ბაზარზე, ასევე, მნიშვნელოვანი წილი „ლუკოილს“, „რომპეტროლს“ და „ეკოს“ ეკუთვნის...**

— 60 პროცენტი უჭირავს „სოკარს“. ის, ამავე დროს, არის შემომტანი კომპანია; საკმაოდ სოლიდური პროცენტი (დაახლოებით 30 პროცენტი) „ვისოლზე“ მოდის; „რომპეტროლი“ კი მერაბიშვილის კომპანიაა და აქედან შემოსული თანხები მის ჯიბეში ილექება. გამომდინარე

**დემურ გიორხელიძე:**

— ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვისი ინტერესებია ამ სეგმენტში, თუმცა არა მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრში, არამედ, საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში რატომღაც ფიქრობენ, რომ ამ საქმეში ქვეყნის პრეზიდენტის და მისი უახლოესი გარემოცვის ინტერესებია ჩადებული, თუმცა ამას ვერ დავადასტურებ.

ამის მიზეზი ქართული ნავთობის ბაზარზე არსებული არაკონკურენტუნარიანი გარემოა. ამჟამად მსოფლიოში ნავთობის ფასი შარშანდელთან შედარებით თითქმის განახევრებულია, ჩვენთან კი საწვავის ფასი საერთაშორისო მაჩვენებლებთან შეუსაბამოა და ჩვენს ქვეყანაში მონოპოლიური მმართველობის შედეგია.

არსებული ხელისუფლების პოლიტიკური ნება უნდა იყოს, შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება სტრუქტურა, რომელიც უფ-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გალის ქართული მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებას პრეტენზიებს უყენებს

**იძულებულები ვართ, ახალი პასპორტების აღებაზე თანხმობა განვაცხადოთ. ამით ქართველობას არ დავკარგავთ, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და რამე სასიკეთო ჩვენთვის არ გაკეთდა, შესაძლოა, აფხაზეთიც საბოლოოდ დაიკარგოს. ჩვენ მეტი ყურადღება გვჭირდება. ხელისუფლებაში კი მუდმივი პრობლემებია...**

**გალის რაიონში მოსახლეობამ თვითნებურად დაბრუნება ომის დამთავრების პირველსავე წლებში შეძლო.**
**ამის მიზეზი, როგორც ისინი ამბობენ, დევნილობის გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. მძიმე ყოფას ბევრმა მათგანმა საკუთარ სახლში სიცოცხლის რისკის ფასად დარჩენა არჩია.**
**გალში უნებართვოდ დაბრუნებულებისადმი საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გაჩნდა: ზოგმა ისინი გმირებად მონათლა, ზოგმაც ბრალი სამშობლოს ღალატში დასდო...**
**ასე თუ ისე, გალში დაბრუნება შეუქცევადი პროცესი გახდა და ხალხის ტალღის შეჩერება იმხანად ვერც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო, შეიძლება ითქვას, არც უცდია.**



1999-2000 წლისთვის გალის რაიონში უკვე 50 ათასი კომლი ცხოვრობდა. ამ ეტაპზე მათი რიცხვი 60 ათასს აღემატება. ოკუპირებულ რაიონში ქართველების ცხოვრება დღესაც რთულია. მართალია, მატერიალურად არ უჭირთ, მაგრამ დე ფაქტო ქვეყნის რეჟიმში ხალხს უკიდურესად მძიმე სიტუაციის ატანა უწევს. ,,შინ დაბრუნების“ სურვილმა მათ შიშიც დააძლევინა. უმეტესობამ გადამწვარი სახლ-კარი ხელახლა ააშენა, განადგურებული მამული განაახლა და ცხოვრების რიტმს აჰყვა. როგორც კი გადააბიჯებ საზღვარს, თვალწინ სხვა სამყარო იშლება. გალის ქართველი მოსახლეობა შეეგუა მტრადქცეულ მოძმესთან თანაცხოვრებას. თითქოს მინელდა აგრესიაც. აფხაზებიც და ქართველებიც დანგრეული, გაბზარული ურთიერთობის განახლებას ცდილობენ. თვითნებურად დაბრუნებული ქართველები დღეს მშვიდობიან და უსაფრთხო ცხოვრებაზე საუბრობენ. მათი წუხილი დიდია. ისინი თავს მიტოვებულად გრძნობენ.

„ენგურსგაღმა გაუსაძლის ყოფას გამოვექეცით და დანგრეულ, განადგურებულ სახლ-კარს დავუბრუნდით, — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი **ნ. ა.,** — ჩვენთვის ამ არჩევანის გაკეთება ადვილი არ იყო. აქ ყოველ დაღამებასა და გათენებას შიშით ველოდებით. განუკითხავი სიტუაციაა. ადრე ჩვენი სოფლის ცენტრში რუსი სამშვიდობოები იდგნენ. ისინი აფხაზურმა ჯარმა ჩაანაცვლა, მაგრამ ამ ბოლო დროს რუსული არმია კვლავ გააქტიურდა. უკვე წლებია, ორივე ძალასთან თანაცხოვრება გვიწევს. ვერ გეტყვით, რომ ისინი გვაწიოკებენ, გვაოხრებენ, მაგრამ შიშის ფაქტორი მაინც არსებობს. ყველა ცდილობს, მოერიდოს აფხაზებთან შეხვედრას, არაფერს გვიშავებენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვენდობით.

შინდაბრუნებულებს გავერანებული სახლ-კარი დაგვხვდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ. ეს ადვილი არ ყოფილა. ერთხელ აფხაზები მოვიდნენ. გაოცება ვერ დაფარეს, როცა ქართველების მოვლილი მამულები ნახეს, გაუკვირდათ ჩვენი გულმოდგინება არსებულ გაურკვეველ სიტუაციაში, როცა არავინ იცის, რა მოხდება ხვალ; ქართველთა მიტოვებულ ბინებში ხომ აფხაზები დაბანაკდნენ. ჩვენ კი დავბრუნდით, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც აფხაზეთისა და არც საქართველოს მთავრობა ჩვენზე არ ფიქრობს. ყველა თავისი ინტერესებისთვის გვიყენებს“.

**...აფხაზები ჩვენთან ურთიერთობების აღდგენას ცდილობენ, იქმნება ქართულ-აფხაზური ოჯახებიც. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია. ჩვენ მტრები არასოდეს ვყოფილვართ. უბედურება ისაა, რომ პოლიტიკოსთა ინტერესებს შეეწირა ჩვენი ერთობა...**

**ნ. ბ.:** ,,ძალიან რთულ ვითარებაში ვცხოვრობთ. დავბრუნდით, მაგრამ უუფლებო ადამიანები გავხდით. ხომ გაგიგონიათ ხალხური სიბრძნე: „დათვი თუ მოგერიაო...“ ჩვენც ამ სიტუაციაში აღმოვჩნდით. სახლებიდან არავინ გვერეკება, მაგრამ იძულებულები ვართ, ბაღაფშის მთავრობის ყველა სურვილს ძალაუნებურად ავყვეთ. ამ ეტაპზე პასპორტიზაციით არიან დაკავებულნი. არ ვემხრობი მათ პოლიტიკას, მაგრამ, რაც ეს კონფლიქტი არსებობს, ჩვენთვის ვერავინ მოიცალა. დავიღალეთ ასეთი ცხოვრებით. არც ენგურგამოღმა გვთავაზობენ თავშესაფარს და არანაირ დახმარებას არ ვიღებთ. ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენი არსებობაც დაავიწყდათ. რა ვქნათ, იძულებულები ვართ, ახალი პასპორტების აღებაზე თანხმობა განვაცხადოთ. ამით ქართველობას არ დავკარგავთ, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და რამე სასიკეთო ჩვენთვის არ გაკეთდა, შესაძლოა, აფხაზეთიც საბოლოოდ დაიკარგოს. ჩვენ მეტი ყურადღება გვჭირდება. ხელისუფლებაში მუდმივი პრობლემებია, ყველა რაღაცისთვის იბრძვის. „ვარდების რევოლუციას“ იმედის თვალით შევყურებდით, გვეგონა, რომ რეალურად რაღაც შეიცვლებოდა. ახლა ეს იმედიც გადაგვეწურა“.

**მ. შ.:** ,,ხელისუფლებას ჩვენი არსებობა საერთოდ გადაავიწყდა. ვუძლებთ გაუსაძლის ცხოვრებას, განუკითხაობას. აფხაზები ძალაუფლებით სარგებლობენ. უპირატესობა აქვთ და როცა უნდათ, ამას გვახსენებენ კიდეც, თუმცა ახლა აფხაზურ ჯარს უფლებები შეეზღუდა, უპირატესობა რუსულ არმიას აქვს. ერთი რამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო. აფხაზები ჩვენთან ურთიერთობების აღდგენას ცდილობენ, იქმნება ქართულ-აფხაზური ოჯახებიც. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია. ჩვენ მტრები არასოდეს ვყოფილვართ. უბედურება ისაა, რომ პოლიტიკოსთა ინტერესებს შეეწირა ჩვენი ერთობა“.

,,აქ მოხუცების გარდა ახალგაზრდები და ბავშვები ცხოვრობენ, — გვიამბობს სოფ. ნაბაკევის მკვიდრი ლამარა კ., — ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ საქართველოში დღემდე ვერ დალაგდა სიტუაცია. ხელისუფლებაში მუდმივი ქაოსია, კვლავ სკამებისთვის იბრძვიან. ვფიქრობ, მიშას წასვლა ახალ არეულობას გამოიწვევს. ძლივს გველირსა ნორმალური პენსია და დახმარება, მერე იმასაც მოგვისპობენ, თუმცა ვახსოვართ კი ვინმეს? უკვე წლებია, მიტოვებულად და მარტოსულად ვგრძნობთ თავს. შიშის ქვეშ ცხოვრებამ დაგვღალა. არ მინდა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა მუდმივად შიშით დაზაფრულებმა იცხოვრონ. ნორმალური ცხოვრება გვენატრება. ახლა რუსული პასპორტების აღებას გვთხოვენ. აქ ჩაკეტილებს სხვა გზა აღარ დაგვრჩენია — იმედით ველით ახალ მთავრობას, თუმცა ახლა ამ იმედსაც ვემშვიდობებით. ერთმანეთთან კინკლაობაში საქართველომ, არა მგონია, გაიხაროს“.

დე ფაქტო აფხაზეთში, გადამწვარ და გავერანებულ სახლ-კარში ქართველი მოსახლეობა ენგურგამოღმა გაუსაძლისმა ცხოვრებამ, უსახსრობამ დააბრუნა.

**ი. ზ.:** ,,ენგურგაღმა საქართველო აუტანელი ყოფის გამო დავტოვეთ. სამწუხაროა, რომ მიდგომა დევნილების მიმართ არ შეცვლილა. დევნილთა ადამიანურად ცხოვრებისათვის არაფერი კეთდება. დევნილთა დახმარებისა და შემწეობის ამარა 6-სულიან ოჯახს არსებობა გაგვიჭირდა. შვილებს საჭმელი რომ არ მოჰკლებოდა, სხვის სახლებში მონური შრომა დავიწყე. ასე ცხოვრება კი გაუსაძლისი გახდა, ამიტომაც დავუბრუნდი მიტოვებულ კერას და გადამწვარი სახლი ხელახლა აღვადგინეთ. დღეს საკმაოდ ბევრი ქართული ოჯახია ჩვენს სოფელში. შეკეთდა სკოლა და აღდგა სასწავლო პროცესი. გალის ქვედა ზონის სოფლებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, დანარჩენში კი — რუსულად. გასულ სასწავლო წელს სკოლებში აფხაზური ენის სწავლება დაიწყო. ქართველები ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. აფხაზების ენა ადრეც რომ გვცოდნოდა, შესაძლოა, ბევრი მსხვერპლი აგვერიდებინა თავიდან. გარდა ამისა, აღდგა სამედიცინო ამბულატორია, სასწრაფო დახმარების სამსახურიც ამუშავდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც გვჭირდება. ძნელია, იცხოვრო ცუდის მოლოდინით, მაგრამ მაინც ვახერხებთ, როგორც იტყვიან, ვუძლებთ. არც სახელმწიფო და არც აფხაზეთის მთავრობა ჩვენი დახმარებით თავს არ იწუხებს. ქართველები და აფხაზები ვცდილობთ, ძველი წყენა დავივიწყოთ და ერთმანეთს გავუგოთ. ჩვენ თვითონ თუ არ გამოვნახეთ საერთო ენა, მეეჭვება, სხვა ვინმემ გვიშუამდგომლოს. ამ ხნის განმავლობაში არც ერთ ძალას ჩვენი ერთად ცხოვრების აღსადგენად არაფერი გაუკეთებია“.

ქართველებისა და აფხაზების სატკივარი ერთია — ყველას მშვიდად და უშფოთველად ცხოვრება სურს თავის მამულში. მაგრამ აფხაზებს, ჩვენგან განსხვავებით, დამოუკიდებელ აფხაზეთში უნდათ ცხოვრება. ქართველებთან დაახლოებულ ერთ-ერთ აფხაზთან (სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) საკმაოდ გულახდილი დიალოგი წარიმართა.

,,მინდა მშვიდობა. არ მინდა ომი და უბედურება, რაც ჩვენ გამოვიარეთ, — ამბობს აფხაზი, — დროა, ჩვენმა შვილებმა მშვიდობიან აფხაზეთში იცხოვრონ; დაგვღალა იარაღის ჟღარუნმა. ძალიან მინდა, აღდგეს მიმოსვლა აფხაზეთსა და საქართველოს შორის. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. თქვენი პრეზიდენტის დამოკიდებულება ჩვენთვის მიუღებელია. არ მოგვწონს მისი რადიკალიზმი. ვერავინ შეძლებს, წაგვართვას ის, რაც კანონის ძალით გვეკუთვნის. მე ქართველების მტერი არ ვარ. ცუდია, რომ დაპირისპირებამ ომამდე მიგვიყვანა. ვიბრძოდი თავიდანვე. ჩემთვის მძიმე იყო ეს ომი. არაერთი ქართველის სიცოცხლე გადავარჩინე, მათ შორის იყო 9 წლის პატარა ბიჭი, რომელიც ოჩამჩირის რაიონში საწნახელში მიყუჟული ვიპოვე. რომ არ გამომეყვანა, ჩეჩნები მოკლავდნენ. სამი დღის ძებნის შემდეგ მოვახერხე, ბავშვი დედისთვის ჩამებარებინა. ეს ცხრა წლის ბიჭუნა გვარად გაბისკირია იყო. დღეს, როგორც ვიცი, ის მოსკოვში სტუდენტია, ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს. მეც მყავს შვილები. მინდა, რომ მშვიდობიან ქვეყანაში იცხოვრონ. აქ მეგრელებთან (ასე ეძახიან ქართველებს, — ავტ.) თბილი და ახლო ურთიერთობა მაქვს. ვცდილობ, დახმარების ხელი გავუწოდო. ბევრი შიშის თვალით გვიყურებს, სასტიკები ვგონივართ. ეს დრომ მოიტანა, მაგრამ თანდათან ყველა რწმუნდება, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და გვესმის ერთმანეთის. სოფელში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ძირითადად, მეგრელები სახლობენ, ჩვენსა და მათ შორის უკმაყოფილება ჯერ არ მომხდარა. ვცდილობთ, ერთმანეთს გავუგოთ, რაც, შეძლებისდაგვარად, გამოგვდის კიდეც“.

**ირმა ჩიტაია**

---

ლებამოსილი იქნება, იურიდიული მტკიცებულების საფუძველზე აღძრას საქმე იმ სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც შემჩნეული იქნება ე.წ. კასტელურ გარიგებაში, ანუ შეთანხმებულ და ფორმალურად დაუსაბუთებელი ფასების რეგულირებაში.

საქართველოს ხელისუფლება მონოპოლიის საშუალებას აძლევს ბიზნესს. ეს სხვადასხვა გზით ხდება, მიუხედავად იმისა, რა გზით არის წარმოშობილი ეს ბიზნესი. სხვა შემთხვევაა, როდესაც მონოპოლია კომუნალურ ბაზარზე წარმოიშობა და მეორე, როცა სხვა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნავთობის ბაზარზეა. ყველა სფეროს თავისი მიდგომა სჭირდება, რაც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ ხდება“.

**„საქართველო და მსოფლიო“ ნავთობკომპანიების წარმომადგენლების მოსაზრებითაც დაინტერესდა. კომპანია „ვისოლისგან“ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე საწვავზე ფასების ზრდა-კლების მონაცემები მოვითხოვეთ. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული ინფორმაციის მომზადება დროს მოითხოვს და ამ ეტაპზე უარით გამოგვისტუმრეს.**

**კომპანია „ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ შავლეგ მიშველაძემ კი აღნიშნა:**

— ეს ისეთი საკითხია, რომელზეც კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ეს საკმაოდ ვრცელი თემაა. ერთი რამ კი შემიძლია, გითხრათ — ნავთობის ღირებულება კი არ იკლებს, ყოველდღიურად იზრდება. შესაბამისად ეს საწვავზე ფასის ზრდას იწვევს. ამის დამადასტურებელი ციფრები და მონაცემები არსებობს. არ ვიცი, ვინ ავრცელებს ასეთ ინფორმაციას, ან ვინ რას ამბობს, მაგრამ ფაქტია, რომ ბარელი ნავთობის ფასი იზრდება. ნავთობკორპორაციაშიც არის ეს მონაცემები. რაც შეეხება ბიზნესში მონოპოლიას, ეს სხვა საკითხია და, ასევე, ვრცელი თემაა. თუ თქვენი სურვილი იქნება, მზად ვარ, უფრო დაწვრილებით გესაუბროთ“.

**საწვავის ფასების ზრდასა და კლებასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ბიზნესკურიერის“ ავტორსა და წამყვანს — აკაკი გოგიჩაიშვილს ესაუბრა:**

— ის გარემოება, რომ მსოფლიოში ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება მცირდება, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში ბენზინის თუ დიზელის ფასი უნდა შემცირდეს. გასულ წელს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში საწვავის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს, სავარაუდოდ, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

**არიან ადამიანები, რომლებიც ბიზნესინტერესებსა და მონოპოლიაში ნაკლებად ერკვევიან, მაგრამ საწვავის ღირებულების ზრდა მათ სოციალურ მდგომარეობაზე აისახება. კრიზისის გამო შემცირებული ხელფასების და შემოსავლების ფონზე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი იძულებულია, საკუთარი ავტომობილები ავტოფარეხებში დააყენონ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრონ, თუმცა მოსახლეობას იმის შიშიც აქვს, რომ საწვავის ფასის ასეთი მატება მგზავრობის ღირებულებაზეც იმოქმედებს.**

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 2008 წლის აგვისტო — ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ორგანიზებით 3 აგვისტოს თბილისში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „2008 წლის აგვისტო — ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია: მიზეზები და შედეგები“, რომელშიც მონაწილეობდნენ ექსპერტები, ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დისკუსიის მონაწილეებმა განიხილეს შექმნილი ვითარება, რომელიც უახლესი წარსულის ტრაგიკულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. მრგვალი მაგიდას უძღვებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე. მონაწილეობდნენ: ამავე ორგანიზაციის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე თემურ ქორიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე; პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი; პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე შოთა კვირტია; ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა; გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, პოლიტოლოგი ვიქტორ ცაავა; „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ პრეზიდენტი, პროფესორი, თეოლოგი დენიზა სუმბაძე; ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი გივი გურეშიძე; გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია; პუბლიცისტი ანზორ დანელია; პოლიტოლოგი ბეჟან ხაჟალია. გთავაზობთ ფრაგმენტებს დისკუსიაში მონაწილეთა გამოსვლებიდან:**




**თემურ ქორიძე:** „მე ხელთ მაქვს თავისი შინაარსით უნიკალური დოკუმენტი, რომელმაც, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს ჩვენი პოლიტიკოსების და ისტორიკოსების წარმოდგენები ეთნოპოლიტიკაზე. იგი განსაკუთრებით იმ გავლენას უკავშირდება, რაც საქართველოს დღეს ყველაზე მეტად აწუხებს. „ცხინვალი შესაძლოა, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. ყველანაირი ჯურის იარაღით იქ ნამდვილი ომი წარმოებს. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ომი იოლად არ გათავდება და ბრძოლაც მასიურ ხასიათს ღებულობს“... როგორ ფიქრობთ, ეს როდის არის დაწერილი? 1991 წელს თუ 2008 წელს? — ეს დაწერილია 1918 წლის 23 მარტს, გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ და მისი ავტორი გახლავთ დიდი მამულიშვილი, პირველი რესპუბლიკის მემატიანე, პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

ასე რომ, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცხინვალის კონფლიქტი დაიწყო 1988-89 წლებში ან, მით უფრო, ეროვნული ხელისუფლების დროს, რაზეც ხშირად აკეთებენ აქცენტს, ან თუნდაც გუშინ თუ გუშინწინ, მცდარია და მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია, ჩვენი პოლიტიკური ქვეცნობიერება ძალზე შორს არის ეროვნული ფესვებისაგან ან არ სურს, გაიგოს იმ უბედურების მასშტაბი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით.

დღეს, როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველო მიისწრაფვის ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციით ჩრდილოატლანტიკური ღირებულებებისკენ, და რა ღირებულებებია ეს ვიცით — XXI საუკუნეში ვიხილეთ ადამიანის ჩამოხრჩობის შემზარავი სურათი იმ ადგილას, სადაც ირწეოდა კაცობრიობის კულტურის აკვანი, ბაბილონის მიწაზე, ერაყში, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ თურმე ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაცია მიმართული უნდა იყოს ამ არნახული და გაუგონარი ბარბაროსობისკენ, ბუნებრივია, რომ ჩვენ უზარმაზარი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რათა დაიშალოს და დაინგრეს საქართველო. ეს არ არის ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის დამახასიათებელი მიმართულება. იგი არასოდეს გულისხმობდა უარყოფას ტოლერანტობისას, რელიგიურ შემწყნარებლობას, კონფესიურ ურთიერთობათა დამკვიდრებას. პირიქით, დღეს, როდესაც ჩვენი შეიარაღებული ახალგაზრდები ავღანეთსა და ერაყში მიდიან, სადაც XXI საუკუნისთვის არნახულ ბარბაროსულ აქციებში არიან ჩაბმული, სწორედ ეს იწვევს ქვეცნობიერად ქართული ერთიანობის, ეროვნული სულიერების დაკნინებას და ამას ბუნებრივად მოსდევს პრაქტიკული დადასტურება — ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა.

ამიტომ, ნუ გვიკვირს, რომ ხან ერთგან წარმოიქმნება ცხელი კერა და ხან მეორეგან და კიდევ რამდენიმე ადგილია საქართველოში, სადაც შეიძლება გაღვივდეს ასეთი კერები. ის, რაც მოხდა შარშან, არ შეიძლება დავაბრალოთ მხოლოდ და მხოლოდ ოსებს, აფხაზებს, რუსებს, თურქებს და ა.შ. დავფიქრდეთ და ბოლომდე გავიაზროთ ის, რასაც ეთნოკონფლიქტს ვეძახით. ტრაგედია დღევანდელი ქართული სინამდვილისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თანდათან უფრო და უფრო ვცილდებით საკუთარ თავს, ჩვენს მეობას, კულტურულ-ისტორიულ ცნობიერებას, იარაღად ვიქცევით აბსოლუტურად უცხო, XXI საუკუნის ბარბაროსთა ხელში. ეს არის ნატო და მისი ლიდერი — ამერიკის შეერთებული შტატები“.

**ჯიმი ჯალიაშვილი:** „ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისგან ჩემთვის ძალიან მძიმე მოსასმენია, რომ საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ, უკვე დაცინვა იმ ადამიანებისა, რომლებიც ქვეყნის მართვის საჭეს ფლობენ, მაგრამ რა დააშავა ხალხმა?! თუკი ის ყველაზე დემოკრატიულად აღგვიქვამს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებს საქართველო აინტერესებს, როგორც ტერიტორია. ჩვენ ეს ყოველთვის გვესმოდა, მაგრამ როგორ შეიძლება ამ სივრცეში, სადაც ნორმალურად აბალანსებენ ძალებს, ვთქვათ იგივე სომხეთი; არ შეიძლება, რომ ორი უდიდესი სახელმწიფოს ინტერესები ჩვენს სივრცეში ბალანსირებული იყოს? რთულია? აგებს რამეს სომხეთთან აზერბაიჯანი, მიუხედავად იმისა, იქაც არის კონფლიქტი?

ამიტომ, ჩემი აზრით, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ აუცილებელი საფუძველი — ჩვენი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები. ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში ნებისმიერ ეპოქაში და პოლიტიკურ სისტემაში ნამდვილ ერს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს თავისი უცვლელი ეროვნული ინტერესები. არ აქვს მნიშვნელობა დროს, სისტემას და კონიუნქტურას.

ნატო ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია? ჩვენ, ქართველები, სხვანაირად ვერ ვიარსებებთ? სასიცოცხლო ინტერესია ის ფასეულობები, რომელიც შემოდის? — აი, ამას უნდა ჩამოყალიბება. ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ მიგვითითა ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე — ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ახლაც ეს არის ჩვენი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები, მაშინ ნებისმიერი მოქალაქე და, მით უფრო, პრეზიდენტი უსიტყვოდ უნდა გადადგეს და ეს უნდა იყოს გასაგები ხალხისთვის — დაიკარგა ფუნდამენტური საფუძველი ერისა — ტერიტორია. რას ველოდოთ ახლა — როდის დავკარგავთ დანარჩენს?

ჩვენ მხოლოდ გარეთ ვიყურებით — ვინ უფრო მკაცრ განცხადებას გააკეთებს რუსეთის მიმართ. ისე გამოდის, რომ ამჟამად ეს ტერიტორია საქართველოს ოკეანისგაღმა სივრცემ დააკარგვინა და რუსეთს არ უნდა დავაბრალოთ.

საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ქართველი და ოსი ხალხების გაუცხოებისთვის. თუნდაც ერგნეთის ფაქტი რად ღირს — ხალხი ერთმანეთს დააშორეს და ახლა კითხულობენ, რა შეიძლება გაკეთდეს ტერიტორიების შემოსაერთებლადო. იქნებ, ახლა მაინც შევცვალოთ ეს პოლიტიკა და როგორმე ხიდი გავდოთ ურთიერთზე განაწყენებულ ხალხთა შორის და ამის შემდეგ მაინც დაგვადგეს საშველი“.

**როლანდ ჯალაღანია:** „საქართველო კავკასიაში ყოველთვის ლიდერობდა; ჯერ შევარდნაძის, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ანტიქართულმა პოლიტიკამ კი მაჩანჩალა ქვეყნად აქცია. არც ერთ ქვეყანას ხელს არ აძლევს ომი საქართველოში, რადგან აქ საომარი ვითარების შექმნა საფრთხეს უქმნის მთლიანად კავკასიას. ცხინვალის რეგიონში განხორციელებული პროვოკაციები სერიოზულად უნდა აღვიქვათ. ვის სჭირდება მათი განსაკუთრებულად აფიშირება და რუსეთზე გადაბრალება? ჯერ როკის გვირაბმა რა დაგვმართა და ახლა ახალი გზის მშენებლობას იწყებენ. განა ძნელი მისახვედრია, რა შეიძლება მოჰყვეს ამას? მეტი სიფრთხილე გვმართებს“.

**გივი გურეშიძე:** „უპირველესად, დიდი მადლობა, რომ ამ დიალოგში ქუთაისელი პოლიტოლოგებიც მოგვიწვიეთ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ნუგზარ ავალიანი, პოლიტოლოგი ზურაბ კაჭკაჭიშვილი და მე დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობთ ამ მრგვალი მაგიდის მუშაობაში.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს რუსეთს არ სურს ჩვენთან საუბარი. ეს ქვეყანა ჩვენკენ რომ შემოვაბრუნოთ, ვფიქრობ, საჭიროა, აზერბაიჯანს მივბაძოთ და საქართველოს კონსტიტუციაში ჩავწეროთ: „საქართველო ნატოში ან რომელიმე სხვა სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე უარს ამბობს; მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების განლაგება გამორიცხულია“.

ქუთაისელმა პოლიტოლოგებმა გამოვეცით ბროშურა „ცხელი აგვისტო, 2008“, რომელშიც გამოთქმულია ჩვენი მოსაზრებები ომის გამომწვევ მიზეზებზე.

საქართველოს ნატოზე ვერ „დაამყნობ“, რადგან სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური რეალობისთვის ეს მიუღებელია. ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე. „ნატო მინდას“ გაუთავებელმა კაკანმა საქართველო ტრაგედიამდე მიიყვანა“.

**შოთა კვირტია:** „ერთი წელი გავიდა შარშანდელი აგვისტოს ომიდან და დღემდე არ გაკეთებულა სერიოზული დასკვნები. ალბათ, ამიტომ ჯერაც არ გამქრალა საფრთხე. მე აფხაზეთიდან ვარ და ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსა და აფხაზეთის ერთობა. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება, აუცილებელია მოვლენათა წინაპირობების ღრმა ანალიზი და მოსალოდნელი საფრთხეების გააზრება. ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი იმ პრობლემების მოგვარებაა, რომლებიც საზოგადოებას ძალიან აწუხებს. ბატონმა თემურ ქორიძემ შემწყნარებლობაზე ისაუბრა, მაგრამ ჩვენ ზომიერება დავკარგეთ. როცა ზომიერება ქრება, ტოლერანტობა უპრინციპობად გადაიქცევა.

საქართველოს რომელიმე სამხედრო ძალასთან კავშირი იმიტომ მინდა, რომ ჩემი ქვეყანაც გაძლიერდეს. ნატოსთან ურთიერთობა რას მაძლევს? იმ შემთხვევაში, თუკი ნატო აქ სამხედრო ბაზას გააკეთებს, მაშინვე მთელი ისლამური სამყაროს დარტყმის ქვეშ აღმოვჩნდებით“.

**ბეჟან ხაჟალია:** „საქართველოსა და რუსეთის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობები ყოველთვის სამაგალითო იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ და რუს საეკლესიო მოღვაწეთა მჭიდრო კონტაქტებიც. თუკი აქ შეკრებილნი შევძლებთ საერთო ენის გამონახვას და გაერთიანებას, თუკი ქართველი და სხვა კავკასიელი ერები შევძლებთ შეკავშირებას, მაშინ შესაშურ შედეგებსაც მივიღებთ და, ალბათ, ჩვენი პრობლემის მოგვარებასაც შევძლებთ“.

**ანზორ დანელია:** „შარშან რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს. ამ მოვლენის წინაპირობებიც არ დაგვვიწყებია — კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს და ახალგორის რაიონი სამხრეთ ოსეთს შეუერთეს, გააუქმეს ერგნეთის ბაზრობა, რომელიც ქართველი და ოსი ხალხების დაახლოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ხალხს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდა და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდა. კარგად გამიგეთ, აფხაზეთის ომში ორი ვაჟი დავკარგე, ამიტომ ჩემთვის ეს თემა განსაკუთრებით სათუთია...

რა თქმა უნდა, გეხსომებათ, შარშან პატრიარქის მცდელობას პერევიდან ჯარის გაყვანის შესახებ რაც მოჰყვა, ხელისუფლების უგუნური განცხადებების შედეგად გასული ჯარი უკანვე შემობრუნდა“.

**რამაზ კლიმიაშვილი:** „ადრეც ვწერდი, სააკაშვილი აქ იმისთვის დასვეს, რომ რუსეთის პროვოცირება მოეხდინა. აშშ ახალი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვაზე“ ლაპარაკობს, ამ დროს კი იქ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ სააკაშვილის ხელით ახალი კონფლიქტის პროვოცირებას და რუსეთის მსოფლიო პოლიტიკიდან გარიყვას. თქვენ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს ამ მცდელობას. სააკაშვილი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავუშვათ “.

**ვიქტორ ცაავა:** „უპირველესად, აღვნიშნავ, რომ მსოფლიოში თუკი რომელიმე სახელმწიფოს ხელს არ აძლევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, ეს არის რუსეთი. მე გავეცანი „თურქულ გეგმებს“ და თურქეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. წარმოგიდგენიათ, თურქული დიასპორა რომ შეესიოს აფხაზეთს, რა მოხდება? რა ფუნდამენტი შეიქმნება ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვლენ? ჩემი აზრით, ეს არის რუსეთისთვის სრულიად დაუშვებელი და ამ აღიარებით, რა თქმა უნდა, გადააჭარბა, მაგრამ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. ამერიკამ ქართული არმიის მოდერნიზაციასა და გაწვრთნაში 10 მილიარდი დოლარი გადაიხადა. პრაგმატული ამერიკელები ტყუილად ერთ დოლარსაც არავის მისცემენ. აქედან გამომდინარე, გარკვეული მიზნები არსებობდა. ჩემი აზრით, აგვისტოს ომი აშშ საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირდებოდა, რადგან მაკკეინის რეიტინგს ასეთი კონფლიქტის გაჩაღება გარკვეულწილად წაადგებოდა, თუმცა არაფერი უშველა.

უნდა ვეცადოთ, რომ ქვეყანა ამ ჩიხიდან გამოვიყვანოთ. ადამიანი, რომელიც ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს დაპირისპირების ცენტრად თავის ქვეყანას შესთავაზებს, სასწრაფოდ უნდა მოშორდეს პრეზიდენტის პოსტს. ეს ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ, თორემ წინ ბევრად უარესი გველოდება, ვიდრე წარმოგვიდგენია...“

**ელიზბარ ჯაველიძე:** „სააკაშვილი არის იმ სისტემის ჭანჭიკი, რომელიც დაამკვიდრა ამერიკამ და რომლის მთავარი მიზანი არამარტო ქართული სახელმწიფოს დანგრევა, არამედ ქართველი ერის მოსპობაა. აი, ეს არის მთავარი და უმძიმესი პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენი ერის წინაშე დგას. სამწუხაროდ, ჩვენი ე.წ. ოპოზიციაც ამერიკას და დასავლეთს მისჩერებია, რადგან ისინი არა ქართველი ხალხის, არამედ ამერიკის წინაშე გრძნობენ პასუხისმგებლობას. ამერიკას უკვე სააკაშვილი №2 ჰყავს გამზადებული. ეს არის ცერეუს გა-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მოზრდილი ალასანია, რომელიც (სააკაშვილი ხომ ანგრევს) საბოლოოდ მოუთავებს ხელს საქართველოს.

დღეს ევროპა გონს მოეგო და მიხვდა, რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ორპოლუსიანი მსოფლიო.

გორის მიდამოებში ახლა თავი მოუყარეს ქართველ ჯარისკაცებს. არ გამოვრიცხავ, რომ ახალი პროვოკაცია მოხდეს, ამიტომ ქედის მოდრეკა არავისთან არ გვინდა, მაგრამ საერთო ენა დამპყრობელთანაც უნდა გამოვნახოთ".

**დენიზა სუმბაძე:** „ჩემი აზრით, საჭიროა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზი მსოფლიო პროცესების გათვალისწინებით. ბევრი რამ სახელმწიფოებრივ დონეზე არ ფასდება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა რუსეთის ხელისუფლების გამიზნული ნაბიჯი იყო, საქართველოსკენ გადმოდგმული. რუსეთის პრეზიდენტი დაჰპირდა პატრიარქს, რომ ლტოლვილები დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფუძეზე, მაგრამ მეორე დღესვე საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებმა ყველაფერი გააფუჭა.

ვფიქრობთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიალური მმართველობა უნდა გამოცხადდეს; რუსეთთან ურთიერთობა ეკლესიური გზით უნდა გავაგრძელოთ, საამისოდ რუსეთის ეკლესია მხარში გვიდგას."

**მრგვალი მაგიდის მუშაობაში ძირითადი გამომსვლელების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ადამიანები. ბატონმა დავით ქობალიამ საქართველოში მომხდარი კონფლიქტები ევროპაში წლების მანძილზე გადაუჭრელ კონფლიქტებთან დააკავშირა და იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ დაანახა ქართული რეალობა ევროპელებს.**

**დასასრულ, მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა „ისტორიული მემკვიდრეობის" თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ:**

„რა იყო აგვისტოს ომი? ამ შემთხვევაში ორი შედეგი გვაქვს: საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, სამაგიეროდ, ხელისუფლებამ მიიღო გულუხვი ძღვენი ყბადაღებული ფინანსური დახმარებების სახით. მათ გარდა სხვას ვის დაეტყო, რომ ქვეყანამ დახმარება მიიღო?

დომინირებს ამერიკული დიქტატი და ამერიკული გავლენა საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ნატო ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიც კი არ შედიხარ, არამედ გიღებენ. უკვე რამდენიმე წელიწადია, ნატოში შესვლა ჩვენი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორია. თუკი ნატოში გიღებენ, ე.ი. მას რაღაცაში სჭირდება, აბა, ისე რატომ მიგიღებს?! თუკი ამერიკელებს ჩვენი იქ შეყვანა უნდათ, ესე იგი ეს რაღაცაში სჭირდებათ. ამ დროს ლოგიკურად ჩნდება კითხვა: კარგი, ამერიკელებს სჭირდებათ, მაგრამ ჩვენ გვჭირდება? ეს კითხვა რომ არ გაჩნდეს, ამიტომ დაგვისვეს ხელისუფლებაში ყოვლად უზნეო, ამორალური ადამიანები, რომელთათვისაც წმინდა არაფერი არსებობს — არც სამშობლო, არც ღირსება და სხვა ამისთანა ცნებები. ასეთი ხალხი წამოგვასვეს თავზე და გვითხრეს, რომ ესენი იქნებიან ჩვენი ხელისუფლები. სწორედ ამ პოლიტიკის და ამ პროცესების ერთ-ერთი გამოძახილია აგვისტოს მოვლენები. ამასთან, ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ იკითხა, — კარგი, სააკაშვილი წავიდა, ვინ და რა ძალები მოდის? ჩვენ რომ საშველი დაგვადგეს და ჩვენი ცხოვრება და პოლიტიკა უკეთესობისკენ შეიცვალოს, საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების გააზრება. საამისოდ, უპირველესად, სურვილი და მისწრაფება უნდა გქონდეს, შემდეგ — უნარი და შესაძლებლობა. ეს რომ დაგიჯერონ, პოლიტიკურ ძალას ვგულისხმობ, საქართველოს მოსახლეობის ნდობა უნდა გქონდეს, უპირველესად; ასევე, იმათი, ვისთანაც უმძიმესი კატასტროფული პრობლემების გადაჭრაზე მოგიწევს მუშაობა და საუბარი (რუსეთს, შემდეგ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ).

გვინდა თუ არა, საკითხი ზედაპირზე დევს და პროპაგანდისტული შენიღბვა და გაქარწყლება ვეღარ უშველის. რუსეთთან ურთიერთობაზეა ყველაფერი მიბმული და მისგან მომდინარეობს. თუკი რუსეთი არ დაგელაპარაკა, არ მოგისმინა, თუკი შენი ნდობა არ აქვს, რომც დაგელაპარაკოს, წყლის ნაყვა იქნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ მიგიღებენ და მოგისმენენ აფხაზები და ოსები, დაგიჯერებენ თუ არა. შეიძლება ფორმალურად მიიღონ და გარკვეული დიალოგიც გამართონ სააკაშვილი №2-თან, მაგრამ შედეგი რა იქნება? — ეს დიალოგიც შეწყდება.

ჩვენმა ე.წ. ოპოზიციამ რა გააკეთა ისეთი, რითაც ხელისუფლებაზე თუნდაც ერთი მისხალით მაღლა დამდგარიყო? — არაფერი! მიშა ცუდია, ეს ყველამ იცის, ოპოზიციას არც ერთი პრინციპული და ხელისუფლების მიდგომებისგან განსხვავებული საკითხი არ დაუსვამს. ჩვენ ისევ ვისმენთ დემაგოგიურ ტერმინოლოგიას ნატოში შესვლაზე, ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, ამერიკულ ფასეულობებზე და ა.შ.

ამიტომ დღეს ჩვენთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის და საქართველოს მომავლისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი ძალის გამოჩენა, რომელსაც შესწევს უნარი და აქვს სურვილი, პრინციპულად გაიაზროს საქართველოს სასიცოცხლო მოთხოვნილებები, პრაქტიკულად და პრაგმატულად მიუდგეს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას.

ამ ძალას უნდა ენდობოდნენ და ანგარიშს უწევდნენ რუსებიც, აფხაზებიც და ოსებიც. სხვანაირად არც მოლაპარაკებები გაიმართება, არც შედეგი დადგება, ხოლო ჩვენი ტრაგიკული და კატასტროფული მდგომარეობა გაღრმავდება და იქამდე მივა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ გვექნება.

## მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შეხვედრის დასასრულს მიიღეს დასკვნითი განცხადება, რომელსაც აქვე გთავაზობთ

## ქ. თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის" თაოსნობით თემაზე: „2008 წლის აგვისტო — ქართული სახელმწიფოს ტრაგედია: მიზეზები და შედეგები" გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთა

# დასკვნითი განცხადება

მრგვალი მაგიდის მონაწილეები, განვიხილეთ რა უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური სვლები, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და მისი შემდგომი პერიოდი, მივედით დასკვნამდე, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები წლების მანძილზე მზადდებოდა ხელისუფლების მიერ. ამაზე მეტყველებს სააკაშვილის მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადებები ნებისმიერი მეთოდებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე; სამხედრო ბიუჯეტის, ტექნიკისა და იარაღის შესყიდვის მუდმივი ზრდა; უცხოელ სამხედრო სპეციალისტთა საიდუმლო მოწვევები, ძირითადად, ისრაელიდან და აშშ-დან (მოგვიანებით თვითონ ისრაელმა აღიარა მათი საქართველოში ყოფნა, ოღონდ მიუთითა, თითქოს ისინი გადამდგარი სამხედროები იყვნენ და სახელმწიფო სამსახურთან კავშირი არ ჰქონდათ); 2006 წლის ზაფხულში, თავდაცვის მინისტრად ოქრუაშვილის ყოფნის დროს, საომარი ოპერაციის მცდელობა სამხრეთ ოსეთში; ოქრუაშვილის განცხადება ცხინვალში ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით; სანაკოევის მარიონეტული ხელისუფლების შექმნა; სხვადასხვა სახის მუდმივი პროვოკაციები რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ (მათი დაკავება გამოგონილი საბაბით, ტექნიკაზე საღებავის გადასხმა, ფიზიკური შეურაცხყოფა) და ა.შ;

ანალოგიური პროვოკაციები ხორციელდებოდა აფხაზეთის მიმართულებით: კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა, იქ სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო კონტინგენტის შეყვანა, განმუხურში ახალგაზრდული ბანაკის შექმნა, რუს მშვიდობისმყოფელებთან შეტაკებები, მათ შორის, სააკაშვილის მონაწილეობითაც (კამერების წინ);

იმავეს მოწმობს სისტემატური უარი ძალის არგამოყენების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე.

კონფლიქტების დარეგულირების სურვილის არქონაზე აშკარად მეტყველებს ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობდნენ ადამიანები, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ აფხაზეთთან (ხაინდრავა, მალაშხია, იაკობაშვილი და სხვ.) და ამ დროს ხალხი, ვინც იქ დაიბადა, ცხოვრობდა, საქმიანობდა, აქვს ნათესაური და მეგობრული კავშირები, დარეგულირების პროცესს არ გააკარეს.

მიმდინარეობდა გამალებული ანტირუსული პროპაგანდისტული კამპანია, შეურაცხმყოფელი გამოხტომები რუსეთის ხელმძღვანელების მისამართით;

დამკვიდრდა ქედმაღლური დამოკიდებულება აფხაზი და ოსი მხარეებისადმი, მათი ხელმძღვანელების, ისტორიისა და კულტურის სფეროს მოღვაწეების შეურაცხყოფა (მაგ., იაკობაშვილის ინტერვიუ პირველ არხზე, სადაც ის, რეინტეგრაციის მინისტრი (!), აცხადებს, რომ არ იცის და არც არავითარი სურვილი აქვს, იცოდეს ოსეთის ხელმძღვანელთა ვინაობა);

ჯიუტი დეკლარირება ნატოში შესასვლელად კურსის უცვლელობისა, რაც გამორიცხავდა რუსეთის დაინტერესებას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში და აფხაზებისა და ოსების სწრაფვას რეინტეგრაციისადმი.

ამჟამინდელი განცხადებები იმის თაობაზე, რომ სამხედრო მოქმედებები რუსეთის ინტერვენციის საპასუხოდ დაიწყო, სასაცილო და უსაფუძვლოა: სრულიად საწინააღმდეგოზე ლაპარაკობს მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის ა. ლომაიას 8 აგვისტოს გაკეთებული განცხადება ოპერაციის დაწყების თაობაზე კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, ასევე, გენერალ ყურაშვილის ანალოგიური განცხადება. 7 აგვისტოს ნახევარმა ქვეყანამ ნახა ცხინვალისკენ მიმავალი ჯარისკაცებით სავსე ასობით ავტომანქანა და ათეულობით სამხედრო ტექნიკა. ყველაფერი ეს დაფიქსირებულია, ცნობილია ევროკავშირის კომისიისათვის და ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

ძალისმიერი მეთოდებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო შედეგები ცნობილი იყო ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის. ამის თაობაზე არაერთხელ ითქვა საინფორმაციო საშუალებებში (პოლიტოლოგ ა. ჭაჭიასა და რ. კლიმიაშვილის, აკადემიკოს ე. ჯაველიძის სტატიები და ტელეგამოსვლები, ა. ხიდირბეგიშვილის სტატიები).

რუსეთის ხელმძღვანელობამ არაერთგზის განაცხადა, რომ საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში რუსეთი ვერ დარჩებოდა მაყურებლის როლში. 2008 წლის ივლისში კ. რაისის ვიზიტს თბილისში მოჰყვა დ. მედვედევის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ, თუ საქართველო კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრას შეეცდებოდა, რუსეთი იძულებული იქნებოდა, ჩარეულიყო. ამას მოჰყვა მორიგი მოწოდება ძალის არგამოყენების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, რომელიც კვლავ უპასუხოდ დარჩა.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას გეოპოლიტიკურად ყოველთვის არახელსაყრელად მიაჩნდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობა. რუსეთისთვის ოპტიმალურ ვარიანტად რჩებოდა ერთიანი, მეგობრული საქართველო, რომლის ტერიტორიიდან რუსეთს არასდროს დაემუქრებოდა სამხედრო ან ტერორისტული საშიშროება. ამის დაამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგაც ვ. პუტინმა კატეგორიული უარი თქვა, ეცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთი ამას არც ახლა აკეთებს დნესტრისპირეთსა და ყარაბაღთან მიმართებაში. რუსეთის ამ პოზიციის პასუხად სააკაშვილი გამუდმებით ნატოში შესვლისკენ სწრაფვაზე ლაპარაკობდა (რითაც ხაზი გადაუსვა რუსეთისათვის მისაღებ ვარიანტს — ერთიანი და მეგობრული საქართველო) და სამხედრო ძალით თავს დაესხა რუს მშვიდობისმყოფელებსა და მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეებს.

ცხადია, რომ რუსეთის პასიურობას 2008 წლის აგვისტოში მოჰყვებოდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების სრული იმედგაცრუება რუსეთის შესაძლებლობაში — დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, ჩრდილოეთ კავკასიაში ანტირუსული განწყობილების და სეპარატისტული ტენდენციების აფეთქება, მასობრივი მღელვარებები, ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა რაზმების გადმოსვლა აფხაზთა და ოსთა დასახმარებლად, პარტიზანული მოქმედებების გაშლა და, საბოლოო ჯამში, მასშტაბური კავკასიური ომი, რომელიც შეიწირავდა საქართველოს. ამ ომის რომელიღაც ეტაპზე საჭირო გახდებოდა მასში დიდი სახელმწიფოების, ასევე, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების მონაწილეობაც.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად აქეზებდა სააკაშვილს ამ ავანტიურის ჩასადენად. ამ მხრივ ჯორჯ ბუშის მარტო ერთი განცხადება რად ღირს, როცა მან რუსებს წითელი ხაზი „გაუვლო" კავკასიის ქედზე და „აუკრძალა" მასზე გადმობიჯება. გავიხსენოთ კ. რაისის ვიზიტი ომის წინ, მ. ბრაიზას აქტიურობა, საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის ნათქვამი, როგორ ურჩევდა ჯ. ბუში, რუსების თბილისში შესვლამდე მოსკოვში არ ჩასულიყო. უკვე 8 აგვისტოს შემდეგ თვითონ რაისი, ბრაიზა და აშშ ელჩი რუსეთში მრავალჯერ ცდილობდნენ თავისმართლებას, ამისათვის ბრაიზა მოსკოვშიც კი იყო ჩასული.

ეს ომი ამერიკისთვის ხელსაყრელი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

— მოწმდებოდა რუსეთის მზაობა, ადეკვატური რეაგირება მოეხდინა მისი სტრატეგიული ინტერესების ზონაში სამხედრო ჩარევაზე;

— საქართველო „თავისუფლდებოდა" კონფლიქტური ტერიტორიებისაგან, რომელთა არსებობა ხელს უშლიდა ნატოში მის შეყვანას. სამხრეთ ოსეთის დამორჩილების შემთხვევაში ეს მოახდენდა აფხაზეთის დაკარგვის კომპენსირებას (რაისის 2008 წლის ივლისის ვიზიტამდე სააკაშვილის მიზანი აფხაზეთი იყო, შემდეგ გადაერთვნენ სამხრეთ ოსეთზე. ეს კარგად ჩანდა 2008 წლის ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდის ინფორმაციებიდან).

— არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი ამერიკას სტრატეგიულად არ სჭირდება;

— მილსადენები იქ არ გადის, აეროდრომები ნატოს ბაზების განსათავსებლად ან ირანთან ომის შემთხვევაში საქართველოს სხვა ნაწილებში მდებარეობს, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა სახის ექსცესების პროვოცირება კი აქედანაც შეიძლება;

— რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში კავკასიის მტრად ცხადდებოდა და მასშტაბური ინფორმაციული ომის სამიზნე ხდებოდა, ხოლო აშშ ჩაგრულთა მეგობრად და დამცველად წარმოგვიდგებოდა.

ზოგადად ამ ომის შედეგები ასეთია: ასეულობით დაღუპული, ათიათასობით უსახლკაროდ და საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილი დევნილი; ქართველებმა დაკარგეს სამშობლოს ნაწილი.

დღეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მარაზმი გრძელდება:

ხელისუფლება იხტიბარს არ იტეხს, ტერიტორიების დაკარგვით დამთავრებულ ომს გამარჯვებად გვასაღებს, არ წყდება ფუჭი დაპირებები ტერიტორიების დაბრუნებაზე (ამჯერად, მშვიდობიანი გზით), ისევ აშშ-ს მითიური დახმარების იმედად ყოფნა, ბაიდენის ჩამოსვლის გარშემო ატეხილი სამარცხვინო აჟიოტაჟი, ანტირუსული ისტერიის ახალი ტალღა და ა. შ. უცვლელად მუსირებს შევარდნაძე-სააკაშვილის ბოლომდე გაკოტრებული თეზისი „დასავლეთი გვიშველის!". ყველასათვის ნათელია პრეზიდენტის არაჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობა, პოლიტიკური ელიტის, მათ შორის, ოპოზიციის დილეტანტიზმი და ინტელექტუალური არასრულფასოვნება, სახელისუფლებო საინფორმაციო საშუალებების სიცრუე და ორპირობა.

არც ერთ პოლიტიკურ ძალას სიმართლის დანახვა არ უნდა: აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი დაკარგულია და დღევანდელი პოლიტიკის გაგრძელება სხვა რეგიონებში სეპარატისტული ტენდენციების შემობრუნებით ემუქრება, საქართველოს ნგრევის პროცესი გაგრძელდება. ასეთი პროგნოზებისას ვითვალისწინებთ ფრიად დაძაბულ მდგომარეობას ჯავახეთში და ქვემო ქართლში, ასევე, თურქეთის აქტიურობას აჭარაში, ავტონომიის გარანტის სტატუსს რუსეთთან ერთად (ჩვენი მტრობის გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია, გამოვიდეს ყარსის ხელშეკრულებიდან, რითაც კარს გაუღებს თურქეთს აჭარაში).

არსებული სიტუაციიდან გამოსავალს მრგვალი მაგიდის წევრები შემდეგში ვხედავთ:

— ქართველმა საზოგადოებამ უარი უნდა თქვას დამღუპველ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, აშშ-ს მითითებების მონურად და ბრმად შესრულებაზე, უნდა გათავისუფლდეს მარიონეტული ხელისუფლებისგან;

— უნდა გავაცნობიეროთ ელემენტარული ჭეშმარიტება: საქართველოს ყველა ძირითადი პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური წინსვლა, მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულება — პირდაპირაა დამოკიდებული რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დონესა და ხარისხზე;

— აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის სრული მოცულობით აღდგენა; მისი, როგორც დაინტერესებული მხარის, მონაწილეობა აფხაზეთთან და ოსეთთან პირდაპირ დიალოგში, ინტეგრაციის ახალი ფორმების მოსაძებნად ერთობლივი მუშაობა, ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროექტი ჩვენი ხალხების ერთობლივი ცხოვრების უზრუნველსაყოფად;

— ამ ამოცანათა რეალიზაციისათვის უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს, მოიპოვოს რუსეთის ხელმძღვანელობის, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალთა ნდობა და რომელიც შეძლებს, შეიმუშაოს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების თვისებრივად ახალი სტრატეგია, დაეყრდნობა რა ისტორიულ გამოცდილებას, ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს.

**ქ. თბილისი**
**2009 წლის 3 აგვისტო**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება მიიტაცა

**2004 წლის 7 მაისს, ანუ „აჭარული ვარდების რევოლუციის“ მეორე დღეს, ბათუმის აეროპორტში ათეულობით შეიარაღებული ნიღბოსანი და „ნაცმოძრაობის“ ბანდის ერთ-ერთი ატამანთაგანი ზურაბ მელიქიშვილი „მიბრძანდნენ!“ ავიაკომპანია „აჭარის“ ხელმძღვანელები და თანამშრომლები აიძულეს, მათი მოთხოვნები ყოველგვარი ახსნა-განმარტების, დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე შეესრულებინათ და ცდილობდნენ, თვითმფრინავი ЯК 42 4L AAM ბათუმის აეროპორტიდან თბილისში წამოეყვანათ!**
**იმხანად ავიაკომპანია „აჭარას“ რუსეთიდან მოწვეული 23-კაციანი შემადგენლობა ემსახურებოდა, რომლებიც, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ! რუსი პილოტები მიშას ზონდერებმა კედელთან მიაყენეს და უყვიროდნენ: თვითმფრინავს ახლავე თბილისში წაიყვანთ, თუ არადა ჩვენს ქმედებაზე პასუხს აღარ ვაგებთო!**

ავიაკომპანია „აჭარის“ გენდირექტორის მოადგილე ნინო ალფაიძე ზურაბ მელიქიშვილს დიდხანს უმტკიცებდა, რომ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებისადმი ასეთი მოპყრობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ავტომატების ლულების ქვეშ იძულების წესით რუსმა პილოტებმა თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში მალევე გადმოაფრინეს!

**„რევოლუციამდე“ ბათუმის მერიის ბალანსზე მყოფი თვითმფრინავი ЯК 42 4L AAM-ის შესახებ თბილისში ბევრი საუბრობდა, ბევრიც იმ დღეს ელოდა, როცა აბაშიძე საქართველოდან წავიდოდა და მის დატოვებულ საქართველოს ქონებას ხელში ჩაიგდებდა!**

უკვე საქართველოს პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი ბრძანებდა: „ასლან აბაშიძეს ისეთი მოწყობილი თვითმფრინავები ჰყავს, ზოგს ასეთი სახლიც კი არა აქვსო“. იმასაც ბრძანებდა, რომ ეს თვითმფრინავები პირადად ასლან აბაშიძის საკუთრებააო, მაგრამ როგორც „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველმა უკვე იხილა, აღნიშნული საჰაერო ხომალდები ჯერ აჭარის მინისტრთა საბჭოს ბალანსზე, ხოლო მოგვიანებით ბათუმის მერიის ბალანსზე იმყოფებოდა! „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზია „რუსთავი-2“ „ნაციონალურ მაროდიორობას“ აქტიურად აშუქებდა, თუმცაღა იმ კონტექსტში, თითქოს, „ასლანისტების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენი ძლევამოსილი ხელისუფლება მაინც იმარჯვებსო! ბათუმის აეროპორტიდანაც მომზადდა სიუჟეტი, სადაც ავიაკომპანია „აჭარის“ გენდირექტორის მოადგილე ნინო ალფაიძე ყველას გასაგონად ამბობდა: „თვითმფრინავი მიჰყავთ უკანონოდ, არ არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი და, საერთოდ, რაც ამჟამად ხდება, არის დიდი უკანონობა და თვითნებობა!“

8 მაისს ЯК 42 4L AAM თვითმფრინავი უკვე თბილისის აეროპორტში დალუქულ მდგომარეობაში იდგა, ხოლო მეორე თვითმფრინავი ЯК 42 4L AAR კვლავ ავიაკომპანია „აჭარას“ დარჩა ექსპლუატაციაში, თუმცაღა, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ რამდენიმე თვით... ლევან ვარშალომიძის ადმინისტრაციის წარმომადგენელი თემურ კახიძე მაშინ ბრძანებდა: ავიაკომპანია „აჭარა“, ჩვეულებისამებრ, გააგრძელებს მუშაობას (დარჩენილი ერთი თვითმფრინავით) და ამ მხრივ მათ პრობლემები ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებისგან არ შეექმნებათო! სპეციალისტებმა კარგად უწყიან, რომ ნებისმიერი ავიაკომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თუნდაც ერთი სარეზერვო თვითმფრინავი და სწორედ ამიტომ მაშინ ავიაკომპანია „აჭარამ“ ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საჭიროების შემთხვევაში ეს ორი შპს ერთმანეთის თვითმფრინავებით ისარგებლებდნენ, თუმცაღა, ამავე ხელშეკრულებით, თვითმფრინავი ЯК 42 4L AAR ექსპლუატაციაში კვლავ ავიაკომპანია „აჭარას“ რჩებოდა!

25 ივლისს ავიაკომპანია „აჭარამ“ მორიგი რეისი შეასრულა ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის მიმართულებით და როგორც ადრევე ჰქონდა დაგეგმილი და აჭარის მთავრობასთან შეთანხმებული, რეისის დასრულების შემდეგ ЯК 42 4L AAR ტიპის თვითმფრინავი ქ. დონეცკში უნდა გადაეყვანა ერთი კვირის ვადით მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად!

**როგორც ირკვევა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე თვითმფრინავის დონეცკში გადაყვანამდე ერთი დღით ადრე, №78ა განკარგულების შესაბამისად, ჯერ კიდევ 24 ივლისს ბრძანებს, რომ ქალაქ ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული საჰაერო ხომალდი ЯК 42, საბორტო ნომერი: 4L AAR ერთი წლის ვადით იჯარით გადაეცეს „საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს“ და საიჯარო ქირა განესაზღვროს 210000 აშშ დოლარის ოდენობით წელიწადში!**

აღსანიშნავია, რომ ამ განკარგულების შესახებ ავიაკომპანია „აჭარას“ არავინ შეატყობინა და სრულიად უკანონოდ, ჯერ კიდევ მოქმედ ავიაკომპანიას დარჩენილი ერთი თვითმფრინავი ისე „აახიეს“, არავის ჰკითხეს, ამის უფლება ჰქონდათ თუ არა კანონმდებლობით.

როგორც აღვნიშნეთ, 25 ივლისს ავიაკომპანია „აჭარამ“ ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის მიმართულებით მორიგი რეისი შეასრულა, თუმცა საღამოს ავიაკომპანიის ხელმძღვანელებს ფინანსური პოლიციიდან დაუკავშირდნენ და სთხოვეს, სასწრაფოდ გამოცხადებულიყვნენ მათთან. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 7 მაისის შემდეგ ავიაკომპანია „აჭარას“ მრავალი რევიზია ჩაუტარდა, ხოლო სულ ბოლოს აჭარის საგადასახადო ინსპექციიდანაც ესტუმრნენ და 50000 ლარის ოდენობის ჯარიმაც „დაუდგინეს“, თითქოს მათ ის თანხა ბიუჯეტს დაუმალეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავიაკომპანია „აჭარას“ აჭარის ბიუჯეტის 600000 ლარი აღიარებული ვალი ჰქონდა, მაგრამ, ამავე დროს, თავად აჭარის ბიუჯეტს ავიაკომპანიისადმი 1300000 ლარი ჰქონდა გასასტუმრებელი. აჭარის საგადასახადო ინსპექციამ მაინც „დაფარულ“ შემოსავლად „გამოწერა“ დასკვნა და ყოველივე ამის საფუძველზე ფინანსურ პოლიციასაც მიმართა.

კანონის მიხედვით, 45 დღის განმავლობაში ავიაკომპანია „აჭარას“ ეს თითქოსდა „დაფარული“ თანხა უნდა დაეფარა, მაგრამ მალევე რამდენიმე საათში თბილისიდან დარეკილი შეტყობინების შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ ავიაკომპანიის გენდირექტორის მოადგილე ნინო ალფაიძე მოულოდნელად პატიმრობაში აიყვანა (?!) და მას 6 თვის განმავლობაში საშუალება არ მიეცა, საკუთარი თუ ავიაკომპანიის უდანაშაულობა დაემტკიცებინა!

მაშინდელი ქართული პრესა ამ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურა, ხოლო ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა ისიც კი განაცხადა — კიდევ ერთი პოლიტპატიმარი დაემატა ქართულ ციხესო!

სრულიად გამაოგნებელი იყო ისიც, რომ ქალბატონ ნინოს გამომძიებელი 6 თვის განმავლობაში მხოლოდ 2-ჯერ ესტუმრა და საპყრობილიდან მხოლოდ იმის წყალობით განთავისუფლდა, რომ 218-ე მუხლში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოსათვის 50000 ლარის დამალვა პატიმრობით არ განისაზღვრებოდა!

პატიმრობაში აყვანამდე ნინო ალფაიძემ პროკურორ გიორგი პაპუაშვილს განუცხადა: ჩემი პატიმრობაში ყოფნა იმათ უნდათ, ვისაც თვითმფრინავების მითვისება სურს!

და მართლაც, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები ამ სიტყვების უტყუარი დასტურია!

ბათუმი პატარა ქალაქია... იმხანად ბათუმელები ჩურჩულით საუბრობდნენ იმაზე, რომ ლევან ვარშალომიძესა და „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების“ გენდირექტორს გიორგი კოდუას ერთ-ერთ „ბუნგალოში“ ვიღაც „ტიპებმა“ რაღაც საბუთი თავზე გადაახიეს და, სავარაუდოდ, როგორც დღეს ირკვევა, ეს საბუთი ვარშალომიძის 24.07.2004 წ. №78ა ბრძანებაა „საქართველოს ნაციონალური ავიახაზებისთვის“ ერთწლიანი საიჯარო ვადით გადაცემაზე (აქედან გამომდინარე, დახეული ბრძანების ასლიც ვერ მოვიპოვეთ)!!!

მოგვიანებით, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულებას გამოსცემს: თვითმფრინავის ЯК 42 დ 4L AAM (საქარხნო ნომერი 4520423116579) მესაკუთრისა და ექსპლუატანტის შეცვლასთან დაკავშირებით! ამ განკარგულების მიხედვით კი, სახელმწიფო რეესტრში საჰაერო ხომალდის მესაკუთრედ დარეგისტრირდა, არც მეტი, არც ნაკლები, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“ (?), ხოლო ექსპლუატანტად — ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზები“! თვითმფრინავ ЯК 42 დ (საქარხნო ნომერი 4520423116579) მიეკუთვნოს ამოსაცნობი ნიშანი 4L-TGG!!!

გამოდის, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ“ მიისაკუთრა და თვითმფრინავის ექსპლუატანტიც თავადვე აირჩია. კი, ბატონო. ვინ მამაძაღლი ამბობს რამეს, მაგრამ ეს რომ აბსურდამდე მისული ქმედებაა და, თანაც, ძალიან უხეში იურიდიული კაზუსი, ამაზე ვინმე ხომ უნდა დაფიქრებულიყო მაშინაც და დღესაც?

როგორც №640გ განკარგულების მე-2 პუნქტში ნათლად ჩანს, თვითმფრინავ ЯК 42 4L AAM ახალი ამოსაცნობი ნიშანი 4L-TGG მიეკუთვნა! თუკი უფრო მეტი კონკრეტიკა სჭირდება მკითხველს, დავაკონკრეტებ რომ **TGG ასე იშიფრება: „ტამაზ გაიაშვილი, გურამის ძე“!!!**

„ძლიერნი ამა ქვეყნისა“ ავიაკომპანია „აჭარის“ ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის დროებით შეჩერებასაც „ახერხებენ“ და №74 ოქმის საფუძველზე კომისიაც ასკვნის, რომ ავიაკომპანია „აჭარას“ დროებით უნდა შეუჩერდეს ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადა, ყველა აღნიშნული საკითხების აღმოფხვრამდე“!

საინტერესოა, სიტყვა „დროებით“ მათი თვალსაწიერიდან რას გულისხმობდა? მაშინ, როცა ავიაკომპანია „აჭარას“ ორი თვითმფრინავი ძალადობრივი გზით წაართვეს, კომპანიას 55 ქართველი თანამშრომელი უმუშევარი რომ დატოვეს, მუშაობის გაგრძელების საშუალება არ მისცეს და მათი ხელმძღვანელები კი ციხეში რომ ჩაკეტეს, — იმას?! სხვათაშორის, ისიც საინტერესოა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ა. ბეჟანიძის 26.06.2004 წლის №42 ბრძანების შესაბამისად, ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალურ ხაზებს“ მეორე თვითმფრინავი 4L AAR რა მოსაზრებით არ გადაეცა და ვინ შეუშალა ამ ყველაფერს ხელი?

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუკი ბატონი გიორგი კოდუა ამ შეკითხვას თავადვე გასცემს პასუხს ჩვენი გაზეთის მეშვეობით და მკითხველიც დასკვნებს, ალბათ, მაშინ გააკეთებს!

**ირინა გოგოსაშვილი**


დამოუკიდებელი ეროვნული ძარეგულირებელი ორგანო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია

განკარგულება

№640გ 07.09.2004წ.

თვითმფრინავის იაკ-42დ 4L-AAM (საქარხნო ნომერი 4520423116579) შესახებ საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. თვითმფრინავის იაკ-42დ 4L-AAM (საქარხნო ნომერი 4520423116579) მესაკუთრის და ექსპლუატანტის შეცვლასთან დაკავშირებით შეტანილი იქნეს ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში. საჰაერო ხომალდის მესაკუთრედ დარეგისტრირდეს „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“, ხოლო ექსპლუატანტად — ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზები“.
2. თვითმფრინავს იაკ 42დ (საქარხნო ნომერი 4520423116579) მიეკუთვნოს ამოსაცნობი ნიშანი 4L-TGG.
3. საჰაერო ხომალდების საფრენადვარგისობის და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსმა ბ-ნ ბ. ხესიაშვილმა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში“ და გააფორმოს სათანადო საბუთები.
4. ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნ ზ. ფცქრიშვილმა უზრუნველყოს თვითმფრინავის იაკ-42დ 4L-AAM-ის სახელზე გაცემული საბორტო საბუთების დაბრუნება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში.
5. განკარგულება გაეცნოს ყველა დაინტერესებულ პირს და ორგანიზაციას.

საფუძველი: 1. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსის 30.08.2004წ № 512-5 წერილი;
2. ს/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის 27.08.2004წ. № AZ 1304 წერილი.

ადმინისტრაციის თავმჯდომარე


დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო,
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია

ექსპლუატანტის სერტიფიცირების კომისიის

ოქმი № 74

2004 წლის 05 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ: თავმჯდომარე: ზ. ბელქანია
კომისიის წევრები: ბ. ხესიაშვილი, ვ. ვაშაკიძე,
მ. სამხარაძე, ლ. ბიბილაური

დღის წესრიგი

ს/კ „აჭარას“ ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის დროებით შეჩერების თაობაზე.

კომისიამ განიხილა რა ავიაკომპანია „აჭარაში“ შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა: ავიაკომპანიას ფაქტიურად აღარ გააჩნია თავისი საკუთარი საჰაერო ხომალდები (4L-AAR გადაეცა ს/კ „საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს“ საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 26.06.2004 წლის №42 ბრძანების შესაბამისად ხოლო 4L-AAM იმყოფება თბილისის აეროპორტში, დალუქულ მდგომარეობაში), არ ჰყავს ფრენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირები და აგრეთვე გასულია ავიაკომპანიის პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისების მოქმედების ვადა მესამე პირთა მიმართ, ბარგზე, ტვირთზე, მგზავრებზე და საჰაერო ხომალდის წევრებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ გადაწყვიტა: ს/კ „აჭარას“ დროებით შეუჩერდეს ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადა ყველა აღნიშნული საკითხების აღმოფხვრამდე.

კომისიის თავმჯდომარე: ზ. ბელქანია
კომისიის წევრები: ბ. ხესიაშვილი
ვ. ვაშაკიძე
მ. სამხარაძე
ლ. ბიბილაური


საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

№ 42 2004 წლის ივლისი

ბრძანება

ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული საჰაერო ხომალდის ტიპი იაკ-42, საბორტო ნომერი: 4L-AAR იჯარით გაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 24.07.2004 წლის №78ა განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაიცეს იჯარით ერთი წლის ვადით ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული საჰაერო ხომალდის ტიპი იაკ-42, საბორტო ნომერი: 4L-AAR შპს „საქართველოს ნაციონალური ავიახაზებზე“.

2. სრული საიჯარო ქირა განისაზღვროს 210 000 (ორასათი ათასი) აშშ დოლარის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისი ეკვივალენტით ლარებში.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების პოლიტიკის სამმართველოს უფროსს (კ. [illegible])

მინისტრის მ/შ ა. ბეჟანიძე

# ლადო პაპავა: სამშენებლო კომპანიები უნდა გაკოტრდეს

**„თბილისში ძალიან ბევრი უგემოვნო, უხარისხო და ერთმანეთზე მიდგმული სახლები შენდებოდა, რომლებიც საცხოვრებლად საშიშია. უსაფრთხოების თვალსაზრისით, სეისმურ ზონებში მსგავსი ნაგებობები მიზანშეწონილი არაა. მე, მაგალითად, არავის ვურჩევ ამ შენობებში ცხოვრებას“, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, პროფესორი ლადო პაპავა, რომელსაც სამშენებლო ბიზნესში შექმნილ კრიზისსა და ხელისუფლების ინიციატივაზე — „ძველი თბილისი — ახალი სიცოცხლე“ — სასაუბროდ ვეწვიეთ.**

**— ხელისუფლების მოწოდებას — გადავარჩინოთ ძველი თბილისი და სამშენებლო ბიზნესი — 22 კომპანია გამოეხმაურა. მათგან კონკურსის წესით შეირჩევა ის ფირმები, რომლებსაც ბანკები დაწყებული მშენებლობების დასრულებას დაუფინანსებენ. ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, რამდენად დადებითად აისახება ეს პროექტი სამშენებლო ბიზნესის კრიზისიდან გამოყვანაზე?**

— ჩემთვის ეს პროექტი, პირველ რიგში, ამორალურია. სანამ ქალაქის მერია თაბუკაშვილის ქუჩაზე დანგრეულ სახლში მცხოვრებ ხალხს არ მისცემს ბინებს, მანამ მათი მხრიდან გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მიუღებელია. რა ავარიული იყო თაბუკაშვილზე მდებარე შენობა, ინგრეოდა? — არა, ძლივს დაანგრიეს. იმ ბინის დემონტაჟს საცოდავი მუშის სიცოცხლეც კი შეეწირა. ჯერ ეს ხალხი დააკმაყოფილონ და სხვა პროექტებზე მერე იფიქრონ. ვინც უნდა იყოს მერიის ხელმძღვანელი, როცა ამ ნაბიჯს გადადგამს, მხოლოდ მაშინ მოახერხებს ხალხის ნდობის მოპოვებას, მხოლოდ მაშინ ექნება მორალური უფლება, ელაპარაკოს საკუთარ მოსახლეობას.

რაც შეეხება უშუალოდ ამ პროექტს, მასში საინტერესო წინადადებაა ჩადებული — ბანკების გააქტიურება და სამშენებლო სექტორის სტიმულირება, მაგრამ თავი და თავი ისაა, რამდენად სამართლიანად და ობიექტურად განხორციელდება ეს. ყველა სამშენებლო კომპანიაზე გავრცელდება ეს პროექტი თუ მხოლოდ იმ ფირმებს შეეხება, რომლებიც, ასე ვთქვათ, სახელისუფლებო კომპანიებია და მათ ბიზნესს წარმოადგენს, მართლა სამშენებლო სექტორს ეხმარებიან თუ საკუთარ ბიზნესს? ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს. მთელი ეს პროცესი არ არის გამჭვირვალე.

რამდენიმე სამშენებლო კომპანია, რომლებიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც წურბელები, რადგან ფინანსურ პირამიდებს წარმოადგენს, უნდა გაკოტრდეს. მათი გადარჩენა შეცდომა კი არა, დანაშაულია.

**— კონკრეტულად რომელ კომპანიებს გულისხმობთ?**

— არც ერთ ამ კომპანიას არ დავასახელებ, ჩვენმა მოსახლეობამ შესანიშნავად იცის, უხარისხო სახლებს და, თანაც, დაგვიანებით ვინ აშენებს.

**— ზოგადად, რა მდგომარეობაშია სამშენებლო ბიზნესი?**

— სამშენებლო ბიზნესი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ამაში რამდენიმე სუბიექტია დამნაშავე. პირველ რიგში, ბრალი მიუძღვით იმ სამშენებლო კომპანიებს, რომლებმაც სწორად ვერ წარმართეს საკუთარი ბიზნესი. შეხედეთ ცალკეულ სამშენებლო კომპანიებს, რა ფეშენებელური ოფისები ააშენეს, რა ძვირფასი ავეჯი იყიდეს, რამდენად ძვირადღირებული ავტომობილებით დადიან. გაიჯეჯილა ხალხმა და იცით, რატომ? მენეჯმენტი არ უვარგოდათ. სახლების შენების ნაცვლად ეს ფული საკუთარ კეთილდღეობას მოახმარეს და, როცა უკვე დაწყებულ მშენებლობას ვერ ასრულებდნენ, ძველის დასამთავრებლად ახალ მშენებლობას იწყებდნენ. ასე შეიქმნა მშენებლობაში ფინანსური პირამიდები. მაგრამ ეს სიტუაცია მუდმივი ვერ იქნება, ერთხელაც საქმე გასკდება. შექმნილ ვითარებაში ბანკებიც დამნაშავეა. ისე გასცემდნენ კრედიტებს, არ აკეთებდნენ სერიოზულ ანალიზს. დამნაშავეა სახელმწიფოც, რომელმაც სამშენებლო სექტორში ყოველგვარ რეგულირებას თავი დაანება. კლასიკური სქემაა: თუ მე-5 სართულზე გინდა ბინის შეძენა, მეორე სართული მაინც უნდა იყოს აშენებული. აქ კი საძირკველიც არ იყო გათხრილი და მე-12 სართულზე იყიდებოდა ბინები. მაშასადამე, როგორც გითხარით, დამნაშავეა სამი მონაწილე სუბიექტი: სამშენებლო კომპანიები (ცუდი მენეჯმენტის გამო; ბანკები (რომლებმაც არასწორი საკრედიტო პოლიტიკა გაატარეს) და მთავრობა (რომელმაც მშენებლობის რეგულირება არ აიღო საკუთარ თავზე.

**— დაახლოებით ერთი წლის წინათ პრესტიჟულ უბნებში თუ კვადრატული მეტრი ღირდა 800 ევრო, დღეს ეს თანხა 300 ევრომდეა ჩამოსული. როგორ ფიქრობთ, ეკონომიკური კრიზისის გამო ეს კომპანიები ზარალზე მიდიან?**

— ფასი ყოველთვის მოთხოვნა-მოწოდების თანაფარდობის შესაბამისია, თუმცა ვთვლი, რომ ფასები იყო გაბერილი, კომპანიები ფანტასტიკურად მაღალ მოგებაზე მუშაობდნენ და სამშენებლო სექტორი ზერენტაბელურ ბიზნესს წარმოადგენდა.

ბუნებრივია, კრიზისული ვითარებიდან გამომდინარე, ფასები დაბლა იწევს, მაგრამ სამშენებლო კომპანიებს მოგება მაინც რჩებათ, თანაც, ვერ ვხედავ, რომ სამშენებლო კომპანიებმა მენეჯმენტი შეცვალეს. მათ იპოვეს ახალი „ხვრელი“, როგორ გამოსტყუონ ქალაქის ბიუჯეტს ფული. მეორე მხრივ, ბანკები მიხვდნენ, რომ ასე იოლად აღარ უნდა გასცენ სესხები. მთავრობისგან კი არ გამიგია ისეთი მარეგულირებელი აქტების შემოღება, რომლებითაც რეგულირებული იქნებოდა სამშენებლო ბიზნესი, გაიყიდება ბინები და არა ჰაერი.

**— აღნიშნეთ, რომ მე-12 სართულზე იყიდებოდა ბინა, როდესაც საძირკველიც კი არ იყო გაჭრილი. სწორედ მსგავსი ფაქტების გამო არა ერთი ადამიანი დაზარალდა. დღეს საქართველოში არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც ამ ადამიანების უფლებებს დაიცავს...**

— საბაზრო ეკონომიკა არის სისტემა, რომლის ერთ-ერთი სერიოზული ფრაგმენტია გაკოტრება. როცა კონტრაქტს დებ რომელიმე კომპანიასთან, ცოტა თავიც უნდა გაანძრიო. თუ კომპანიამ საქმეს თავი ვერ მოაბა და გაკოტრდა, ამის გამო მას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამოუცხადონ ფინანსური მხარდაჭერა. გასაკოტრებელი უნდა გაკოტრდეს. მოზრდილმა ადამიანმა, რომელსაც შეეშალა, პასუხი უნდა აგოს. ეს ცხოვრება საბავშვო ბაღი არაა.

**— კომპანიამაც ხომ უნდა აგოს პასუხი?**

— ამისთვის არსებობს კონტრაქტი. დაზარალებული ამ კონტრაქტის მიხედვით უნდა მივიდეს სასამართლოში და თავისი უფლებები დაიცვას. სახელმწიფო კი სამართლიანი სასამართლოს გარანტორი უნდა იყოს.

**— სამშენებლო სექტორში შექმნილი კრიზისი, ზოგადად, რამდენად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— რა თქმა უნდა, ასახავს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში ერთადერთი ყველაზე განვითარებადი ბიზნესი სწორედ მშენებლობა იყო. ეს ის სფერო იყო, სადაც მთავრობას უნდა ეფიქრა, რომ ამხელა ინვესტიციების ჩადება ეკონომიკის ცალმხრივი განვითარების საფუძველს წარმოადგენდა და გარკვეული შეფერხებების შემთხვევაში, მთელი ეკონომიკა ჩამოიშლებოდა. მთავრობას ამ მიმართულებით არ უმუშავია, პირიქით, დიდი ტაშ-ფანდური იყო გამართული სამშენებლო ბუმთან დაკავშირებით. თავისთავად, მშენებლობა ცუდი სულაც არ არის, რადგან ამ დროს საშენი მასალების მრეწველობა ვითარდება, თუმცა სახლი რომ დასრულდება, ის უკვე აღარაფერს ქმნის, მხოლოდ და მხოლოდ მოხმარების საგანია. ამიტომ ჯობდა, ხელისუფლებას ეკონომიკის რეალური სექტორების სხვა



დარგების განვითარებაზეც ეფიქრა.

**— კონკრეტულად?**

— ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციები, ძირითადად, უძრავი ქონების შესყიდვაზე, საკუთრების უფლების ყიდვაზე მოდიოდა. ფული არ იდებოდა რეალური სექტორის განვითარებაზე და სახელმწიფოს ამ მიმართულებით უფრო აქტიურად უნდა ემოქმედა. მთავრობამ ერთ-ერთ ანტიკრიზისულ ღონისძიებად დღესაც გაატარა ბანკებიდან 260 მილიონის სესხება, რისთვისაც სახაზინო ვალდებულებები გამოუშვა. ეს ფაქტი კარგია იმ თვალსაზრისით, რომ ბანკებს აღარ აქვთ პრობლემა, საკრედიტო რესურსი მთავრობაში წავიდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ, ფეხი ფეხზე გადაიდონ და გარანტირებული პროცენტი მიიღონ. მეორე მხრივ, მთავრობაში წასული 260 მილიონი ეკონომიკის რეალურ სექტორს დააკლდა. ის ფული, რომელიც ეკონომიკაში სესხის სახით უნდა გაცემულიყო, აღარ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ხვალ ეკონომიკა უფრო ნაკლებ პროდუქტს გამოუშვებს და უფრო ნაკლები გადასახადი შეიქმნება. მთავრობამ წაიღო ფული, რითაც ბანკებს ცხოვრება შეუმსუბუქა, მაგრამ იმ ტოტის მოჭრა დაიწყო, რომელზეც თავად ზის.

**— რა უნდა გაკეთდეს სამშენებლო ბიზნესის ასაღორძინებლად?**

— სახელმწიფომ უნდა შემოიღოს გარკვეული მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც დაეფუძნება შემდეგს: ბინები გაიყიდება სამშენებლო პროცესის მიმდინარეობის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია, იმ სამშენებლო კომპანიებისგან, რომლებსაც ცოტაღა უკლიათ მშენებარე ბინების დასრულებამდე, შეიძინონ ფართები და გადასცენ იმ საცოდავ ლტოლვილებს, ომში დაღუპულ იმ მეომართა ოჯახებს, რომლებიც მრავლად გვყავს და ჩვენი გაუბედურებული თანამოქალაქეები არიან. ეს იმ სახის დახმარება იქნებოდა, რომელსაც მთელი საზოგადოება დაუჭერდა მხარს. მსგავსი ინიციატივა გსმენიათ მთავრობის მხრიდან? — არა. ამას არ აკეთებენ იმიტომ, რომ ამაში ფული ვერ გაკეთდება.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

# ბაიდენმა დაგვიტოვა... ნაბუშრები

**წინა ნომერში ვწერდი, რა დაგვიბარა ამერიკელი ქორების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, აშშ ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა, რომლის თბილისში სტუმრობისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა ლაქიებმა სულ ფრაკის კალთები შემოიბრდღვნეს.**

ამ წერილს — „ბაიდენმა დაგვიბარა...“ — ფართო გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ანონიმი მკითხველი, რომელმაც „საქართველო და მსოფლიოს“ საიტის მისამართზე მუქარითა და სკაბრეზული გამონათქვამებით სავსე კომენტარი გამოგზავნა. ბუნებრივია, ეს კომენტარი არ გამოქვეყნებულა, თუმცა წავიკითხე და ერთგულ მკითხველს, რომელიც იმდენად კარგად მიცნობს, რომ ისიც კი იცის, მამის საფლავი რომ მაქვს, უნდა ვუპასუხო.

შე, მიშას გადარეულო (კორექტორებს ვთხოვ ამ სიტყვას ყურადღება მიაქციონ და შემთხვევით „გადანგრეულო“ არ დაიბეჭდოს!), თუ ასე ძალიან გიყვარს ის ბაიდენი და ეს მიშა, ან იმას წაყოლოდი და ნერვებს აღარ მოიშლიდი ქართული პრესის კითხვით (სადაც თქვენს მოსაწონს ვერაფერს ნახავთ!), ანდა აქვე, მიშას „ნაცში“ („ნაციონალურ მოძრაობაში“), შემძვრალიყავი და როგორც თქვენი, ბატონი თამაზ წივწივაძის არ იყოს, ცრუქაქუნა ბელადი აცხადებს, გაზეთებს არ ვკითხულობო, შენც მისთვის მიგებაძა — ნუ წაიკითხავ გაზეთს, რომლის თანამშრომლებსაც როკის გზაზე ხეებზე ჩამოკიდებით გვემუქრებით და გვაგინებთ შენ და შენისთანა, როგორც სოსო ჯაჭველიანი გიწოდებთ, მესაჯდომეები. ჯერ საკუთარ არე-მარეში მოძებნე გარდერობზე დაბალი და ასანთზე მაღალი და მათთან დაიცხრე სოდომ-გომორული თუ ოიდიპოსის ვნებები.

შენ რომ რამის თავი (აბა, თქვენთვის საჯდომს განსხვავებული და განსაკუთრებული დანიშნულება აქვს!) გქონდეს, სახელს კი არ დამალავდი და ანონიმურად კი არ აათამაშებდი ყველაზე დიდ — დუნდულა კუნთებს, პირდაპირ იტყოდი, ვინც თუ რაც ხარ და კიბერსივრცეში შენს ვნებიან კრუსუნსაც მოგვასმენინებდი.

ეს თქვენ ხართ, პარტიიდან პარტიაში, ერთი „ნაციდან“ მეორე „ნაცში“ გადაშვლიპინება რომ გიყვართ და როცა სხვას ბრალს სდებთ თუქსუსობაში, მაშინ მაინც გაუშვით ხელი იმას, რასაც კბილებით ხართ ჩაფრენილი.

მაგრამ თქვენ ამას როგორ შეეშვებით, მაშინ არაფერში დასჭირდებით პარტიასა და ბელადს. თქვენი ამპლუა სხვისი უკანალის გამოლოკვაა და, რაც უფრო ენერგიულად გააკეთებთ ამას, მეტად დაგიფასდებათ. თქვენს შესაძლებლობებშიც მეტად დაარწმუნებთ იმას, თქვენ რომ ლომი გგონიათ და კატასავით ფხოჭაგლეჯით გარბოდა გორში და, როგორც ბატონი ელიზბარ ჯაველიძე შენიშნავს, ცხვირით მიწას ხნავდა.

თუმცა ის თქვენთვის ლომია. ერთი ანდაზისა არ იყოს, კატას თავისი მხვნელი ლომი ეგონაო, ეგრეა თქვენი საქმე და თუ მისთვის თავის მოწონება გინდათ, ღიად დაიცავით მისი ინტერესები. მისი საზარდულის ჩრდილს ნუ ეფარებით, თორემ ის დროც დადგება, როკის გზაზე ხეებზე „საქართველო და მსოფლიოს“ თანამშრომლებს კი არა, თქვენს ბელადს რომ აუსრულებენ, თანაც ერთით კი არა, ორით და მაშინ ხომ გამოჩნდებით მთელი თქვენი ბრწყინვალებით. ესეც საეჭვოა, როგორც კი ბელადის საზარდულს საფრთხე დაემუქრება, მაშინვე პლეტს იზამთ და სხვა ბელადის „ნაცში“ შეჯლიგინდებით.

კარგად გაზულუქდით, კარგი სვით და ჭამეთ, ერთმანეთსაც მიუსვ-მოუსვით ხელები, თომარი თქვენი საქმეა და, როგორც კი ენა ერთმანეთის საჯდომებიდან გამოიღეთ, მაშინვე კომპიუტერს მიუჯექით და ანონიმური წერილების გამოგზავნა დაიწყეთ.

არც მიკვირს, ეს ქვეყანაც და ხელისუფლებაში ყოფნაც თქვენთვის მხოლოდ სიამოვნების მიღების წყაროა, და როცა ამ სიამოვნების დაკარგვის საფრთხეს იგრძნობთ, ამძუვნებულ ძუკნებსა და მარტის კატებს ემსგავსებით. ასეთ დროს არც საკუთარ დედას დაინდობთ და არც ოჯახის სხვა წევრებს, რადგან ცხოველს ეს გრძნობა არ აქვს. არც ისე ჰგავხართ ადამიანებს, ერთი უბრალო ნაბიჭვრები ხართ და ახლა, თუ გინდათ, ლანძღვა-გინებით ავსილი ხელნაწერი გამომიგზავნეთ რედაქციაში, ამ წერილს მაინც ასე დავარქმევ: ბაიდენმა დაგვიტოვა... ნაბუშრები.

ეს ნაბუშრები თქვენ ხართ და ნაბიჭვრებს არც მამის საფლავები გექნებათ. მაგრამ ის ხომ მაინც იცით, დედა ვინა გყავთ, ჰოდა... ტრაქტორი დაახატეთ, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, არავინ დაქოქოს, თორემ ისევ თქვენნაირი ნაბიჭვრები გამრავლდებიან, არც ისე ხართ ცოტანი...

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S.** კარგად მესმის, რომ, როცა კრიტიკულ წერილებს აქვეყნებ, საპასუხო კრიტიკის მოსმენაც მოგიწევს. ამას, დიდი ხანია, შეგუებული ვარ, მაგრამ ლანძღვა-გინებას და, მით უმეტეს, მესაჯდომეთა მხრიდან დედის გინებას და მამის საფლავის შეურაცხყოფას უპასუხოდ ნამდვილად არ დავტოვებ.

და თუ ანონიმურ კიბერშემოტევებს არ მოიშლით, წაიკითხეთ და ისიამოვნეთ იმ სარკაზმით, რომელსაც მომავალშიც არ მოგაკლებთ, ოღონდ იმ წერილებს უკვე კონკრეტული ადრესატები ეყოლება და მერე ერთმანეთში არკვიეთ, ერთი პოეტის თქმის არ იყოს, „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“.

ისევ თქვენსაში იყოს...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ერთმორწმუნეობასთან ჯიბრი გადაგიყოლებს, მიხეილ!

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კონსტიტუციით სახელმწიფო და მართლმადიდებლური ეკლესია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტებია, თუ შეიძლება ეკლესიასაც ინსტიტუტი ვუწოდოთ, ერთი რამ უეჭველია — ქართულ სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს, საქართველოს სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, „ნაცმოელი“ ხლისტების უწმინდურსა და უბოროტეს ხელისუფლებასა და მათ მესაჭე მიხეილ I სააკაშვილთან შედარებით, განუზომლად დიდი ავტორიტეტი აქვს. განსაკუთრებით შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ ეს შეფარდება პლუს უსასრულობიდან მინუს უსასრულობით გამოიხატება.**







„ნაცებისათვის“ ამ სავალალო პროპორციების გამო ამ ბოლო დროს ქართულ ეკლესიას და პირადად ილია მეორეს ებრძვიან ისეთი ბობოლა ხლისტები, ქრისტეს ფეხის მკვნეტელები, როგორებიც ნოდარ ლადარია, გიგი თევზაძე და ძმანი მათნი ბრძანდებიან. პირველი ლამის ყოველ ორშაბათს „24 საათის“ ფურცლებზე ანთხევს შხამსა და ბალღამს, ხოლო მეორე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში პროფესიონალი პედერასტებისა და სექტანტების მიერ ჩატარებული ლექციებით ბილწავს და რყვნის ჩვენი ბავშვების სულებს.

თუმცა, ეს ისე, როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვახსენე ეს მურდალი ხალხი, ვისი საქმენიც, რომ იტყვიან — არახალია. სამწუხარო ის არის, რომ მსგავს ტონალობაში ქვეყნის პირველი პირიც ალაპარაკდა. ბაიდენის პროპაგანდისტული განცხადებებით გულმოცემულმა სააკაშვილმა ამერიკელი სტუმრის წასვლის მეორე დღესვე ავლაბრის სასახლეში, რომლის გუმბათი ბევრს ჰიტლერის რაიხსტაგს, ხოლო მე ფაბერჟეს სააღდგომო კვერცხებს მაგონებს, ნაციონალი „კვერცხების“ წინაშე გამოსვლისას განაცხადა:

„... ჩვენი სურვილია, მტრობა (რუსეთთან, — ავტ.) აღმოვფხვრათ, მაგრამ მტრობა გაქრება **არა ერთმორწმუნეობაზე უაზრო საუბრით** — როცა ჩვენს ეკლესიებს ანგრევენ აფხაზეთში; **არა საუბრებით კულტურულ დიალოგზე** — როცა ჩვენი 500 ათასი დევნილი სახლებში ვერ ბრუნდება, მათ შორის, კულტურის მოღვაწენიც; **არა მეცნიერთა და საზოგადოებათა შორის დიალოგის მეშვეობით...** მტრობა დასრულდება და მეგობრობა დაიწყება მაშინ, როცა უკანასკნელი უცხოტომელი ჯარისკაცი საქართველოს ტერიტორიას დატოვებს! ამაზე ილუზია ნურავის ექნება“.

ვერაფერს იტყვი, მაგარი ნათქვამია, არა?! სააკაშვილის ამ ტირადის მარგალიტების გაშიფვრას ბოლოდან დავიწყებ.

საინტერესოა, თავად რის ილუზია აქვს ბატონ პრეზიდენტს, ანუ, თუ საკუთარი პატრონის და მამა-მარჩენალის დარიგებანი შეისმინა, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოს მიმართ მშვიდობიან პოლიტიკას ალტერნატივა არ აქვს, როგორ და როდის ვაპირებთ იმის მიღწევას, რომ უკანასკნელ უცხოტომელს დავატოვებინოთ საქართველოს ტერიტორია, თუ არა მეცნიერებს, საზოგადოებებს შორის დიალოგით? ისევ ახალი სამხედრო ავანტიურისკენ ხომ არ მიუწევს გული ჩვენს „უშიშ, ვითარცა უხორცო“ მთავარსარდალს?

ან 500 ათას დევნილზე, მათ შორის, კულტურის მოღვაწეებზე საუბარი ცოტა უხერხული ხომ არ არის, როცა საცოდავი დევნილები მაუთჰაუზენის თუ ბირკენაუს, ოსვენციმის თუ ბუჰენვალდის მსგავს გეტოებში შევრეკეთ, ხოლო ისინი, ვინც შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდა, არა ერთხელ გამოყარეს ომამდეც და ომის შემდეგაც სახელმწიფო შენობებიდან?

ან რა დროს დევნილ კულტურისა თუ, ზოგადად, ინტელიგენციის წარმომადგენლებზე საუბარია, როცა ისინიც არავის სჭირდება, ვინც დევნილი არ არის, მაგრამ მაინც „ჩარეცხეს“?

რაც შეეხება აფხაზეთში ჩვენი ეკლესიების ნგრევას, პირადად მე ამის შესახებ არ მსმენია, მაგრამ ასედაც რომ იყოს, მტრისაგან ასეთი რამ რა გასაკვირია, როდესაც ჩვენი „მოყვარე“ ხელისუფლებისგან აღარავის უკვირს, კონკრეტულად, ეკლესიების ნგრევა თუ, ზოგადად, მართლმადიდებლური სარწმუნოების დევნა-შევიწროვების, განქიქების აშკარა ტენდენციები?

და, აჰა, მივადექით ყველაზე მთავარს, ობოლ მარგალიტს, რის გამოც ბოლოდან დავიწყე, ანუ პრეზიდენტის აშკარა გალიზიანება, თუ მეტი არა.

## „ერთმორწმუნეობაზე უაზრო საუბრით“

იმან, რაც მიმართვის უაზრობაა, უკვე მოიტანა ჩვენი ქვეყნისთვის აზრიანი შედეგი, როდესაც აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ მოსკოვში ჩასულ ილია მეორეს მუხლმოდრეკით ეამბორნენ ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები საქრისტიანოს ერთ-ერთ უწმინდეს ავტორიტეტთაგანს, ხოლო, როგორც რუსეთის პრემიერმა და პრეზიდენტმა, ნიშნად ილია მეორესადმი პატივისცემისა, ოკუპირებული პერევიდან ჯარების გაყვანა ბრძანეს.

აქედან გამომდინარე, უფრო მეტის, თუ კოდორიდან არა, სულ მცირე, ახალგორის დეოკუპაციის იმედიც გაჩნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მიშას პატივმოყვარე და ეჭვიანმა პიროვნებამ საკუთარ მარცხად აღიქვა პატრიარქის ძალისხმევის შედეგად მიღწეული მცირე, მაგრამ მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი წარმატება და მიშამ ჯერ ისეთი რამ დააბრეხვა — ილია მეორეს მოსკოვში წასვლის წინ ჩავუტარე ინსტრუქტაჟი და რაც დავაბარე, ის ილაპარაკა მედვედევ-პუტინთანო და შემდეგ, რუსების დანატოვარ პოსტებს ჯერ ისევ არყის სუნი ასდიოდა, რომ ჩვენი პატრულ-სამხედროთა იმდენად აშკარად არაადეკვატური რაოდენობა შევარდა სოფელ პერევში დროშების ფრიალით და „მი-შა, მი-შას!“ ყვირილით, რომ რუსებმა — ეგრე არ უნდაო და უკან მობრუნდნენ, რომელთა დანახვაზე ჩვენმა ლომებმა კურდღლებივით მოცოცხეს.

მოდი და ამის მერე ცნობილი ანდაზის პერიფრაზით ნუ იტყვი — **პატრიარქის აღმა ხნული პრეზიდენტმა დაღმა ფარცხაო...** რუსები დღესაც პერევში დგანან, სადაც ადგილობრივ ქართველებს ხაზგასმული კორექტულობით ექცევიან.

საბედნიეროდ, პატრიარქის კიდევ ერთი „უაზრო“ საუბრის აზრიანი შედეგი დღესაც ძალაშია — ბევრისთვის მოულოდნელად, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია კვლავაც ცნობს აფხაზეთცხინვალის ეპარქიებს ქართული ავტოკეფალიის საზღვრებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორიები დე იურედ აღიარა რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ამ ფაქტის უმადურად უგულებელყოფა არა მხოლოდ უზნეობაა, არამედ, პრაგმატული თვალსაზრისითაც, წამგებიანია, რადგანაც რუსეთის ეკლესიის ეს პოზიცია იძლევა იმის მცირე, მაგრამ მაინც იმედს, რომ, თუნდაც, შორეულ მომავალში საქართველოს ექნება შანსი ტერიტორიების დაბრუნებისა და არა ბაიდენის თუ სხვათა მიერ რუსების შეშინება.

საქართველოს ეკლესიის მსგავსად, რუსეთის ეკლესიაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საკუთარ მოსახლეობაში, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, ხელისუფლებასთან ერთად.

დღეს, როდესაც რუსეთთან პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი გამორიცხულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიპლომატიური ურთიერთობები აღარ გვაქვს, არამედ იმიტომაც, რომ მედვედევ-პუტინს არა ერთხელ განუცხადებიათ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შეუძლებლობის შესახებ და როცა იმავეს აცხადებენ სეპარატისტული რესპუბლიკების დე ფაქტო ლიდერებიც, არ მგონია, ჩვენი ხელისუფლების მიერ, დიახაც, ერთადერთი საფუძვლის — ერთმორწმუნეობის გამოუყენებლობა გონივრული საქციელი იყოს, რადგან ზემოთ ხსენებული ავტორიტეტისა და ნდობის გამო, რითაც რუსულ-ქართული ეკლესიები სარგებლობენ საკუთარ ქვეყნებში, ორი ერთმორწმუნე ეკლესიის კონტაქტებს შეიძლება, გარკვეულწილად, სახელმწიფოებრივი დატვირთვა ჰქონდეს.

ჩვენ კი რას ჩავდივართ? ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი პატრიარქი აღარ ჩაბრძანდეს მოსკოვში. ყველას გვახსოვს ის არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა, რაც ილია II „დროულმა“ ავადმყოფობამ გამოიწვია, რის გამოც რუსეთის პატრიარქის დაკრძალვას ვერ დაესწრო.

გასული წლის აგვისტოში სისხლდადენილი ქართველობა არამც და არამც არ უნდა დავეჯაბნინოთ რუსების მიმართ სამართლიან გულისწყრომას, ბოლოს და ბოლოს, გერმანია და ისრაელი შერიგდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტებმა მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკებში 6 მილიონი ებრაელი დაწვეს კრემატორიუმში და დღენახევრიანი ომი რა გახდა? მით უმეტეს, რომ ამ ომში დამნაშავენი ჩვენცა ვართ.

სწორედაც, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვძლიოთ ემოციებს და რუსეთ-საქართველოს შორის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებში შეხების წერტილები ვეძებოთ და არა გათიშვისა. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? — აგვისტოს ომის შემდეგ ურაპატრიოტულ კლიპებთან ერთად ისეთი „დოკუმენტური“ სიუჟეტებიც ვნახე, სადაც გრიგოლ ორბელიანი თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს მოღალატეებად იყვნენ შერაცხილნი.

უკვე თქმულიდან და უფრო ქვემოთ, სათქმელიდან გამომდინარე, რატომღაც, მგონია, რომ ერთმორწმუნეობაზე „უაზრო“ საუბარი დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ერეკლე მეორეს დროს.

ამასწინათ „დიდ ათეულში“, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელმა, პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა განაცხადა, რომ „ერთმორწმუნეობის ფაქტორის გათვალისწინებას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია“ და, აქედან გამომდინარე, აუგად მოიხსენია საქართველოს უკანასკნელი დიდი მონარქი და დიდი მხედართმთავარი, გმირი ერეკლე II — პატარა კახი.

უფრო შორსაც წავიდა პატივცემული პროფესორი და — „თურქებს ქართველებისთვის ერთი გოჯი მიწაც არ წაურთმევიათო“. ეს, ალბათ, იმ „სიმღერიდან“ არის, მიშამ თურქი კოლეგის საამებლად რომ „დაახეთქა“ — თურქებსა და ქართველებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებსო.

დღეს მართლაც ჩვენი კეთილი მეზობელი თურქეთი ისტორიულად საქართველოს ამომგდები და სისხლისმსმელი რომ იყო, ბავშვმაც კი იცის, მაგრამ არა — მიხეილ ქურდიანმა, რომელმაც ესეც არ იკმარა და — „მონღოლები, რუსებთან შედარებით, ანგელოზები იყვნენო!!!“

რა უნდა თქვას კაცმა მსგავსი სისულელეების შესახებ, გარდა იმისა, რომ პატივცემული პროფესორი დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ბოდავს ვიღაცის საამებლად, თორემ, ნუთუ შეიძლება, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი ილიას აზრებს არ ეთანხმებოდეს? ვინც თავის წერილში „100 წლის წინათ“, რომელიც 1899 წელს დაიწერა და რუსის ჯარის პირველ შემოსვლას მიეძღვნა, ამბობს: „ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ განუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან.

...დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეული და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს“...

მე მგონი, ეს მცირე ამონარიდიც საკმარისია იმის გასარკვევად, თუ რა უფრო მეტი მოუტანა საქართველოს „ერთმორწმუნეობის ფაქტორის გათვალისწინებამ“ — სიკეთე თუ ბოროტება, მაგრამ შეგნებულ თუ შეუგნებელ ურწმუნო თომათათვის კიდევ გავაგრძელებ.

როდესაც მეფე ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატს აწერდა ხელს, სჯეროდა, რომ კარგსა და ცუდს შორის აკეთებდა არჩევანს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, როგორც ყოველთვის — ცუდსა და უარესს შორის და, აქედან გამომდინარე, რუსეთთან შეერთებამ სიკეთესთან ერთად ცუდიც მოგვიტანა. რუსეთის იმპერატორმა თავზე გადაგვახია ის ტრაქტატი და საქართველო რუსეთის დიდი იმპერიის ერთი პატარა გუბერნია გახდა; გაგვიუქმეს ათასწლოვანი ავტოკეფალია და ბაგრატოვანთა ტახტი; კირით შეგვითეთრეს ეკლესია-მონასტრები; დაგვინიშნეს ეგზარხოსები.

ამ ყველა „სიკეთეს“ ქართველმა ხალხმა არა ერთი აჯანყებით უპასუხა, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხით დამთავრდა. სულ ბოლოს, 1832 წლის შეთქმუ-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლება ჩანასახშივე აღიკვეთა, რის შემდეგაც ბევრი სახელოვანი მამულიშვილი, მათ შორის, ნაცპროპაგანდის მიერ მოღალატეებად შერაცხილი გრიგოლ ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე ციმბირის გზას გაუყენეს. ამის შემდეგ, ვიდრე რომანოვების დინასტიის კრახამდე, აჯანყებები აღარ ყოფილა. მაშინდელი ქართველობა მიხვდა აჯანყებების უაზრობას და უკეთესი მომავლის იმედით შევეგუეთ და დავმორჩილდით ბედს.

მრავალსაუკუნოვან ომებში ხორციელად დაშრეტილმა ერმა, რომლის რაოდენობა XIX საუკუნის დასაწყისში ამერ-იმერ საქართველოში 700-800 ათასს არ აღემატებოდა, მატება იწყო.

XIX საუკუნეში დაიწყო ჩვენი ხალხის ევროპული განათლება. ერის საუკეთესო ნიჭიერი შვილები, ე.წ. 60-იანელები, თერგდალეულთა სახით პეტერბურგის, კიევის, ოდესისა თუ ევროპის სხვა უნივერსიტეტებში იღებდნენ საუკეთესო განათლებას.

დაიბადა ახალი ქართული მწერლობა, დაარსდა პირველი ქართული თეატრი და, რაც მთავარია, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომების შემდეგ საქართველომ დაიბრუნა აჭარა, სამცხე-საათაბაგო, ჭარ-ბელაქანი და სხვ. თითქოს სამუდამოდ დაკარგული ტერიტორიები.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 1918 წელს, ლამის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ტერიტორიაზე გამოაცხადეს მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელთა უნიათობის ბრალი იყო 1921 წლის რუსული ანექსია.

აქაც ლამის ერთი-ერთზე განმეორდა XIX საუკუნის ისტორია. 1924 წელს აჯანყდა დამარცხებისთვის განწირული საქართველო და აქაც ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ — ქართველი ხალხი არსებული მოცემულობის პირობებში შეუდგა ქვეყნის შენებას.

ილიას, აკაკის, ვაჟას ფესვებზე ამოიყარა XX საუკუნის ქართულმა მწერლობამ გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონის, ტიციანის, გოგლას და სხვა ბუმბერაზების სახით.

შეიქმნა მძლავრი ქართული მეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგი; არნახულ სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა თეატრმა, კინომ, სპორტმა... აღარაფერს ვიტყვი 60-იანი წლების დიდ ლიტერატურაზე, თუნდაც, იმიტომ, რომ ამ კლასიკოსების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მუხრანი და ჭაბუა კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რასთან გვაქვს საქმე.

ასე ვიარეთ, ვიჯახირეთ 2 საუკუნე. რომანოვებით მოყოლებული, კომუნისტებით დამთავრებული, ვერავინ შეძლო ქართველების რუსიფიკაცია, რასაც ბოლო დროს აღარც ცდილობდნენ, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისშიც...

## ისევ გატეხილ ვარცლთან ვართ

რადგანაც თავისუფლება ვერ მოვიპოვეთ...

დამოუკიდებელი სახელმწიფო ბევრია, მაგრამ თავისუფალი ერები — ცოტა. ამ ორ თითქოს იდენტურ ცნებას, როგორც შოთა იტყოდა, „შუა უდევს დიდი ზღვარი“.

ვითომ დემოკრატიას ვაშენებთ. ასეც რომ იყოს, ჩვენთვის დემოკრატიის ხიბლი იქ მთავრდება, სადაც ჩვენს თვითმყოფადობას ემუქრება საფრთხე. გლობალიზაციის პირობებში კი ეს საფრთხე რეალურია. შემთხვევითი არ არის, რომ გლობალიზაციის მამები აშკარად ებრძვიან ტრადიციულ რელიგიებს: ისლამს და, დიახ, გამოიცანით — მართლმადიდებელ ქრისტიანობას.

ცნობილმა გლობალისტ-დემოკრატმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, რომელიც ობამას ადმინისტრაციის მრჩეველიც არის, დაუფარავად განაცხადა, რომ „კომუნიზმის დამარცხების შემდეგ აშშ-ს ამოცანა მართლმადიდებლობის დამარცხებაა!!!“ რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი რელიგია დგას მამა-პაპათა ტრადიციების დაცვის სადარაჯოზე, ანუ ღირებულებების, საიდანაც მოდის, საზრდოობს ქართული კულტურა, სულიერება, ზნეობა.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში მსოფლიო გლობალისტის ჯორჯ სოროსის ფულებით დასმულმა „ნაცების“ ხელისუფლებამ ეკლესიების ნგრევით დაიწყო ქვეყნის „შენება“. გაილაღეს, „გაიჯეჯილეს“ ათასი ჯურის სატანისტურმა სექტებმა.

რუსეთის დიდ კულტურასაც, მიუხედავად სახელმწიფოს ძლიერებისა, არანაკლები საფრთხე ემუქრება, ამიტომ იქაც მართლმადიდებლური ეკლესია დგას რუსული კულტურის სადარაჯოზე, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, იქ ეკლესია და სახელმწიფო ერთად არიან ამ საქმეში.

ორი საუკუნის განმავლობაში ქართული კულტურა რუსულთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა და სწორედ ამ ურთიერთობების აღდგენას გულისხმობდა ჩვენი პატრიარქი სააღდგომო ეპისტოლეში ერთმორწმუნეობაზე „უაზრო“ საუბრისას, რომელიც უწმინდურმა ლადარიამ გააქილიკა და არა — რუსეთთან პოლიტიკურ ჩახუტებას.

ამ ორმა ერთმორწმუნე ერმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ. ქართველებმა, იქნებ, ოდესმე დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ თვითმყოფადობა, ქართული ცნობიერება თუ დავკარგეთ, ამას ვეღარასოდეს დავიბრუნებთ.

იმავეს თქმა რუსებზეც შეიძლება — ჩვენგან მიტაცებულიც და დედამიწის 1/6-იც ოხრად დაურჩებათ, თუ საკუთარი კულტურა, მართლმადიდებლური სარწმუნოება დაკარგეს.

ჩვენი მენტალობიდანგამომდინარე, რუსების „ატანა“ უფრო შეგვიძლია, ვიდრე დანარჩენების და არა მხოლოდ ერთმორწმუნეობის გამო, თუმცა ერთმორწმუნე რუსებს უფრო ადვილად „მოვერევით“, ვიდრე ურწმუნო დასავლეთელ მასონებს.

ახლახან დამთავრდა „დიდი ათეული“, სადაც პირველი ადგილი ილია ჭავჭავაძემ დაიკავა. ჰოდა, მავანნი, ვინც ბაიდენისგან ილიას ლექსის წაკითხვის გამო აჭყლოპინდა, აჯობებს, ილიას ნააზრევი წაიკითხონ, თუნდაც, ერთმორწმუნეობის, ზოგადად, რუსეთთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრების ავ-კარგის შესახებ და ვიაროთ წინ ორი ილიას — ილია მართლისა და უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II გზით, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს.

**დავით მხეიძე**

# ზურაბ გაგნიძე: «რუხი კარდინალობა» ზურაბ ადეიშვილის ადეკვატური გამოხატულებაა

**ყველა ადამიანს თავისი კოდი აქვს სულიერების გასახსნელად, ამასთან, თითოეული მათგანი ფენომენალური ინდივიდუალურობით გამოირჩევა. სუბიექტი, რომელიც მასიდან არ ირჩევა და შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, შინაგანი ენერგიის ნაკლებობას განიცდის.**
**ოცი წელია, ჩვენი ხალხი ყოველგვარი ფიქრის, დაკვირვებისა და ფსიქოანალიზის გარეშე ირჩევს ქვეყნის ხელისუფალთ, შემდეგ კი არჩევანზე წუხს. ფსიქოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდის შინაგანი სამყაროს კვლევა და შესწავლა. კარგი იქნება, თუ ამ ცოდნით ვისარგებლებთ და ცხოვრების გზაზე ფსიქოლოგთა რჩევებს გავითვალისწინებთ.**
**საქართველოს იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ზურაბ ადეიშვილის ფსიქიკის ძირითად შტრიხებზე და რომელ მათგანს გამოყოფთ ცენტრალურ მახასიათებლად?**

— ყველა ფსიქოტიპს აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშანი — ტემპერამენტი. ზურაბ ადეიშვილი უფრო მელანქოლიური ტემპერამენტისკენ იხრება. მელანქოლიკებისთვის კი ცენტრალური მახასიათებელია შინაგან ცხოვრებაში ჩაძირვა, განმარტოებისკენ სწრაფვა. მაგრამ მის ფსიქიკაში არეულია ქოლერიკისთვის დამახასიათებელი შტრიხებიც. ზურაბ ადეიშვილს ხელოვნურად აქვს გაძლიერებული ენერგეტიული ველი ურთიერთგადამკვეთი შტრიხებით. მისი ფსიქიკის უპირველესი შტრიხი არის ის, რომ თავი განარიდოს ურთულეს სიტუაციებს, ცხარე კამათსა და ბჭობას, უკიდურეს შემთხვევაში ახერხებს არსებულს დუმილით „სტატუს კვო“ შეუნარჩუნოს. ამგვარმა მიდგომამ და ცივმა ეგოიზმმა, დიდი თანამდებობების მიუხედავად, პოლიტიკურ სპექტრში ნაკლებ პოპულარული გახადა. ცივი ეგოიზმის მატარებელი ადამიანი გულგრილია სხვათა ტანჯვისადმი, მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ თვითონ იყოს კარგად. სულიერება ამ ნიშნით ყველაზე ულმობელი, ვერაგი და მაცდუნებელია. ფსიქოლოგია გვარწმუნებს, რომ იგი ცივი ეგოისტი, საზოგადოების ურჩხულია.

საზოგადოება ზურაბ ადეიშვილს ხან „ვირტუალურ მინისტრად“, ხანაც „მზეთუნახავად“ იხსენიებს, რადგან არც პრესის ფურცლებზე და არც ტელეეკრანებზე არ ჩნდება. ვიღაც იფიქრებს, სერიოზული, მორიდებული, განათლებული და დიდი თანამდებობის პირია, რომელსაც სიდარბაისლე, სიტყვაძუნწობა ახასიათებს. ზოგიც იტყვის, ჭკვიანია, შავზე თეთრის ძახილით საზოგადოების გაღიზიანებას ერიდება. არა, ბატონებო! ბრძენი ამბობს: „დამდგარ წყალში უფრო მეტი ბაცილაა“. საბოლოოდ ერმა მას „რუხი კარდინალი“ შეარქვა, რაც მისი შინაგანი ბუნების ადეკვატურია. „კარდინალი“ ლათინური სიტყვაა და „მთავარს“, ანუ „მეორე პირს“ ნიშნავს პაპის შემდეგ. თუ პარალელს გავავლებთ, ზურაბ ადეიშვილი პრეზიდენტის შემდეგ მეორე კაცია. ისტორიულად რუხმა კარდინალმა რიშელიემ შეზღუდა წინამდგომთა პოლიტიკური პრივილეგიები და აბსოლუტიზმი დაამყარა. განა დღეს ჩვენში პარლამენტის უფლებები არ შეიზღუდა? — სამაგიეროდ უსაზღვროდ გაიზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება. რიშელიემ წარჩინებულები დათრგუნა, ადეიშვილმა კი ბევრი გააკოტრა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონება ხელისუფალთა შემოსავლების ზრდის მუდმივ წყაროდ აქცია. უკვე 10 წელია, ქართულ პოლიტიკაში ზურაბ ადეიშვილი წამყვანი ფიგურაა, რის წყალობითაც საკმაოდ ავნო ხალხსაც და ქვეყანასაც. ამის გამო მის სულიერებაში საბედისწერო სიბნელეა. მისი გონებრივი უნარები სატანის სამსახურშია და მონოტონური ერთფეროვნება ახასიათებს. ვინმეს ის, შეიძლება, გონებრივად ბეც პიროვნებად მოეჩვენოს, რადგან დაბნეული კაცის უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს მისი ჯავშანია. სხვა პოლიტიკოსები ნიღაბს ატარებენ. მას, როგორც პოლიტიკურ ურჩხულს, ნამდვილად სჭირდება ჯავშანი. ის ხომ კულუარული პოლიტიკური ინტრიგების უგვირგვინო მეფეა. გველური სიცივით, მოქნილობით, ჭკუით და გესლით „მიზანში ამოღებულის“ განადგურება შეუძლია; ამ მიდრეკილებებს უძლიერებს არასრულფასოვნების კომპლექსი; მიაჩნია, რომ ბუნებამ ბევრი რამ დააკლო და ძლიერი და უკიდეგანო ვნებითაა შეპყრობილი; ცდილობს, ძლიერს, ლაღს, თავისზე აღმატებულს და სახელმოხვეჭილს ავნოს; განმარტოებული და თავის თავში ჩაკეტილი შეგნებულად მალავს შინაგან სიცარიელეს. მას ეზიზღება საზოგადოება, თავშეყრის ადგილები, ტრიბუნა. ფსიქოლოგიურად ეს დაკომპლექსებული კაცის მედიდურობა და ზიზღია, ამპარტავნობისგან წარმოშობილი. მას საზოგადოება იმდენად ეზიზღება, მზადაა, გადაქელოს. ეს მისთვის უდიდესი სიამოვნებაა და მას არაფერი შეედრება. ამას სადიზმი ჰქვია. ამის თქმის უფლებას 2007 წლის 4 ნოემბერს შს სამინისტროში გამართულ თათბირზე სოზარ სუბარის გაკეთებული განცხადება მაძლევს, რომ, როცა მომიტინგეთა დარბევა დაიგეგმა, ვანოს გვერდს ზურაბ ადეიშვილიც უმშვენებდა, რომ ორივე დატრიალებული ტრაგედიის ავტორები იყვნენ. მისი სულიერი უნარები საშინელი სახით გამოვლინდა, მან სასიკვდილოდ გაიმეტა თავისი ქვეყნის ათასობით მოქალაქე.

**— როგორ უნარებს ავლენს ზურაბ ადეიშვილი კოლეგებთან ურთიერთობაში?**

— გველივით კუთხეში მიყუჩულს შეუძლია, მიპარვით დაგესლოს ყველა, ვინც მის ინტერესებს გადაეღობება. ადეიშვილისა და ბენდუქიძის გახმაურებული დაპირისპირებიდან ჩანს, რომ აგრესიული ქოლერიკის — ბენდუქიძის მორევა მხოლოდ ქვემძრომი სულიერი უნარების მქონე კაცს შეეძლო. ადეიშვილმა ჩუმად, მალვით, ტაქტიკური ხერხებით და აკრძალული ხრიკებით მოახერხა ბენდუქიძის მიერ მცხეთა-თიანეთის ტყეების შესყიდვაზე უკვე დანიშნული ტენდერის ჩაშლა. ქვეყნის მთავარმა მსჯავრდებულმა, ზურაბ ადეიშვილმა დეპუტატ ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით, გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებზე განცხადებები არ გააკეთა. მისი დუმილი კი აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დანაშაულია. ფსიქოლოგიურად ძნელად გადასალახ წრედშია ჩაკეტილი, ამიტომ ხალხში გამოსაჩენი პირი არ აქვს.

ჯერ კიდევ ჟვანიას დროს, ადეიშვილი იმ „ტროიკაში“ შედიოდა, რომლის წევრებიც ყოველ ღამე პრეზიდენტთან იკრიბებოდნენ საკითხების გადასაწყვეტად. დღესაც პრეზიდენტთან დაახლოებულ მაღალჩინოსანთა შორის ადეიშვილი ჯერჯერობით ყველაზე გავლენიან ფიგურად მოიაზრება. ადეიშვილს შეუძლია, უმწეოდ და უილაჯოდ მოგვაჩვენოს თავი, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო ჭაობია, სავსე ცხოვრებისეული სიბინძურით, თუ სარქველს მოხსნი, შეიძლება ამაზრზენმა სიბილწემ ქვეყანა წალეკოს. მის ფსიქოსისტემას ყველა ის ნიშანი ახასიათებს, რაც ბრიყვს, რომელსაც ძალაუფლება უბოძეს; რაც ბატონადქცეულ ეშმაკ, ვერაგ, ცბიერ და მდაბალ ადამიანებს სჩვევიათ; იმიტომ ინიღბება, ვინმემ მისი სულიერი ჭაობის სუნი რომ არ იყნოსოს. ეს კი ფსიქოლოგებს მიგვანიშნებს, რომ ქვეცნობიერში განგაშია.

იმდენადაა ჩაკეტილი მისი ფსიქონიშნეულები გარკვეულ საზღვრებში, რომ ურჩევნია, დაბეჩავებულ და ხელმოცარულ კაცად წარუდგეს ქვეყანას, დაემალოს გარე სამყაროს, ვიდრე თავისი ქონების დემონსტრირებით ღირსებაშელახული და მშიერი ადამიანები გააღიზიანოს. „საზიზღარმა“ ლეიბორისტებმა მაინც გამოჩხრიკეს, რომ მთელი ყვარელი საააკაშვილმა ადეიშვილს მიჰყიდა. იქ არსებული სახელმწიფო ობიექტები მხოლოდ მისი ბიზნეს-ინტერესების სფეროა. მამამისი, ბატონი შალვა ყვარლის საკრებულოს წევრია და შვილით ზურგგამაგრებული მთელ რაიონს აკონტროლებს; მიითვისა ყვარლის მიწები, ტყეები, ბენზინგასამართი სადგურები, მუსიკალური სკოლა, ხოლო მასწავლებლები და მოსწავლეები ქუჩაში გამოყარა. წარმოიდგენდით, რომ ეს მოკრძალებული ინტელიგენტი, რომელმაც ნიდერლანდებში გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა დაამთავრა, ასეთი ერუდიციისა და რეგალიების პატრონი ამგვარი ხარბი, მომხვეჭელი და გაუმაძღარი იქნებოდა? პრეზიდენტის თქმისა არ იყოს, ყვარელში, მთის ძირში გაზრდილმა ბიჭმა სად ისწავლა თავისი პატივმოყვრული ზრახვებისა და მიწიერ სიამეთა მოპოვებისთვის თავისი სულიერი სისუფთავე სიმყრალემდე დაენაგვიანებინა, დაეკარგა ყოველივე წმინდა და, რაც მთავარია, მოყვრისადმი სოლიდარობა. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს მხოლოდ საკუთარ „მე“-ზე ეფიქრა, სირაქლემასავით სილაში თავჩარგულს.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ახალ სამთავრობო კარუსელს გეგმავს და პრემიერმინისტრად ზურაბ ადეიშვილს მოიაზრებსო...**

— ზურაბ ჟვანიას შემდეგ, არც ერთი პრემიერი პიროვნება არ ყოფილა. პოლიტიკაში ჩახედულთა აზრით, ადეიშვილი თუ პრემიერმინისტრად დაინიშნება, მოსალოდნელია „ქვეყნის ხერხემლად“ წოდებული ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური წონისა და გავლენის მასშტაბური კლება. რადგან ერთ გალიაში ორი „მხეცის“ მომწყვდევა არ შეიძლება, ერთი იმათგანი აუცილებლად უნდა წავიდეს. თუ ეს ჩაფიქრებულია, ადეიშვილი გველივით ჭკვიანია და საშიშ ფსიქოლოგიას ატარებს, მას შეუძლია, კატის ცბიერებით მოიკუნტოს, ვერაგული ზრახვები კეთილმოსურნეობით შეფუთოს, რადგან ბუნებით ფლიდი და თვალთმაქცია. შეუძლია, ველური სიფრთხილით სამიზნეს მოთმინებით, ჩასაფრებით დაელოდოს, ხოლო ხელსაყრელ მომენტში წინასწარ მოფიქრებულ და უმცირეს გათვლამდე დამუშავებული გეგმით მიზანში ამოღებულს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს. ადეიშვილისთანა კაცს ჯანსაღი, მყარი ფსიქიკა რომ ჰქონდეს, ნათელი გონებითა და მიზნებით, გაურყვნელი ადამიანის დამახასიათებელი ნატურალიზმით ქვეყნის სათავეში სადგომად მაინც არ გამოდგებოდა. დღეს მის ჩაკეტილ ცნობიერებას, მხოლოდ პირად მოგებაზე გათვლილ ნაბიჯებს, აზროვნებაში ჩალექილ ცივ სუბიექტივიზმს, სისხლისღვრაზე დაყრდნობილ მეთოდებს ისედაც განახევრებული საქართველოსთვის მხოლოდ ბოროტი, დამანგრეველი აურის შექმნა შეუძლია. ამიტომ მისი პრემიერობა პოტენციურად საშიშია.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მიხეილ ნიკოლოზის ძიდან

**ბორჯომში მეოთხე სამმართველოს სანატორიუმი „ლიკანი", გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე წლის წინათ ყაზახმა ინვესტორებმა შეიძინეს. სანატორიუმის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რომანოვების სასახლე და უნიკალური კოტეჯები (რა თქმა უნდა, ტყის საფარის ჩათვლით) წილად ხვდა ბატონ სააკაშვილს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაიქმნა, ხოლო პირველი და მესამე კორპუსები, სამკურნალო და სხვა ნაგებობები, მათ შორის, სასათბურე მეურნეობა, ყაზახების საკუთრებაში გადავიდა. იმავე პერიოდში მასობრივად გაათავისუფლეს სანატორიუმის ოთხასამდე თანამშრომელი, მაღალკვალიფიციური სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი. მეოთხე სამმართველოს ბაზაზე სამკურნალო პროცედურები შეწყდა. დამსვენებელთა ნაკადიც გაქრა.**
**უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბორჯომელები იმ იმედით ცხოვრობდნენ, რომ ყაზახი ინვესტორი სანატორიუმ „ლიკანის" ინფრასტრუქტურას განავითარებდა და ადგილობრივ მოსახლეობასაც დაასაქმებდა, მაგრამ...**
**დღეს აღარც ყაზახები ჩანან და მეოთხე სამმართველოს შენობა-ნაგებობებიც დანგრეულია, ხოლო „ქართველ ხალხზე მზრუნველი" სააკაშვილი ცინიკურად აცხადებს, რომ ყაზახმა ინვესტორებმა, თურმე, ლიკანში არაფერი გააკეთეს და ახლა სახელმწიფომ სხვა ინვესტორი უნდა მოიძიოს და დააინტერესოს(?!)... რომ დიადი ხელისუფლება და მისი „გვემული" პრეზიდენტი „ლიკანის" განადგურებას არავის აპატიებს. საინტერესოა, მაინც, ვის გულისხმობს ბატონი სააკაშვილი „გამანადგურებლებში"?..**



## ისტორიიდან

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მეოთხე სამმართველოს სანატორიუმი „ლიკანი" ერთ-ერთ პრესტიჟულ სამკურნალო-დასასვენებელ კომპლექსად ითვლებოდა. ჯანმრთელობას აქ, ძირითადად, კომუნისტური პარტიის მაღალი რანგის თანამდებობის პირების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეების ოჯახები იკაჟებდნენ. სპეციალური გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიას სახელმწიფო დაცვის სამსახური იცავდა და ადგილობრივ მოსახლეობას ჯერ კიდევ იმ პერიოდში უჭირდა სანატორიუმის ფარგლებში თავისუფლად გადაადგილება.

იყო წესრიგი, სიმშვიდე, სიმკაცრე და ძალზედ მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება. სანატორიუმს საკუთარი მეურნეობაც ჰქონდა, საიდანაც ნატურალური პროდუქტებით ადგილობრივი სასადილო მარაგდებოდა. მდიდარ მენიუში შედიოდა არა მარტო კარაქიანი ფუნთუშა, არამედ შავი და წითელი ხიზილალა, ცოცხალი, ბორჯომული ნამცხვრები და, რა თქმა უნდა, მინერალური წყალი. დამსვენებელთა კვების უსაფრთხოებასა და რაციონზე მთავარი შეფ-მზარეული ჯუმბერ ღონღაძე ზრუნავდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ბატონი ჯუმბერი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც სამსახური ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაატოვებინეს. ყაზახმა ინვესტორებმა მეოთხე სამმართველოს კაპიტალური სასადილო კორპუსიდან მხოლოდ ნანგრევები დატოვეს...

დღეს მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე შესვლა მაქსიმალურად კონტროლდება დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მინერალური წყლის მირთმევის საშუალება მკაცრად შეზღუდულია. თუ ლიკანის მცხოვრებს ბორჯომის ბუნებრივი წყლის დაგემოვნება სურს, კეთილი უნდა ინებოს და პარკში მიბრძანდეს. ამისათვის კი, მთელი 7-8 კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს. მოკლედ, ბორჯომის მინერალურ რესურსზე ხელი მიუწვდება ასტანელს და არა ბორჯომელს(?!)... სანატორიუმის შესასვლელთან, თუ პლასტმასის ბოთლით ხელში დაგინახეს, უმალ დაგისვამენ კითხვას „სად მიბრძანდებით?" (თითქოს გაუგებარია, რისთვისაა საჭირო პლასტმასის ბოთლი. მართალია, „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ბოთლებს სხვადასხვა ტიპის გართობისთვის იყენებენ, მაგრამ ათასი პრობლემით დაქანცულ ბორჯომელებს „ბოთლებით თამაშისათვის" ნამდვილად არ სცალიათ)... კითხვას — „სად მიბრძანდებით?" უმალ მოჰყვება პასუხი — „ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია!" მაგრამ თუ თქვენ ვინმე ქალბატონ საჯაიას ახლობელი ბრძანდებით, მაშინ სპეციალურ სიაში ჩაგწერენ. მიბრძანდით სანატორიუმის ტერიტორიაზე 10-15 წუთით და მიირთვით ბორჯომის წყალი, ოღონდ, წყლის საბადოს ტერიტორიას ნუ გასცდებით, რადგან ესეც... აკრძალულია! ქალბატონი საჯაია კი, როგორც გავარკვიეთ, სანატორიუმის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელია. სავარაუდოდ, სწორედ მისი მონაწილეობით განხორციელდა ყაზახებზე ტერიტორიის გასხვისება, ხოლო რომანოვების სასახლის — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა, რაც (როგორც ბოროტი ხმები ამბობენ) მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილის ოჯახის კერძო საკუთრებაა. უნდა ითქვას, რომ მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ ყაზახებს თვალი რამდენჯერმე მართლაც მოჰკრა. საუბრობენ დიპლომატის მეუღლე ყაზახ ქალბატონზე, რომელიც სანატორიუმს აკონტროლებს. ასე რომ, ბოროტი ჭორების გამავრცელებელთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ყაზახები რეალურად არსებობენ, მაგრამ საკითხავია, ვინ დგას მათ უკან, ან თავად საკუთარ სამშობლოში რას წარმოადგენენ და რამდენად სერიოზულ კომპანიას მართავენ ყაზახი ინვესტორები? როცა სანატორიუმის შენობების ნგრევა გადაწყდა, დაიწყო დემონტაჟი და დაჩქარებულ ტემპებში მატერიალური ქონების გაყიდვა.

როგორც ბორჯომელები იხსენებენ, სანატორიუმის კუთვნილი ტელევიზორების, ჭურჭლის, საწოლების, ლეიბებისა და თეთრეულის ფასი საკმაოდ ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას მისი შეძენის თავი მაინც არ ჰქონდა. ამიტომ ქონების დიდი ნაწილი ბორჯომის მმართველობის ორგანოების შეძლებულმა წარმომადგენლებმა ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში. დიდი ნაწილიც უფასოდ დაისაკუთრეს. ბორჯომის ერთ-ერთ რესტორანში ადგილობრივმა მოქეიფეებმა მეოთხე სამმართველოს სასადილოს კუთვნილი ლითონის ნაკეთობები შეიცნეს, რაც ერთ დროს სასადილოს ინტერიერს ამშვენებდა. ალბათ, დადგება დრო, როცა მეოთხე სამმართველოს მრავალათასიანი ქონება აღწერა-რევიზიას დაექვემდებარება და უპასუხო კითხვებსაც პასუხი გაეცემა, თუმცა ბევრი დეტალის დაზუსტება და აღდგენა იმ დროისთვის შეუძლებელი იქნება და მეოთხე სამმართველოს მატერიალური დოვლათის დიდი ნაწილიც მყიდველებსაც და მიმტაცებლებსაც ხახვივით შერჩებათ. მანამდე კი, ვნახოთ, რა კავშირია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს შორის...

## მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვიდან მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილამდე

1872 წელს ბორჯომის ხეობა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს ებოძა. 1892 წლიდან ლიკანში მეფისნაცვლისთვის სასახლისა და პარკის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა სამი წლის მანძილზე გაგრძელდა. მას ცნობილი იტალიელი არქიტექტორი ბენუა ხელმძღვანელობდა. XIX-XX საუკუნეებში ბენუას აგებულ აგურისფერ შედევრს „რომანოვების სასახლის" სახელწოდება შერჩა და დღემდე ამ სახელითაა ცნობილი. საბჭოთა ეპოქაში რომანოვების სასახლეში იოსებ ბესარიონის ძე ზაფხულობით ისვენებდა და პოლიტბიუროს საგანგებო სხდომებსაც მართავდა. ცნობილია ფაქტი, როგორ მიაჭედა სტალინმა სასახლის უნიკალურ კედელს მსხვილი ლურსმანი... არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი კეპის „დასაბინავებლად".

მოგვიანებით რომანოვების სასახლე მხოლოდ ექსკლუზიურ სტუმრებს, ძირითადად, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მასპინძლობდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის არც ერთ პირველ მდივანს და, მოგვიანებით, არც ერთ პრეზიდენტს აზრად არ მოსვლია რომანოვების სასახლის დასაკუთრება და ამ

# საქართველოს განთავისუფლება ემიგრანტებმა უნდა დაიწყონ!



**სამი წლის წინათ თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველოს" გაზეთში ვწერდი, რომ დიდი სახელმწიფოები საქართველოს პოლიგონად გამოიყენებენ და აქ შედგება მათი ძალების, ინტერესების, ინტრიგების მოსინჯვა-დაკმაყოფილება. აღვნიშნავდი იმასაც, რომ ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მხარე, რომელიც წაგებული აღმოჩნდება, ეს იქნება საქართველო და ქართველი ხალხი. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა.**

გავყვიროდი იმასაც, რომ ემიგრაცია უნდა იყოს ძალიან ფრთხილად და უნდა მოახდინოს ძალთა მობილიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველგან, სადაც ქართული ემიგრაცია არსებობს, ეს ძალები იმოქმედებენ თავიანთი ანტიქართული გეგმების მიხედვით. კონკრეტულად ვამბობდი, რომ აუცილებელია, ქართულმა ემიგრაციამ ჩაატაროს საპროტესტო აქციები ამერიკის, ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის საკონსულოებსა და საელჩოებთან ერთადერთი მოთხოვნით: ხელები შორს საქართველოსგან, ჩვენ გვინდა თავისუფლება!!!

ამ მოძრაობას ხელს უშლიდა გარკვეული ფაქტორები. ამ ეტაპზე გამიჭირდება კონკრეტული მიზეზების დასახელება. შემიძლია, ვთქვა, რომ ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს თვითონ საქართველოს ხელისუფლება თავისი გარკვეული მიზნებით, რაც მას ჰქონდა და აქვს ემიგრაციასთან დაკავშირებით. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი ქართული ემიგრაციის პასიურობისა. ვფიქრობ, იყო და არის სხვა ძალებიც, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ და მომავალშიც წინააღმდეგობას გაუწევენ ქართული ემიგრაციის მობილიზებას. რა თქმა უნდა, მათ ეშინიათ და უფრთხიან, რომ ეს ქარცეცხლი, რაც საქართველოში ხდება, ევროპაშიც არ გავრცელდეს.

ჩვენს ევროპელ მეგობრებს უნდა დავანახოთ, რომ იმას, რასაც კადრულობენ ჩვენი სამშობლოს მიმართ, უპირატესად კი მათ ინდიფერენტულობას ვგულისხმობ, ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია, გადავიტანოთ მათთან სხვადასხვა ფორმით. როცა ამას ვფიქრობდი და ვამბობდი, ყოველთვის მაგონდებოდა ერთი ძალიან კარგი ქართული ლექსი, რომელიც სკოლაში ვისწავლე და ყოველთვის, როდესაც ვკითხულობდი, ჩემი სამშობლოს — საქართველოს დამცველად ვგრძნობდი თავს....

**„სამშობლოს არვის**
**წავართმევთ,**
**ჩვენს ნურვინ**
**შეგვეცილება,**
**თორემ ისეთ დღეს**
**დავაყრით,**
**მკვდარსაც კი**
**გაეცინება..."**

მეგონა, რომ ეს ლექსი ყველას შესწავლილი, გაცნობიერებული და შესისხლხორცებული ჰქონდა, მაგრამ...

მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის ბრძოლის ახალი



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მიხეილ ნიკოლოზის ძემდე



სასახლეში პირადი რეზიდენციის მოწყობა (ედუარდ შევარდნაძისთვისაც კი საპრეზიდენტო კოტეჯი სასახლის მახლობლად აშენდა).

თვით კოსიგინიც, რომელიც 70-იან წლებში ბორჯომს სტუმრობდა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ არა რომანოვების სასახლეში, არამედ ცალკე აგარაკზე მოათავსა. სასახლე, როგორც დასვენების კერა, დახურული იყო გმირი საჭოთა კოსმონავტებისთვისაც, რომლებმაც რამდენიმე კვირა მეოთხე სამმართველოს ბაკურიანის ფილიალში გაატარეს.

გამონაკლისი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი გახლავთ, რომელმაც რომანოვების სასახლე რეზიდენციად და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გადააიკეთა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ სააკაშვილმა საკუთარი თავი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვთან გააიგივა (საოცარია, რუსეთს ებრძვის და მუდმივად რუსეთისკენ ილტვის!)... აკი, სახელი და მამის სახელი — მიხეილ ნიკოლოზის ძე — იდენტურია(?!). ასე იქცა რომანოვების სასახლის „რესტავრაცია" სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხად. შესაბამისად, საპრეზიდენტო რეზიდენციაც სასახლეში განთავსდა.

რომანოვების სასახლეში დამკვიდრებით, ჩვენი წყაროების ცნობით, სააკაშვილმა ხაზი თავისი გვარის „წარმომავლობასაც" გაუსვა, რომელსაც, სააკაშვილთა პირადი, კარის ისტორიკოსების განმარტებით, თურმე, პირდაპირი კავშირი თარხან-მოურავების დიდგვაროვნულ შტოსთან აქვს (?!)...

ერთი სიტყვით, სააკაშვილის გადაწყვეტილებით, რომანოვების სასახლის ინტერიერთან ერთად, ექსტერიერიც შეიცვალა და, როგორც სანდო წყაროები აცხადებენ, ისტორიული ღირებულების კედლები, აივნები, ავეჯი და ნივთები თანამედროვე მეტალოპლასტმასის დიზაინმა შეცვალა. რომანოვების სასახლეშიც და მიმდებარე ტერიტორიაზეც არა ერთი ანტიკვარული ნივთი ინახებოდა, როგორც ჭურჭელი, ისე სკულპტურული ნამუშევრები. ეს უმდიდრესი კოლექცია ჯერ საბჭოთა პერიოდში, ხოლო მოგვიანებით — 90-იან წლებშიც გაიძარცვა. არავინ იცის, სად გაქრა მარმარილოს ცნობილი გოჭი და ინდაური ან ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც რომანოვებმა საგანგებოდ იტალიიდან ჩამოატანინეს. ხოლო რაც რომანოვების სასახლიდან გადარჩა, სააკაშვილის ოჯახმა დაისაკუთრა. ასეთია ბედის ირონია... ეროვნული კულტურის საგანძური — რომანოვების სასახლე, რომელიც, წესით, მუზეუმის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, სააკაშვილის მოტელია...

## ბუნებრივი წყაროებით მდიდარ ბორჯომს სწყურია?!.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ბორჯომის რაიონის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს. და მაინც, რატომ უნდა სწყუროდეს მხარეს, რომელიც მინერალური საბადოების სერიოზული მარაგებითაა ცნობილი და სადაც მსოფლიოში პოპულარული „ბორჯომის" წყალი ისხმება?! ლიკანის ელიტური დასახლების მობინადრეებს სასმელი წყალი მხოლოდ დღეში ერთხელ, საღამოს 18.00-დან 19.00-მდე მიეწოდება. პრინციპში, ესეც დიდი მიღწევაა, რადგან სულ ორიოდე კვირის წინათ, სასმელი წყლის საფასურის გადაუხდელობის მოტივით, ლიკანელები უწყლოდ დატოვეს და ვიდრე ხელმოკლე მოსახლეობას ბოლო თეთრი არ დაადებინეს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა ონკანები საგულდაგულოდ დააშრეს. საბრალო ხალხი მინერალურ წყალსაც ვერ იმარაგებდა, რადგან (როგორც ზემოთ მოგახსენეთ) სანატორიუმ „ლიკანის" საბადოზე ლომის თათი ყაზახ ინვესტორებს უდევთ... გალავნის იქით შესვლის უფლება ყველას არ აქვს. ორი დღის მანძილზე მოსახლეობა სასმელ წყალს ბოთლებით, ბიდონებითა და ქილებით ე.წ. 16-სართულიანი კორპუსის ეზოდან ეზიდებოდა და თან გულისწყრომას ვერ მალავდა.

— ყველაფერი წაგვართვეს, წყალიც და მიწებიც. ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია. ყაზახებმა მეოთხე სამმართველო დაისაკუთრეს, მაგრამ, აბა, ზემოთ ნახეთ, ე.წ. ვცსპ-ს სანატორიუმები ვის ხელშია? — ბრაზობს შუახნის ბორჯომელი მამაკაცი (რომლის ვინაობასაც, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელებ)... — ვის ხელშია? — გულუბრყვილო კითხვას ვუსვამ ა.მ-ს და მეხუთე ბოთლის შევსებაზე გადავდივარ, — ვის ხელშია და კოდუებმა იყიდეს მთელი ტერიოტორია. სანატორიუმებიც და ტყეებიც. ახლა მეზობლებთან კოდუების ხალხი მიდის და ეუბნება, ბაღების მოვლა-პატრონობას თავი დაანებონ, რადგან მაინც დასანგრევი გაუხდებათ... — თუ კოდუებმა იყიდეს, ე.ი. მათი საკუთრებაა და რას იზამთ?!. — ვერაფრით ვამშვიდებ გულდაწყვეტილ მამაკაცს. — კაცო, იცი, რა მაინტერესებს? ყველაზე წარმატებულები ბიზნესშიც და არჩევნებშიც მარტო „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერები როგორ არიან?.. მე იმას ვამბობ, რომ მალე ბორჯომელებს ჰაერის საფასურსაც გადაგვახდევინებენ... მერე საერთოდ გაგვასახლებენ აქედან და მაღალმთიანი სოფლებისკენ გვიკრავენ თავს.

ჩემი ბოთლი შეივსო. შინისკენ ვაგრძელებ გზას, მაგრამ თანამოსაუბრე არ ჩერდება: — ერთი მეოთხე სამმართველოს „ბორჯომის" შადრევანთან მიდი და აივნიდან გადაიხედე, გული გაგისკდება, იმდენი მინერალური წყალი იღვრება მტკვარში. ხალხი კი მარტო მშიერი კი არა, უკვე წყალსაც დანატრებულია...

ამ შეხვედრიდან მეორე დღეს ბორჯომის ერთ-ერთ აფთიაქში „ენტეროლის" საყიდლად შევედი. მეგონა, ვირუსმა მარტო (ასფალტზე გაზრდილი) ჩემი შვილები შეაწუხა... შევცდი... ბორჯომის დამსვენებლებიც და ადგილობრივი მოსახლეობაც იმ დღეს მხოლოდ „ენტეროლის" თითოდა... — ჩვენს ქალაქში სუფთა სასმელი წყლის პრობლემაა", — მომიბოდიშა ახალბედა პროვიზორმა.

## მეოთხე სამმართველოს სტუმართა გალერეა

სხვათა შორის, სხვა მრავალ დამსვენებელთან ერთად, მეოთხე სამმართველოს ყოველ ზაფხულს სტუმრობდა ცნობილი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია და მისი ვაჟი გიგა ბოკერია. პატარა გიგა ყვავილნარში თამაშობდა და ლიკანის ჰაერზე კაჟდებოდა (როგორც ჩანს, ჩვენი ბედკრული ქვეყნის საზიანოდ!!!)... მიირთმევდა იმ ბიძია ჯუმბერის მომზადებულ სადილს, რომელიც, მოგვიანებით, მისმა „ნაციონალურმა ხელისუფლებამ" სამმართველოდანაც გაათავისუფლა და სასადილოდანაც.

საოცარია, რომ არც გიგა ბოკერიას და არც სხვა ექსდამსვენებლებს, რომლებიც 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების სათავეში მობრძანდნენ, მეოთხე სამმართველოს განადგურებაზე ხმა არ ამოუღიათ. პირიქით, თავად შეუწყვეს ხელი სანატორიუმ „ლიკანის" მიწასთან გასწორებას... თითქოს შური იძიეს ძველ დროსა და ადამიანებზე, რომლებიც არა მარტო ქმნიდნენ, არამედ ინარჩუნებდნენ „ლიკანის" უნიკალურ კომპლექსს. ფსიქოლოგიური კუთხით, სხვა მიზეზს ნამდვილად ვერ იპოვით იმ ვანდალიზმის ასახსნელად, რაც მეოთხე სამმართველოს საკურორტო მეურნეობასთან მიმართებაში „ვარდების რევოლუციონერმა" ხელისუფლებამ განახორციელა.

სანატორიუმის შესასვლელთან ორ ახალგაზრდა გოგონას ვხვდები. — თქვენც არ გიშვებენ? — ვეკითხები, — არა, სიაში ჩაწერილი ვართ, მაგრამ ვერ გვიცნეს. ისე, თუ 2 ლარს გადაიხდით, მეორე შესასვლელიდან შეგიშვებენ, მაგრამ ცოტა ხნით... დროს ინიშნავენ, — მეხმარებიან გოგონები... იქვე, ტაქსის გაჩერებასთან 40-იოდე წლის მამაკაცი უფილტრო სიგარეტს აბოლებს... — ეჰ, რას მოვესწარით, ბორჯომელებს „ბორჯომის" წყალს აღარ გვასმევენ. ამან მაინც დაწეროს სადმე, ჟურნალისტი ხართ, არა?!..

ჰოდა, ჯერჯერობით ჟურნალისტი ვარ და ჩემი მეგობრების გაზეთს ბორჯომიდან ამ წერილს ვუგზავნი.

ლიკანში გატარებული ათი დღის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობისგან მეოთხე სამმართველოს ირგვლივ არა ერთი სევდიანი ისტორია მოვისმინე. სხვათა შორის, ჩემი ბავშვობის ყველაზე ლამაზი წლები სანატორიუმ „ლიკანში" გავატარე, რადგან მამაჩემი 70-იან წლებში მეოთხე სამმართველოს მთავარი ექიმის მოადგილე გახლდათ და იმ ცნობილ მშობლებს მკურნალობდა, რომელთა შვილების დიდი ნაწილიც დღეს ხელისუფლებაში ზის და ქვეყანას ზიანს აყენებს. მახსოვს, როგორ ვუფრთხილდებოდით ყოველ ხეს, ყვავილსა და ბუჩქს. რომანოვების სასახლეშიც ძალზედ იშვიათად გვიშვებდნენ და ეს სტუმრობა ზღაპრების სამყაროში მოგზაურობას ჰგავდა. ახლა ამ საოცრებიდან, რომელიც მნახველს აღაფრთოვანებდა, მხოლოდ ნანგრევები და შავ-თეთრი კადრები დარჩა...

საინტერესოა, რა შეიძლება შექმნან უკეთესი, ვიდრე თავის დროზე ბუნებამ შექმნა?.. ან რატომ გაანადგურეს, თუ აშენებას მთელი ოთხი წლის მანძილზე არ აპირებდნენ?... რატომ წაართვეს დამსვენებლებს „ლიკანში" სტუმრობის უფლება და რატომ მოაკლეს ბიუჯეტს ის მოგება, რასაც მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ „ლიკანის" საქმიანობა სეზონურად ტოვებდა?.. რატომ უნდა მიირთვას ლიკანის მოსახლეობამ მინერალური წყალი 8 კილომეტრის დაშორებით, როცა „ბორჯომის" საბადო ორ ნაბიჯზეა?.. უფრო მეტიც, რა მიიღეს ბორჯომელებმა სანატორიუმ „ლიკანის" მესაკუთრე ყაზახი ინვესტორებისგან? არც ინფრასტრუქტურა, არც დასაქმება, არც საბიუჯეტო შენატანები! უნდა აგოს თუ არა პასუხი უცხოელმა ინვესტორმა დარღვეული საკონტრაქტო პირობებისა და უმიზნოდ დანგრეული კაპიტალური ნაგებობების გამო და ვინ დაითვლის ზარალს, რომელიც ყაზახმა ინვესტორებმა ბორჯომს, ბორჯომელებსა და ქვეყანას მიაყენეს?..

რა დალევს უპასუხო კითხვებს... ამასობაში მიხეილ ნიკოლოზის ძე (არა რომანოვი, არამედ — სააკაშვილი) მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ „ლიკანის" ბედზე დამწუხრებული საუბრობს და თვალში ნაცარს აყრის შიმშილით, საბანკო კრედიტებითა და საპატრულო ჯარიმებით გათანგულ მოსახლეობას. თურმე, არ იცოდა, რა ხდებოდა... თურმე, ყაზახებს 400-ზე მეტი სამედიცინო მუშაკი გაუყრიათ ქუჩაში... თურმე, არ გაამართლეს ყაზახმა ინვესტორებმა და ა.შ. და ა.შ. ბატონ მიხეილს — „სიცრუის მამას" მდიდარი ფანტაზია აქვს იმისთვის, რომ თეთრი შავად წარმოაჩინოს და პირიქით...

ჰოდა, წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე უხერხემლო და ამბიციებით დახუნძლული ოპოზიციის „განეიტრალებით", ამას გარდა, ბაიდენის ვიზიტით ფრთაშესხმული დიქტატორი უკვე „ლიკანის" პრობლემებმა დააფიქრა... ჩვენ კი ბორჯომის სტუმრებს ერთ რეკომენდაციას შევთავაზებთ: მეგობრებო, თუ მოახერხეთ და მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე შეხვედით, მინერალური წყლის საბადოს, მართლაც, ნუ გასცდებით... იქვე, ახლოს, რომანოვების სასახლის მიმდებარე ტყე-პარკს სააკაშვილის დაცვის სამსახურის მშიერი ძაღლები „აკონტროლებენ". თუ კბილი გაგკრეს, ბოლომდე შეგჭამენ. ძალიან ჰგვანან პატრონს, რომლის ქონებასაც იცავენ, რას იზამთ...

მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია. ამის მიუხედავად, ექსკლუზიურად „საქართველო და მსოფლიოში" ვაქვეყნებთ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განადგურებული სანატორიუმ „ლიკანის" ამსახველ კადრს. ამ ფოტოს ქართველი მკითხველი პირველად იხილავს.

**ირმა ინაშვილი**
**2009 წლის აგვისტო.**
**ლიკანი.**
**სპეციალურად გაზეთისთვის „საქართველო და მსოფლიო"**

---

ეტაპი იწყება და ამისთვის ერთმანეთს უნდა ჩავუნერგოთ იმედი და გავაგრძელოთ ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება ყველანაირი სიმახინჯისა და ბოროტებისგან. სხვაგვარად ჩვენ მომავალი არ გვაქვს და დავიკარგებით ამ უზარმაზარ მსოფლიოში, სრულიად ავითქვიფებით. ისედაც ამ ბოლო 20 წლის კატაკლიზმების შედეგად საქართველოში შემცირდა ქართველობა და განადგურდა სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით, გარე თუ შინაური ბუნებრივი მიზეზებით. აღსანიშნავია ის სამწუხარო რეალობაც, თუ რამდენმა ქართველმა დატოვა სამშობლო და მათ დიდ ნაწილს უკან გახედვაც არ უნდა.

აი, ეს არის ერთ-ერთი ძალიან საშიში და სახიფათო ქართველობისთვის. ღრმა დაფიქრება გვმართებს იმაზეც, რომ ჩვენ უკვე ვკარგავთ თაობებს, რომლებიც მოსწყდნენ საქართველოს, ქართველობას, ქართულ ტრადიციებს. ეს თაობები უცხო ტრადიციებზე იზრდებიან და შესაძლოა, ისევე საქართველოს საწინააღმდეგოდ განეწყონ (საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ქართველის დამარცხება მხოლოდ და მხოლოდ ქართველს შეუძლია).

**ვფიქრობ, რომ არიან ძალები, რომლებიც ებრძვიან ქართულ ინტელექტს, რადგან ცნობილია ქართველთა დიდი ინტელექტის თაობაზე და ისიც, რომ მათ შეუძლიათ ამ ინტელექტის მეშვეობით და ძალთა მობილიზებით დიდი ძვრების მოხდენა მსოფლიოში. ამ ძვრებს ქართველები**

**ახდენდნენ და ახორციელებდნენ საუკუნეების განმავლობაში, როცა ერთობას აღწევდნენ.**

დასასრულ მინდა, გავამხნევო ჩემი თანამემამულეები, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი და მოვუწოდო ახალი ბრძოლისკენ. ასევე მინდა, გავახსენო მათ, რომ საბერძნეთმა სწორედ უცხოეთში მცხოვრები ბერძნების ორგანიზაციით და ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება. ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლაც უნდა დაიწყოს უცხოეთში უფრო მკაცრი და მიზანდასახული მოქმედებებით და ყველას უნდა დავანახოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია ბრძოლა ჩენი სამშობლის კეთილდღეობისათვის.

**ელგუჯა მინაძე,**
**ქართული საზოგადოება „საქართველოს" თავმჯდომარე, საბერძნეთის სოციალისტური პარტიისა და ემიგრანტთა თანადგომის პრეზიდენტი**

5 - 11 აგვისტო, 2009 წელი. №24
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი ამხელს!



**ხელისუფლებას ხალხის სიყვარულის სეზონი დაეწყო — დემოკრატიის მორიგი ტალღის აგორებისა და სოციალური მზრუნველობის მყვირალობის თვე. როგორც ყოველთვის, როცა ტაქტი შეირყევა, სიკეთეს სიკეთეზე, პროექტს პროექტზე გვთავაზობენ.**
**მაგრამ ამ პროექტებს ისეთი ჭია უზით, რომ, თუ განხორციელდა, შეიძლება უარესი პრობლემები გაუჩინოს ხელისუფლების სიყვარულით მოსილ თბილისსა და თბილისელებს.**
**გამოჩენილი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე გიგა ბათიაშვილი დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემის განტვირთვის იმ პროექტებზე გვესაუბრება, რომლებიც ხელისუფლებამ ახლახან მოწყალებასავით გაიღო.**

## უაზრობაზე გადებული კეკლუცი ხიდი

— საქმე პრინციპებს ეხება, — **ამბობს ბატონი გიგა**, — ჩანაფიქრის მნიშვნელობას და გადაწყვეტის ხარისხს, ანუ **რამდენად უპასუხებს პრობლემის მართებულ გადაჭრას პროფესიული გააზრება.**

ხიდი, ყველას მოეხსენება, ნებისმიერი დასახლებული პუნქტის, ქალაქისა და ქვეყნის სისხლძარღვია.

ამასწინათ, როცა ტელევიზიით აღტაცებით გველაპარაკებოდნენ ამ ჩვენი იტალიელი კოლეგის „შემოქმედებით“ პროდუქციაზე, წარმოგვიდგინეს ხიდი, რომლის გადებაც გადაწყვეტილია ანჩისხატსა და რიყეს შორის.

თუ მიაქციეთ ყურადღება, როცა ამ ხიდის მაკეტს მიხეილ სააკაშვილი ბავშვებს აჩვენებდა, იგი ისევე იყო აღფრთოვანებული, როგორც პრეზიდენტის სასახლის დემონსტრირებისას. მაგრამ საქმე მთლად ასე არაა.

დავიწყოთ იმით, რომ **ამ ადგილზე ხიდი საერთოდ არ არის საჭირო.** ჯერ ერთი, ეს ზონა უკვე მოქცეულია ორ ხიდს — მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის, რომელთაც მხოლოდ 400-იოდ მეტრი აშორებს ერთმანეთს. ამასთან, ისინი მტკვრის სანაპიროებს აკავშირებს არა მხოლოდ პირდაპირი ხაზით, სატრანსპორტო კვანძების მეშვეობითაც.

## თუ მაინც და მაინც აქ გავდებთ ხიდს, ბარათაშვილის აღმართის კედელს ვეჯახებით და ვერსაით წავალთ. ამდენად, სრულიად უაზრო გადაწყვეტაა.

**— ესე იგი, აქაც „ასე მინდას“ პრინციპით მოქმედებენ?**

— ასე გამოდის...

**— საერთოდ თუ სჭირდება თბილისს ახალი ხიდი?**

— აუცილებლად სჭირდება ხიდები. აქედან ერთის გადების შემთხვევაში შევძლებთ სანაპიროებზე ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზებას.

**— სად უნდა გაიდოს ეს ხიდი?**

— მტკვარზე ერთ ადგილს სატივეს ეძახიან. ჩემს ბავშვობაში იქ ბორანი იყო. ეს არის ზუსტად იმ გასასვლელის გაგრძელებაზე, რომელიც გმირთა მოედნიდან საცურაო კომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ ჩაუვლის და გადის სანაპიროზე — მარჯვნივ და მარცხნივ.

თუ აქ ავაშენებთ ორმხრივი მიმართულების ხიდს მარცხენა ჩასასვლელი პანდუსით სანაპიროზე, მაშინ, სამომავლოდ, მინდელის ხიდიდან დაწყებული (დიდუბის ხიდიდან კი — ასპროცენტიანად) თბილისის მთელ სიგრძეზე შესაძლებელი იქნება სანაპიროების ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა: მარჯვენა სანაპიროზე მოძრაობა — მტკვრის დინების მიმართულებით, მარცხენაზე — საწინააღმდეგო მიმართულებით.

**— ეს გადაწყვეტს პრობლემას?**

— ამ ეტაპზე, უახლოესი 10 წლისთვის სავსებით საკმარისი იქნება. გამოჩნდება საშუალება? — გავჭრათ, შევქმნათ განივი კავშირები ესტაკადის, გვირაბის, ქუჩის მეშვეობით.

დღევანდელი სანაპიროს ქუჩები ველარ ატარებს ტრანსპორტის ნაკადებს მარტო პიკის საათებში კი არა, — საერთოდ: საცურაო კომპლექსიდან ორთაჭალჰესამდე, უკეთეს შემთხვევაში, მცოცავი მოძრაობაა, უარესში — მოძრაობა გაჩერებულია. საქმე ისაა, რომ სანაპიროს სიგანე არასაკმარისია ორმხრივი მოძრაობისთვის, გაგანივრების პერსპექტივაც არ არსებობს, განსაკუთრებით, ვერეს (გალაკტიონის) ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე, შემდგომ — მეტეხის ხიდის მისადგომებთან. ცალმხრივი მოძრაობის სამი ხაზისთვის კი ეს მონაკვეთები სავსებით საკმარისია — ნებისმიერ დატვირთვას გაუძლებს.

იგივე შეიძლება ითქვას მარცხენა სანაპიროზეც.

ამიტომ ვამბობ: **თუ ქალაქს აქვს ხიდის აგების საშუალება, რაღა ის საკეკლუცო ხიდი გავდოთ, რომელმაც აღაფრთოვანა ხელისუფლება და რომელიც ქალაქის საკომუნიკაციო სისტემის ვერცერთ პრობლემას ვერ გადაგვიწყვეტს?!** ბარემ ის საქმე გავაკეთოთ, რომელიც ქალაქს ამოასუნთქებს.

ასეთია ჩემი რჩევა.

**— ბატონო გიგა, „ხოშის“ კარებს მაინც ვერ შეაღებთ და რატომ ირჯებით?**

— იმიტომ, რომ გადაწყვეტილება მცდარია, შეცდომა აშკარაა და ჩემი, როგორც პროფესიონალის, მოვალეობაა, მივუთითო ამ შეცდომაზე, სანამ მისი გამოსწორების შესაძლებლობა არსებობს.

**ქვეყანა ჯანმრთელი უნდა იყოს. ამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქალაქმშენებლობის სწორად წარმართვაა.**

პირდაპირ გეტყვით: არასწორად განხორციელებული კეთილი სურვილები მათ განუხორციელებლობაზე გაცილებით უარესია.

იდეა, რომელზეც ვლაპარაკობდი — ცალმხრივი მოძრაობა სანაპიროებზე — ახალი არ არის, მით უფრო უნდა მიაქციონ მას ყურადღება დედაქალაქის მამებმა.

## დედაქალაქის დაჭრილი ფილტვები

**— აშკარად ვცოდავ, მაგრამ სხვას რას შევადარო, თუ არა გამოცხადების შვიდი ანგელოზის საყვირების დაყვირებას ხელისუფალთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოცხადება...**

**„პირველ დაყვირებაზე“ უკვე ვილაპარაკეთ — „ალაპარაკდა შვიდი ქუხილი“.**

**მეორე „ბედნიერებაზე“ შეგეკითხებით, რომელიც ახალი გზით უნდა შემოვიდეს თბილისელთა გასახარად: კვლავ სატრანსპორტო პრობლემის განხილვა მინდა, გთხოვთ, კერძოდ, შემოთავაზებული გზის პროექტისა მდინარე ვერეს მარცხენა სანაპიროს გასწვრივ.**

— ამ გზამ ჩანაფიქრის მიხედვით თამარაშვილის ქუჩიდან, რომელიც ვაკესა და საბურთალოს აკავშირებს, გმირთა მოედნის ზონაში უნდა გადაიტანოს სატრანზიტო მოძრაობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტისას უგულებელყოფილია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც, ჩემი აზრით, აქედან გამომდინარე სერიოზული შეცდომა განაპირობა.

ამ პროექტს დაარქვეს **სწრაფი მოძრაობის ტრასა** და ასეთი ფუნქციაც მიანიჭეს, მაგრამ ამის აუცილებლობა არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს ჭავჭავაძის პროსპექტის დუბლირების პრობლემა, გადატვირთულია პარალელური ქუჩებიც (ფალიაშვილის, აბაშიძის, ბარნოვის). პიკის საათებში ხომ წარმოუდგენელია მოძრაობა, ახლო მომავალში კი, საერთოდ, სტაგნაციას შეიძლება ველოდოთ.

ჭავჭავაძის პროსპექტის განტვირთვა გარკვეულწილად ამ პარალელურ ქუჩებსაც განტვირთავს. ამდენად, **მაგისტრალი, რომელიც ვერეს ხეობაში გავა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ამასთან, მან უნდა შეითავსოს სატრანზიტო და დუბლიორის ფუნქციაც.**

თქვენ წარმოიდგინეთ, დამპროექტებლებს ამაზე არც უფიქრიათ... მაგრამ ასე მოხდება. ეს გარდაუვალია.

**— თუ სწორად გაგიგეთ, ბატონო გიგა, ახალი გზა შეასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას პროექტის მიხედვით მინიჭებული არ ჰქონდა? პარადოქსია!**

— გარემოება, რეალობა მიანიჭებს ამ ფუნქციას.

დამიგდეთ ყური: ყოფილი საშაქარლამო „ფრანციადან“ ხომ ჩადის ქუჩა ვერეს ხეობისკენ?

**— ჩადის.**

— ხვალ „ფრანციასა“ და უნივერსიტეტს შორის კიდევ ორი გზა ჩავა. რა მოხდება, იცით? ის უნიკალური ადგილი, ე.წ. თბილისის ფილტვები — მწვანე კუნძული ზოოპარკსა და „მზიურს“ შორის — გაიჩეხება სამი პერპენდიკულარული გზით.

დღეს გვეუბნებიან, რომ მდინარე ვერეს გასწვრივ გზის გაყვანით ეკოლოგიურ პრობლემასაც გადაწყვეტენ. ვერეში, მართლაც, ჩაედინება კანალიზაცია...

**— ჩვენს ბავშვობაში კი ისე სუფთა იყო, რომ იქ ვსწავლობდით ცურვას.**

— კანალიზაციის პროლემა ცალკე მოსაგვარებელია და არა გზის გაყვანით გადასაწყვეტი...

თუ გზას გადაიტანენ სამხრეთ დასავლეთ ფერდობზე, ჭავჭავაძის პროსპექტთან კავშირის გამო ტერიტორიის სამ ნაწილად გაჩეხვა გამოირიცხება.



მტკვარზე ამ ხიდებს შორის მესამის ჩაკვეხება სურთ



ამ მწვანე მასივს დიდი დღე არ უწერია

თუ გაიჩეხა, მაშინ თვეები კი დასჭირდება იმას, რომ გაჩნდეს ამ ტერიტორიის სულ სხვა დანიშნულებით ათვისების სურვილი. ძალიანაც რომ უნდოდეს დღევანდელ ხელმძღვანელობას, შეინარჩუნოს აქ არსებული მწვანე მასივი, ვერ შეინარჩუნებს, რადგან ის გზები თავიანთ ინფრასტრუქტურას შექმნის.

ამ პროექტის პრეზენტაცია მოხდა ისე, რომ პროფესიონალებთან ურთიერთობა გამორიცხეს.

— **ისევ „ხოში“?**

— ეგრე გამოდის:

**დაამტკიცეს ეს პროექტი და შემდეგ მოიტანეს არქიტექტორთა კავშირში, ცინიკურად გვითხრეს — რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ, თუ არ გსურთ, აზრს ნურც გამოთქვამთ, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთო.**

ხაზს ვუსვამ: გზა აუცილებელია, იდეა კარგია, მაგრამ სად და როგორ გაიყვანენ, ეგაა საქმე.

ეს რას ჰგავს, იცით, ავადმყოფს თირკმლების ოპერაცია რომ სჭირდება და ფილტვს რომ ამოჰკვეთენ.

### როცა ქალაქის არქიტექტურის სამსახურს არქიტექტორები არ ხელმძღვანელობენ

— მესამე საკითხი, რომელიც მაწუხებს და რომლის მიმართაც პრინციპულად ისეთივე დამოკიდებულება მაქვს. ერთი მხრივ, — კმაყოფილება, მეორე მხრივ, — პროფესიული შეშფოთება.

ხუთიოდე წლის წინათ, როცა თბილისის საკრებულოს დეპუტატი ვიყავი და როცა ჯერ კიდევ იცოდნენ, თუნდაც დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთის მოსმენა, ქალაქის მაშინდელმა მერმა ყოველგვარი პროფესიული განხილვის გარეშე, დასამტკიცებლად შემოიტანა თბილისის რკინიგზის მონაკვეთის გაუქმების, მისი გვირაბში გადატანის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

არქიტექტორების წინა თაობას თავიდანვე ჰქონდა გათვლილი, რომ, რადგან დროთა განმავლობაში გაიზრდება სატრანზიტო ინტენსიურობა, უნდა გაკეთდეს დედაქალაქის შემოვლითი გზები — საავტომობილო და რკინიგზა.

ამიტომ მე მხარი დავუჭირე საკრებულოზე შემოტანილ ამ საკითხს, მაგრამ ერთი აუცილებელი შესწორებით: **სატრანზიტო ტვირთის 80 პროცენტი ნავთობპროდუქტებია. ქალაქის ფარგლებში გვირაბით ცისტერნების გატარება ელექტროწევის პირობებში ძალიან სახიფათოა — აირების აორთქლება ძლიერია, ერთი ნაპერწკალია საკმარისი და კატასტროფა გარდაუვალია.**

თქვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ მილიარდები დაჯდა ლამანშის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანა, მაგრამ ნავთობი ზღვით გადააქვთ, ტანკერებით.

ვურჩიე, რომ რკინიგზას თბილისის ზღვის გადაღმა, ქედს იქით გაევლო, სადაც დღეს საავტომობილო შემოვლითი გზა გადის.

და კიდევ ერთი რამ: თუ გვინდა, რომ რკინიგზა ნაკლები დაგვიჯდეს, უნდა გავატაროთ ისეთ ადგილებში, რომ იბარტყოს ტერმინალებმა, რკინიგზა და ტერმინალი, ფაქტობრივად, ერთი ორგანიზმია, მათი ერთობლიობა შემოსავლის მომცემია. ასეთი გამოუყენებელი ადგილები თბილისის ზღვის ქედს გადაღმაა.

პროექტი შესაცვლელი იყო. საკრებულომ მხარი დამიჭირა, მაგრამ ამას მოჰყვა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ჩემი ათვალწუნება, რაზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრე.

ხუთი წლის შემდეგ ეს იდეა კვლავ წამოტივტივდა, მაგრამ კვლავ ბოლომდე გაუაზრებელი: **რკინიგზის გაყვანა სურთ თბილისის ზღვის ფერდობზე, საჯეირნოს ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქის განვითარების შესანიშნავი რეზერვი და იმ ფუნქციების განთავსების ადგილია, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქისთვის.** უმშვენიერესი ტერიტორიაა, შესანიშნავი ექსპოზიციითა და უნიკალური ეკოლოგიური გარემოთი. თუ კი სწორად გავიაზრებთ ამ ტერიტორიის მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობას გადავიყვანთ ფულად ერთეულებში, დავინახავთ, რომ ქედს გაღმა, თუნდაც რამდენიმე კილომეტრით დაგრძელებული, რკინიგზა გაცილებით ნაკლები დაჯდება, ვიდრე შემოთავაზებული (სამი ვარიანტიდან — მეორე). ყოველივე ამის გამო ვთხოვ ქვეყნის და ქალაქის ხელმძღვანელობას შეისწავლონ საკითხი ამ თვალსაზრისითაც.

ყველა შეცდომა, რომლებზეც ვილაპარაკე, თავიდან იქნებოდა აცილებული, ქალაქს რომ ჰქონოდა არა მიწათსარგებლობის, არამედ გენერალური გეგმა. ამაზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ.

ვის უნდა ეზრუნა ამაზე? — ცხადია, **ქალაქის არქიტექტურის სამსახურს, რომელიც, სამწუხაროდ, დაცლილია არქიტექტორებისგან** — არც ხელმძღვანელს, არც მის მოადგილეს შესაბამისი უმაღლესი განათლება არ აქვთ.

კომპლექსურად ფიქრია საჭირო, პროფესიონალების ფიქრი — ქაღალდით და ფანქრით ხელში და ყოველმხრივ გამართლებული დასკვნების სახელმწიფოსთვის შეთავაზება.

— **იქნებ ამიხსნათ, თქვენი ფორმულირება რომ გამოვიყენო, რატომ უჩნდებათ ფილტვების ოპერაციის სურვილი თირკმელების დაავადების დროს?!**

— ჩვენს ახალგაზრდობაში „ლიტერატურულმა გაზეთმა“ წამოიწყო დისკუსია თემაზე „ვინ არის ინტელიგენტი?“ მეც მკითხეს და ჩემი შეხედულებაც ვუთხარი: **ინტელიგენტად შემიძლია აღვიქვა ის პიროვნება, რომელსაც რამდენიმე უნივერსიტეტი, მათ შორის, სორბონა და კემბრიჯი კი არა აქვს დამთავრებული, არამედ ის, ვინც საჯაროდ მხოლოდ იმ თემებზე საუბრობს, რომლებშიც კომპეტენტურია.**

* * *

**დავუმატებ: და რაგინდ მაღალ თაროზე იყოს შემოდებული იმ გოგრასავით, რომელიც ამის გამო შირაზის შუშა ვერასოდეს გახდება.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# სად ერეკლე და სად არსენიშვილი?



## არაგვის ხეობაში ხალხი უწყლობით იტანჯება

**ჩვენი ხელისუფალნი XXI საუკუნეში მოსახლეობას მალ-მალე ახსენებენ თავიანთ მიღწევებს — უწყვეტ ელექტრომომარაგებასა და მოასფალტებულ გზებს. გავიგეთ!!! მათ ავიწყდებათ, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, ძირითადად კი, აღმოსავლეთ საქართველოში, არსებობისთვის აუცილებელი სასმელი წყლის მიწოდების საკითხი წლების მანძილზე პრობლემად ექცათ.**

**საქართველო სასმელი წყლით მდიდარი გეოგრაფიული რეგიონია. დღეს მსოფლიო ბაზარზე მტკნარი წყალი ოქროდ ფასობს. ამ მხრივ საქართველოს ინვესტორებიც დიდი ინტერესით შესცქერიან. ცნობილი ფსიქოლოგი და არა ერთი პუბლიკაციის ავტორი თამილა მაკარიძე აგარაკიდან ექვსი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემებით ფრიად შეწუხებული დაბრუნდა და გულისტკივილიც გულწრფელად გაგვიზიარა.**

— **ქალბატონო თამილა, დასვენების დღეები სხვადასხვა ინსტანციაში სირბილში გალიეთ... გაარკვიეთ, რა არის ქართლის ექვსი ულამაზესი სოფლის სასმელი წყლის გარეშე დარჩენის მიზეზი?**

— არაგვის არხი იშვიათი სიმყარითაა ნაგები. კომუნიზმის ხანაში არხი მხოლოდ სავარგულთა სარწყავად გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად მოდიოდა დიდი მანქანა, მექანიკური ჩამჩით არხს ამოასუფთავებდნენ და მერე გაუშვებდნენ არაგვს. მოსახლეობის დაბალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და ზერელე დამოკიდებულებით — „მერე რა, ჩემი ხომ არ არის?“ — არხი ისევ ნაგვიანდებოდა, მაგრამ სარწყავად მაინც გამოიყენებოდა. დღეს არხის წყალს დასალევად იყენებენ.

16 წლის წინათ, როდესაც სახელმწიფომ სოფელ ახალუბნის მიწები მე-4 სამმართველოს ექიმებს სააგარაკოდ დაურიგა, ექიმებმა ქვიანღორღიანი ადგილი ხალხით დასახლებულ მწვანე ოაზისად აქციეს. ნატახტარში, მისაქციელსა და ახალუბანში სასმელი წყლის მილებიც გამოდიოდა. მალე მილებიც გაქრა და დასალევი წყალიც. წელს, სწორედ მაშინ, როდესაც იქაურობა მოაგარაკეებით იყო სავსე და გვარიანი გვალვაც იდგა, არაგვის არხი გადაკეტეს. იმდენად შეუსაბამო იყო ეს ქცევა ხალხის მოთხოვნილებასთან, ვფიქრობდი, განგებ ხომ არ აკეთებენ, რომ ეს ხალხი აყარონ ან ააბუნტონ-მეთქი. გაოცებული ვკითხულობდი: კომუნისტებმა სასმელი წყალი თან ხომ არ წაიღეს-მეთქი? მცხოვრებთ მიპასუხეს: „კომუნისტებმა — არა, მაგრამ სოფელში, სადაც პროკურორების აგარაკები აშენდა, წყალი იქით გადაიტანეს და აუზებში ჩაუშვესო“. ჩვენ დასალევი წყალი მანქანით მოგვქონდა, სოფელი კი არხის წყალს სვამდა და ისიც შეუწყვიტეს.

ყველა ინსტანციას მივადექი. მცხეთაში მელიორაციის სამმართველოს მივაკითხე, სადაც ორი სიმპათიური მამაკაცი დამხვდა. მომისმინეს, თანამიგრძნეს და მიპასუხეს: „წყლის გაშვება ჩვენზე არაა დამოკიდებული... იქნებ გამგებელთან შებრძანდეთ“.

გამგებელი თემურ აბაშიძე აღმოჩნდა, წარმოშობით — საზანოდან, სადაც მე დავიბადე. ვიზიტის მიზეზი უკვე იცოდა: „ახლა დიდი წვიმები იყო, არხი იმიტომ ჩავკეტეთ, გვეშინია, არ გადმოვიდეს, სამ დღეში წყალს გავუშვებთ...“ — დამპირდა. პასუხის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა, მაგრამ არ გამოვეკიდე. დაპირებულ დროში წყალი არ გაუშვეს და ისევ ვეწვიე.

— თქვენ პირს იბანთ?

— დიახ, — იყო პასუხი.

— ტანსაც იბანთ? სასმელი წყალი თუ მოდის ონკანში?

— კი, — დამეთანხმა.

— ჩვენ რა დავაშავეთ, თქვენზე ნაკლები რით ვართ? აბა, გახედეთ ზემო სოფლებს — წეროვანს, გოროვანს, ჩარდახს, მხოლოდ ერთი წყარო აქვთ და იქიდან ვირებით ან მანქანებით ეზიდებიან წყალს...

ახალგაზრდა გამგებელს შერცხვა, რომ ის სარგებლობდა წყლის ყველა სიკეთით და მე — ვერა.

გამაგზავნა ნატახტარის რწმუნებულთან.

რწმუნებული ყოფილი შტანგისტი — ორი მეტრი სიმაღლის მხრებგანიერი დათო თვალიაშვილი აღმოჩნდა. კაბინეტთან არავინ ელოდა. ეტყობა, ხალხს არავითარი საჩივარი ან დახმარების იმედი არ ჰქონდა. იქვე, მარცხნივ, გაკრიალებული ბიბლიოთეკა შევნიშნე. ვესტუმრე. ბიბლიოთეკარი ქალბატონების კეთილგანწყობით მოვიხიბლე. წიგნებს შევპირდი და კიდევაც ჩავუტანე.

რწმუნებულს შევხვდი, სიტუაცია ავუხსენი. მიპასუხა: „წყლის პრობლემის მოგვარება ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ სოფელში ორი შესანიშნავი ჭა გავთხარეთ, რითაც ბიუჯეტი ამოიწურა და რაღას გავაკეთებ...“

ჭები მართლაც გაუკეთებია, მაგრამ — დაბლობში და ახლო-ახლო. ახალუბანი კი მაღლობზეა და იქ ჭა ძვირი სიამოვნებაა.

რწმუნებულსაც ის შეკითხვები დავუსვი, რაც — გამგებელს. შეწუხდა, მანქანაში ჩაგვიჯდა და ახალუბანში გამოგვყვა კომუნისტებისდროინდელი სასმელი წყლის მილის სანახავად.

მინდა, ვკითხო სახელმწიფო აპარატის იერარქიულ კიბეზე მდგომ ყველა მოხელეს: განა პრეზიდენტმა არ გააფრთხილა: „არც ერთი ეზო და არც ერთი მოსახლე — უწყლოდ!“

ჩინოვნიკების მხრიდან პრეზიდენტის ბრძანების შეუსრულებლობა ხომ დაუმორჩილებლობაა. ვინმემ ახალსოფლიდან წითელსოფელში წაღებული მილის აღდგენა რომ მოიწადინოს, პრობლემა ხომ მოგვარდება?!

— **ადგილობრივმა ძალებმა პრობლემა ვერ გადაჭრეს... ბრძოლას განაგრძობთ?**

— უამრავი დაწესებულება და ორგანიზაცია არსებობს, რომელთაც ადამიანის უფლებების დაცვა ევალებათ.

არსენიშვილი ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა.

ერთი გაჭირვებული ქალი გაზეთში წერდა: „მიშველეთ, ხალხო! მიმიშვით არსენიშვილამდე. ამბობენ, კარგი, განათლებული კაციაო... მაგას ევალება ჩვენი უფლებების დაცვა. სუბარი ამდენს წერს და არავინ უსმენს. ეგ კაცი კი პარლამენტში ზის, მიმიშვით, იქნებ მიშველოსო“...

იქამდე ვერ მიაღწია. არსენიშვილი მეცნიერი კაცია, დეპუტატი, რატომ აქვს გადარაზული მისასვლელი კარი? თუ არ გაიგო, ვის რა უჭირს, მათ უფლებებს როგორ დაიცავს? გივი თარგამაძეც იყო საბურთალოს მაჟორიტარი, მაგრამ კაბინეტში ვერავინ ნახა.

სასურველია, არსენიშვილმა მთელი ენერგია იმ საკითხის მოსაგვარებლადაც წარმართოს, რაზედაც ვწერთ.

არ შეიძლება, განვითარებულ ქვეყანაში ხალხი იმ არხის წყალს სვამდეს, რომელშიც საქონელი გადი-გამოდის. ასეთმა განათლებულმა კაცმა, როგორიც არსენიშვილია, არ შეიძლება ეს ამბავი გულთან არ მიიტანოს. ვთხოვ ბატონ გიას, გამოიყენოს თავისი უფლებები, ტელევიზიით გამოაცხადოს მოქალაქეთა მიღების საათები, რომ შეძლოს მათი გაჭირვების, საწუხარისა და პრობლემების მოსმენა.

თავის ინტერვიუში არსენიშვილი ჟურნალისტის შეკითხვაზე — „რატომ ირღვევა ყოველ ნაბიჯზე თითოეული ჩვენგანის უფლებები?“ — ირიბად პასუხობს: „ადრე მაღალი თანამდებობა მეკავა, ამიტომ პოლიტიკოსთა უმრავლესობას მოხარშულს ვიცნობ, ამ დავიდარაბას აჯობებს, ორივე მხარე შეეჯიბროს ერთმანეთს, ქვეყნის საკეთილდღეოდ ვინ მეტს გააკეთებს“.

აქ კახელები ცნობილ ანდაზას გამოიყენებდნენ: „სად ერეკლე და სად მოხარშული პოლიტიკოსებიო?!“

მცხეთა-მთიანეთის გამგებელი თემურ აბაშიძე და ნატახტარის რწმუნებული დათო თვალიაშვილი უთუოდ ხალხის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, საშუალება არ აქვთ, ხალხს დაეხმარონ. მცხეთის ცენტრალური ადგილები დახვეწილი დიზაინით ლამაზდება, გარშემორტყმული სოფლები კი უწყლობით იხრჩობა.

დაიცავით ჩემი და მათი უფლებები, ბატონო გია!

40 წელი ფსიქიატრიულ სფეროში ვიმსახურე. ბევრი ავადმყოფი მინახავს, უამრავი გაჭირვება გამომივლია, ბევრისთვის მიმიტანია წყალი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

გამობრძანდით კაბინეტიდან და ნახეთ ეს სოფლები, ნუ ხართ კმაყოფილი ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებითა და, ზოგადად, „წარმატებული პოლიტიკით“. თქვენ იმიტომ მოგმართავთ, რომ პარლამენტში ძველი ნაცნობი სახე ხართ. მოგვეხმარეთ, როგორმე ერთად აღვადგინოთ თქვენ, მე და ადგილობრივმა ხელისუფლებამ კომუნისტების მიერ გამოყვანილი წყლის მილი.

არაგვის არხის ტექნიკურ წყალში თითოეული მოსახლე და, მათ შორის, მოაგარაკენიც, ყოველთვიურად 5 ლარს ვიხდით. ასეთი რამ კომუნისტების დროს არ ხდებოდა.

არხის წყალი წვიმების გამო კი არა, თურმე, წყლის ფულის გადაუხდელობის გამო გადაუკეტავთ.

ამიტომ ხელმეორედ მივედი გამგებელთან, განცხადება დავუწერე, ბოლოს კი მივაწერე: „ღმერთი არ გწამთ?“

გლეხი არხის წყლის გადასახადს ვერ იხდის და ვერც მიწას რწყავს, რადგან გადასახადი დიდია. ცნობილი პოეტი მარიკა ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, თავის აგარაკზე დასალევი წყალი არ ჰქონდა.

ბატონო გია, თუ თქვენ ამის არ შეგრცხვებათ, მე მეტს აღარ შეგაწუხებთ. მოვითხოვ, მოვალეობა შეასრულოთ და იმათ რიცხვში შემიყვანოთ, ვის უფლებებსაც იცავთ. თქვენი სიტყვები — „ეს თემა მე ნაკლებად მადარდებს“ — არ ეკადრება პოლიტიკოსს, არაეთიკურია ხალხის რჩეულისთვის და, მითუმეტეს, ადამიანის უფლებების დამცველისთვის.

რაც ხალხს ეხება, ყველაფერი უნდა განაღვლებდეთ. გახსოვდეთ ჯანსულ ჩარკვიანის უპირველესი სურვილი: „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი!..“

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# „033“-ის თანამშრომლები სამსახურიდან თანამშრომლის არდასმენის გამო დაითხოვეს

## საქართველოში დასაქმებულთა უფლებებს კანონი არ იცავს

**ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი დღითიდღე იზრდება. ამ მხრივ პრობლემები დამახასიათებელია როგორც კერძო, ისე სახელისუფლო სტრუქტურებისთვის. ამ უკანასკნელ სეგმენტში დასაქმებულებმა სამუშაო ადგილები შედარებით ადვილად შეინარჩუნეს, თუმცა საფრთხე რეალურად არსებობს და სამსახურის დაკარგვის ალბათობაც ნებისმიერი სექტორისთვის დიდია. დასაქმებულებს ზოგჯერ მაშინაც ათავისუფლებენ, როცა მიზეზად ეკონომიკური კრიზისი არ სახელდება, მაგრამ უმნიშვნელო ფაქტი ასეთ საბაბად ადვილად გამოიყენება. რამდენიმე კვირის წინ ასე მოხდა სასწრაფო დახმარება „033“-ის შემთხვევაშიც. კომპანიის ორი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ თანამშრომლის ნასვამობა არ დაადასტურეს. ეს იყო ადამიანის უფლებებისა და შრომის კოდექსის უხეში დარღვევა. სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტი მომხდარა. ამის თაობაზე შესაბამისი სტრუქტურები და ორგანიზაციები ბევრს საუბრობენ, მაგრამ დარღვეული უფლებების აღდგენა ნაკლებად ხელეწიფებათ.**



„პროფესიული კავშირების“ წარმომადგენელთა განმარტებით, საქართველოში ხშირია შრომის კოდექსის უხეში დარღვევა და, მასთან ერთად, ადამიანის მორალის შელახვა, რაზეც შესაბამისმა სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა გააკეთონ რეაგირება. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა ეკონომიკის სფეროში ერთადერთ პრიორიტეტად სწორედ სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და უმუშევრობის დაძლევას ასახელებს. მართალია, მთავრობა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ სიღარიბის დასაძლევად ყველაფერს გააკეთებს და არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას მაქსიმალურად შეეცდება, უმუშევრობასთან ბრძოლაში წაყრუების პოლიტიკას ხშირად მიმართავს.

ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში ხშირია. მას ხელს უწყობს ისიც, რომ შრომის კოდექსი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს და დასაქმებული მოქალაქეების უფლებები ყოველ წუთს ირღვევა. პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ საჭიროა კანონში ცვლილებების შეტანა. „ჩვენ 30-პუნქტიანი შესწორება შევიტანეთ პრემიერ-მინისტრთან და იმედია, მათში მალე მოხდება გარკვეული და აუცილებელი ცვლილებები, — აცხადებს ირაკლი პეტრიაშვილი, — საქართველოში, ისედაც არარსებული უფლებების უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი არსებობს. ბევრია შემთხვევა, როდესაც სამსახურებიდან უკანონოდ დაითხოვენ ხოლმე თანამშრომლებს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვიცავთ მათ უფლებებს. უბედურება ისაა, რომ ადამიანები ხმას არ იღებენ მანამ, სანამ უშუალოდ მათ კარზე არ დააკაკუნებს ასეთი უბედურება. დღეს ხშირია დეკრეტის არგაცემის, დაშანტაჟების, ხელფასის უკანონოდ დაქვითვის, უკანონო დათხოვნის ფაქტები. პროფკავშირებში უწყვეტად შემოდის საჩივრები. საჭიროა ჩვენი ორგანიზაციის მეტად გაძლიერება და ფეხზე დაყენება, რათა უფრო მარტივად შევძლოთ მათი დახმარება. ამისათვის კი აუცილებელია კანონში ცვლილებების განხორციელება. სასწრაფო დახმარება „033“-ში მომხდარი შემთხვევა სამარცხვინოა. არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება ის ფაქტი, რომ ვიღაცამ თანამშრომელი არ დააბეზღა და ამ მიზეზით სამსახურიდან დაითხოვეს. ეს ამორალური საქციელია“.

ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, კერძო სექტორში ასეთი ფაქტი მრავლადაა, მაგრამ სახელმწიფო კომპანიის — „033“-ის შემთხვევა მათთვის პირველია. პეტრიაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ასეთ ფაქტს სათანადო რეაგირება თუ არ მოჰყვა, სისტემურ სახეს მიიღებს. მით უმეტეს, როდესაც საქმის კურსში არიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრი, შესაბამისი რეაგირება აუცილებლად უნდა მოხდეს“.

პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია მსგავს დარღვევებს შრომის კოდექსის უვარგისობას მიაწერს. „033“-ის შემთხვევაში კომპანიის ხელმძღვანელი არანაირ დასაბუთებას არ ითხოვს; უბრალოდ, ამბობს, იმიტომ გავუშვით, რომ არ დაადასტურეს თანამშრომლის ნასვამობაო, რაც მათ მოვალეობაში არ შედიოდა. სასწრაფო დახმარების ექიმთა სამუშაოზე აღდგენა კი რატომღაც ჭიანურდება. სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზი დღეს საკმაოდ მრავალგვარია. ვისაც უნდა თანამშრომლის დათხოვნა, საბაბად ეკონომიკური კრიზისის გამოყენებას ადვილად ახერხებს. საქმე ისაა, რომ ადამიანებს თავიანთი უფლებების დაცვა არ შეუძლიათ. ვიღაცამ შვებულება მოითხოვა და არ აუნაზღაურეს, ვიღაცამ კუთვნილი ხელფასის დროულად მიღება მოითხოვა და უარი მიიღო და ა.შ.

„ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ფოთის პორტის რამდენიმე მედმუშაკი სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო გაათავისუფლეს, რომ უკეთეს სამუშაო პირობებს ითხოვდნენ. პროცესი ახლახან დასრულდა, სამწუხაროდ, წავაგეთ, — ამბობს ალექსანდრია, — ბევრია, ასევე, დამსაქმებელთა მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ხელფასების გაუცემლობის ფაქტი. პრობლემა განსაკუთრებით იმათ შეეხო, ვინც ამა თუ იმ კომპანიაში ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი და მასთან დაახლოებული ექსპერტი აცხადებდა, რომ საქართველო არ არის საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირებული ქვეყანა და კრიზისი არ შეეხებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისი შეგვეხო და საკმაოდ მწვავედაც. ეს პრობლემა განსაკუთრებით კერძო სექტორს ეხება. საჯარო სამსახურებში დაფინანსება გადასახადებზეა დამოკიდებული, სადაც, ასევე, მნიშვნელოვანი დარღვევებია.

ჩვენ დავიცავთ ყველა ადამიანს, რომელსაც დამსაქმებელთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. კანონში გვაქვს მექანიზმები, რაც მათ დაცვას უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, უფრო სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ისინი, ვინც აქამდე ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა. ამ ადამიანების დაცვა ძნელია. ჩვენ მათ დიდი ხნის განმავლობაში ვაფრთხილებდით, რომ მონურ შრომაზე არ წასულიყვნენ და დამსაქმებელთან ხელშეკრულების გარეშე საქმიანობაზე თავის დროზე უნდა ეთქვათ უარი. სამწუხაროდ, მაშინ არავინ გვისმინა, შედეგმა კი, როგორც ხედავთ, დიდხანს არ დააყოვნა“.

კერძო სტრუქტურები დღესაც შეგნებულად არიდებენ თავს ხელშეკრულების გაფორმებას. სამწუხაროდ, როდესაც ქვეყანაში სრული უმუშევრობაა და ყველა ცდილობს, როგორმე იშოვოს დღიური ლუკმა, ხელშეკრულების გარეშე შრომასაც ადვილად თანხმდება.

**ირმა ჩიტაია**

---

### მირანდა ახვლედიანი:

# 3-დან 60 წლამდე მოქალაქეთა უმრავლესობა ჯანდაცვის მომსახურების გარეშე დარჩა

**ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი არაა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც ჯანდაცვის თითქმის ყველა ობიექტი გასხვისდა და შეწყდა სახელმწიფო პროგრამების უდიდესი ნაწილის მოქმედება. მოსახლეობა იაფი დაზღვევის ამარა დარჩა, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ სისხლისა და შარდის საერთო ანალიზს მოიცავს და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მცირე ჩამონათვალს.**
**ხშირად უხეშად ირღვევა პაციენტთა უფლებებიც. არაპროფესიონალიზმი და სამსახურებრივი გულგრილობა ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც ცალკეულ პიროვნებებს ერთმევათ სიცოცხლის უზენაესი უფლება. თუმცა მსგავსი ფატალური ფაქტების დაფიქსირების დროსაც, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, განმკითხავი არავინაა. ჯანდაცვის სამინისტროს „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოც“, რომლის პირდაპირი დანიშნულება პაციენტთა უფლებების დარღვევის შესწავლაა, ისეთ დასკვნას დებს, რომელშიც უმეტესწილად არ ფიქსირდება ფრაზა „არაპროფესიონალიზმი და სამსახურებრივი გულგრილობა“. ჯანდაცვის სფეროში შექმნილ პრობლემებზე და პაციენტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაცია „Welfare foundation“-ის იურიდიულ მრჩეველს და ჯანდაცვის ომბუდსმენს, ქალბატონ მირანდა ახვლედიანს ვეწვიეთ.**

**— რა არის დღეისათვის ყველაზე მწვავე პრობლემა საქართველოს ჯანდაცვაში?**

— ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, 2008 წლის ბოლომდე საქართველოს ულატაკესი მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილისათვის უნდა გამხდარიყო ხელმისაწვდენი უფასო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა. ამჟამად ამ პროგრამაში დაახლოებით 1 200 000 მოქალაქეა ჩართული. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ პროგრამაში არ არის ჩართული, სტაციონარული მომსახურების საჭიროებისთანავე უსახსრობის გამო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით სახელმწიფო პროგრამების უდიდესი ნაწილი გაუქმდა, ამიტომ ხელისუფლებამ „იაფი დაზღვევა“ შემოიღო, ე.წ. ხუთლარიანი დაზღვევა.

**— როგორც ცნობილია, არც ეს დაზღვევა მოიცავს სრულყოფილ მომსახურებას.**

— ის პაკეტი, რაც ხუთლარიანი დაზღვევით შესთავაზეს მოსახლეობას, ფაქტობრივად, პირველად ჯანდაცვაში მხოლოდ სისხლისა და შარდის საერთო ანალიზებს, სისხლში გლუკოზის განსაზღვრას და ელექტროკარდიოგრამას მოიცავს. რაც შეეხება ურგენტულ დახმარებას — სადაზღვევო კომპანია მხოლოდ 50%-ს ფარავს და თან არსებობს გარკვეული ნოზოლოგიების ჩამონათვალი, რომელიც ანაზღაურდება. მაგალითად, ბარძაყის ყელის მოტეხილობა არ არის ურგენტული, შესაბამისად, მოქალაქემ თუ მოიტეხა ფეხი, მას თავად მოუწევს მკურნალობის საფასურის სრულად დაფარვა.

მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გეგმური ოპერაციები, რომლებსაც დაზღვევა არ ეხება. არადა, მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ შეუძლია ოპერაციაში 2000 ლარის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბებად არ ითვლებიან და არ არიან რეგისტრირებული შესაბამის მონაცემთა ბაზაში.

**— გარკვეულ ხანს ტელევიზიით გვიჩვენებდნენ იაფი დაზღვევით კმაყოფილ ადამიანს, რომელსაც ხელის მოტეხვის ოპერაციის და მკურნალობის საფასური აუნაზღაურეს. გამოდის, მოსახლეობას ატყუებდნენ?**

— ხელის მოტეხილობა ურგენტული არ არის და არ შედის ნოზოლოგიების ჩამონათვალში. ამდენად, სახელმწიფო პროგრამით მას ამგვარი მომსახურება არ ეკუთვნის და, სავარაუდოდ, ვერც ოპერაციას გაიკეთებდა.

**— ხელმისაწვდომობასთან ერთად, სერიოზულ პრობლემას მკურნალობის ხარისხი წარმოადგენს. რა ინფორმაციას ფლობთ ამ კუთხით?**

— არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამოქმედო სახელმძღვანელოები (გაიდლაინები), რომელთა მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს ექიმი და არა საკუთარი შეხედულებისამებრ. ექიმები თავიანთ პირად მოსაზრებაზე დაყრდნობით მკურნალობენ პაციენტებს, ნაცვლად მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინისა. ყველა ექიმს სუბიექტური მიდგომები აქვს და, შესაბამისად, ხარისხიც დაბალია. როცა ჯანმრთელობის უფლებაზეა საუბარი, მხოლოდ პაციენტთა უფლებები არ ირღვევა. ხშირად ექიმებს არ აქვთ ადეკვატური სამუშაო გარემო და ადეკვატური ანაზღაურება. ეს მეორე ძირითადი მიზეზია, რის გამოც მკურნალობის ხარისხი დაბალია.

**— ყველაზე ხშირად როდის ირღვევა პაციენტთა უფლებები?**

— როგორც უკვე ვთქვით, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაა უპირველესი პრობლემა. ამასთან, ჯანდაცვის რეფორმა სპონტანურად, არათანმიმდევრულად მიმდინარეობს, გაპიარებულია რეფორმის მხოლოდ ზოგადი ნაწილი, რის გამოც პაციენტამდე ვერ აღწევს დაწვრილებითი ინფორმაცია. მათ არ იციან, რაში გაეწევათ შეღავათი, რას აძლევს მათ სახელმწიფო, ანუ ინფორმაციის მიღებაც პრობლემაა. ხშირ შემთხვევაში ირღვევა კონფიდენციალობა. არ მინდა, ბოლომდე ექიმები დავადანაშაულო, მაგრამ დღეს საქართველოში არ არის იმის კულტურა, რომ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები არ გახდეს ღია და საჯარო განხილვის საგანი. ასევე პრობლემაა ავადმყოფის ინფორმატიული თანხმობა, ანუ ექიმი ერთპიროვნულად იღებს მკურნალობის მეთოდების შერჩევის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ვალდებულია, პაციენტთან

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ერთი და იგივე დანაშაულისთვის პიროვნება ორჯერ დასაჯეს



## ხელისუფლებამ «სკამი» სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლით დააჭედა

**ადამიანის უფლებების კონცეფცია ბუნებითი კონცეფციის დოქტრინიდან გამომდინარეობს, რომლისთვისაც მთავარი ადამიანური ღირსების ცნებაა. ამ კონცეფციის მიხედვით, საზოგადოების თითოეულ წევრს კანონით მინიჭებული უფლებების გარდა აქვს ძირითადი უფლებები სწორედ იმიტომ, რომ ადამიანებად დაიბადნენ. მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს, ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელსაც არ უკრძალავს კანონი. ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ — მატერიალურ და საპროცესო უფლებებს. მატერიალური მოიცავს პირად, ანუ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს; სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, სიტყვის, აზრის, სინდისის, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას.**

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა. ხელისუფლება უნდა იცავდეს იმ ხალხის უფლებას, ვისაც ემსახურება. ჩვენს რეალობაში კი ხშირად პირიქით ხდება — ხელისუფლება ხელყოფს მოქალაქეების უფლებებს. ამის დამადასტურებელი ფაქტების მოძიება მათი სიმრავლის გამო სირთულეს არ წარმოადგენს. განსაკუთრებით კი, პენიტენციარულ სისტემაში. „საქართველო და მსოფლიო“ ამჯერად იმ ფაქტებით დაინტერესდა, რომელზეც **ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატი მიხეილ ღოღაძე** მუშაობს. მან პატიმრების ინტერესებიდან და მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე (მხედველობაში გვაქვს მობილური ტელეფონების და სხვა კომუნიკაციების აკრძალვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში), პიროვნებების ვინაობის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

— პიროვნებას, რომელიც სასჯელს იხდიდა 178-ე მუხლით, ვადის გასვლამდე დარჩენილი ჰქონდა ერთი წელი და რამდენიმე თვე. პირად საქმეში კარგი დახასიათება ჰქონდა და არც რაიმე დარღვევა იყო დაფიქსირებული, მაგრამ მოხდა ისე, რომ 378-ე მუხლის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის ვადა გაუხანგრძლივდა.

მკითხველისთვის განვმარტავთ, რომ ეს არის მუხლი წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ამის მიზეზი საპყრობილეში მომხდარი ინციდენტი გახდა. პატიმარმა მოინდომა საკნიდან საპირფარეშოში გასვლა, მაგრამ ზედამხედველებმა არ გაუშვეს. თხოვნის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ გაღიზიანებულმა მსჯავრდებულმა ზედამხედველს ხელი გაარტყა. ამის გამო, ის 20 დღით კარცერში ჩასვეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია წინასწარი ძიება. პატიმარი ბრალდებულად ცნეს 378-ე მუხლით და საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცა. ამით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებული უფლება, რომელშიც შავით თეთრზე მითითებულია, რომ არავის არ შეიძლება, განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის. ჩემი, როგორც ადვოკატის, მოთხოვნაც ამ ასპექტში მდგომარეობდა. ვინაიდან ეს პიროვნება უკვე დასჯილი იყო ჩადენილი ქმედებისთვის ადმინისტრაციული წესით, დაუშვებელი იყო, მეორედ მიეცათ იგი იმავე ქმედებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს მოთხოვნა და პატიმარს სასჯელის სახით 3 წელი და 6 თვე დაემატა.

**— სასამართლოს გადაწყვეტილება თუ გაასაჩივრეთ?**

— რა თქმა უნდა. სააპელაციო სასამართლოში ამავე საფუძვლით ვითხოვდით, შეწყვეტილიყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება. უზენაესმა სასამართლომ კი, საკასაციო სარჩელი განსახილველად არ მიიღო. ამჟამად ეს საქმე გადაგზავნილია სტრასბურგის სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ ერთი ქმედებისთვის ეს პიროვნება ორჯერ დაისაჯა, რაც დაუშვებელია. იმ შემთხვევაში იგი ადმინისტრაციული წესით არ უნდა დაესაჯათ.

**— სტრასბურგის სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო?**

— ეს საქმე სტრასბურგში სამი თვის წინ გადაიგზავნა, ანუ ამაზე საუბარი ჯერ მიზანშეუწონელია. წარმოებაში, სავარაუდოდ, მიიღებენ, იქიდან გამომდინარე, რომ, ფაქტობრივად, ყველა კრიტერიუმი დაცულია — ხსენებული საქმე ანონიმურად არ გაგზავნილა, არც ვადებია დარღვეული.

**— რა შედეგს ელოდებით სტრასბურგში გაგზავნილი სარჩელიდან?**

— დიდი იმედი მაქვს, სტრასბურგის სასამართლო აღიარებს, რომ ამ პიროვნების მიმართ დაირღვა უფლებები და, შესაბამისად, იმედია, სტრასბურგიდან საქართველოს სახელმწიფო გაფრთხილებას მიიღებს.

**— მარტო გაფრთხილება იქნება ამის შედეგი და გადაწყვეტილება არ გაბათილდება?**

— სტრასბურგის სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ვერ უბრძანებს ამა თუ იმ სახელმწიფოს, გაათავისუფლოს პატიმარი პასუხისმგებლობისგან; უბრალოდ, დააფიქსირებს, რომ ამ პიროვნების მიმართ ზოგადად დაირღვა ადამიანური უფლება, რადგან ერთი დანაშაულისთვის ორჯერ მისცეს პასუხისგებაში. შესაძლოა, სახელმწიფოს გარკვეული კომპენსაცია დაეკისროს მის სასარგებლოდ.

**— პიროვნების იდენტიფიკაციისგან თავს იკავებთ, მაგრამ რომელ საპყრობილეში იხდის სასჯელს?**

— ეს ინციდენტი, რომელზეც ვისაუბრე, მეხუთე საპყრობილეში მოხდა, რომლის დემონტაჟიც უკვე განხორციელდა და ახლა ეს პატიმარი პირველ საპყრობილეშია. ადამიანის უფლებების დარღვევა ყველაზე ხშირად პენიტენციარულ სისტემაში ხდება. მრავალმხრივი რეფორმების მიუხედავად, ეს პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. კიდევ ერთი ფაქტი — პატიმარს, რომელიც, ასევე, 178-ე მუხლით იყო მსჯავრდებული და 1 წელი და 7 თვე ჰქონდა დარჩენილი ვადის გასვლამდე, 378-ე მუხლით ორჯერ მიიღო დამატებითი სასჯელი: პირველად — ციხის ცნობილი ბუნტის შემდეგ 8 წელი, ხოლო მეორედ — მოგვიანებით 10 წელი. სასამართლოში ყურადღებას ვამახვილებდით იმ ფაქტზე, რომ ამ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულების მაღალჩინოსნები აღნიშნული პიროვნების მკაცრად დასჯით იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ინტერესი მომდინარეობდა იქიდან, რომ წინა პროცესზე, როდესაც მას რვა წელი დაუმატეს, მან და კიდევ ორმა პიროვნებამ ერთპიროვნულად დაასახელეს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გვარი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჩხრეკის დროს. მაშინ ბრალი დასდეს, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რომლებიც ღამის ორ საათზე, მათივე მოწმობით, სრულიად კანონიერად ატარებდნენ ჩხრეკას.

2007 წლის ოქტომბერში ამ პიროვნების წინააღმდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება, იმ მოტივით, რომ მან მეექვსე დაწესებულებაში წინააღმდეგობა გაუწია დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის უფროსს, კერძოდ, დაარტყა სახეში. ბრალდებულად ცნეს და საქმე გადაეცა გარდაბნის რაიონის სასამართლოს, რომელმაც განიხილა ეს საქმე და 378-ე მუხლის მეხუთე ნაწილით (განმეორებით წინააღმდეგობის გაწევა) ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ჩემი, როგორც ადვოკატის, მოთხოვნა იყო, სასამართლოში დაებარებინათ ის პატიმრები, რომლებიც ამ ფაქტს შეესწრნენ. თუ ისინი აღიარებდნენ, რომ მსგავს ინციდენტს ადგილი ჰქონდა, შესადავებელი არაფერი გვექნებოდა. ეს ფაქტი მოხდა თუ არა საერთოდ, ესეც საეჭვოა. იქიდან გამომდინარე, რომ პატიმრები არც დაკითხულან (დაიკითხნენ მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლები), ნიშნავს, რომ გამოძიება ჩატარდა ცალმხრივად, არაობიექტურად და არასრულყოფილად. ამის საფუძველზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს კიდევ ათი წელი სასჯელი დაემატა. გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ პატიმრობის ვადა მხოლოდ სამი თვით შეუმცირა იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში არასწორად იქნა გათვლილი ვადა. უზენაესმა სასამართლომ კი არც განიხილა ეს საქმე.

**„— ნაკაშიძე, აბა, ერთი ეგ სკამი მომაწოდე, რომელზეც ზიხარ.**

**— როგორ მოგაწოდო, როცა დაჭედებულია იატაკზე.**

**— თუ იცი, რატომ არის იატაკზე დაჭედებული?**

**— იმიტომ, რომ პატიმარმა შენისთანა გამომძიებელს თავში არ ჩაათხლიშოს“.**

**ალბათ, ყველას ახსოვს ეს ფრაგმენტი ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან“. ხელისუფლებამ კი „სკამი“ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლით დააჭედა. როგორც აღნიშნული ფაქტებიდან ჩანს, პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობისთვის შესაძლოა, სიცოცხლის დიდი ნაწილი გისოსებს მიღმა გაატაროთ.**

ზოგადად, კანონის მორჩილება ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა, მაგრამ კანონი ზოგჯერ ძალიან მკაცრია და ამ შემთხვევაშიც ცოტა მეტი ჰუმანიზმია საჭირო.

**გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ექსპერტი უშიშროების საკითხებში, იუსტიციის საბჭოს წევრი ნიკოლოზ ლალიაშვილი:**

— არსებული კანონი, რომელიც მსჯავრდებულთა სასჯელის გაზრდას ითვალისწინებს, მოუქნელი, ადამიანის უფლებების შემლახავი და დამამცირებელია; ამასთან, სამწუხაროა, რომ ეს კანონია, ხოლო საქართველოს მოქმედ ნებისმიერ კანონს ყველა ადამინმა პატივი უნდა სცეს. რას ვიზამთ, ასეა.

**— ესე იგი, თქვენი აზრით, მცირეოდენი დარღვევის შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ პატიმარს, რომელსაც 3 წლით აქვს შეფარდებული სასჯელი, იგი 15 წლამდე გაეზარდოს?**

— აბსოლუტურად მართალი ხართ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებულ კანონზე საუბარი მაინცდამაინც მართებულად არ მიმაჩნია. უმჯობესი იქნება, თუ საკანონმდებლო სისტემა სრულიად ახალ ინიციატივას შეიმუშავებს. ეს კი მოქმედი კანონის ლიბერალიზაციაში უნდა გამოიხატოს.

**ნანა ლალაძიშვილი**

---

შეათანხმოს მკურნალობის მეთოდები.

**— კონკრეტული შემთხვევის დასახელება თუ შეგიძლიათ?**

— ჯანდაცვის სამინისტროს არ აქვს ჯანდაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტი. როცა სამინისტროს ამ წინადადებით მივმართეთ, მან მიზანშეწონილად არ ჩათვალა სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დამცველის არსებობა. არადა, როცა საქმე ეხებოდა პაციენტს, რომლის მშობლებიც რელიგიური მრწამსის გამო სისხლის გადასხმის წინააღმდეგნი იყვნენ, ჯანდაცვის სამინისტროში არ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელიც ამ ფაქტზე კომენტარს მაინც გააკეთებდა. ამ უწყებაში მოქმედებს „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“, სადაც შედის საჩივრები, მაგრამ მათი მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, იდება ისეთი დასკვნები, რომლებშიც ყველაფერია (ისტორიის შევსებიდან დაწყებული, მცირე დარღვევებით დასრულებული) ექიმთა არაპროფესიონალიზმისა და სამსახურებრივი გულგრილობის გარდა. იძულებული ვართ, იმას დავჯერდეთ, რასაც გვთავაზობენ, რადგან არ გვყავს შესაბამისი ექსპერტები დამოუკიდებელი დასკვნის გამოსატანად.

ვერ გეტყვით, რამდენად მიუკერძოებლად მუშაობენ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტები კონკრეტული სამედიცინო შეცდომების შესწავლის დროს. იყო შემთხვევა, როცა პაციენტი ავტოკატასტროფაში დაშავდა. მას რამდენიმე ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, რომლის დროსაც ის დაიღუპა. მშობლების საჩივრის საფუძველზე საქმე სააგენტომ შეისწავლა, რომლის დასკვნასაც არ დავეთანხმეთ, არაპროფესიონალიზმი და გულგრილი დამოკიდებულება პაციენტისადმი აშკარა იყო, მაგრამ მათ დასკვნაში არ ჩანდა.

**— ქალბატონო მირანდა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს „პსპ“-ს და „ავერსის“ მიერ ფარმაცევტული ბაზრის ერთგვარი მონოპოლიზაცია, რომლებიც, ასევე, ფლობენ კლინიკებს. იქნებ ამ საკითხსაც შევეხოთ...**

— დღეს რაც ფარმაცევტულ ბაზარზე ხდება, მოსახლეობისთვის ესეც სერიოზული პრობლემაა. საქართველოში არ არსებობს სარეცეპტო სისტემა, შესაბამისად, მოსახლეობა ეწევა თვითმკურნალობას. ამ შემთხვევაში რჩევას აძლევენ თვითონ აფთიაქები, რომლებიც, როგორც წესი, საკუთარი პროდუქციის გასაღებაზეა ორიენტირებული. თვითმკურნალობას არ მოსდევს შედეგი, პაციენტი იძულებული ხდება, განმეორებითი მკურნალობა ჩაიტაროს, რაც ზრდის დანახარჯს. სარეცეპტო სისტემის არარსებობა, გარდა დანახარჯის ზრდისა, საშიშროებას უქმნის პაციენტთა ჯანმრთელობას (მაგ., ანტიბიოტიკების შემთხვევაში).

**— ექიმები ხშირად შეკრულნი არიან ფარმაცევტულ კომპანიებთან. იმ ექიმებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ წამალს გააყიდვინებენ, თამაშდება საგზურები; ასაჩუქრებენ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკით და ა.შ., ანუ ექიმი ხშირად პაციენტის ინტერესზე მაღლა კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის ინტერესს აყენებს...**

— ამის შესახებ პირად საუბრებში ბევრი მსმენია, მაგრამ კონკრეტული საჩივრით არავის მოუმართავს. ეს კორუფციაა და თუ ერთი ფაქტიც კი ჩვენამდე არ მოვიდა, ისე ვერაფერს გეტყვით — ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. დაბოლოს, მინდა, ისევ ჯანდაცვის რეფორმის საკითხს დავუბრუნდე, რადგან რეფორმები ძირითადად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს; არ არსებობს ჯანსაღი დისკუსია აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, პროცესი არ არის გამჭვირვალე და, აქედან გამომდინარე, ეჭვს ბადებს რეფორმის ბევრი დეტალი.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გელა ნიკოლეიშვილი:

# პატიმრებს უკვე ციხის ეზოში

**საქართველოში ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ნორმების სხვა უხეში დარღვევების შესახებ ვესაუბრებით ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილს.**



**— ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობას ძირითადად 3 კომპონენტით განსაზღვრავენ: თავისუფალი მედია, თავისუფალი სასამართლო და ადამიანის უფლებების დაცვა. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ამ კუთხით არათუ კარგად, ძალიან ცუდადაა საქმე, მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად გვესაუბრა ყოველივეზე...**

— დავიწყოთ თავისუფალი სასამართლოთი... ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ „თავისუფალი სასამართლო", როგორც ასეთი, საქართველოში არ არსებობს! მეტიც, 2003 წლის 23 ნოემბრიდან, ანუ იქიდან მოყოლებული, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა სათავეში, სასამართლო სისტემაში შექმნილი ვითარება წინა წლებთან შედარებით უპრეცედენტოა იმ გაგებით, რომ ე.წ. რეფორმების შემდგომი ვითარება უფრო და უფრო მძიმდება და დღეს ამ ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა მოსამართლე იმ ნიშნით ინიშნება, რომ უსიტყვოდ შეასრულოს მხოლოდ პროკურატურის ნებისმიერი მოთხოვნა! მეტიც, დღეს ამ მოსამართლეებს უკვე აღარც კი სჭირდებათ ზედა ეშელონებიდან დარეკვა და რაიმეს განმარტება; მათ შესანიშნავად იციან, რა მოეწონება ამ ხელისუფლებას და მოქმედებენ ისე, როგორც ამას თვითონ თვლიან საჭიროდ. საზოგადოებას კარგად ახსოვს ე. წ. სასამართლო რეფორმების წინააღმდეგ ამბოხებულ მოსამართლეთა ჯგუფი, რომლებსაც კოტე კუბლაშვილი მკაცრად სთხოვდა, თვალი დაეხუჭათ გარკვეულ მტკიცებულებებსა და ბრალდებებზე, უსიტყვოდ შეესრულებინათ პროკურატურის ნებისმიერი ბრძანება! როცა ამ ადამიანებმა ეს მოთხოვნები არ შეასრულეს, ისინი სამსახურებიდან გაათავისუფლეს, მათ ადგილებზე კი ის 28-30 წლის ახალგაზრდები დანიშნეს, რომლებიც მანამდე თანაშემწეები ან, უბრალოდ, პრაქტიკანტები იყვნენ. არადა, მათ ეს ადგილები და მოსამართლის მანტია არც გამოცდილების, არც კვალიფიკაციის და არც პროფესიონალიზმის გამო არ ეკუთვნოდათ, სამაგიეროდ, კარგად იციან, რომ მოსამართლის მანტია, კომფორტული პირობები — მანქანები, აგარაკები, 2500 ლარიდან 8 ათას ლარამდე ხელფასი და ასე შემდეგ — უსიტყვო მორჩილებისათვის უბოძეს! არადა, უცხოეთში ქვეყნის ხელისუფალნი მოსამართლეებს როცა მაღალ ხელფასებს აძლევენ და კომფორტულ პირობებში აცხოვრებენ, პირდაპირ მოუწოდებენ: **აი, თქვენ ყველა სიკეთე, ოღონდაც ემსახურეთ სიმართლეს და კანონის უზენაესობას!** ჩვენთან პირიქითაა — აძლევენ ყველაფერს, თან ეუბნებიან: **ეს ყველაფერი შეგინარჩუნდებათ, თუკი იქნებით მორჩილებიო!** აქედან გამომდინარე, დღეს სამართლიან სასამართლოზე და იმაზე ლაპარაკი, რომ მოქალაქეს რაიმე ფორმით შეუძლია, გამარჯვება მოიპოვოს ხელისუფლებაზე, გა-მო-რი-ცხუ-ლია!!! მეტსაც გეტყვით: მოსამართლეებმაც მშვენივრად იციან, რომ, ვთქვათ, ნარკოტიკი „ჩადებულია" ხოლმე და ამის მტკიცებულებებიც არსებობს, მაგრამ შეუძლებელია, მოსამართლემ დაცვის მხარის მოთხოვნები გაითვალისწინოს და ხელისუფლების ინტერესი მიჩქმალოს! ამის დასტურად მე ერთ მაგალითს მოვიყვან: დღეს დაპატიმრებულ კობა კობალაძეს, რომელსაც ბრალად ედება სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში მონაწილეობა, „უმტკიცებენ", რომ იგი თითქოს იყო მცხეთაში, რესტორან „არაგვში" ვინმე გია ღვალაძესა და სხვა პირებთან ერთად და გადატრიალების შესახებ ისაუბრეს. გია ღვალაძის გარდა ამას არავინ ადასტურებს, რადგან დასახელებულ პირებს შევხვდით და ვესაუბრეთ, მეტიც, რესტორნის მომსახურე პერსონალიც გამოვკითხეთ. ჩვენ მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ კობა კობალაძე იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა თბილისში და ამის ალიბიც არსებობს! ამის შემდეგ გამოძიებამ ათქმევინა ცრუ მოწმე ღვალაძეს, რომ კობა კობალაძესთან შეხვედრა 25-26-27 მარტს შორის პერიოდში კი არა, აპრილში შედგა, ოღონდ არ ახსოვს, რომელ აპრილს... ეს ყველაფერი იქით მიდის, რომ ცრუ მოწმე ღვალაძის ჩვენებას ხელისუფლების მორჩილი მოსამართლე ხვალ და ზეგ მტკიცებულებად მიიჩნევს დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ უტყუარ მტკიცებულებათა და ალიბის სანაცვლოდ, რითაც კიდევ ერთხელ პირნათლად შეასრულებს ხელისუფლების დაკვეთას და ამ გზით საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნებასაც შეძლებს! ხელისუფლება და სასამართლო ასე ამიტომ მოქმედებენ, რომ საზოგადოება ჰყავდეთ მუდმივად დაშინებული! სრულიად ამაზრზენია ისიც, რომ მათ მიერ დაპატიმრებულ, ხოლო შემდეგ განთავისუფლებულ პირებზე ისევ შიშისა და ძალდატანების პრინციპით მოქმედებენ, ანუ მათ თავისუფლების სანაცვლოდ 500-600 საარჩევნო ხმის „მოგროვებას" აიძულებდნენ. ყველას კარგად გვახსოვს საარჩევნო უბნებთან „მოძველბიჭო", ნარკომანი ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, თავიანთ უბნელებზე გავლენა მოეხდინათ და ამით „ძმებს", ანუ ხელისუფლებას „დახმარებოდნენ".

**— ეგ ყველაფერი მართლაც ახსოვს საზოგადოებას, მაგრამ საპყრობილეებში ხომ იმ კატეგორიის პატიმრებიც არიან, რომლებიც არათუ ეხმარებიან, პირიქით — თავისი სტატუსით დიდ დისკომფორტსაც უქმნიან ამ ხელისუფლებას. მათ რაოდენობასაც თუ გავითვალისწინებთ, „დემოკრატიის შუქურად" მონათლულ სააკაშვილის რეჟიმს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, ვგულისხმობ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანების რაოდენობას...**

**საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება ფასადურ დემოკრატიას აშენებს, რომელიც მხოლოდ უცხოეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდება, პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით კი არაფერი კეთდება!**



— პოლიტპატიმრის საერთაშორისო დეფინიცია „ემნისტ ინტერნეიშნლის" მიხედვით ადრე ასეთი იყო: პოლიტიკური არის ყველა ის, ვინც პოლიტიკური მოტივებით არის დაპატიმრებული ან, თუნდაც, პოლიტიკური მოტივებით აქვს ჩადენილი დანაშაულიც კი! ეს ორგანიზაცია სინდისის პატიმრების დეფინიციასაც განსაზღვრავდა და ამბობდა, რომ: სინდისის პატიმარი მხოლოდ თავისი რწმენის გამოა დაპატიმრებული, მხოლოდ თავისი სიტყვის გამო და არანაირ სხვა კონკრეტულ დანაშაულთან არ აქვს შეხება! როდესაც ირაკლი ბათიაშვილი ციხეში იჯდა და ჩემი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, მე „ემნისტ ინტერნეიშნლთან" აქტიურ მიმოწერას ვაწარმოებდი, მაგრამ ბოლოს მათ მაინც ვერ გარისკეს ღიად იმის თქმა, რომ ბათიაშვილი პოლიტპატიმარი იყო და ეს ასე ახსნეს: „ემნისტ ინტერნეიშნლს" დღესდღეობით აღარ აქვს პრიორიტეტად პოლიტპატიმრების სტატუსი და მათი მუშაობა უფრო ფართო ინტერესებით და ფართო სპექტრით შემოიფარგლება. მაგალითად: სოციალური საკითხები, ნარკოტიკები, ბავშვთა, ქალთა უფლებები და ა.შ. აქედან გამომდინარე კი, პოლიტპატიმართა თემა მათ საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ თემად კი არ განიხილება, არამედ ერთ-ერთ თემად და ამჟამად ამ დეფინიციაზე მუშაობა შეჩერებულიაო! მაგრამ არსებობს არანაკლებ პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ცენტრი პარიზში მდებარეობს და რომლის წარმომადგენლებიც თებერვალში საქართველოშიც იყვნენ ჩამოსულები. მათ აქ საფუძვლიანად შეისწავლეს კონკრეტულ პოლიტპატიმართა საქმეები, 8 საქმე წაიღეს კიდეც...

**— თუ საიდუმლო არ არის, ვისი „საქმეები" წაიღეს?**

— იგორ გიორგაძის მომხრეების: მაია თოფურიას, თემურ ჟორჟოლიანის, რამაზ სამნიძის, კახა ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილის, ზაზა დავითაიას, გიორგი მეტრეველის, გიორგი ახობაძის, ვახტანგ ტალახაძის, რევაზ ბულიას და კოკა კვინიკაძის, ნორა კვიციანის, დემურ ანთიას, მერაბ რატიშვილის, შალვა რამიშვილისა და ჯიქიას საქმეები. 6 თვის განმავლობაში მათი საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ სულ რამდენიმე დღის წინათ ისინი პოლიტპატიმრებად აღიარა. მეტიც, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მოხსენებაში უკვე ფიგურირებს ზემოთ ჩამოთვლილ პატიმართა გვარები! თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვები, ვინც პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, მათი ყურადღების მიღმა დარჩნენ; უბრალოდ, ამ ეტაპზე ეს 8 საქმეა შესწავლილი და შესაბამისი დასკვნაც 2-3 დღის წინათ გამოქვეყნდა!

**— კეთილი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დასკვნის შემდეგ ეს ადამიანები პატიმრობიდან გათავისუფლდებიან?**

— ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ აზერბაიჯანის 350 პოლიტპატიმრის საქმეებიც შეისწავლა; შემდეგ თხოვნით მიმართა ევროპის საბჭოს და სპეციალური მომხსენებელიც კი დაანიშვნინა. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამის შემდეგ აზერბაიჯანში თითქმის ყველა პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს. დღეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციას დღის წესრიგში აქვს ევროსაბჭოში ასეთივე სპეციალური მომხსენებლის დანიშვნის საკითხი და ითხოვენ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მომხსენებელს თითოეული პოლიტპატიმრის საქმის დამოუკიდებლად შესწავლის საშუალება მისცეს.

**— რამდენად მოსალოდნელია, რომ ევროსაბჭოს სპეციალურ მომხსენებელს ჩვენთან ამის საშუალებას მისცემენ?**

— ეს მოსალოდნელია, რადგანაც მათი მიზანი სწორედ ესაა! ჩვენ იმედიანად ველით, რომ საქართველოშიც ასე მოხდება და, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება პოლიტპატიმრების გათავისუფლებას დათანხმდება! საერთოდ, როდესაც არადემოკრატიული მმართველობაა ქვეყანაში, იქ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანების სამართლებრივი დეფინიცია კანონში არ არის განსაზღვრული. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა პერიოდის რეჟიმი, როდესაც წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით დაპატიმრებულებს ასამართლებდნენ, თუნდაც, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, ხულიგნობისთვის და ა.შ. მერაბ კოსტავას, როდესაც იგი ციმბირში იყო და ხულიგნობისთვის 3-წლიან სასჯელს იხდიდა, 5 წელი იმიტომ დაუმატეს, რომ ვიღაც მიგზავნილმა ქალმა ტანზე ტანსაცმელი შემოიხია და იძახდა: ეს კაცი გაუპატიურებას მიპირებდაო. ასე რომ, ეს ძველი, საბჭოთა მეთოდებია, როცა არასასურველ ადამიანებს პროვოკაციას უწყობდნენ და ასამართლებდნენ! დღესაც ანალოგიური ვითარებაა, არასასურველი ადამიანების მიმართ აქტიურად იყენებენ იარაღს და ნარკოტიკს (ჩასადებად)! ამ ბოლო დროს კი, ასევე, აქტიურად დაიწყეს „პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის" მუხლით გასამართლებები, სადაც მოწმეებად ისევ 3-4-5 პოლიციელი მოჰყავთ, რომლებიც „უდასტურებენ" სასამართლოს: „კი, წინააღმდეგობა გაგვიწიაო" და მორჩა, უკვე „დამტკიცებული" აქვთ ყველაფერი! მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში უკვე 20000 პატიმარზე მეტია, ხელისუფლება საზოგადოების დაშინების მიზნით ყოველდღიურად ზრდის მათ რიცხვს. ქვეყანაში ასი ათასი ადამიანიდან 100-150 პატიმარი დასაშვებ ნორმად ითვლება; ევროპის ქვეყნებში უფრო ნაკლები — 50-60 პატიმარი, მაგრამ საშუალო საერთაშორისო ნორმად მაინც 100 პატიმარია აღიარებული. ადრე ჩვენთანაც ასე იყო — 100-120 პატიმარი მოდიოდა 100000 კაცზე, მაგრამ ამ ხელისუფლების ხელში უკვე ეს რიცხვი 400-ს მიუახლოვდა. ეს კატასტროფის ტოლფასია! მე უფრო მეტსაც გეტყვით: დღეს პროცენტულად ლიდერი ქვეყნები არიან რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი, სადაც პატიმრების თანაფარდობა 600-დან 700 კაცამდეა, ხოლო ჩვენთან, ასეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში 400-ია. ახლა მკითხველმა განსაჯოს (მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე), რასთან გვაქვს საქმე!

**— თქვენ, როგორც ადვოკატს, ინტენსიურად გიხდებათ საპყრობილეებში შესვლა და, იქნებ, იმაზეც გვესაუბროთ, რამდენად დაცულია პატიმართა ღირსების, ჰიგიენის, მკურნალობის და ა.შ. საკითხები და, კიდევ, რა მდგომარეობაა პატიმართა წამების კუთხით?**

— მასობრივი წამების კონკრეტული მაგალითები არ არის, მაგრამ,

**როცა საკანში 5 ან 10 პატიმარი ზის და, ვთქვათ, ერთმანეთთან შეკამათება მოუხდათ, თუ ზედამხედველს მოესურვება, რამდენიმე ზედამხედველთან ერთად ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განურჩევლად სცემენ ყველას.**

ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს წამებას, მაგრამ არსებობს წამების ისეთი ფორმებიც, როგორიც პატიმრის კარცერში მოთავსებაა! მოგეხსენებათ, იქ პატიმარს არ მიეწოდება საკვები, ჰიგიენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, არ დგას საწოლი და ა.შ. ასე რომ, ესეც წამების ერთგვარი ფორმაა!

საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება ფასადურ დემოკრატიას აშენებს, რომელიც მხოლოდ უცხოეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდება, პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით კი არაფერი კეთდება! ახლა პატიმრების ვითომ შვებულებაში გაშვების კანონი რომ მიიღეს, იმაზე ვისაუბროთ: რეალურად თუკი ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, ირკვევა, რომ ეს თითქმის გამორიცხულია და მოგახსენებთ, რატომ: შვებულებით, ამ კანონის მიხედვით, თურმე მხოლოდ ის პატიმრები ისარგებლებენ, რომლებსაც სასჯელის გარკვეული ნაწილი უკვე მოხდილი აქვთ. კანონით ისინი ვადამდე პირობით გათავისუფლებას იმსახურებენ, ამდენად, გაუგებარია, რა შუაშია შვებულება? ანუ „შაშკინის შარაშკინა კანტორაც", ისევე, როგორც ეს ხელისუფლება მთლიანად, წმინდა ფასადური ცვლილებებითაა დაკავებული და კვლავაც ჩვენი საზოგადოების და მსოფლიოს „თვალებში ნაცრის შეყრის" პოლიტიკას განაგრძობს! სრულიად წარმოუდგენელია ე. წ. საპროცესო გარიგების ინსტიტუტიც, რადგან, თუკი

# გაშლილ კარვებშიც კი სძინავთ

ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა დაშვებულია და მხოლოდ ჰუმანური ან სიმართლის უკეთ დადგენის მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, ჩვენთან იგი ბიუჯეტის შევსების წყაროდ არის ქცეული, რაც ჯარიმაში ისეთი კატასტროფული ციფრებით არის გამოხატული, მის გადახდას ბევრი ვერ შეძლებს, ანუ აქ საქმე გვაქვს თავისუფლების ყიდვასთან! თუ ფული გაქვს, გათავისუფლდები, თუ არა და — დარჩები ციხეში! მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ გაცილებით დიდი დამნაშავეები ფულის გადახდის შემთხვევაში თავისუფლდებიან, ხოლო შედარებით ნაკლები დანაშაულის ჩამდენები, რომლებმაც ვერ გადაიხადეს „დაწესებული" თანხა, კვლავ პატიმრობაში რჩებიან! მართალია, დღეს ახალი საპატიმროების აშენებამ ერთ საწოლზე 20-25 პატიმრის არსებობა მოსპო და ახლა ყველას თავისი „ნარი" აქვს, მაგრამ სამაგიეროდ პატიმრების მიმართ სიმკაცრემ და სისასტიკემ ერთი ათად მოიმატა. ბევრი პატიმარი იმასაც ამბობს: ის პირობები (ცუდი ჰიგიენა, ცუდი საკვები და ა.შ.) გვერჩივნა ამ დამამცირებელ, საკონცენტრაციო ბანაკების მსგავს სასტიკ მოპყრობას". არადა, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, პატიმარს მხოლოდ გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეს შეზღუდული, თორემ ღირსების შელახვასა და წამებაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

**— რასაც ბრძანებთ, ეს ყველაფერი ბევრჯერ მსმენია, თუნდაც უკვე გათავისუფლებული ადამიანებისაგან, მაგრამ ძალიან მაინტერესებს მეც და, ალბათ, მკითხველსაც, ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები რატომ უწოდებენ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას „დემოკრატიის შუქურას"?**

— თქვენ თუ ჯო ბაიდენის სიტყვებს გულისხმობთ, მე ასე არ გამიგია ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის განმარტება. მან, ჩვეულებრივ, დიპლომატიაში დამკვიდრებული ტექსტით თქვა, რომ: რევოლუციის მიზნები მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუკი გექნებათ დამოუკიდებელი სასამართლო, დაბალანსებული ხელისუფლება, თავისუფალი მედია, ქუჩიდან პარლამენტში გადმოინაცვლებს პროცესები და ა.შ., ანუ მან მინიშნებით თქვა, რომ თქვენთან ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ არსებობს და კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს უზრუნველყოფთო!

მე არ მჯერა, რომ სააკაშვილის არადემოკრატიული ხელისუფლება ამას ოდესმე შეძლებს და დემოკრატიული მართვის ორიენტირს აიღებს! არც ის მჯერა, რომ ოდესმე დემოკრატიული გახდება, რადგან თავისი ბუნებით იგი მხოლოდ ფასადურ დემოკრატიას „აშენებს" და, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, გარკვეულ ეტაპზე თვალებში „ნაცრის შეყრის" პოლიტიკით ბევრს დააჯერა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში „ერთადერთი და განუმეორებელი დემოკრატია"!

**— ბატონო გელა, არანაკლებ საგანგაშოდ მეჩვენება საპყრობილეებში მძიმედ დაავადებული ადამიანების რიცხობრივი რაოდენობაც, რომელთა გამოჯანმრთელებაზე, არ მგონია, ვინმე ზრუნავდეს. ჭლექით, შიდსით და სხვადასხვა ავადმყოფობით დასნეულებული ადამიანები ხვალ ჩვენი საზოგადოების ინტეგრირებული წევრები როგორ გახდებიან, თუკი დღეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ იზრუნებს?**

— გეთანხმებით, ამ კუთხით უმძიმესი ვითარებაა! ჩვენ ვისაუბრეთ ახალაშენებულ ციხეებზე და იქ შექმნილ ასე თუ ისე უკეთეს პირობებზე, მაგრამ არ გვისაუბრია ძველ საპყრობილეებზე, სადაც კვლავ გაუსაძლისი მდგომარეობაა. მაგ.: რუსთავის მეორე ზონა 2700 კაცზეა გათვლილი, მაგრამ ამჟამად იქ 3300-3600 პატიმარია! მორიგეობით ძილს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება არც კი დამიჯერონ, რომ პატიმრებს უკვე ციხის ეზოში გაშლილ კარვებშიც კი სძინავთ! ზაფხულში ეს თითქოს კარგიცაა, მაგრამ წარმოგიდგენიათ, ზამთარში რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან? იგივე მდგომარეობაა ქსნის, რუსთავის პირველ საპატიმროებშიც და სხვაგანაც, სადაც მიღებაზე უარს ვერ ამბობენ და ასე თევზებივით „ერთმანეთზე დალაგებული" პატიმრების ზედამხედველობა უწევთ. უჰაერობა, ნესტი, სიბინძურე და ა.შ. რა თქმა უნდა, პატიმრის ჯანმრთელობაზე აისახება და ამიტომაცაა უამრავი პატიმარი ჭლექითა და გულის უკმარისობის დაავადებებით დასნეულებული! „რეზბალნიცა", მართალია, შედარებით ახალი აპარატურითაა აღჭურვილი და საერთო მდგომარეობაც რაღაც სტანდარტებს პასუხობს, მაგრამ პატიმართა დიდი კონტინგენტის იქ მოთავსება წარმოუდგენელია ადგილების სიმცირის გამო. არის შემთხვევები, როცა პატიმარი ექვემდებარება იქ გადაყვანას, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო პატიმრები საკნებში იღუპებიან!

### შარშან სიკვდილიანობამ ას კაცს მიაღწია. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, 90-იანი წლების შემდეგ ასეთი მაჩვენებელი საქართველოში საერთოდ არ ყოფილა!

მარტში ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმით გარდაიცვალა 17-18 წლის პატიმარი ნიკო მახარაძე, რომლის ადვოკატს ზაზა ხატიაშვილს სტრასბურგში ჰქონდა გასაჩივრებული მისი სასწრაფოდ ქალაქის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი. იმის მიუხედავად, რომ სტრასბურგის მიერ სასწრაფოდ დაკმაყოფილდა კიდეც, ნიკო მახარაძე არსადაც არ გადაიყვანეს და ციხეში გარდაიცვალა! ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია და ფატალური შემთხვევებიც ამის გამოა მომრავლებული! ნებისმიერ პატიმარს დღეში ერთხელ ერთი საათით სასეირნოდ გაყვანა ეკუთვნის, მაგრამ ჩვენს ციხეებში კვირაში ერთხელ ხდება გასეირნება და ისიც 15-20 წუთით!



**საერთაშორისო ნორმების მიხედვით, პატიმარს მხოლოდ გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეს შეზღუდული, თორემ ღირსების შელახვასა და წამებაზე ლაპარაკიც ზედმეტია!**

**— ბატონო გელა, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების რიცხვი დღითიდღე კატასტროფულად იზრდება, მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი პატიმრები, რომლებიც თავის დროზე მავანთა პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოხვდნენ ციხეებში და მათი საქმეები გადასინჯვას (რატომღაც) აღარ ექვემდებარება?**

— დიახ, არსებობს ასეთი შემთხვევები... ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პატიმარი, ფოთის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის მარლენ სმაგინის საქმე, რომლის დროსაც ქურდობის ფაქტზე დააკავეს მოქალაქე თემურ მიქია, რომელმაც აღიარების შემდეგ გაქცევა სცადა, რკინის გისოსს დაეცა და გარდაიცვალა, თუმცა გარდაცვალებამდე იქ ნახა მამაც და სხვა პირებიც, იყვნენ მოწმეებიც, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ პატიმარი არავის გადმოუგდია, რომ მარლენ სმაგინი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა და ა.შ., მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ სხვა პოლიციელებთან ერთად გულგრილობისთვის მაინც გაასამართლა, მაგრამ, როდესაც მარლენ სმაგინმა მისჯილი 3 წელი მოიხადა, მას გათავისუფლებამდე 2-3 დღით ადრე ახალი ბრალდება წაუყენეს: თითქოს მან გააკეთა ორგანიზება დაპატიმრებულის საწამებლად თუ რაღაც ამგვარი. ქართული სასამართლოს არსებობის ისტორიაში მარლენ სმაგინის საქმე უპრეცედენტო კურიოზია. იგი ხელმეორედ გაასამართლეს იმავე საქმეზე და 13 წელი მიუსაჯეს!

**— სმაგინის საქმეში ჩახედული ადამიანები, როგორებიც არიან — ელენე თევდორაძე, თინათინ ხიდაშელი, ნაზი არონია, ახალგაზრდა იურისტები და ა.შ., აცხადებენ, რომ მათთვისაც წარმოუდგენელი იყო მეორე სასჯელი, მაგრამ საქმეში უფრო ღრმად ჩახედული ადამიანები სმაგინის ხანგრძლივი პატიმრობის მიზეზებს ხელისუფლების უმაღლეს იერარქიებში უფრო ხედავენ...**

— თქვენ გახსოვთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართული სხდომა, სადაც მოსამართლემ უბრალოდ მოისმინა დაცვის მხარის მტკიცებულებები, მაგრამ არც ერთი ჩვენ მიერ წაყენებული შუამდგომლობა არ გაითვალისწინა. გახსოვთ ისიც, ტელეფონით როგორ ესაუბრებოდნენ ვიღაცებს, გახსოვთ, რომ უცხოელებიც აღშფოთდნენ ამ ფაქტის გამო, მაგრამ ისიც ხომ ნახეთ, რომ მაინც ვიღაცის დაკვეთა შეასრულეს და 65 წლის ადამიანი კიდევ 13 წლით გამოკეტეს ციხეში?

**— დღეს პოლიტიკური ნიშნით დაკავებულების რიცხვი რამდენია?**

— „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას ჩვენ მოგაწვდით ამ სიას და, თუ საშუალება გექნებათ, გამოაქვეყნეთ!

**— ჯო ბაიდენს ლევან გაჩეჩილაძემ პოლიტპატიმართა რამდენკაციანი სია გადასცა, თუ იცით?**

— მე მგონი, 28-კაციანი სია იყო, თუმცა შეიძლება მან იქ ჩაამატა სხვა პიროვნებებიც, რომლებიც 9 აპრილის აქციების შემდეგ დააპატიმრეს... მე ლევანთან არ მაქვს ისეთი ახლო ურთიერთობა, რომ მეკითხა, რა სიის გადაცემას აპირებდა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისთვის... საერთოდ კი, ჩვენ და რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას ინტერნეტ-საიტებზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების 160-კაციანი სია გვაქვს გამოქვეყნებული!

ესაუბრა
**ირინა გოგოლაშვილი**

**P.S. შესაძლოა, ჩვენი ოპერის მომღერლების არიებისა თუ ამერიკის ჰიმნის უბადლო შესრულებით იყო გაბრუებული და კმაყოფილი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, როცა ქართული დემოკრატიისა და „ვარდისებრი რევოლუციის" გაგრძელება-დამთავრებაზე აგრერიგად რიხით საუბრობდა ქართულ პარლამენტში! რა თქმა უნდა, ახალი „რაიხსტაგიდანაც" არ ჩანდა საქართველოში პატიმართა რაოდენობა, მათი გაუსაძლისი პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და, საერთოდ, ამ სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ დავიჯეროთ, ბატონმა ბაიდენმა ეს ყველაფერი ყურმოკვრით მაინც არ იცოდა? ან პირიმზისა ეკა ზღულაძეს პირისპირ როცა ეჯდა, ნუთუ ერთხელ მაინც არ იკითხა, სინამდვილეში რა ხდებოდა ეკასა და ვანოს ჯურღმულებში? ნუთუ არც ის იცოდა, სააკაშვილისეული დემოკრატია როგორი საშიში და სახიფათოა მსოფლიოსათვის და თანაც მაშინ, როცა ეს ხელისუფალი „თავის მატორზე ვერ არის"? საინტერესოა ისიც, ამერიკელი და ევროპელი ხალხები ასეთ მმართველს როგორ ეკონტაქტებოდნენ და ძალიან მალე როგორ პოლიტიკურ ვერდიქტს გამოუტანდნენ?**

## 2009 წლის 17 ივლისის მონაცემებით, საქართველოში პოლიტპატიმრების და პოლიტიკური ნიშნით დევნილების ნაწილობრივი სია

1. ვახანია ვლადიმერ; 2. ნარსია ვახტანგ; 3. ავალიანი ზურაბ; 4. გოგრაჭაძე დავით; 5. კობალაძე კობა; 6. ობოლაძე ბესიკ; 7. აბულაძე გიორგი; 8. კამკამიძე ტარიელ; 9. კაპანაძე კონსტანტინე; 10. ლოლიაშვილი ლევან; 11. კაპანაძე დავით; 12. მალიძე ნიკოლოზ; 13. გოგინაშვილი შალვა; 14. წიკლაური გოჩა; 15. ოვაშვილი დავით; 16. შუბითიძე დავით; 17. წერეთელი მამუკა ;18. ტაბატაძე კახა; 19. ქედელიძე ნოდარ; 20. ცინცაძე მამუკა; 21. ჩხაიძე დავით; 22. მიქელაძე დაზმირ; 23. გრძელიშვილი ვალერიან; 24. გუდაძე ზაალ; 25. ტლაშაძე თამაზ; 26. გაბუნია მიხეილ; 27. შალიკიანი ზურაბ; 28. ქებურია იოსებ; 29. ქაშიაშვილი მამუკა; 30. კაკაშვილი რომან; 31. ცომაია მერაბ; 32. შარაშენიძე ავთანდილ; 33. გოგატიშვილი ნუგზარ; 34. თედორაძე გოჩა; 35. რამიშვილი ლევან; 36. ჯობავა ედიშერ; 37. ყაველაშვილი ოთარ; 38. ჩხვიმიანი მამუკა; 39. ალხაზიშვილი გიორგი; 40. პავლიაშვილი რამაზ; 41. ჩხარტიშვილი თორნიკე; 42. შენგელია მამუკა; 43. კობერიძე მიხეილ; 44. მაისაია ვახტანგ; 45. ბიბილეიშვილი ნიკოლოზ; 46. მიქაძე ზურაბ; 47. მურჯიკნელი ზაზა; 48. ხუცურაული ვაჟა; 49. თოფურიძე ირაკლი; 50. გრიგალაშვილი ბექა; 51. ოთანაძე კობა; 52. ამირიძე ლევან; 53.მელიქიძე თეიმურაზ; 54. ბატკუაშვილი ირაკლი; 55. კობაიძე კახა; 57.ოთანაძე ნუგზარ; 58. ოთანაძე ჯიმშერ; 59. ოთანაძე გიორგი; 60. დარიძე გულიკო; 61. ქვარაია მერაბ; 62. რამიშვილი შალვა; 63. რამაზაშვილი ლუკა; 64. ქადაგიშვილი ამირან; 65. კვიციანი ნორა; 66. თოფურია მაია; 67. ტალახაძე ვახტანგ; 68. ჟორჟოლიანი თეიმურაზ; 69. დავითაია ზაზა; 70. ბულია რევაზ; 71. მეტრეველი გიორგი; 72. ქანთარია კახაბერ; 73. კვინიკაძე იაკობ (კოკა); 74. სამნიძე რამაზ; 75. ახობაძე გიორგი; 77. გალდავა ვარლამ; 78. ჯიქია ჯონი; 79. ამირანაშვილი გიორგი; 80. რატიშვილი მერაბ; 81. ნადირაძე მარლენ; 82. წურწუმია ილია; 83. კლდიაშვილი რევაზ; 84. ანთია დემურ; 85. დავითაძე ბეჟან; 86. წურიაშვილი სიმონ; 87. ბაკურია ცოტნე; 88. ქადაგიშვილი გიორგი; 89. არჩუაძე გენადი (გელა); 90. გიორგობიანი ბიძინა; 91.ხალვაში ქიბარ; 92. ქარელი მიხეილ; 93. ოქრუაშვილი ირაკლი; 94. ჩიხლაძე იასონ; 95. ნასყიდაშვილი გელა; 96. ხალვაში ნიაზ; 97. გელბახიანი ვალერი; 98. შალიკიანი; ბონდო; 99. ქადაგიშვილი არჩილ; 100. ქადაგიშვილი ნანა; 101. მილორავა რატი; 102. ბენიძე არჩილ; 103. კვეზერელი ნიკა; 104. ონიანი გიორგი; 105. რევაზიშვილი რევაზ; 106. ვაჩნაძე მელორ; 107. ბრეგვაძე ზაზა; 108. ხიჯაკაძე როინ; 109. ქათამაძე მერაბ; 110. ჯანდიერი იოსებ; 111. ტატიშვილი დავით; 112. ქუცნაშვილი ომარ; 113. გოგიჩაიშვილი ლევან.

**დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობდნენ:**
**ბექაური ქეთი**, იურისტი
**კაკაბაძე ნანა**, „ყოფილი პოლიტპატიმრები"
**კორკოტაძე ნათია**, იურისტი
**ლოლაძე მიხეილ**, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
**მანაგაძე დავით**, ადამიანის უფლებათა ცენტრი
**ნანუაშვილი უჩა**, ადამიანის უფლებათა ცენტრი
**ნიკოლაიშვილი გელა**, „ყოფილი პოლიტპატიმრები"
**სტურუა მიტო**, იურისტი
**შოშიკელაშვილი ალექსი**, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
**ჩხარტიშვილი ლაშა**, თანასწორობის ინსტიტუტი
**ჭკადუა ირმა**, იურისტი
**ხიდაშელი თამარ**, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
**საკონტაქტო პირი:**
**კანდელაკი ქეთი, ტელ: 22 61 23, 8.99 20 37 44**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 8 ფაქტი, რომელთა გამოც ლალი აფციაური უჩივის მიშას მიერ «შაშურკინად» ქცეულ შაშკინს

**დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში სასჯელაღსრულების 17 დაწესებულება ფუნქციონირებს.**
**ვითარება ყველგან მეტ-ნაკლებად გაუსაძლისია.**
**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრა საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, პატიმრების უფლებათა დამცველს ლალი აფციაურს.**
**მისი თხოვნით, რედაქცია პატიმართა ვინაობას არ ასახელებს და მხოლოდ ინიციალებს შემოგთავაზებთ.**



**— ქალბატონო ლალი, დარღვეულია თუ არა საკნებში პატიმრების რაოდენობის ლიმიტი და რა პრობლემებია ამჟამად ციხეებში?**

— ვარდყვავილოვანი რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ხალხის დაჭერისა და დაკავების მეტი არაფერი გაუკეთებია. დღეში 50-60-მდე კაცს იჭერდნენ და მათგან რამდენიმეს უშვებდნენ. დღეს ციხეების მშენებლობის ბუმია. რუსთავის პირველ კოლონიაში შენდება კორპუსები, მე-6 საპყრობილის ტერიტორიაზე — ახალი ციხე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პატიმრების რაოდენობა კლების ნაცვლად იმატებს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტრო მიზანმიმართულად აყალბებს სტატისტიკას, თითქოს ქვეყანაში 19 ათასი პატიმარია, რაც აფსურდია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქვეყანაში 25 ათასი ტუსაღია. ციხეები გადატვირთულია, საკნებში ორჯერ მეტი მსჯავრდებულია, ვიდრე ნორმითაა გათვალისწინებული. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირები მეუბნებიან, რომ 1 საწოლზე 4-5 ადამიანი მოდის და მორიგეობით უწევთ ძილი. ფაქტობრივად, ეს წამების ტოლფასია. საერთოდ გაუქმებულია ვენტილაცია. №8 საპყრობილეში სუნთქვის საშუალებაც არ არის. მსჯავრდებულ **რ.მ.**-ს თქმით, ფანჯარასთან მორიგეობით დგებიან, ჰაერი რომ ჩაისუნთქონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიგუდებიან. ასეთივე გაუსაძლისი პირობებია ადვოკატების ოთახებში. კვირაში ორჯერ მაინც მიწევს პატიმრებთან შეხვედრა, 15-წუთიანი საუბრის შემდეგ უჰაერობის გამო ცენტრალურ კიბეებთან გამოვდივარ. წარმოიდგინეთ, იქ რა მდგომარეობაა.

ქალთა კოლონიიდან 700 პატიმარია გადაყვანილი რუსთავში, სადაც უმძიმესი პირობებია: სძინავთ იატაკზე, კედლები ჩამონგრეულია, საიდანაც წყალი ჟონავს. მიზერული კომფორტიც კი არ არსებობს. დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავენ, რადგან გვერდით პლასტმასის ქარხანაა და გამონაბოლქვი იქაც აღწევს, ეს კი გარკვეული დაავადებების განვითარებას უწყობს ხელს.

**— რატომ გადაიყვანეს რუსთავში, თუკი ასეთი პირობებია?**

— ქალთა კოლონია დიდი ხნის წინათ გაიყიდა. მფლობელმა შენობის გათავისუფლება მოითხოვა. მფლობელი სწორედ ისაა, ვისაც ბიზნესი აქვს იმ ტერიტორიაზე.

ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი ფაქტი იყო კოლონიაში მომხდარი ბუნტი, ყოველგვარი კითხვების გარეშე რომ გაეყვანათ პატიმრები შენობიდან. 3 ქალი შეწყალებით გაშვებას ითხოვდა, რაც შემდგომ დიდ არეულობაში გადაიზარდა, ადმინისტრაცია კი ყველანაირად ხელს უწყობდა სიტუაციის გამწვავებას. როცა ვითარებამ პიკს მიაღწია, ცენტრალური კიბეებიდან კი არა, უკანა კედელი გაანგრიეს და იქიდან გაიყვანეს ეს ქალები.

**მსჯავრდებულმა ნ.გ.-მ მითხრა, რომ გადაყვანისას სასტიკად სცემეს და გააუპატიურეს. ეს იყო წინასწარ ინსპირირებული ქმედება ხელისუფლების მხრიდან, რათა პატიმრები დაბეჩავებული და ღირსებააყრილი ყოფილიყვნენ. მათ კანონიერ უფლებებსა და ღირსებებს მიზანმიმართულად ფეხქვეშ თელავენ.**

**— სხვა ციხეებში რა მდგომარეობაა?**

— გაუპატიურების შესახებ სხვაგან არ მსმენია, მაგრამ სერიოზული ფიზიკური ზეწოლაა. ხმამაღალი გაცინების, საუბრის, საკნიდან საკანში გადალაპარაკების უფლება არ აქვთ. ამ დროს შეიძლება შემოუვარდეთ ბადრაგი და ცემაც იწვნიონ, ან თუ არ მიმართავ, „ბატონო ბადრაგო“, ამის გამოც გემრიელად მოხვდებათ. პატიმარ **ბ.ჭ.**-ს ხმამაღალი გაცინების გამო სასტიკად სცემეს, რომელსაც ტვინის შერყევა დაემართა; **ჟ.რ.**-ს წვერზე სანთებელათი ცეცხლს უკიდებდნენ და სველი პირსახოცით სცემდნენ. სახალხო დამცველმა თავის მოხსენებაშიც ასახა, როგორი ნაწამები იყვნენ კარცერში შეყრილი შიშველი პატიმრები. ვიდეოთვალს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ ხელისუფალს სურს რაიმე შოუს დადგმა, შავბნელი საქმეებისთვის აფიქსირებენ ფაქტებს, სხვა შემთხვევაში არც აინტერესებთ, რა ხდება საპყრობილეებში.

**— ჰიგიენასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ზაფხულში პატიმრებს თვეში ორჯერ უწევთ დაბანა. საპირფარეშოებთან გაუთავებელი რიგებია, მცირე რაოდენობით მიეწოდებათ ჰიგიენური საშუალებები: 20-30 კაცზე — 1 საპონი და 2 პირსახოცი. უწყლობის გამო აბაზანები დაბინძურებულია, ხშირ შემთხვევაში საპირფარეშოები გაჭედილია. თეთრეულს ურეცხავენ იმ შემთხვევაში, თუ ფულს გადაუხდიან მუშა პატიმრებს. მსჯავრდებულ ჭ.ბ.-ს დედა ჩიოდა, რომ ყოველ მეორე კვირას 5-ლარიან მონობარათს ურიცხავდა მუშა პატიმარს, თეთრეული და სამოსი რომ წაეღო გასარეცხად. ვთხოვე, ჩემთვის ეთქვა მუშა პატიმრის ნომერი, მაგრამ შვილის უსაფრთხოების გამო სიჩუმე არჩია. დაშინებულნი არიან ადმინისტრაციისგან. ვისაც ფული არ აქვს, სიბინძურეში უწევთ ცხოვრება. ამიტომაცაა მოდებული კანის მრავალნაირი დაავადება, რომელთა განკურნება, ფაქტობრივად, ვერ ხდება.

**— მკურნალობის თვალსაზრისით, რა მდგომარეობაა?**

— დღემდე არ ხდება პატიმრების გამიჯვნა. ავადმყოფებსა და ჯანმრთელებს ერთად უწევთ ყოფნა. ფაქტობრივად, ტუბერკულოზის კერაა. მსჯავრდებული რომ ციხის საავადმყოფოში გადავიყვანო, დიდი ბრძოლა მჭირდება. თავად გადაყავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი სასიკვდილოდაა განწირული. ტკივილებისგან ყვირილი რომ დაიწყონ, წამალს არავინ მიაწვდის, ექიმიც გამოძახებიდან 2 კვირაში მოვა გასასინჯად. ასეთ რთულ მდგომარეობაში არიან.

მსჯავრდებულ **ფ.ჭ**.-ს ხორხში სიმსივნე აღმოაჩნდა. ერთი ომი გავიარე, ვიდრე არ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. მედიკამენტებით მხოლოდ ოჯახის წევრები უზრუნველყოფენ. გარკვეული დღეებია გამოყოფილი, როცა ციხის ექიმი ჩამოდის ადმინისტრაციის მიმღებში და აწვდის ოჯახის წევრებს დანიშნულებებს, რათა მედიკამენტები შეიძინონ იქვე მდებარე აფთიაქში. ბევრს არ აქვს ძვირადღირებული წამლის შეძენის საშუალება. ხშირ შემთხვევაში ტუსაღი უყურადღებობისა და უსახსრობის გამო იღუპება. იქაური ბიზნესი იწირავს უამრავი ადამიანის სიცოცხლეს. სულაც არ აინტერესებთ, რამდენი პატიმარი იღუპება. მთავარია, ბევრი ფული აკეთონ.

**— კვებასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ეგრეთწოდებულ ბალანდას პატიმრების დიდი ნაწილი არ მიირთმევს, თუ მთლად დაქცეული ოჯახიდან არ არის. საკვებს გაფუჭებული ცხიმისგან ამზადებენ. 1 კვირის წინ №8 განყოფილებაში ბიდონებით მიჰქონდათ სადილი, საიდანაც უცნაური ფერის სითხე იღვრებოდა. ვთხოვე, თავი აეხადათ და ეჩვენებინათ, რას აჭმევდნენ გასაცოდავებულ ხალხს. 10 სანტიმეტრის სისქეზე ჩანდა არაბუნებრივი ფერის ცხიმი, რომელმაც კუჭი დაუავადა პატიმრებს. ჩვენი ყველაფრისჭამია პრეზიდენტიც კი ვერ მიირთმევდა, ისეთი საშინელი შესახედავი იყო. ქალთა კოლონიაში შეიტანეს აყროლებული სოსისი, იქ მყოფი ქალბატონების განმარტებით, ისეთი სუნი ასდიოდა, ვერავინ მიეკარა. საკვებით პატიმრის მოწამვლის შემთხვევებიც ყოფილა. მაგალითად, **ტ.ა.** ხორცის ულუფის მირთმევის შემდეგ მოიწამლა და კარგახანს მკურნალობდა, რაც დიდი ბრძოლის ფასად დამიჯდა.

**— პროდუქტების შესაძენ ბარათებთან დაკავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ?**

— ამ ბარათებზე, ძირითადად, ოჯახის წევრები რიცხავენ თანხას, მაგრამ ეს თანხებიც უკონტროლოა. ეს არის ფინანსური ზეწოლა ოჯახებზე. პატიმარს არ აქვს უფლება, თვითონ შეიძინოს სასურველი პროდუქტი. სიას ჩამოწერენ და მუშა პატიმარი ყიდულობს ციხეში გახსნილ ჯიხურებში, მაგრამ რამდენად კეთილსინდისიერად იქცევა, არ ვიცი. ყოფილა შემთხვევები, პატიმრის ანგარიშიდან მოუხსნიათ თანხა საკუთარი სიამოვნებისთვის. ჯიხურები ახალაიებმა დანერგეს და ისინი მართავდნენ ამ ბიზნესს. მგონი, დღესაც მათ ეკუთვნით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჯიხურები ფულის გათეთრების ბაზაა. მათ ნაკლებად აინტერესებთ პატიმრების მენიუ, უბრალოდ, ჭუჭყიან ფულს ათეთრებენ. აი, ეს არის ახალაიების მთავარი მიზანი.

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ოჯახს ყოველთვის როდი შეუძლია ყველაფრის შეგზავნა ახლობლის უზრუნველსაყოფად. თანაც, შეგზავნები აკრძალეს. მხოლოდ ხილია ნებადართული და ისიც — გარკვეული რაოდენობის. თუ პატიმარს ანგარიშზე თანხა აქვს, მას შეუძლია შეიძინოს საკვებიც და 40-50-ლარიანი თეთრეულიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება მშიერი და დაიძინებს ბინძურ ლეიბზე.

არსებობენ ოჯახები, რომელთაც არ აქვთ თეთრეულის შეძენის საშუალება და ურჩევნიათ, გამოყენებული გარეცხილი თეთრეული მიაწოდონ პატიმარს. ესეც ფულის კეთების ერთგვარი ხერხია.

**ციხეში ბიზნესი ხალხის ჯიბიდან ვითარდება. ბიუჯეტის 60% ივსება საპროცესო გარიგებებით, ასევე, ნარკოტიკების ეგრეთ წოდებული მომხმარებლებისგან.**

ასეთ შემაშფოთებელ ფაქტსაც წავაწყდი. 6 თვის წინათ სისხლის სამართლის დანაშაულზე დაიჭირეს **ბ.გ.**, რომელიც შეამოწმეს ნარკოლოგიურში. დასკვნის ნომრის ნახვისას აღვშფოთდი — შემოწმებული ჰყავდათ ნახევარი მილიონი ადამიანი. მათ მიერ გადახდილი თანხებიც ხომ ავსებს ბიუჯეტს...

ამ სფეროში დიდი განუკითხაობაა. სასჯელაღსრულების დაწესებულებები ლამაზად შეფუთული ნაგავია, რომელსაც ზემოდან დაკრული მიშას ვარდი ამშვენებს.

ესაუბრა
**ნანა დიხამინჯია**

## ვაჟა ადამიას უფლებები უხეშად ირღვევა

**მერაბ კოსტავას საზოგადოება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინთან ამავე საზოგადოების თავმჯდომარის პატიმრობაში მყოფ ვაჟა ადამიას საქმესთან დაკავშირებით გაგზავნილ მიმართვაზე პასუხს ერთი კვირის განმავლობაში დაელოდება, შემდეგ კი სამინისტროსთან მშვიდობიანი აქციის ჩატარების საკითხს განიხილავს.**



როგორც „მედიანიუსს“ მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დავით კუპრეიშვილმა განუცხადა, დიმიტრი შაშკინისგან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის რევაზ ჭარბაძის მიერ სამსახურებრივი სიყალბის ალმოფხვრასა და ვაჟა ადამიას დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოითხოვენ.

ვაჟა ადამიას ადვოკატმა მაკა გოგოხიამ გასული წლის 3 ნოემბრის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს რევაზ ჭარბაძეს მიმართა, რათა ამ კომისიას სასამართლოსთან ეშუამდგომლა ადამიას პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რაზეც მას უარი ეთქვა.

როგორც ჭარბაძის მიერ ხელმოწერილ ამონაწერშია მითითებული, ადამია სასჯელის მოხდის პერიოდში ორჯერ არის დასჯილი. ადვოკატმა დასჯის საკითხზე №6 საპყრობილის დირექტორს დავით მარგებაძეს მიმართა. მარგებაძისგან კი სულ სხვა დოკუმენტი მიიღო, სადაც წერია, რომ ადამია პატიმრობის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა. აღნიშნულ საკითხებზე რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით კუპრეიშვილმა ისაუბრა.

ცნობისთვის: ვაჟა ადამია 2005 წლის 3 ნოემბერს ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს და ოთხნახევარი წელი მიესაჯა.

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# სამშობლოში ჩაპრესილები...



„როგორც სახელმწიფო, ჩვენ დავიცავთ ჟურნალისტების უფლებებს. ვერანაირი ხელისუფლება ვერ დაუშვებს მათ და ნურავის ექნება ილუზია, რომ ან მე, ან ქართული სახელმწიფო დაუშვებს ტერორს ჟურნალისტების მიმართ“.

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი**



***„სახლი, სადაც დანაშაული მოხდა“*** — ასე ეწოდება **ალბერტო მორავიას** მოთხრობას, თუმცა ახლა საუბარი სახელგანთქმულ იტალიელს არ ეხება... **სახლი, სადაც დანაშაული მოხდა**, იტალიაზე არანაკლებ მზიურ ქვეყანაში — საქართველოში მდებარეობს. არადა, იმის დაჯერება, რომ დანაშაულს ადგილი ჰქონდა XXI საუკუნეში, ძნელია: **თბილისის ცენტრში 2007 წლის 10 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ხელისუფლება ასობით შეიარაღებული პოლიციელის სახით, ეკონომიკის სამინისტროსა და ქალაქის მერიის მაღალჩინოსანთა ხელმძღვანელობით შეიჭრა მერაბ კოსტავას ქუჩის № 14-ში მდებარე შენობაში** და ცრუგანგაშით, რომ თითქოს შენობაში ბომბია, ოფისებიდან ქუჩაში გამოაძევა გაზეთისა და ჟურნალის 80-მდე რედაქცია, 2 ტელეკომპანია, ათობით გამომცემლობა და სტამბა თავიანთი ქონებით... შედეგად კი სამი ათასზე მეტი კაცი უმუშევარი დარჩა... ეს ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა დამნაშავე ცნობილია, მაგრამ — დაუსჯელი: **ᲐᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ?!**

**აი, ასე შემოაბიჯა ორი წლის წინათ პრესის სახლში (გამომცემლობა „სამშობლო“) სიკვდილმა...** ის ვერ დააბრკოლა 10-ბალიან მიწისძვრასა და ტიპოგრაფიული მანქანების დღეღამურ ვიბრაციაზე გათვლილმა უსქესმა კედლებმა, რომლებიც კეთილსინდისიერად ააგეს ჯერ კიდევ კომუნისტების ხანაში... დაცვის რამდენიმე თანამშრომელმა ვერ გააკონტროლა 20000 კვ მ ფართის უზარმაზარი დაცარიელებული ნაგებობა — ასობით ოთახი, საამქრო-დარბაზები, მრავალრიცხოვანი მიწისქვეშა ტექნიკური და სასაწყობო ფართი... სულ მოკლე ხანში ღამღამობით იქიდან უცნაური ხმები ისმოდა. ამბობდნენ, რომ იქ თავშესაფარი პოვეს მათხოვრებმა, მაწანწალებმა, ნარკომანებმა, ლოთებმა და იაფფასიანმა მეძავებმა... ხოლო ქურდბაცაცები პრესის სახლიდან წაპნიდნენ ყველაფერს, რისი მოპარვაც შეიძლებოდა: მაგიდები და სკამები, კარები და სტელაჟები, კონდიციონერები, ფანჯრის მინები, ჭერისა და კედლების ბალდახინები, ელექტროსადენები და გასათბობი სისტემის მილები... იმასაც ამბობდნენ, რომ შენობაში, სადაც ყოფილი მობინადრეები (ჟურნალისტები) ცხვირსაც ვერ ყოფდნენ, ყველა ეს ნაძირალა და ქურდბაცაცა დაცვის პოლიციელებისთვის გარკვეული საზღაურის მიცემის ფასად უპრობლემოდ შედიოდა!

**ერთი წლის წინათ კი — 2008 წლის 10 აგვისტოს — ამ შიშველ კედლებში ხელისუფლებამ შიდა ქართლიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ლტოლვილები შეასახლა... ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑ ᲛᲐᲗ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ...** ავტობუსებიდან გადმოსულები, რომლებითაც პირდაპირ საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრიდან ჩამოიყვანეს, გაოცებით შესცქეროდნენ თბილისის ცენტრში მდგარი **პრესის სახლის** არა სროლისა და დაბომბვების შედეგად იავარქმნილ კედლებს, რომელთაც მათთვის ამიერიდან ნასათუთევი **მშობლიური სახლების** კედლები უნდა შეეცვალა...

**პრესის სახლის შენობის გაყიდვა ხელისუფლებამ ვერა და ვერ შეძლო** — სიმბოლურ ფასად, კრედიტითაც კი. აფროამერიკელები *(როგორც ახლა უწოდებენ)*, ჩინელები, ყაზახი ბიზნესმენები — ვინ აღარ მოიყვანეს აქ შენობის სანახავად და შესაძენად! სულ ამაოდ: **შენობა, თავისი სპეციფიკური დაგეგმარების გამო იმდენად ვიწროპროფილიანია, რომ მისი სხვაგვარად გამოყენება (სასტუმროდ, კაზინოდ თუ საცხოვრებელ სახლად) არარენტაბელურია, თუკი, რასაკვირველია, არ დაანგრევ და ხელახლა არ ააშენებ...** ამისათვის კი ისეთი სიმძლავრის აფეთქებაა საჭირო, რომ ქალაქის ცენტრალური ნაწილი დაზიანდება, მათ შორის — მეზობლად მდებარე ისტორიული ნაგებობები, ძეგლები და მეტროსადგური „რუსთაველი“, შენობის ქვეშ გამავალი მეტროპოლიტენის გვირაბითურთ. იქაურობის ნანგრევებისგან გასათავისუფლებლად კი საჭირო იქნება ცენტრალური გამზირის დიდი ხნით გადაკეტვა: ამ უზარმაზარი შენობის მთელ პერიმეტრზე ხომ ვერ ნახავთ ვერც ერთ თავისუფალ მისადგომ მოედანს — ისე მჭიდროდაა გარშემორტყმული კაპიტალური საცხოვრებელი სახლებით, უკანა მხარეს კი სოროსის ფონდის ქართული ფილიალის მრავალსართულიანი კორპუსი აგვირგვინებს...

**მაშ, რა ხეირი ნახა ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელისუფლებამ?**

**ფული?! — არა! არადა, დიდ მოგებასაც ნახავდა, იქ ათწლეულობით მომუშავე ორგანიზაციებისთვის *(რედაქციებისთვის, სტამბებისა და გამომცემლობებისთვის)*,** რომლებმაც საკუთარი ძალებით კეთილმოაწყვეს იქაურობა, მათივე ქონების პირდაპირი გამოსყიდვის ნება რომ დაერთო...

გავლენა?! არა, ამ შენობაში მომუშავე ყველა პროოპოზიციურად განწყობილი მაღალრეიტინგული მასმედია დღესაც ფუნქციონირებს და უფრო მეტი „სიმძაფრითაც“... დანარჩენები, სულს რომ ისედაც ძლივს ითქვამდნენ, ბიუჯეტის „გროშის“ სანაცვლოდ სიამოვნებით დაყაბულდებოდნენ, სულ ცოტა, ლოიალობას და შესაძლოა, პროსამთავრობონიც გამხდარიყვნენ!

**სახელი?! არა, — მხოლოდ შელახული, რადგან მედიისა და უმუშევრად დარჩენილი ამდენი ადამიანის რისხვა დაიმსახურა, არადა, საქებარიც იქნებოდა, განკარგულებით ეს შენობა სამუდამოდ პრესისთვის რომ დაეთმო** *(როგორც ეს ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მოხდა, სადაც ხელისუფლებამ პრესას სახელმწიფო სახსრებით გარემონტებული შენობა აჩუქა)!* ადგილი ყველას ეყოფოდა და **საგაზეთო ბირჟაც,** რომელიც სტიქიურადაა დაბინავებული რკინიგზის სადგურის მიწისქვეშა გადასასვლელში, აქ ღირსეულ და ლოგიკურ თავშესაფარს იპოვიდა. აი, მერე კი იქ მომუშავე ჟურნალისტები კარგა ხანს არ აიღებდნენ ხელში კალამს ხელისუფლების განსაქიქებლად...

**ამიტომ დღეს ამ კოშმარს მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩაზე *(ეროვნული გმირის, რომელმაც სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შესწირა!)*** სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲡ: ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲮᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ, ᲐᲙᲘ, ᲩᲕᲔᲜᲕᲔ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲔᲗ?!.**

თუმცა მთავარი ისაა, რომ **მაშინ, როცა დღისით, მზისით, დედაქალაქის ცენტრში „მკვლელობა“ ხდებოდა (კლავდნენ ქართულ პრესას!), ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲛᲥᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲣᲓᲒᲜᲔᲜ: ასე გააქარწყლა ხელისუფლებამ ქართველი ჟურნალისტების კოლეგიალობისა და პროფესიული ერთიანობის ილუზია — ესაა მისი მთავარი „მიღწევა“!**

**მარცხი კი ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 2008 წლის 10 აგვისტოს იწვნიეს, როცა ხელისუფლება გარბოდა და გზადაგზა ტოვებდა დახოცილ და დაჭრილ ახალგაზრდა ქართველ ჯარისკაცებსა და მშვიდობიან მოსახლეობას, მყისიერად დევნილად რომ იქცა... ეს ხალხი ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ — 2007 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ...**

**იციან კი ხელისუფლებმა დღეს, ერთი წლის შემდეგაც, პრესის ყოფილ სახლში რა გაუსაძლის პირობებში მიათრევს თავის წუთისოფელს (ამას ცხოვრებას ვერ უწოდებ!) ცხინვალის რეგიონიდან, შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა?!** ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, ყოფილმა სტიქაროსანმა **სუბელიანმა** და მისმა მოადგილემ, ქალბატონმა **თევდორაძემ** — ადამიანის უფლებების „თავგამოდებულმა“ დამცველმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს?! ან პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დღევანდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა არსენიშვილმა? სუბელიანის თანაკურსელმა სასულიერო სემინარიიდან, თბილისის მერმა **უგულავამ**, ანდა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა და, ამავე დროს, უმსხვილესი სამშენებლო კომპანია **„ცენტრ-პოინტის“** მფლობელმა, თეთრსამოსიანმა ღვთისმოშიშმა ქალბატონმა **კერვალიშვილმა,** ტელეეთერში საკუთარ ქველმოქმედებაზე ლაპარაკი რომ უყვარს?! ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა **ჟვანიამ,** რომელმაც უკვე მეორედ, პასექის დღესასწაულზე თბილისის აეროპორტიდან მომავალ სასულიერო პირებს რომ გადმოუსწრო და **პირველმა** მოაბრძანა წმიდა სამების ტაძარში ღვთაებრივი ცეცხლი იერუსალიმიდან?!

**ხომ არ აპირებს ბატონი სუბელიანი, თუნდაც დროებითი, მაგრამ ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოს პრესის სახლში შეკედლებული ლტოლვილები, რომელთა უმეტესობა მოხუცები, ბავშვები და ქალები არიან?! მაგალითად, ჩაასახლოს ისინი მომიჯნავე საქართველოში ცნობილი „მეცენატის“ ჯორჯ სოროსის ფონდის კეთილმოწყობილ ოფისში?! ხომ არ აპირებს ბატონი ჟვანია ,ჟურნალისტებს დაუბრუნოს პრესის სახლი, რომელიც დღესაც მისდამი დაქვემდებარებული ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება?! ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲚᲐᲮᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ („ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲯᲦᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ „ᲯᲘᲑᲘᲡ“ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲔᲑᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲗᲕᲚᲘ)?!** და რა ვუყოთ ბაიდენის მითითებას — დემოკრატია ააშენეთო?! იქნებ, ამ სიტყვების წაკითხვისა და ჩემ მიერ რამდენიმე დღის წინათ გადაღებული ფოტოების ხილვის შემდეგ ისინი **სინდისის ქენჯნამ შეაწუხოს** და ხუთვარსკვლავიანი ოტელების, ახალი სახელმწიფო დაწესებულებების (შსს შენობა, პრეზიდენტის სასახლე) და მდიდრებისთვის საცხოვრებელი კომპლექსების შენების ნაცვლად **დევნილებისთვის „ხრუშჩოვკები“ მაინც ააგონ...**



**P.S.** ფოტოაპარატით ჩემს დანახვაზე საბრალო ადამიანები ყველანაირად ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ ობიექტივისთვის, ცნობისმოყვარეობის გამო მხოლოდ ბავშვებმა დამრთეს ნება, მათთვის ფოტოები გადამეღო...

ამიტომ **დაჟინებით ვთხოვ ხელისუფლებას: არ დასაჯოთ ისინი, ვინც შემთხვევით მოხვდა კადრში! ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ?!**

წამოსვლისას კედელზე გაზეთ **„შანსის“** რედაქციის სასწაულებრივად შემორჩენილი აბრა შევნიშნე და გავიფიქრე: **აქვთ კი დევნილებს შინ დაბრუნების შანსი? ᲐᲥᲕᲗ ᲙᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ“ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ? ᲐᲥᲕᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ?!**

**P.P.S.** როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, ტელეარხ **„იმედის“** ეთერში (საღამოს საინფორმაციო პროგრამაში) **ეკონომიკის სამინისტროს სწორედ ის მაღალჩინოსანი გამოჩნდა, რომელიც 2007 წლის 10 აგვისტოს პრესის სახლიდან ქართული პრესის იძულებითი გამოსახლების სადამსჯელო ოპერაციას ხელმძღვანელობდა!** ამჯერად **გრიშა ბაიბურთი** თავს იწონებდა (როგორც თავად უწოდა) „ნოუ-ჰაუთი“, რომელიც სივერაგით წინამორბედს არ ჩამოუვარდებოდა: **მან გახსნა თბილისში მაღაზიები, სადაც გროშებად გაიყიდება მოქალაქეებისთვის წართმეული ქონება...**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ნანა კვარაცხელია: ქვეყანაში განათლების სისტემის დეგრადირებისა და დაცემის მექანიზმი რეფორმაში თავიდანვე მიზანმიმართულად იყო ჩადებული

**დრო ყველაზე მოუსყიდველი შემფასებელია. საინტერესოა, ჩატარებულმა განათლების რეფორმამ განვლილ ოთხ წელიწადში თავისი დემოკრატიულობით, შინაარსითა და ფორმით გაამართლა თუ არა, გაუხსნა თუ არა გზა განათლების სისტემის პროგრესულობას, კადრების პროფესიულ დაოსტატებას, თაობათა განსწავლულობას.**
**ცხადია, რეფორმა დაზღვეული ვერ იქნება შეცდომებისგან, უნებლიე ხარვეზებისგან, ვერც სიძნელეთა და პრობლემათა სიუხვისაგან, მაგრამ დარგის ძირეული და მნიშვნელოვანი არსი არ უნდა შეილახოს.**
**ყოველივე ამის შესახებ გვესაუბრება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, არასამთავრობო ორგანიზაციის — „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ — სარევიზიო კომისიის წევრი ნანა კვარაცხელია.**


ნანა კვარაცხელია

**— ქალბატონო ნანა, დღევანდელი გადასახედიდან რას გვეტყვით განათლების რეფორმის ამჟამინდელ შედეგებზე?**

— რეფორმა დარგის განახლებასა და აღორძინებას, ტრადიციულობისა და ნოვატორულის ორგანულ მთლიანობას, ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა აქტიურ შეცნობას გულისხმობს. ჩვენი ორგანიზაცია განათლების მიმდინარე რეფორმაში დარღვევების აღრიცხვასა და შესწავლაზე მუშაობს. დარღვევები კი კატასტროფულია. ამ მცირე მონაკვეთში, რასაც რეფორმა დაარქვეს, სისტემაში ყველაფრის გაფუჭება მოასწრეს.

განათლების სისტემის რეფორმა იმ მიზნით დაიწყო, რომ 2010 წლისთვის უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცე შექმნილიყო. შედეგი კი ასეთია: 2010 წლისთვის ჩვენ სრულიად დავშორდით ევროპის საგანმანათლებლო სივრცეს და მნიშვნელოვნად დაბლა დავეშვით იმ განათლების დონიდანაც, რომელიც რეფორმამდე იყო საქართველოში. მიზეზი კი ისაა, რომ „რეფორმის მამებს“ არ გააჩნდათ რეფორმის წარმატებით ჩატარების ნიჭი და უნარი, შესაძლებლობებისა და რეზერვების გამოყენების სურვილი, არსებული პრობლემებისადმი ინდივიდუალური და შემოქმედებითი მიდგომა. ყველაზე საგულისხმო კი ის ფაქტია, რომ ქვეყანაში განათლების სისტემის დეგრადირებისა და დაცემის მექანიზმი რეფორმაში თავიდანვე მიზანმიმართულად იყო ჩადებული „თავისუფლების ინსტიტუტის“, კახა ლომაიასა და მისი დამქაშების მიერ. რეფორმა ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებდა. ცინიზმია, რომ ილიას სახელით გაანადგურეს მთელი სასწავლო პროცესი როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

განათლების რეფორმა პოლიტიზებულია და საფუძვლად პოლიტიკური მიზნები უდევს და არა სისტემის თანამედროვე დონეზე სრულყოფა. ამიტომ მოახდინეს სისტემის სრული დისკრედიტაცია, უნივერსიტეტს ჩამოართვეს ყველანაირი უფლება, მათ შორის — ავტონომია. რეფორმა შინაარსით ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისთვის ზევიდან თავსმოხვეული, გარკვეული პოლიტიკური სიმძიმით დატვირთული ხრიკია.

უნივერსიტეტში ლომაიას პირველი ვიზიტისას აკადემიკოსმა გამყრელიძემ განაცხადა: „უნივერსიტეტს აქვს უმდიდრესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტრადიცია და კულტურა.“ გაცეცხლებულმა ლომაიამ კი უპასუხა: „უნივერსიტეტს თავისი ტრადიციები და ფასეულობები არ ჰქონია“.

რეფორმების დროს ქალბატონი თეა თუთბერიძე თავისი კმარელებით შემოვარდებოდა უნივერსიტეტში, ვულგარული გამოხტომებით არბევდა და აქცევდა ყველაფერს, „წითელ პროფესურას“ გვეძახდა თავად უბირი. დღეს „თავისუფლების ინსტიტუტში“ სკოლის დირექტორების დირექტორია და დიდ სოლიდურ ხელფასს იღებს. მათი ოფისი ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის შენობაშია. რამდენჯერმე მივაკითხე, მინდოდა, რეალურად მეჩვენებინა შედეგები, რაც ამ წლების განმავლობაში განათლების სისტემაში გაჩნდა. გამოკეტილი დამხვდა მათი ოთახები. როდესაც მაშინდელ პარლამენტის საგანმანათლებლო კომიტეტის თავმჯდომარეს — ნოდარ გრიგალაშვილს ვუთითებდით ამა თუ იმ კანონის დარღვევაზე, ჩვენი არგუმენტებით თავმობეზრებულმა მოგვიგო: „პოლიტიკური ნება ნებისმიერ კანონზე მაღლა დგასო“, გვერდით ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ხუთი სახელგანთქმული პროფესორი ედგა. პროფესურის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ საჩივარზეც მოპასუხედ გრიგალაშვილი გამოვიდა და განაცხადა: „საკითხი, რომელზეც ჩივით, შესწავლილი არ მაქვსო“. მოდი და ეძებე ამ ქვეყანაში სამართალი...

**— რა სიკეთე მოუტანა რეფორმამ საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში?**

— საბუნებისმეტყველო საგნების საათები სკოლაში მინიმუმამდეა დაყვანილი, გაუგებარია, რა სახელმძღვანელოებით ასწავლიან. ეს საგნები არათანმიმდევრულად, ქაოსურად ისწავლება. ფიზიკაზე რომ გადავიდეს, მათემატიკა კარგად უნდა იცოდეს მოსწავლემ. არასქემატურობა მოსწავლეს საგნისადმი ინტერესს უკარგავს. ამით ინგრევა მისი ფსიქიკა და ქვეყანასა და საზოგადოებას აკლდებიან უნარიანი, ნიჭიერი და მოაზროვნე ადამიანები. საფუძველმოუმზადებელი მოსწავლეები კი უმაღლეს სასწავლებლებში მოდიან. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე უმძიმესი მდგომარეობაა, საგანთა შესწავლა პარალიზებულია, რადგან 7 დარგი ერთ ფაკულტეტად გააერთიანეს (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, გეოლოგია, ბიოლოგია, კიბერნეტიკა, გეოგრაფია), გაუქმებულია სამეცნიერო სექტორი და უამრავი ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო პროცესი ეფუძნებოდა. ზუსტი მეცნიერული დარგის შესწავლა ცდისეული დაკვირვების გარეშე შეუძლებელია და სწავლება კარიკატურულ ხასიათს იძენს. იყო კარგი სახელმძღვანელოები, რომლებიც ადრე ინგლისური და რუსული ენებიდან ითარგმნებოდა, ახლა მათ თარგმნაზე აღარავინ ფიქრობს.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე უკონკურსოდ დაინიშნა იმიტომ, რომ პარლამენტარ კვერნაძის და გახლდათ, მაშინ, როდესაც აკადემიკოსები აიძულეს, არაკომპეტენტური კომისიის წინაშე (რომელშიც არც ერთი სპეციალისტი არ იყო) კონკურსი გაევლოთ. დღესაც მიდის სასამართლო პროცესები უკანონოდ ჩატარებულ კონკურსზე. შავი ზღვის უნივერსიტეტში, რომელსაც პრეზიდენტის დედა გიული ალასანია ხელმძღვანელობს, მათემატიკას 24 წლის გოგო, ვინმე ავალიშვილი ასწავლის. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომელი სახელმძღვანელოთიც ხელმძღვანელობს. ეს სახელმძღვანელო გადმოთარგმნილია და სავსეა უამრავი მათემატიკური შეცდომით. სტუდენტები მათემატიკას ვერ სწავლობენ, სწავლის სოლიდურ თანხას კი იხდიან. ეს არის კორუფციისთვის ოფიციალურად დაკანონებული წესი. დავიწყებულია დიდი მეცნიერები — ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა, რომელთაც ზუსტ მეცნიერებაში ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და შესანიშნავი სახელმძღვანელოები შექმნეს, რომლებზეც გაიზარდა მთელ მსოფლიოში განთქმული კადრები. ამჟამადაც კი ილია ვეკუას წიგნი ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტების სამაგიდო წიგნია. ჩვენზე იტყვიან: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“.

თავისუფლად მოაზროვნე, განათლებული ადამიანი შეუძლებელია, მოერგოს ბიუროკრატიულ სტრუქტურას, ამიტომ მოუწყო ლომაიამ სასამართლო და ხულიგნის სტატუსი მიანიჭა სახელგანთქმულ პროფესორებს — თენგიზ სანაძეს, ჯემალ მებონიას, გიორგი გოგოლაშვილს, მაია ნათაძეს და სხვებს. განათლების სისტემაში მცოდნე და მოაზროვნე კადრის გაშვების შემდეგ „დეჰუმანიზირებული“ იერარქიული, უსახური, მონოპოლიური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელსაც შეზღუდული აზროვნების მორჩილი კადრი სჭირდება, რომელიც კარგსა და ცუდს ვერ განასხვავებს და მხოლოდ ზემდგომთა ბრძანებებს დაემორჩილება.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ერთი დარაჯი გვყავდა, სახელად — მოსე. დღეს ამ კორპუსს დაცვის 120 თანამშრომელი იცავს. შეიქმნა მონიტორინგის სამსახური კაზინოს ყოფილი თანამშრომლის ხელმძღვანელობით, რომელიც დღეს პროფესორზე ორჯერ მეტ ხელფასს იღებს. ამგვარი გაუმართლებელი სტრუქტურები შექმნეს ვეებერთელა ხელფასებით, გაბერილი ადმინისტრაციული შტატებით და დაარქვეს დეპარტამენტები. ამგვარი რეფორმით უნივერსიტეტის ცნობილი ფოიეები, კაბინეტები და ტალანები, სადაც ინტელექტუალური დევკაცები დააბიჯებდნენ, შემთხვევითი პიროვნებების საჯირითო გახდა. კადრების წყვეტა სხვადასხვა დარგებში გამოიწვევს განათლების სრულ განადგურებას. ფინანსები, რომელიც განათლების რეფორმისთვის იყო გამოყოფილი, ხელთ იგდო ნომენკლატურულმა ელიტამ და თავისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. რეფორმამ, რომელიც მხოლოდ სათავეში მდგომთა სარგებლიანობაზე იყო აგებული, ხოლო მანიპულირების მექანიზმი — ცენტრალირებული, განათლების სისტემას სოციალური ფუნქცია და სიცოცხლისუნარიანობა დააკარგვინა, უძლიერესი კრების გაჩანაგებით ავტორიტეტი შეულახა, მომავალი თაობების თვალში მეცნიერებისა და განათლებულ პირთა სტატუსი დააკნინა, რითაც მთლიანად წინააღმდეგობაში მოექცა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოსახვედრად წაყენებულ პირობებთან.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული რეფორმა სრულიად ეწინააღმდეგება ევროპის უძველესი 450 უნივერსიტეტის რექტორების მიერ ხელმოწერილ დიდ „ქარტიას“, რომელიც მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტების საქმიანობის საფუძველია. ქარტიის ძირითადი მიზანია საუნივერსიტეტო ტრადიციებისა და უმნიშვნელოვანესი ფასეულობების წარმოჩენა. ფუნდამენტალური პრინციპით უნივერსიტეტი ავტონომიური დაწესებულებაა, კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური ძალისაგან.

დღეს ქაოსია საგანმანათლებლო სისტემაში. ამ გზით ვერც ტაძრისკენ მივდივართ, ვერც ამერიკისკენ და ვერც ევროპისკენ. მივდივართ სიბნელისკენ, უვიცობისკენ და პრიმიტიულ მდგომარეობას ვუბრუნდებით. ამიტომ სახელისუფლებო პოლიტიკა განათლების მიმართ აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რათა სწორი ორიენტაცია შეირჩეს და დამკვიდრდეს. სხვანაირად აფრიკის ქვეყანა გავხდებით.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# აშშ უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან თანამშრომლობის გაფართოებას აპირებს

**აშშ უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან თანამშრომლობის გაფართოებას აპირებს, — წერს The Washington Post აშშ კონგრესის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით.**

„ამ კვირაში მოსკოვში გაემგზავრა სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი ადრეული გაფრთხილების ცენტრის შესაქმნელად კონსულტაციების პირველი რაუნდის ჩატარების მიზნით, რომელსაც შეეძლება ბალისტიკური რაკეტების (მათ შორის, ირანული და ჩრდილოკორეულის) საფრთხის შეფასება“, — იუწყება კორესპონდენტი უოლტერ პინკუსი. ოქტომბერში იგეგმება მოლაპარაკებებიც, რომელიც ფუნდამენტს მოამზადებს გაისად განსახორციელებელი ფართომასშტაბიანი სამხედრო პროგრამებისთვის.

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო უსაფრთხოების დარგში ალექსანდრ ვერჟბოუმ იმედი გამოთქვა, რომ საფრთხეების ერთობლივ შეფასებებს შეუძლია, გაფანტოს რუსეთის დაბნეულობა შტატების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით ევროპაში. ვერჟბოუს თქმით, ობამასთვის რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებისას პრიორიტეტული იყო ავღანეთის პრობლემა და შეთანხმება, რომ რუსეთი ნებას დართავს ამერიკული ჯარებისა და იარაღის ტრანზიტს რუსეთის საჰაერო სივრცის გავლით. ეს კი უდიდესი მიღწევაა.



**The Washington Post**

# საქართველოს მხარდაჭერა არასწორია

**საქართველოს საზღვარზე ევროკავშირის მისიაში ამერიკელი დამკვირვებლების ჩართვა ცრუ საჭიროებებზეა დაფუძნებული, — ირწმუნება „The Washington Post“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და არ ეთანხმება 25 ივლისის სარედაქციო სტატია „ბაიდენის დიპლომატიას“.**

კოკოითის აზრით, სტატია ეფუძნება საქართველოს მტკიცებულებებს, რომელიც ისტორიის გადაწერას ცდილობს, სინამდვილეში კი ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი სააკაშვილის არმია უეცრად დაესხა თავს სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობას. მისი სიტყვებით, გასულ წელს ამერიკელ სამხედრო მრჩევლებს არანაირად არ ალუკვეთიათ ქართველების მხეცობები მშვიდობიან მოსახლეობასთან დაკავშირებით, ახლა კი აშშ საქართველოს გადაიარაღებას ახორციელებს. დასავლეთს ვერ გაუგია, რომ სამხრეთ ოსეთი არის თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იგი არასდროს დაბრუნდება საქართველოს გავლენის ქვეშ, — აცხადებს კოკოითი. „ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სადაც არ იქნება რეპრესიები, ეკონომიკური ზრდისთვის ღიასა და ყველასთან ტოლერანტულს, ვინც მასთან ერთად მშვიდობიანად იცხოვრებს“, — წერს იგი და ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ჯარები ამის განხორციელების გარანტიას იძლევიან ქართული არმიისადმი შიშის გარეშე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უგუნურთა პოლიტიკამ სამშობლო დამაკარგვინა, ოჯახი დამინგრია და შვილი გამიუბედურა

**არა ერთი შემთხვევა ადასტურებს, რომ ემიგრაციაში წასვლა არა მხოლოდ ქვეყნისთვისაა საზიანო, არამედ ხშირად — თვით ემიგრანტის ოჯახის დამანგრეველიც. წლების მანძილზე ამ საკითხს პრინციპული დუმილი სდევდა, რადგან უცხოეთში წასულებიც და აქ დარჩენილებიც ფიქრობდნენ, რომ ეს „ განშორება“ 5 წელიწადზე მეტს არ გასტანდა.**
**დღეს ემიგრანტთა მხრიდან ხშირად ისმის კითხვა: — როდის დავბრუნდებით ან როგორ ქვეყანაში დავბრუნდებით?**
**კითხვაც და პასუხიც ჩვენდა უნებურად გადაჯაჭვულია უამრავ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემასთან.**
**აი, რას გვიყვება ამერიკაში მყოფი ემიგრანტი ბელა გვიშიანი.**



**— ქალბატონო ბელა, როდის და როგორ წახვედით ამერიკაში, რამ გაიძულათ, ოჯახს განშორებოდით?**

— უბედურებაა, როცა ადამიანი იძულებულია, ლუკმაპურისთვის ცხრა მთას იქით გადაიხვეწოს. ეს უკიდურესად გაჭირვებულთა ხვედრია. წასვლის მიზეზი თავისთავად ყალიბდება, რადგან ოჯახის ტრაგედია ჩვენსავე სულში იხარშება.

სრულიად ახალგაზრდა სიყვარულით გავთხოვდი, გული იმედებით მქონდა სავსე და სულიც მიმღეროდა. მეგონა, სიყვარული ცხოვრებისეულ სიძნელეებს გადამალახვინებდა. ჩემი მეუღლე უმამოდ გაიზარდა, ქვრივმა დედამთილმა კი იტალიურ ეზოში დამხმარე სათავსოების გარეშე ერთი დიდი ოთახი და იაფფასიანი ავეჯი დაგვახვედრა. ჩემი მეუღლე საავიაციო ქარხანაში მუშაობდა მექანიკოსად. ჩუმი, მორიდებული, პატიოსანი და გამრჯე კაცი ხუთსულიან ოჯახს გვინახავდა. ორი გოგონა შემეძინა.

ბინა ნგრევის ზონაში იყო და ახალ ბინებს ველოდებოდით. მოუწყობელ ეზოში მცხოვრებნი მხოლოდ ერთი ტუალეტითა და ერთი ონკანით ვსარგებლობდით. ჩინელების წყევლა — „რევოლუციის დროს გეცხოვროს“ — ამიხდა. უშუქოდ და უგაზოდ დავრჩით. ჩემი პატარა გვანცა სიბნელეში გამუდმებით ტიროდა. მეუღლემ სამსახური დაკარგა. უკიდურესად გაგვიჭირდა. არც დანაზოგი მქონდა და არც გასაყიდი ნივთები. პურის ფულსაც ხშირად ვსესხულობდი. განა რამდენ ხანს გაიტანდა ოჯახი თავს ნასესხები ფულით... მერე საქორწინო ბეჭედიც გავყიდე. მისაყვედურეს — ოჯახის დანგრევა იცისო, მაგრამ მაშინ ეს ცრურწმენად ჩავთვალე. გაჭირვებაში უკეთ ვლინდება ადამიანთა ხასიათი. ჩვენი ეზო ამ მხრივ გამოირჩეოდა, ჭირიც და ლხინიც ერთი გვქონდა. ბავშვებისთვის შეშის ღუმელი დავდგი. ზამთარში პურის რიგში დგომისგან შეციებული მეზობლები თავს ჩემთან იყრიდნენ. ეზოდან პირველად ამერიკაში ლალიაშვილების რძალი წავიდა, მერე მეორე მეზობელი — საბერძნეთში. ჩვენმა კარის მეზობელმა დედა-შვილმა სახლი გაყიდა და ამერიკაში გაემგზავრა. მე კი ორი კარტოფილითა და ხახვით წვნიანს ვაკეთებდი და ჩემი ცრემლებით ვაზავებდი, რადგან დარდს ოჯახის წევრებსაც კი ვუმალავდი. ცხოვრებამ თვალნათლივ დამანახა, რომ რაღაც უნდა მეღონა.

ერთხელ ჩემი დედამთილი ფულის სასესხებლად ლალიაშვილებთან მივიდა. შინ აჟიტირებული დაბრუნდა და მითხრა: — ჩვენი მდგომარეობა გაუგია, ფულის გამოგზავნას აპირებს და იქნებ წახვიდეო. დედამთილმა ხსნის გზა დაინახა, იმასაც დამპირდა, ჯერ კიდევ შემიძლია ბავშვების მოვლა, მერე დროც გამოიცვლება, სულ ასე ხომ არ იქნებაო.

არასოდეს მიმუშავია. შეუცნობელის შიში, ოჯახის მიტოვება, მარტო ყოფნა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ „გაჭირვება მაჩვენეო და...“ ბედს დავმორჩილდი არსებულით დაბნეული, სასოწარკვეთილი, დაბეჩავებული, დარდით გასიებული გულით. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობდი, იქნებ საკონსულომ ბეჭედი არ ჩამირტყას-მეთქი... მაგრამ საკუთარი განცდების დათრგუნვის მცდელობით ამერიკაში გავემგზავრე. მეუღლესთან გამომშვიდობებისას ხელები გამეთოშა და შუბლზე სიმწრის ოფლი მასხამდა.

**— ამერიკაში სამსახური მალე იშოვეთ?**

— ამერიკაში ჩასული დამღალა ზღვა ხალხის ხილვამ, ავტომანქანების ულევმა ნაკადმა, უჩვეულო, ფერადოვანმა და ცვალებადმა რეკლამებმა. ნიუ-იორკი სხივოსანია, მოძრავი, დიდებული, ბრწყინვალე. შთაბეჭდილებამ ისე მძლია, არც დაღამება გამიგია და არც გათენება, თურმე 20 საათის განმავლობაში მეძინა.

ჩვენები დამეხმარნენ. ამ თანადგომის სულ მცირედი საკუთარ მიწაზე რომ გვახასიათებდეს, ალბათ, აქეთ გამოხედვაც არ დაგვჭირდებოდა. შინამოსამსახურედ ამიყვანეს ერთ დიდ სახლში, რომელსაც ულამაზესი ბაღი ერტყა. ოჯახი ნათესავებისგან შედგებოდა, ბოლომდე მაინც ვერ გავარკვიე, ვინ ვინ იყო ერთმანეთისთვის. თითოეულს ბინაში თავისი მისაღები, ბუდუარი და საძინებელი ჰქონდა, ლუქსის პრინციპით საკუთარი სველი წერტილებით. ყოველდღიურად მათი ტუალეტები, აბაზანები და ჯაკუზები უნდა მეწმინდა სპეციალური ხსნარითა და ჯაგრისებით. დღეში სამჯერ მაინც, სართულები უნდა დამევლო და სველი წერტილები, განსაკუთრებით, აბაზანები და საშხაპეები უნდა დამელაგებინა. ზოგი მათგანი შხაპს ძილის წინაც იღებდა და მაშინ თუ გამომიძახებდნენ, უეჭველად რაიმეთი მასაჩუქრებდნენ. ფულს რეგულარულად მიხდიდნენ. მთელი დღე რეზინის ბოტებში, წყალგაუმტარ ხალათში გახვეული, ცელოფანის ბერეტითა და რეზინის ხელთათმანებით ლიფტით აღმა-დაღმა დავდიოდი და ვცდილობდი, ყველაფერი რიგიანად გამეკეთებინა.

სველ წერტილებს შიდა კონდიციონერები და გამწოვები ჰქონდა, ისე, რომ ორთქლი არ დგებოდა და არც სუნი მაწუხებდა, მაგრამ ყოველდღიურად უზარმაზარფილებიანი იატაკი, დიდი სარკეები სპეციალური ხსნარით უნდა მეწმინდა, აბაზანები მეკრიალებინა.

არაადამიანური შრომა მეხმარებოდა, დარდს გავმკლავებოდი. მამხნევებდა იმის შეგნება, რომ საქართველოში ჩემს ქმარ-შვილს აღარც შიოდა და აღარც სციოდა. იმავე სახლში ვცხოვრობდი, იქვე ვიკვებებოდი. ამიტომ ფული მეზოგებოდა. ფულსაც და ნაჩუქარ ნივთებსაც ვფუთავდი და საქართველოში ვაგზავნიდი. სხვა მოსამსახურეები სამსახურის სტილში დადიოდნენ, გამოპრანჭულნი და თავმომწონენი. საღამოობით ოჯახებში ბრუნდებოდნენ. არავინ მეკონტაქტებოდა. თუ ვჭირდებოდი, ჟესტიკულაციით მეუბნებოდნენ, რა უნდა გამეკეთებინა. იძულებითი კონტაქტის დროს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს უმდაბლეს, ჭუჭყიან, ბილწ საგანს უახლოვდებოდნენ უხერხულობის დამფარავი, ძალაუნებური ღიმილით. ჩემს ნახელავს წვრილმანი ანგარიშიანობით აკვირდებოდნენ, სტერილურ სისუფთავეს მოითხოვდნენ. არასოდეს არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ მათი ქედმაღლობით შეურაცხყოფილი ვიყავი, მათი სიმდიდრით — დათრგუნული, ჩემი მდგომარეობით კი — გაგულისებული. იქნებ, ეს ადამიანური სისუსტეებია.

მაშინ პირველად ვიფიქრე, რომ სამშობლომ გაგვყიდა, ღალატით მდიდართა მონებად გვაქცია. განა ამაზე ვოცნებობდით, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით ფეხმძიმე ქალი მიტინგებზე ვათენ-ვაღამებდი?! ძნელია, წარმოიდგინო სიმწარე ოკეანისგაღმა წასული ქალისა, დედისა, დისა და მეუღლისა, რომელიც სხვათა ჭუჭყსა და ნაბანს წმენდს და ენატრება, იგივე საკუთარ სახლში, თავისიანებისთვის გააკეთოს, იმისთვის დაიხარჯოს, ვინც უყვარს და ეძვირფასება.

**— თქვენი მესმის... ცხოვრება მუდმივად ბრძოლის ასპარეზია, სადაც ხშირად გვიყალიბდება კრიტიკული დამოკიდებულებები...**

— ჩემი ნაბიჯი, ამაგი ჩემიანების მხრიდან დაუფასებელი დარჩა. ამან უფრო გამიტეხა გული ყველასა და ყველაფერზე. წლობით მარტო დარჩენილმა მეუღლემ საყვარელი გაიჩინა — ახალგაზრდა და ლამაზი, რომელმაც ის სიცარიელე შეუვსო, რასაც ჩემი აქ არყოფნით განიცდიდა. შინაგანად პატიოსანი კაცი ადვილად დამორჩილდა გრძნობებსა და ვნებას. მე, როგორც ქალი, მისთვის აღარ ვარსებობდი. ბოლო დროს ტელეფონზე იმასაც კი აღარ მეკითხებოდა, როგორ ხარო, არამედ — ფულს როდის გამომიგზავნიო. ამერიკაში ემიგრანტი სავსებით მიუსაფარი, უბადრუკი არარაობაა, განიცდი უთვისტომობასა და დამცირებას, რის გამოც გული გტკივა, მაგრამ ღალატი საყვარელი ადამიანის მხრიდან, რომლის მსხვერპლშესაწირად ხორცითაც და სულითაც მზად ხარ, გულის ტკივილი კი არა, გულის მოკვლაა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი 15 წლის გვანცა ნარკომანს გადაეყარა, დაქორწინდნენ კიდეც, მაგრამ ოჯახი მალე დაინგრა და დარჩა ინვალიდ ბავშვთან ერთად. უბედური ქალი ვარ.

ჩემი დედამთილი ოჯახის გაწევის დარდმა გადაიყოლა... ასე დაინგრა ჩემი ოცნებები...

**— როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ოჯახური ტრაგედიის მიზეზი?**

— რთულია, უპასუხო ამ კითხვას. ალბათ, ბედისწერა... თუმცა უპირველესი მიზეზი ჩემი ამ დღეში ყოფნისა ჩემი ქვეყნის მდგომარეობაა, რომელმაც მაიძულა, საყვარელი კაცი და შვილები — ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება, წლობით მიმეტოვებინა, გაზულუქებული, უზნეო, სიმდიდრით გადაგვარებული ბილწი ამერიკელებისთვის ტუალეტები რომ მეწმინდა ლუკმაპურის ფასად. ამერიკა როდია ჩვენი მეგობარი ქვეყანა, სად გაგონილა მეგობრობა ბატონსა და მსახურს შორის... ჩვენ მონებად გაყიდული, შეურაცხყოფილი მდგომარეობის, სამშობლოდაკარგული ხალხი ვართ. ეს არავის ეპატიება. უგუნურთა პოლიტიკამ დამაკარგვინა სამშობლო, ოჯახი დამინგრია და შვილი გამიუბედურა... რაც ყველაზე უარესია, რწმენა დამიკარგა. აი, ნაყოფი, რომლისთვისაც მეც და ჩემნაირებიც გაგვიმეტეს. ემიგრანტები დაუძლეველი პრობლემების მსხვერპლნი ვართ და ვერაფრით გაგვირკვევია, რატომ ხდება ჩვენი აყრა და გადახვეწა...

ჩემი უმცროსი გოგონა — ჩემი ნუგეში და სასოება გამუდმებით მეკითხება: „დე, როდის ჩამოხვალ?..“ ჩვენი ხუხულები ისევ ხელუხლებელია იმ განსხვავებით, რომ დღეს უკვე ინვესტორს ელოდებიან. ისევ უმუშევრობა და გაჭირვებაა, სათავეში მყოფნი კი გამდიდრდნენ. უსულგულობით გამწარებული ვფიქრობ სამშობლოში დაბრუნებას, თუმცა ვფიქრობ, შვილიც აქეთ წამოვიყვანო, მაგრამ ვიცი, ასეთი ნაბიჯით არც ქვეყნის და არც საკუთარი მომავალის წინაშე მართალი არ ვიქნები.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# სახალხო დამცველი ხალხის წინააღმდეგ?!



**ეს, გარკვეულწილად, ეჭვის თუ უეჭველობის, იმედისა თუ უიმედობის მაუწყებელი სასვენი ნიშანი იმად დავსვი, რომ მავანმა წინასწარ რაიმეს აკვიატება-ახირებაში არ დამდოს ბრალი, თორემ ჩემთვის უეჭველია გიორგი ტუღუშის ტუშით დანიშვნის მიზანი. და ისიც, რომ სოზარ სუბარისგან განსხვავებით, ალბათ, გაამართლებს „ნაცების“ იმედებს.**

ისე, სიტყვამ მოიტანა და სუბართან ერთად სხვა მისი წინამორბედებიც ვახსენეთ. დიახ, ვახსენეთ, რადგან პირველი ომბუდსმენის დავით სარალიძის, ისევე, როგორც მეორე ომბუდსმენის ნანა დევდარიანის ამ პოსტზე მოღვაწეობა სახსენებელია, რადგან გასახსენებელი არაფერი გაუკეთებიათ ყოფილ საგადასახადოს უფროს სალარიძეს და ნასოციალისტარ დევდარიანს — ორივენი ისხდნენ სავარძლებში და, თუ არ აკეთებდნენ, არც აშავებდნენ რამეს.

რაც შეეხება სოზარ სუბარს, მოდი ვაღიაროთ, რომ თავიდან არანაირ დისკომფორტს არ უქმნიდა „ნაცებს“, პირიქით, მათთან უნისონში მოქმედებდა — არ ვიცი, იმიტომ, რომ თავის დროზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ კურსდამთავრებულს სოროსის აცრა ჰქონდა გაკეთებული და არ ვიცი, იმიტომ, რომ პოსტრევოლუციურ ეიფორიაში იმყოფებოდა.

სუბარის ხელახალი სვანიზაცია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ დაიწყო, რაზედაც დიდხანს დუმდა. ამბობენ, რომ სოზარმა მას შემდეგ ამოიდგა ენა, რაც სვანებმა მულახის წმიდა გიორგის სახელით „შემოულაწუნესო“. ასეა, როგორც ჩანს, სვანებზე დიდხანს ვერ მოქმედებს სოროსის ანტიქართული შრატი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაგაშვებით და დიდი სიყვარულით სვანების — ამ ვაჟკაცი ქართველების მიმართ.

რაც შეეხება სუბარის შემცვლელ გიორგი ტუღუშს, ეს ახალგაზრდა, დემოკრატიის ახალი ტალღების დგაფუნიდან გამომდინარე, ახალი სახალხო დამცველი ყოველგვარი სახალხო განხილვის გარეშე დაამტკიცეს ომბუდსმენად ისეთივე ფაციფუცითა და სტახანოვური სიჩქარით, როგორც კანონი — მანიფესტაციების აკრძალვა-დარბევის, ხალხისთვის ტყვიების სროლის შესახებ.

გიორგი ტუღუშიც „თავისუფლების ინსტიტუტის“, ამ ქართველმოძულე გველების საბუდარიდან გამოსრიალებული „გამოსოროსირებული“ კადრია, რომლის მიმართაც ერთადერთი მოთხოვნაა ნაცების მხრიდან, რომელთა მიმდინარე და, რაც მთავარია, მოსალოდნელ რეპრესიებს თუ არ გაამართლებს, ჩუმად მაინც იქნება.

პარლამენტში მისთვის დასმული კითხვებიც აშკარად ამ დაცვისთვის იყო — არა ერთხელ გაიჟღერა სოზარ სუბარის სახელმა, რომლის მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით ლევან რამიშვილი, ალბათ, სოროსის შრატის ორმაგ დოზას გაუკეთებდა გიორგი ტუღუშს იმ ზომის შპრიცით, ერთ რუსულ ფილმში მორგუნოვს რომ დაარჭეს. რამდენად მდგრადები არიან გურულები „გამოსოროსირების“ მიმართ, ამას უახლოესი მომავალი გვიჩენებს. თუ საჭირო გახდა, იმედია, არც გურულები დაამადლიან გიორგი ტუღუშს ერთ შემოლაწუნებას „შემოქმედის“ ეზოში.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში სახალხო დამცველი იმდენად დიდი უფლებებით სარგებლობს, რომ პრეზიდენტებისთვისაც კი ლამის ყურების ახევა შეუძლიათ.

ჩვენთან? სოზარ სუბარის მოხსენებებს განხილვის ღირსადაც არ თვლიდნენ, რომლის განცხადებებს მხოლოდ ის ეფექტი ჰქონდა ხელისუფლებისთვის, რაც სკამზე დადებულ ჭიკარტს. აწი, ალბათ, ეს დისკომფორტიც აღარ ექნებათ ხელისუფლებაში მოკალათებული სოროსის ხლისტების უკანალებს.

ეს ყველაფერი იმასაც მოწმობს, რომ ხელისუფლება გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება საკუთარი სკამების შესანარჩუნებლად და რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ ამ ბრძოლის ავანგარდში იქნება. ეს დანაშაულებრივი ანტიქართული, ფაშისტური ორგანიზაციაა. მოვა დრო და, როგორც გერმანელებმა გაასამართლეს და სამუდამოდ აკრძალეს ფაშიზმი, იმავეს ქართველებიც ვიზამთ.

მანამდე კი, „შერეკილი“ ერთაოზ ბრეგაძე მახსენდება — ავშენდით, ბიძია-ბაბუა, ავშენდით!!!

**დავით მხეიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სიგიჟეს ბოლო არ უჩანს

**აიზეკ ჩოტინერისგან (Isaac Chotiner) გავიგე, რომ ბაიდენის ინტერვიუ გაზეთ „Wall Street Journal“-თან იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა იგი რუსეთთან დაკავშირებით პროვოკაციულ და სულელურ რაღაცებს ამბობდა. გაზეთი „New York Times“ იუწყება:**
**ქართველ და ოს ბავშვებთან შეხვედრაზე ბატონი ბაიდენი რუსეთს უმკაცრესად გამოეხმაურა.**
**იგი თვლის, რომ მოსკოვმა საბაბი გამოიყენა, რათა თქვენს ქვეყანაში შემოჭრილიყო და დარწმუნებით აღნიშნა შესაძლებლობა, რომ ბატონი სააკაშვილი დამნაშავე იყო 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის დაბომბვაში. მან თქვა, რომ რუსეთს ძვირად დაუჯდა საქართველოზე თავდასხმა, ვინაიდან ყველა მათი მეზობელი ქვეყანა დღესდღეობით უნდობლად ეკიდება რუსეთს.**



იგი დაჰპირდა ბავშვებს, რომ შეერთებული შტატები რუსეთზე ზეწოლას მოახდენს, რათა დაემორჩილოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომელსაც ხელი ფრანგების გამოისობით მოეწერა, და თქვა, რომ მათი (რუსების) გაჯიუტების შემთხვევაში ეს ფაქტი მათსავე პრობლემად გადაიქცევა.

ბაიდენმა ხაზი გაუსვა ამერიკელების გულუხვობას: **„მათ თქვეს — კარგი, აიღეთ ჩემი ფული, მომიმატეთ გადასახადები“**. თანამემამულეებმა საქართველოს გასული წლის ომის შემდეგ 1 მილიარდი დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება აღუთქვეს.

„თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ამერიკა თქვენზე ზრუნავს, **პირადად თქვენზე ზრუნავს,** — თქვა ბატონმა ბაიდენმა, — ჩვენ თქვენ გამო ვღელავთ და არ მიგატოვებთ. ეს ძნელი გზაა, მაგრამ არსად გავიქცევით“.

რა თქმა უნდა, „გამაფრთხილებელი ვარდნის“ სუნი აქ არაფერს ასდის! *(ტერმინი „გამაფრთხილებელი ვარდნა“ შემოიღო ჰერბერტ ლონდონმა სტატიაში „არის თუ არა აშშ საიმედო მოკავშირე?“ რომელსაც იგი შემდეგნაირად ხსნის: გამაფრთხილებელი ვარდნა — ესაა დარწმუნებულობა, რომ აშშ არ არის განსაკუთრებული ქვეყანა, რომელსაც, ისტორიიდან გამომდინარე, უფლება ექნება, მსოფლიო სცენაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, ვიდრე სხვა ქვეყნებმა. ლონდონი ბრალს სდებს პრეზიდენტ ობამას, რომ იგი სწორედ ასეთი დარწმუნებულობითაა შეპყრობილი, რაც მის საგარეო პოლიტიკას აფუჭებს).* ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ ბაიდენი ნამდვილი ძერაა, რომლის საქართველოსადმი მხარდაჭერაც გასული წლის აგვისტოში იმდენად შორს წავიდა, რომ იგი სააკაშვილს ომის დამთავრებიდან მალევე ეწვია და ახლა სრულიად ნათელია, რამდენად უაზრო იყო მთელი ეს საუბრები „გადატვირთვასთან“ დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, არ ვიცი არცერთი სხვა ამერიკელი პოლიტიკოსი, მაკეინის გარდა, რომელიც ასეთი შეუვალი და იდეოლოგიური იქნებოდა თავის გამოსვლებში საქართველოს შარშანდელ ომთან დაკავშირებით. ამას ბაიდენის ჩვეულებრივ იდიოტიზმს ვერ მივაწერთ. ის ადმინისტრაციას წარმოადგენდა მნიშვნელოვან საზღვარგარეთულ ვიზიტში და, თუ ბაიდენის განრიგითა და სახალხო შენიშვნების მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი მივლინება გათვლილი იყო მოსკოვისთვის შეურაცხყოფის მიყენებასა და მის გაფრთხილებაზე.

თუ ბაიდენის ნაუბარს თანმიმდევრულად განვიხილავთ, მისი განცხადება რუსულ თავდასხმაზე ჭეშმარიტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „საბაბში“ გულისხმობდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას სასაზღვრო კონფლიქტების სრულმასშტაბიან ომში გადაზრდის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური ქართველები, რომელნიც, სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთიდან განდევნეს, თბილისის იურისდიქციის ქვეშ უკვე თითქმის 20 წელია, აღარ ცხოვრობდნენ. ბაიდენის აუდიტორიაში, სავარაუდოდ, უბრალოდ, არ იყო ბავშვი, რომელსაც ემახსოვრებოდა ის დრო, როცა სამხრეთ ოსეთი საქართველოს დე ფაქტო ნაწილი იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი და მათი მშობლები სამხრეთ ოსეთს საქართველოს ნაწილად არ თვლიან, მაგრამ ამან უნდა მიაპყროს ჩვენი ყურადღება ქართული ხელისუფლების მტკიცებისა და რეგიონის პოლიტიკურ რეალობას შორის განსხვავებებზე.

ბაიდენმა თავის აუდიტორიას განუცხადა, რომ რუსეთს თავისი მეზობლები „მკაცრად კიცხავენ“, მაგრამ ნანგრევებად ქართული ეკონომიკაა ქცეული, ხოლო საქართველოს ათეულობით ათასმა მოქალაქემ იძულებით დატოვა საცხოვრებელი. მე არ ვიცი, როგორია ლტოლვილების პოლიტიკური მოსაზრებანი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სააკაშვილის მიზეზით წარმოქმნილი კრიზისის მსხვერპლნი მტრულად უნდა იყვნენ განწყობილნი მთავრობის მიმართ. ამერიკელები, ალბათ, ფიქრობენ, რომ ქართველებზე დახარჯული 1 მილიარდი დოლარი — ეს ის ერთი მილიარდი დოლარია, რომელსაც ჩვენ ჩვენს საჭიროებებზე ვერ დავხარჯავთ. ამ დროისათვის 1 მლრდ დოლარი, რომელიც ფედერალური ბიუჯეტის ზღვაში მხოლოდ ერთი წვეთია, ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენი კეთილი ნების დემონსტრაციაზე შეგვიძლია დავხარჯოთ. სიამოვნებით ვნახავდი გამოკითხვების შედეგებს, რომელშიც ასახულია, რამდენად ბედნიერები არიან ამერიკელები თავიანთი გადასახადების აწევით. მით უმეტეს, რომ ეს თანხები განადგურებული ეკონომიკის მქონე, საომრად განწყობილი, ავტორიტარული დემაგოგის მიერ მართული ქვეყნის სუბსიდირებისთვის დაიხარჯება. ქართველებისთვის, საბედნიეროდ, ამერიკელების უმრავლესობას უკვე დაავიწყდა საქართველოს არსებობა და ამიტომ აღარ ინერვიულებენ მათი ფულის უაზრო ხარჯვაზე ამ ქვეყანაში, მაგრამ სწორედ ეს უსვამს ხაზს მთავარ მოსაზრებას, რომ ამერიკელებს საქართველო ფეხებზე კიდიათ. თუ განვუმარტავთ, რა იგულისხმება მათ წინ მდებარე „ძნელ გზაში“, ისინი უფრო ნაკლებად დაინტერესდებოდნენ საქართველოს დახმარებაში.

როგორც ჩოტინერი აღნიშნავს, სწორედ მხარდაჭერის ამ უჭკუო რიტორიკამ შეიძლება დაარწმუნოს ქართველები, რომ აშშ მათ მხარს შემდეგი შეტაკებების შემთხვევაშიც დაუჭერს, რაც სინამდვილეში ტყუილია და ქართველებისთვის კიდევ ერთ დიდ იმედგაცრუებად შეიძლება იქცეს. ესაა რიტორიკა, რომელზეც ადმინისტრაციამ სრულიად მართებულად თქვა უარი ირანის შემთხვევაში. ამას გარდა, ეს სწორედ ის უჭკუო რიტორიკაა, რომელმაც სააკაშვილს შარშან თავისი კატასტროფული შეცდომებისკენ უბიძგა. თუ ჩვენი ჩინოვნიკები აგრძელებენ ამავე რიტორიკას იმ ყველაფრის შემდეგ, რაც სააკაშვილმა უკვე ჩაიდინა, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გააცნობიეროს, რომ რუსეთის საზღვრებთან მდებარე თითქმის უმნიშვნელო ქვეყნის მიმართ ამოუწურავი სოლიდარობა ძალიან სახიფათოა და რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვას უწყობს ხელს?

ხანდახან მგონია, რომ ეგრეთ წოდებული პროქართული პოლიტიკოსები და მოაზროვნეები მანამ არ დაკმაყოფილდებიან, სანამ რუსეთი საქართველოს ოკუპაციასა და ანექსიას არ მოახდენს, იმიტომ, რომ მათი საქართველოსადმი სიმპათიებს არაფერი აქვს საერთო მის კეთილდღეობასა და დამოუკიდებლობის სურვილებთან, მაგრამ აქვს რუსული „რევიზიონიზმის“ წარმოჩენის მიზანი, რომლის გამოყენებაც მათ თავიანთი ანტირუსული პოზიციის გასამართლებლად შეუძლიათ. აბა, სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას საქართველოს ხელისუფლების თვითგამანადგურებელი საქციელის მიმართ ასეთი განუწყვეტელი მხარდაჭერა? როგორ აიხსნება მუდმივი პროვოკაციები, რომლებიც მხოლოდ აძლიერებს დაძაბულობას რეგიონში მისი შემცირების ნაცვლად? საქართველოსა და მისი ხალხის კეთილდღეობაზე ნამდვილი ზრუნვა მოითხოვს, რომ შევწყვიტოთ ამ ქვეყნის სატყუარად გამოყენება რუსეთის მორიგ საერთაშორისო სკანდალში ჩასათრევად, მაგრამ „თავისუფლების პოლიტიკასა“ და სააკაშვილის მხარდაჭერას საქართველოს ინტერესებთან საერთო არასდროს არაფერი ჰქონია.



## ნაწილი მეორე

მის საუბარში გაისმოდა მკაცრი გაფრთხილებაც: ნუ ეცდებით რუსეთთან ბრძოლას! მან თქვა, რომ საქართველოსთვის ტერიტორიების დაბრუნების საუკეთესო საშუალება — ესაა ქვეყნის იმდენად მიმზიდველად ქცევა, რომ სეპარატისტები, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი ნებით დაბრუნდნენ. ომის შედეგად ლტოლვილადქცეულ ეთნიკურ ქართველ ბავშვებთან შეხვედრაზე ბაიდენმა განმარტა, რომ ამ პროცესს წლები და, შეიძლება, ათწლეულებიც კი დასჭირდეს.

„როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხი დაინახავს, რომ დანარჩენი საქართველო კეთილდღეობითა და შესაძლებლობებით ტკბება, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთით, რუსეთისკენ გაიხედავენ — თუ იგი მანამდე რადიკალურად არ შეიცვლება, — და ასეთივე შესაძლებლობებს ვერ დაინახავენ, ერთმანეთს ეტყვიან: „ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მე საქართველოში მინდა“, — თქვა ბაიდენმა, — სწორედ ამიტომ დაინგრა ბერლინის კედელი“ (გაზეთი „The New York Times“).

მე რომ ქართველი ნაციონალისტი ვიყო, ეს საუბარი მაღალფარდოვნად და სულელურად მომეჩვენებოდა. ქართველი ნაციონალისტები თვლიან, რომ მათ ამ ტერიტორიებზე უფლებები აქვთ და ისინი, ვინც მოქმედებათა მკაცრ ხაზს მიჰყვება, არ არიან დაინტერესებულნი, წლობით ელოდონ იმის დაბრუნებას, რაც, მათი აზრით, ისედაც მათი საკუთრებაა. მე რომ ოსი ვიყო სამხრეთ ოსეთიდან ან აფხაზი, ეს საუბარი სასაცილოდ მომეჩვენებოდა. ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს ხალხი ენთუზიაზმით დაბრუნდება იმ ხელისუფლების კონტროლქვეშ, რომელმაც მათ წინააღმდეგ სხვადასხვა ბოროტმოქმედება ჩაიდინა. მათ პრომოსკოვურ ლიდერებს აქვთ მოტივი, თავიანთ მოქალაქეებს ამაზე ფიქრის სურვილიც კი გაუქრონ. ბაიდენს ასეთივე წარმატებით შეეძლო, ქართველი ლტოლვილი ბავშვებისთვის ეთქვა, რომ ისინი ოდესმე დაბრუნდებიან რუსეთის მიერ კონტროლირებულ სამხრეთ ოსეთში, იმ პირობით, რომ იქ კარგი მმართველობა, თავისუფალი ბაზარი და კეთილდღეობა იქნება. ეს განცხადება საერთოდ არ ითვალისწინებს ეთნიკური თვითგამორკვევისა და უსაფრთხოების საკითხებს, რომლებიც ყველა ამ კონფლიქტის საფუძველია. ამერიკელი ვარ და მსგავსი შეუგნებლობისა ძალიან მრცხვენია.

ნავთობიდან შემოსული დიდი შემოსავლების გამო, ბოლო ათწლეულებში რუსეთში ეკონომიკური ბუმი იყო, იმ დროს, როცა საქართველო სადღაც ბოლოში მოჩანჩალებდა, მაგრამ ამან სურვილი ვერ აღუძრა ქართველებს, გარუსებულიყვნენ. პირიქით, რუსეთის გაძლიერება ქართული ნაციონალიზმის გაღვივების არაპირდაპირი საფუძველი გახდა. მრავალი ყოფილი საბჭოური სახელმწიფოსთვის პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობა გაცილებით უარესი ეკონომიკური პირობების მიზეზი გახდა, ვიდრე ისინი მიჩვეულები იყვნენ, მაგრამ მათმა ნაციონალიზმმა და, განსაკუთრებით, მათი ნაციონალიზმის ანტირუსულმა ელემენტმა დამოუკიდებლობა უფრო მიმზიდველი გახადა, ვიდრე ნებისმიერი უპირატესობა, რომელიც მათ მოსკოვის კონტროლქვეშ დარჩენის შემთხვევაში შეიძლებოდა მიეღოთ. ბევრი ხელახლა განთავისუფლებული ქვეყნისთვის საბჭოთა მბრძანებლობისგან განთავისუფლება დაკავშირებული აღმოჩნდა კორუფციისა და უთანასწორობის კატასტროფულ ზრდასთან, მაგრამ სრულიად გასაგებია, რომ მათ თავიანთი ჩამოშლილი სახელწიფოები არჩიეს სხვა, პრობლემებით არანაკლებ გაწვალებული სახელმწიფოს ნაწილად ყოფნას. როგორც უნდა გავაკრიტიკო ნაციონალიზმი, მესმის, რომ ნაციონალური თვითშეგნება ისეთ რამეს აძლევს ხალხს, რის სერიოზულად არაღქმაც არ შეიძლება. ამას გარდა, ნაციონალური თვითშეგნება ისეთი რამაა, რომელიც, თუ ერთხელ გაჩნდა, მისი სრულებით ამორეცხვა და წაშლა შეუძლებელია.

თუ ნაციონალისტური ხალხები თავიანთ ბედს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დაყრდნობით გადაწყვეტდნენ, ძალიან ბევრი საერთოდ არ დაიწყებდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კორუფციისა და დანაშაულების ბუდეა და მათ ეკონომიკურად წარმატებულებს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ქართველებისადმი ანტაგონიზმი, რომელმაც ისედაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწია სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ შარშანდელი ომის დაწყებამდე, და მას შემდეგ მხოლოდ უარესდება, ნიშნავს, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს. რამდენადაც სამხრეთ ოსები ხაზს უსვამენ თავიანთ კუთვნილებას ოსებთან, მათ უფრო მეტი მიზეზი აქვთ, თავიანთი მომავალი პოლიტიკურად დაუკავშირონ რუსეთს, სადაც სხვა ოსები ცხოვრობენ, ვიდრე საქართველოს შეუერთდნენ, ის ეკონომიკური არეულობაც რომ არ იყოს, რაც ახლა საქართველოში ტრიალებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველო რუსეთზე სერიოზულადაა დამოკიდებული ეკონომიკურად. თუ ეკონომიკური ინტეგრაცია გაძლიერდება, რომელიც, თავის მხრივ, პოლიტიკურ ცვლილებებამდე მიგვიყვანს, ეს გამოიწვევს რუსეთის მიერ საქართველოს თანდათანობით გადაყლაპვას, და არა რუსეთის ნაწილების მოწყვეტას, რომელთაც საქართველოსთან შეერთება ენდომებათ. სავარაუდოდ, ქართველი ნაციონალისტები პირველები გაიგებენ ამას.

**დენიელ ლარისონი**
**„The American Conservative“, აშშ**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შვიდფერი კრიზისი

დასასრული. დასაწყისი იხ. №21-23

**პრეზიდენტი, როგორც წესი, ჩქარობს და დაჟინებით მოითხოვს, კანდიდატურა მოწონებულ იქნეს სენატის საავგისტო არდადეგებამდე, რათა ოქტომბრიდან ქალბატონი სოტომაიერი მუშაობას შეუდგეს. ის არ ელოდება სენატის გადაწყვეტილებას; ის მოითხოვს, როგორც დირექტორი. ამ განკარგულების მიხედვით, აშკარაა, რომ თუ წლის პირველ ნახევარში ლიბერალებმა ბანკებისა და მსხვილი კორპორაციების მართვის სადავეები ჩაიგდეს ხელში, შემოდგომიდან ახალი კანონების შექმნისა და კონსტიტუციის ცვლილების საქმეს შეუდგებიან.**

ცხადია, პირველ რიგში, მიიღებენ კანონს პროფკავშირების შესახებ, საიდანაც საიდუმლო ხმის მიცემის პუნქტებს ამოშლიან, შემდეგ — გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებული კანონების სერიას, შემდეგ — კანონს ნახშირმჟავა გაზის ემისიის შესახებ, რაც ამერიკის თითოეული მოქალაქისთვის გადასახადებს წელიწადში 1600 დოლარით გაზრდის, სუფთა პლანეტისთვის მებრძოლი ალ გორის შემოსავლებს კი — მილიარდებით. მხოლოდ უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მისი ქონება 2-დან 100 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ნობელის პრემიის ლაურეატ ალ გორს ჟურნალისტებმა მსოფლიოს ისტორიაში პირველი „ალმასის მილიონერი“ უწოდეს. ლიბერალები ამ კანონის მოქმედების ყველა ქვეყანაში გავრცობას აპირებენ. მაისის ბოლოს პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ამ წამოწყების პერსპექტივების განსახილველად ჩინეთს უკვე სტუმრობდა. მშვენიერი ვარიანტია — მსოფლიო გამოქვითავს ვერცხლს, რომელიც ნაკადულებად ჩაედინება სოროსის, გორისა და სხვა „ჰაერის გამყიდველების“ ჯიბეებში.

მეორე კანონი ჯანდაცვის შესახებაა, რომელიც მკვეთრად შეცვლის ამერიკელთა ცხოვრებას. რა საჭიროა ის კრიზისის პირობებში, როდესაც იმდენი ვალი დაგროვდა, რომ ჩინეთს ოდესმე თავისი ფულის დაბრუნების აღარც კი სჯერა? ფინანსთა მინისტრის ტიმ ჰაიტნერის ბეიჯინის უნივერსიტეტში გამოსვლისას მის სიტყვებზე, რომ ამერიკის ვალებში კაპიტალდაბანდება დღემდე საიმედო საქმედ რჩება, სტუდენტები ლამის სიცილით დაიხოცნენ. ამჟამად აშშ ჯანდაცვის სისტემა მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, იქ ამ სფეროში ორჯერ მეტი იხარჯება, ვიდრე ინგლისში. რა საჭიროა სიტუაციის გართულება, როდესაც უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ მხოლოდ ადმინისტრირების ხარჯები მთელი მოთხოვნადი თანხის მესამედი იქნება? უფრო მეტიც, ჯანდაცვის კომისიაში მომუშავე სენატორები ამბობენ, რომ რეორგანიზების გეგმა ჯერაც არ არსებობს, სამაგიეროდ, უკვე განსაზღვრულია თანხა, რომელიც ამ გეგმის განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

ეს კიდევ ერთი შავი ხვრელია, რომელშიც უკვალოდ ჩაიკარგება გადასახადების გადამხდელთა ფული. აბსურდი? არა — ცივი გათვლა. პასუხი ისევ ალინსკის ფორმულაშია: ხელისუფლება არის კორპორაციების, ბანკებისა და მომსახურების სფეროების ერთობლივი ინტერესები. ეს სოროსისა და მისი გუნდის მიერ გაბერილი მორიგი ბუშტია. მთელ მსოფლიოზე ლიბერალების ბატონობისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ბანკებისა და ბირჟების, უმსხვილესი წარმოებებისა და გადასახადების ხელში ჩაგდება. ადამიანების ყოველ ამოსუნთქვას ტოტალიტარული სისტემა უნდა აკონტროლებდეს.

სწორედ ამისთვის არა თუ მზადდება ახალი კანონები, არამედ ძველებიც მოწმდება. კონსტიტუციის რომელ უმთავრეს კანონებს უმიზნებენ ლიბერალები? ეს ცხადი ხდება თეთრი სახლის ოფიციალური ცნობების გაანალიზების შემდეგ. მაგალითად, მოსკოვში ვიზიტისას საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ნარკოკარტელების ომში დამნაშავეა აშშ, რადგან კრიმინალები სწორედ იქ ყიდულობენ იარაღს. ამასთან, ის შეგნებულად შეცდა ციფრებში, რათა თავისი გამოსვლისთვის მეტი დამაჯერებლობა შეემატებინა. პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ კანონმდებლები ვერ თანხმდებიან იარაღის შესახებ კანონთან დაკავშირებით: შეიძლება მოსახლეობასაც ჰქონდეს იარაღი, თუ ის მხოლოდ შეიარაღებული სახელმწიფო რაზმებისთვისაა? ცხადია, ლიბერალებს სურთ, ჯერ განაიარაღონ ხალხი, შემდეგ კი „არაპოპულარული“ ცვლილებების ნაწილს შეუდგნენ. ლიბერალური სახელმწიფოს საუკეთესო პერსპექტივაა ნარკოსაქმოსნების, „ACRON“-ელებისა და მსგავსთა რაც შეიძლება მეტი შეიარაღებული რაზმი, ხალხს კი — არანაირი უფლება და შესაძლებლობა თავდაცვისათვის.

დღის წესრიგში შემდეგი პუნქტი პრესის შესახებ კანონია. ობამას ადმინისტრაციამ უკვე განაცხადა, რომ შეიქმნა ჯგუფი „Obama Media“, რომელიც თეთრი სახლიდან საკორესპონდენტო ქსელში გასავრცელებლად საკუთარ რეპორტაჟებს გააკეთებს. ძნელი წარმოსადგენი არაა სქემა, რომელიც მზადდება: ჯერ ინფორმაციის ოფიციალურ საშუალებებს დააწესებენ, შემდეგ კი ყველა არაოფიციალურს გააკოტრებენ. და ასე შემდეგ... პრეზიდენტი ჩქარობს.

## შეთქმულების თეორია

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ დასამყარებლად ჯერ ძველი უნდა დაანგრიო. ახლა მსოფლიო არენაზე ლიდერი ამერიკაა, ამ ადგილისათვის შეუპოვრად იბრძვიან ჩინეთი და რუსეთი. მარტივი როქია — აშშ უნდა დასამარდეს, ჩინეთი თვითონ დაინგრევა, რუსეთი კი გალატაკდება.

2003 წელს ჯორჯ სოროსმა გაზეთ „The Washington Post“-ს განუცხადა, რომ ცხოვრების მთავარ მიზნად პრეზიდენტის სავარძლიდან ჯორჯ ბუშის გადაგდება დაისახა. 2004 წლის საარჩევნო კამპანიის დროს მან ბუშის წინააღმდეგ მომუშავე 527 ჯგუფს 23 581 000 დოლარი დაახარჯა. გამარჯვება ბეწვზე ეკიდა და... ჩაიშალა.

წაგებამ სოროსს ორმაგი ენერგიით მუშაობისკენ უბიძგა. 2004 წელს მან ილინოისის შტატის სენატორის ადგილის პრეტენდენტის, აბსოლუტურად უცნობი ადვოკატის ბარაკ ობამასათვის 60 000 დოლარი მოაგროვა. 2006 წელს, როდესაც ობამა სენატორი გახდა, სოროსმა ის მანჰეტენზე თავის ოფისში მიიწვია, ერთი საათის შემდეგ კი ბანკირებს — ორინ კრამერსა და რობერტ ვოლფს წარუდგინა (ობამას ინაუგურაციიდან ერთი თვის შემდეგ ვოლფი „Presidents Economic Recovery Advisory Board“-ის წევრი გახდა, რომელსაც ამერიკის ეკონომიკის აღდგენა დაევალა. ახლა ამ კომისიას არ შეუძლია პასუხის გაცემა კითხვაზე — სად გაქრა სტიმულაციური პაკეტებიდან 5 ტრილიონი დოლარი). ერთი კვირის შემდეგ ვოლფი ვაშინგტონში ობამასთან ერთად სადილობდა და საპრეზიდენტო კამპანიას გეგმავდა.

ამის შემდეგ დაიწყო საპრეზიდენტო კამპანია, რომლის დარღვევებსაც დღემდე იძიებენ როგორც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, ჟურნალისტები და რომლის შესახებაც დუმს ცენტრალური პრესა. 2009 წლის 12 მაისს „SEIU“-ში გაჩნდა მიშელ მელკინის ცნობა იმის შესახებ, რომ სოროსის მიერ ორგანიზებული ჯგუფი „Americans Coming Together“, რომელშიც მან 10 მილიონი დოლარი ჩადო, ფედერალური საარჩევნო კომისიის მიერ 775 000 დოლარით დაჯარიმდა. სამოქალაქო ჯარიმების ამ ისტორიაში სიდიდით მესამე ჯარიმის მიზეზი დემოკრატიული პარტიის კანდიდატის რეგისტრაციისათვის 70 მილიონი დოლარის უკანონოდ ხარჯვა გახდა. ამის შემდეგ კალიფორნიის ახალ ამბებში გაჟღერდა, რომ უშუალოდ სოროსს სასაცილო დამატებითი ჯარიმის სახით 8 000 დოლარი დაუწესეს იმისათვის, რომ მან ვერ დაასახელა ნარკოტიკების ლეგალიზებაზე მომუშავე ორგანიზაცია „Drug Policy Action Network“-დან წამოსული 350 000 დოლარის წყარო.

ოფიციალურად ჯორჯ სოროსმა გამოაცხადა, რომ დაასრულა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, მაგრამ ის ძველებურად სათავეში უდგას „Democracy Alliance“-ს — მილიონერთა საიდუმლო კლუბს.

## ამხანაგი ობამა

**ობამას ადმინისტრაციამ მმართველობის 6 თვის განმავლობაში სხვა სახელმწიფოებისგან უფრო ბევრი ფული ისესხა, ვიდრე ყველა მისმა წინამორბედმა ხელისუფლებამ ერთად ბოლო 30 წელიწადში, მაგრამ ქვეყნის დასანგრევად მხოლოდ მისი ძარცვა არ კმარა. სოლ ალინსკის თეორიის თანახმად, აუცილებელია, გათელო, დაამცირო, დაამუნჯო და უუფლებოდ აქციო მისი მოქალაქეები.** სწორედ ამისკენ მიილტვიან სოროსი და მისი გუნდი შტატებში უამრავი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ახალი კანონებისა და მედიასთან მუშაობის გზით.

ამერიკელ ბიჭს მინიავტომობილში კოშმარულ სიზმარშიც ვერავინ ნახავდა. ახლა კი სასწრაფოდ მიიღეს ორი კანონი, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა აწარმოოს ინვალიდის ეტლები სახელწოდებით „smart car“. ისინი, ვინც უარს იტყვის ამ ახალ ტრანსპორტზე, დაჯარიმდებიან, დაისჯებიან და... „კოკა-კოლა“ მავნეა და ამიტომ დამატებითი გადასახადები უნდა იხადოს.

უგვირგვინოდ დასრულდა „ამერიკული ოცნებაც“ — უძრავი ქონების ბუშტის გასკდომის შემდეგ ვალების გადახდის გრაფიკს მიღმა სახლების მფლობელთა 12% დარჩა, 6%-ს კი ბანკი ართმევს სახლს. ფინანსთა მინისტრი ტიმ ჰაიტნერი არა თუ სახელმწიფო, პირად ფინანსურ პრობლემებსაც კი ვერ აგვარებს: არ იხდის გადასახადებს, რამდენიმე თვეა, ვერ ყიდის სახლს ნიუ-იორკში და ვერ იხდის იპოთეკურ სესხს. თავის ამომრჩეველს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ატყობინებს, რომ გადასახადების გადახდა პატრიოტიზმია, მაგრამ გაირკვა, რომ ახალი ლიბერალური ხელისუფლების ბევრი წევრი თავად არ იხდის გადასახადებს. ირღვევა ფედერალური ცენტრისა და რეგიონების ძალაუფლებათა ბალანსი, კონსტიტუციის კანონები. ობამას აპარატში მუშაობისთვის 13 მეფე დაინიშნა, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტი იმპერატორის ვინაობას საიდუმლოდ ინახავს.



აიკრძალა საშობაო გირლიანდებით ვაშინგტონის შენობების მორთვა. თეთრ სახლში გაუქმდა „ლოცვის დღე“. საპრეზიდენტო კამპანიისას ობამა ქრისტიანად იხსენიებოდა, ეგვიპტეში კი მან განაცხადა, რომ მუსლიმანის შვილია და ამერიკაში 7 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს. მოსახლეობის ყველაზე პატივსაცემი ნაწილი არალეგალებისგან შედგება. ობამას კენიელი დეიდა ქვეყანაში არალეგალურად ცხოვრობს, მაგრამ როგორც შავკანიანმა ლატაკმა უმცირესობამ, სახელმწიფოსაგან „კანონიერ საფუძველზე“ ბინა მიიღო. სკოლებში ხუთი წლის ბავშვებს გეებთან მეგობრობას ასწავლიან. „მის ამერიკას“ ლამის მოპოვებული გვირგვინი მოხადეს იმის გამო, რომ ტრადიციული ქორწინების მომხრე აღმოჩნდა. არატრადიციული ორიენტაციის სექსუალური უმცირესობებისთვის გაცილებით უპრობლემოა სამსახურის შოვნისა და კარიერული წინსვლის გზა.

„apologize tour“-ად ცნობილი ტურებისას პრეზიდენტი მთელ მსოფლიოს უამბობს, რომ ამერიკელები ქედმაღალნი არიან, რომ აშშ დაზვერვა კანონებს არღვევს, ირანი კი მშვიდობიან ბირთვულ მრეწველობას ავითარებს. უგო ჩავესი შტატების პრეზიდენტს ოფიციალურად უწოდებს „comrade Obama“-ს, საუდელ მეფეს პრეზიდენტი ობამა ქამარზე ემთხვევა, ინგლისის დედოფალს კი მისი მეუღლე მიშელი ზურგზე ხელს უთათუნებს.

ეს არის ამერიკა ხელისუფლებაში ლიბერალების მოსვლიდან 6 თვის შემდეგ. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია.

## როგორია პროგნოზი?

ბაზრის გაცოცხლების პირველი ნიშნებისთანავე ძვირდება ბენზინი, თანაც, ბენზინის ფასი ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ნავთობისა. ეს საბირჟო სპეკულაციების შედეგია. დიდი რვიანისა და დიდი ოცეულის შეხვედრებმა ვერაფერი შეცვალა. მსოფლიო ეკონომიკა ძველებურად სოროსისეული „სპეკულაციის თეორიის“ მფლობელობაშია.

გასკდომამდეა მისული ორი უდიდესი ბუშტი: აშშ-ჩინეთი, რომლებიც იმავე ფინანსურ-პოლიტიკურმა ჯგუფმა გაბერა. ამერიკამ ჩინეთს ვალი რომ დაუბრუნოს, ამისთვის მოსახლეობამ საკუთარი შემოსავლის ორი მესამედი 10 წლის განმავლობაში უნდა იხადოს. აპირებს კი ვალის გადახდას? ობამას ლიბერალური მმართველობის შემხედვარე ჩინეთს ამის აღარ სჯერა.

რამდენად სერიოზულია სოროსის მეთაურობით მილიონერთა ჯგუფის პრეტენზიების წამოყენება, ამერიკის პრეზიდენტად კი — ლამაზი მარიონეტი მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად, ძნელი სათქმელია. ცხადია, ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა ამის შესახებ მეტი იცის, ვიდრე ჟურნალისტებმა. ამიტომაცაა, რომ თავისი მმართველობის განმავლობაში ობამა დაუსრულებლად ლანძღავს მას.

აშშ-ჩინეთის ეკონომიკური სისტემისა და აშშ პოლიტიკური სისტემის მოსალოდნელი აფეთქება მთელ მსოფლიოზე აისახება, მაგრამ ჯგუფი „სოროსი-ობამა-მისტერ X“ ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული დარჩება, რადგან ის მართავს ქაოსს, მსოფლიო საზოგადოებამ კი არა თუ ვერ შეიმუშავა წინააღმდეგობის მეთოდი, არამედ საფრთხის დანახვის სურვილიც კი არ გამოუხატავს.

გლობალური კრიზისი კაპიტალის ხელახალი გადანაწილებისთვის შეიქმნა. მან, ვინც იმედოვნებს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა, უიმედოდ დაიგვიანა. საქმე უკვე გაკეთებულია. „ეკონომიკის სტიმულირებისაკენ“ მიმართული მრავალი სახელმწიფოს სახელისუფლებო ფული „შავ ხვრელში“ არ ჩაკარგულა. ის წარმატებით დაბინავდა მსოფლიო მმართველის პრეტენდენტი ფინანსური ჯგუფის ჯიბეებში. ამ „სახელმწიფო ფულის“ გარდა მათ ჯიბეებშივე მოხვდა კერძო კაპიტალიც. „Forbes“ კი ისევ ითვლის, რომ 2008 წლის 4,4 ტრილიონიდან საერთო კაპიტალის მოცულობა 2009 წელს 2,4 ტრილიონამდე შემცირდა. რას ნიშნავს შემცირდა? — უბრალოდ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. მოსახლეობა ღარიბდება, ესე იგი ფული მათ ჯიბეებში არ დალექილა. ეს ნაკადიც კრიზისის ორგანიზატორთა ჯიბეებში ჩაიცალა.

არის კი გამოსავალი ამ უიმედო მდგომარეობიდან? გამოვა ამერიკა ლეთარგიული ძილიდან? შეძლებენ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებები თავიანთი ხალხის დაცვას ალინსკის სოციალური თეორიისა და სოროსის ფინანსური ბანდიტიზმის თეორიის ძალადობისგან? მართალია, მსოფლიო მოუთმენლად ელის ლიდერის შეცვლას, მაგრამ ეს ცვლილება სულაც არ იქნება მისთვის სასარგებლო. კვლავაც ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული შტატებსა და მის უნარზე, როგორმე წინ აღუდგეს XXI საუკუნის ფაშისტურ შავ ჭირს.

ყველას 2010 წლის კონგრესის არჩევნების იმედი აქვს, იმის იმედიც, რომ ლიბერალები დაკარგავენ საკანონმდებლო ორგანოებზე კონტროლს, შემდეგ კი ამერიკას ექნება შანსი, ხელისუფლების გადადგომისთვის იბრძოლოს.

**ვალენტინა ბაკმასტერი,**
ფილადელფია
***ВАЛЕНТИНА БАКМАСТЕР,***
***Филадельфия***
**ЕВРАЗИЯ.**
информационно-аналитический портал

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვარდი, უწყლობით ჭკნობისთვის განწირული

**ვარდების ხელისუფლების ბევრმა „საჩვენებელმა“ პროექტმა ვერ იხილა დღის სინათლე. ამის უპირველესი მიზეზი კი ის მატრაკვეცობაა, რაშიც ნაციონალებს უკვე აღარ ადანაშაულებენ, ჩვეულებრივ ფაქტად იქცა და იმიტომ. „საქართველო და მსოფლიოს“ ყურადღების არეში მოექცა კიდევ ერთი და, კაცმა არ იცის (სათვალავი აგვერია!), მერამდენე, ნაციონალური ბლეფი. ზარ-ზეიმით გამოცხადებულმა „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭირი მოგვჭამა.**
**ახლა უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ამ პროექტს განხორციელება არ უწერია, თუმცა უკვე დასკვნის გაკეთება შეიძლება: ამ აფერის ინიციატორებმა და შემსრულებლებმა ქვეყანა რამდენიმე ასეული მილიონი ლარით აზარალეს (აღარაფერს ვამბობ ჯანმრთელობაშერყეულ ათასობით ადამიანზე!) და, თუ ამ ხელისუფლების პირობებში არა, ის დროც დადგება, როცა აუცილებლად მოეკითხებათ!**
**სანამ მომკითხავი გამოჩნდება, ბუნებრივია, ქვეყნის საბოლოოდ დაქცევას ვერ დაველოდებით და კიდევ არაერთხელ „გაგახარებთ“ სააკაშვილის პიარხელისუფლების „საგმირო საქმეთა“ წარმოჩენით. მკითხველიც დაგვერწმუნება, რომ ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ ქვეყნის დამაქცევართა მხილება, მთავარია, იმ ადამიანთა მდგომარეობა გამოსწორდეს, ვისაც სული კბილით უჭირავს და ჯერ კიდევ ცოცხალია, მიუხედავად ნაციონალური განწირულობისა.**
**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ რამდენიმე გამოხმაურება, რომელთა ავტორები დიდი ხანია, სამშობლოდან გადაიხვეწნენ და უკან დაბრუნებას არც აპირებენ. დღეს გთავაზობთ იმ ადამიანთა მოსაზრებებს, ვისთვისაც სულერთი არ არის, რა მდგომარეობაა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, ყურადღებით გაეცნენ ჩვენს პუბლიკაციებს — „პროექტმა 100 ახალი საავადმყოფო“ ჩაილურის წყალი დალია“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №18) და „ბლოკ-ჯორჯიამ“ 100 ახალი საავადმყოფოს პროექტი საბოლოოდ დაასამარა?“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №21) და თავისი არგუმენტირებული მოსაზრებებიც გაგვიზიარა.**







## სანტექნიკოსების ფირმა მედიცინას აუპატიურებს და პაციენტებს სამ პირ ტყავს აძრობს თავისი უმიზეზოდ გასამმაგებული ფასებით და ხმას არავინ იღებს!

„მივესალმები ჟურნალისტების ასეთ აქტიურობას, რათა ნათელი მოეფინოს იმ უმსგავსობას, რასაც ქართული ჯანდაცვა ჰქვია (ჯანდაცვა?!). მე ექიმი გახლავართ და რამდენიმე წელია, დასავლეთში ჩემი პროფილით ვმუშაობ. საქართველოში რაც ხდება, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს კატასტროფაა, კატასტროფა მრავალი მიმართულებით, — **გვწერს გოგა და ამ მიმართულებების კონკრეტულ ჩამონათვალსაც გვთავაზობს,** — საერთო სამედიცინო განათლება კატასტროფულად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს; არ არსებობს ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების არცერთი კვალიფიციური ცენტრი. თუ ვინმემ რამე იცის, მხოლოდ და მხოლოდ, თავისი პირადი ინიციატივით; სრულიად განადგურებულია საექთნო სისტემა და არ არსებობს პაციენტთა მოვლის კულტურა (ჰკითხეთ ნებისმიერ ექიმს, რომელსაც დასავლეთში მუშაობის თუნდაც მცირედი გამოცდილება აქვს, რა როლს ასრულებს ექთანი. მას საავადმყოფოს საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას უწოდებენ). საექთნო საქმის, როგორც პროფესიის, მიმართ ჩვენთან სრულიად დამამცირებელი მიდგომაა; არ არსებობს ტექნიკური პერსონალი. მსგავსი კატეგორიის არსებობა საერთოდ არც მოიაზრება. არადა, იგი უაღრესად მნიშვნელოვანი საფეხურია დღევანდელ ჯანდაცვის სისტემაში. მათ გარეშე სრულიად წარმოუდგენელია სამედიცინო საქმიანობის წარმოება. თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ საგანმანათლებლო სისტემას, სადაც მსგავსი მიმართულებით რაიმე სამუშაო ჩატარდა; სამედიცინო-საინჟინრო სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია სამედიცინო აპარატურის მუშაობასა და შენახვაზე, მხოლოდ კუსტარულ დონეზეა. ტექნიკური უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს კადრების სათანადო მომზადებას“.

**ბატონი გოგა გვეკითხება და ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენი ჯანდაცვის მესვეურებს ადრე თუ გვიან მაინც მოუწევთ:** „დარწმუნებული ხართ, რომ კლინიკურ-ლაბორატორიული ანალიზი საქართველოში მაღალ დონეზეა? მაშინ რატომ გზავნიან ანალიზებს საზღვარგარეთ დაზუსტებისთვის?“

**ევროპაში მოღვაწე ქართველ ექიმს ნამდვილად დაეჯერება:**

### „ვერავინ მეტყვის, რომ გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში ან რომელიმე სხვა ევროპულ ქვეყანაში, ფარმაკოლოგიური ფირმა საავადმყოფოს ფლობდეს ან კლინიკურ სამედიცინო საქმიანობას ეწეოდეს.

ჩვენთან ეს შესაძლებელია. არის თუ არა პაციენტის უფლებების დარღვევა, როცა კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის კლინიკაში მხოლოდ ამ კლინიკის წარმოებული მედიკამენტის გასასაღებლად ხდება პაციენტის მომსახურება? თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მაგალითად, ბაიერი, ფაიზერი, მერკი ან სხვა უმსხვილესი ფირმები თავიანთ კლინიკებს რომ ფლობდნენ? რა, ფული არ აქვთ და 100 საავადმყოფოს ვერ ააშენებენ?“

**ჩვენ ამას ვერ წარმოვიდგენთ, რომ ეს დაუშვებელია ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ ამის წარმოდგენა არც გვჭირდება, რადგან ჩვენთან „ეს უკვე მოხდა...“**

„რას ჰგავს სანიტარიულ-ჰიგიენური სისტემა საავადმყოფოებში, ადგილზე, სადაც ზეჰიგიენური მდგომარეობა უნდა სუფევდეს? ეს ყველაფერი მე დავახასიათე თბილისის მასშტაბით. რა ხდება მაღალმთიან რაიონებში? რა ხდება სოფლად? რა სამედიცინო, ტექნიკურ-მატერიალური ცოდნა ხვდება პაციენტს? პირდაპირ გეტყვით — ნული“, — **რაც დასავლური გამოცდილების ექიმისთვის მიუღებელია, ის ლამის სანატრელი აქვთ მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთ, რადგან მათთვის ექიმი დიდი ფუფუნებაა.**

„ერთადერთი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა გადაუდებელი სამსახურის — 03-ის მიმართ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისში და ისიც — თბილისში.“

**ყველაზე მტკივნეულ იარას ეხება ბატონი გოგა, როცა აცხადებს:** „რა ჯანდაცვის სანდოობაზეა საუბარი, როცა ელემენტარული ყელის ტკივილის სამკურნალოდ ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი საზღვარგარეთ დარბის!.. თუ ჩვენთან ყველაფერი „მსოფლიოში საუკეთესოა“ (ხელისუფლების ასე საყვარელი ტერმინი), რატომ დარბიან საზღვარგარეთ სამკურნალოდ? ყველაფერი არის ბუტაფორიული და მხოლოდ პიარზე გათვლილი.“ **ეს ის პრობლემაა, რომელზე პასუხის გაცემაც თვით ყველაზე ურცხვ და უტიფარ ხელისუფლებასაც კი არ შეუძლია.**

„ნუ გადავტეხავთ ჯოხს სამედიცინო საზოგადოებაზე, რადგან ის დაემსგავსა ვარდს, რომელიც უწყლობით ჭკნობისთვის არის განწირული“, — **გოგა ექიმის ამ სიტყვებს, დარწმუნებული ვარ, ბევრი მისი კოლეგა იზიარებს.**

**ჩვენს პუბლიკაციებს ეხმიანება კახა, რომელიც გვწერს:** „მე მაქვს 2009 წლის 12 იანვრის ნასყიდობა, რომლითაც 100 საავადმყოფო პრეზიდენტის 2008 წლის 12 დეკემბრის №830 განკარგულების საფუძველზე 3 ფირმას გადაეცა! რომელია ნამდვილი დოკუმენტი? ვალდებულებათა შეუსრულებლობა ომმა და კრიზისმა გამოიწვიაო, — ფორს-მაჟორი მარტო მაგათთვის იყო? მეანაბრეებმა რა დააშავეს? თანაც, ომამდე ერთი წელი რას აკეთებდნენ? მთავრობას უფლება აქვს, ამ „ბლოკ-ჯორჯიას“ კრედიტის აღებაში რომ ლობირებს? ***სანტექნიკოსების ფირმა მედიცინას აუპატიურებს და პაციენტებს სამ პირ ტყავს აძრობს თავისი უმიზეზოდ გასამმაგებული ფასებით და ხმას არავინ იღებს!*** მაგათ სადაზღვეო საგარანტიო ფურცელიც გაყალბებული აქვთ: კერძოდ, 59.850.000 დოლარის „ვესტის“ გარანტიაზე ხელს აწერს არა დირექტორი ჭითანავა, არამედ ჯანაშვილების სიძე — მაზმიშვილი. იცით, რომ „ვესტიც“ ჯანაშვილებისაა (ნახეთ „ვესტის“ დამფუძნებლები, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯანაშვილების ოჯახის წევრია)? მოკლედ, საკუთარ თავს გარანტია ისე მისცეს, რომ ჭითანავას არც უთხრეს, თორემ რაში დასჭირდათ საგარანტიოს გაყალბება? ნეტა, ვინ „კრიშავს“ მაგათ? მიშას, ალბათ, აბოლებენ.“

**ძნელია თქმა, მართლა „აბოლებენ“ მიშას თუ თავს „იბოლებს“, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში მიშას უკითხავად არაფერი კეთდება. მოვუსმინოთ ექსპერტს, რომელიც ვინაობას არ გვიმხელს და თავისი მოსაზრებით განამტკიცებს იმ აზრს, რომ არაფერსაც არ „აბოლებენ“.**

„ფასების ზრდა დააქცევს ჯერ ხალხს, მერე — მთავრობას! „ბლოკ-ჯორჯიამ“ თუ მართლა აიღო კრედიტი, მაშინ ეს კრედიტი თავისი პროცენტით აუცილებლად აისახება მომსახურების ტარიფში! მერე ნახეთ ბედნიერი ერი! სასაცილოა, ბატონი გელა ინტერვიუში რომ ბრძანებს — 100 მილიონის ჩადებას ვგეგმავთო. შე დალოცვილო, 5-ლარიანი შარდის ანალიზი 12 ლარი გახადე, ყოველი 100 საავადყოფოს თითოეული შარდის ანალიზიდან 7 ლარს, არ გრცხვენია, ისე იდებ ჯიბეში, და შენ ხარ ინვესტორი? რაც თქვენ ამ 3 წელიწადში ხალხი გაამწარეთ — მასთან პასუხის გაცემის დრო მალე დაგიდგებათ! მოქმედი ხელშეკრულებით და კანონმდებლობით თქვენ დაარღვიეთ ბოლო ნასყიდობის ხელშეკრულებაც, კერძოდ, დანართი №8. სანზონის კლასტერში პირველი ეტაპი, ანუ სამშენებლო სამუშაოების დამთავრების ვადა 2009 წლის 15 ივლისს ამოგეწურათ. ახლა ახალს რას მოიფიქრებთ? კანონით ახლა თქვენს გარანტორ „ვესტს“ 60.000.000 დოლარის გადახდა უნდა დაევალოს, მაგრამ, რომ გაირკვევა, თქვენი გარანტია გაყალბებული ფარატინა ქაღალდია, მაშინ სად იქნებით, ძნელი სათქმელია!“ — **გვწერს ექსპერტი და დასძენს:**

„2007 წლიდან მამა-შვილი ჯანაშვილების მაფიამ მრავალი პიარაქცია ჩაატარა, რათა მოსახლეობისა და საზოგადოებისთვის როგორმე ინვესტორის მანტიაში დამკვიდრებულიყო. სინამდვილეში საქმე ტიპურ პარაზიტთან გვაქვს, რომელმაც პირველი, რაც გააკეთა, ფასები გაასამმაგა (მაგალითად: შარდის 5-ლარიანი ანალიზის ფასი 12 ლარი გახადა და 7 ლარი პირდაპირ თავისი ჯიბისკენ გააქანა!). ამას გარდა, 3 წელია, ლიფტიორების 20-20 თეთრის ამოღებით არის დაკავებული და ინვესტიციების განხორციელებისთვის ვეღარ იცლის (თურმე, ჯერ ომმა შეუშალა მათ ხელი და შემდეგ — არასტაბილურმა გარემომ).

პასუხად მოგახსენებთ: ერთი წელი ომამდე რა ფორს-მაჟორმა შეუშალა ხელი სანტექნიკოსების ფირმა „ბლოკ-ჯორჯიას“ ან შემდგომი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რატომ გახდა ინვესტიციების ხელისშემშლელი ფაქტორი ამ ფირმისთვის? მაშინ რა დააშავეს ბანკების ვალაუვალმა კლიენტებმა? თქვენს ინტერვიუში გელა გოგიშვილმა გვახარა, — კრედიტი ავიღეო! ვისი დასაბრუნებელია ეს კრედიტი თავისი პროცენტებით? თუ ექიმის მომსახურების ფული პაციენტმა უნდა გადაიხადოს, ამ კრედიტის უზრუნველყოფა კი საავადმყოფოების შენობა-ნაგებობებით და სახელმწიფო გარანტიით მოხდა, რა შუაშია „ბლოკ-ჯორჯია“?! როგორც თქვენი სტატიიდან ჩანს, „ვესტიც“ ჯანაშვილების საკუთრება ყოფილა, ე.ი. თავის თავს მისცეს 60.000.000 დოლარის გარანტია.

უფრო მეტიც, ეგ საგარანტიო დოკუმენტი საერთოდ ყალბია, რადგან მას ხელს მაზმიშვილი აწერს, რომელსაც, ამის უფლება რომ არ ჰქონდა, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით („ვესტის“ დირექტორიც და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მხოლოდ ჭითანავაა) დასტურდება. „ბლოკ-ჯორჯიამ“ და მთელმა ამ მაფიამ უკვე მოახერხეს ახალი ხელშეკრულების პირობების დარღვევაც — მათ წლეულს, 15 ივლისს, უნდა დაესრულებინათ სამშენებლო სამუშაოები (დანართი №8) სანზონის კლასტერში, რომელსაც ვითომ №5 სამშობიაროდ ასაღებენ, მაშინ, როდესაც სანზონის კლასტერში კარდიოლოგიის ინსტიტუტი და 4 კლინიკური საავადმყოფო შედის და არა თემქაზე განლაგებული №5 სამშობიარო სახლი.“

**კითხულობ ამ გამოხმაურებებს და გული გეწურება — ვის ხელში ჩავცვივდით! ადამიანებს, ვინც საქართველოს დოვლათის შექმნაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა, შიმშილით სული სძვრებათ, უფულობის გამო ექიმთან ვერ მისულან და ავადმყოფობით იტანჯებიან. ერთი მუჭა ვიგინდარები კი ისედაც ყუაზე დაყვანილ ქვეყანას ბოლო პირ ტყავს აძრობენ. ამ შემთხვევაში იმ ვითომ ინვესტორზე კი არ ვლაპარაკობ, რომელსაც დრო და მომენტი დაუდგა და თავისას ცდილობს, არამედ იმ ხელისუფლებაზე, რომელიც ვალდებულია, ხალხზე იზრუნოს, მაგრამ არა პიარაქციებითა და ვითომ კეთილდღეობის შექმნით, არამედ — რეალურად და „ბლოკ-ჯორჯიას“ მსგავსთ ასპარეზი არ მისცეს!**
**ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, ამას ადასტურებს „საქართველო და მსოფლიოს“ რესპონდენტების გულისტკივილიანი ნაუბარიც და ჩვენი აქტიური მკითხველების ის გამოხმაურებებიც, რომელთა მცირე ნაწილი დღეს შემოგთავაზეთ.**

**ბონდო მძინარაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ ცოცხლობს „ეტა“ დღემდე?

**ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“ დაარსებიდან 50 წლის შემდეგაც აგრძელებს კეფაში დამიზნებით გასროლებსა და ავტომობილების აფეთქებებს. მისი საფირმო სტილი კეფაში სროლა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი მანქანების აფეთქებაა, იდეოლოგია — ნაციონალიზმი და ლენინიზმი, მიზანი — ბასკების სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, — წერს Tagesanzeiger.**



ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მალიორკაზე ორიოდ დღის წინანდელი სამოქალაქო გვარდიის ორი თანამშრომლის მკვლელობისა და წინა დღით გვარდიის ყაზარმასთან მომხდარი ტერაქტის უკან „ეტა“ დგას. ბოლო დროს ჩანდა, თითქოს ამ ტერორისტული ორგანიზაციის ძალები ამოიწურა, — აგრძელებს ავტორი, — ფრანგული და ესპანური სამართალდამცავი ორგანოები წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ, ერთიმეორის მიყოლებით აპატიმრებდნენ ფუნქციონერებსა და პოულობდნენ იარაღის საწყობებს. „და, თითქოს დაგვცინიანო, ბასკი სეპარატისტები სისხლიანი ტერაქტებით გვასუხობენ, თანაც, სწორედ მათ მოსისხლე მტერს — სამოქალაქო გვარდიას ურტყამენ“, — წერს მარტინ დამსი და დასძენს, რომ „ეტა“ ამ ტერაქტებით ცდილობს, დაამტკიცოს მისი არსებობა. „ორგანიზაცია თავის მიზნებს ვერასდროს მიაღწევს, თუნდაც იმიტომ, რომ ბასკების უმრავლესობას დამოუკიდებლობის გაგონებაც არ სურს“, — წერს გამოცემა. როგორც პუბლიკაციის ავტორი დასკვნაში აღნიშნავს, არაერთი ესპანური მთავრობა ცდილობდა, მასთან მოლაპარაკებების მაგიდას მისხდომოდა ტერორის შესაძლო შეწყვეტაზე სასაუბროდ, თუმცა ამ მოლაპარაკებებს საგრძნობი შედეგები არ მოუტანია. „თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში „ეტამ“ მხოლოდ ბომბების სიყვარული ისწავლა და სანამ იგი არსებობს, მუდამ სიკვდილს დათესავს, მაგრამ მისი ძალები იწურება, ხოლო ბოლოდროინდელი ტერაქტები — ეს მხოლოდ მძიმედ დაჭრილი მონსტრის ბოლო გაბრძოლებაა“, — დარწმუნებულია მარტინ დამსი.

Tagesanzeiger

# ჰემინგუეი წარუმატებელი საბჭოთა ჯაშუში აღმოჩნდა

**ერნსტ ჰემინგუეი ერთ დროს საბჭოთა დაზვერვის ამერიკელი აგენტების სიაში ირიცხებოდა, — ირწმუნება The Guardian ჯონ ერლ ჰეინსის, ჰარვი კლერისა და ალექსანდრ ვასილევის წიგნზე — „ჯაშუშები: სუკის აღმავლობა და დაცემა ამერიკაში“ — დაყრდნობით. როგორც ჟურნალისტი ჯონ დაგდეილი განმარტავს, წიგნი დაფუძნებულია ვასილევის — სუკის ყოფილი თანამშრომლის — ჩანაწერებზე, რომელიც მოსკოვში, მისი უწყების არქივებში, ინახება.**



წიგნში მოთხრობილია, რომ მწერალი გადაიბირეს 1941 წელს ჩინეთში გამგზავრებამდე მცირე ხნით ადრე, მიიღო მეტსახელი „არგო“ და საბჭოელ აგენტებთან შეხვედრისას ჰავანასა და ლონდონში 1940-იან წლებში არაერთხელ გამოუთქვამს მათი დახმარების სურვილი და მზადყოფნა. თუმცაღა, — ნათქვამია ჰემინგუეის ციტირებულ დოსიეში, — მას საბჭოთა მხარისთვის არანაირი პოლიტიკური ინფორმაცია არ წარუდგენია და საბოლოოდ მაინც არ შეუმოწმებიათ პრაქტიკულ სამუშაოზე, ვინაიდან 1940-იანი წლების ბოლოს არგოსთან კონტაქტი გაწყდა. „შესაძლოა, ის მხოლოდ თამაშობდა ჯაშუშს და არალეგალურ სამუშაოში ლიტერატურული მასალის წყაროს ხედავდა ან, იქნებ, გულით უნდოდა ჯაშუშობა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა?“ — კითხვას სვამს გამოცემა.

ავტორის აზრით, მეორე ინტერპრეტაცია უფრო სავარაუდოა, ვინაიდან იგი ჰარმონიაში მოდის ჰემინგუეის მცდელობასთან, დახმარებოდა ამერიკელებს მეორე მსოფლიო ომის დროს: იგი კუბის სიახლოვეს წყლებში პატრულირებდა გერმანული წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შენიშნა.

The Guardian

# გამარჯვებისთვის სტალინი რუსი პატრიოტი გახდა

**გაზეთ Corriere della Sera-ს რუბრიკა „მკითხველის წერილების“ წამყვანი სერჯიო რომანო პასუხობს კითხვაზე — შეიძლება თუ არა, სტალინი ჩაითვალოს „საბჭოთა კონსერვატორად“, რომელმაც მართლმადიდებლობის რეაბილიტაცია მოახდინა, დააბრუნა მითი მეფის იმპერიაზე და საზოგადოების ტრადიციული ღირებულებები ააღორძინა?**



სტალინის რუსული ნაციონალიზმი გარემოებათა ზეწოლით გამოწვეული გააზრებული არჩევანი იყო, — ვარაუდობს რუბრიკის ავტორი. ცნობამ, რომ ჰიტლერმა ოპერაცია „ბარბაროსა“ დაიწყო (1941 წლის ივნისი), საბჭოთა ლიდერზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. სტალინი რამდენიმე დღის განმავლობაში ფსიქოლოგიური დამბლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფრონტიდან შემაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. გარკვეულ მომენტში სტალინი მიხვდა, რომ რუსები ჰიტლერს კომუნიზმის სახელით ვერ დაამარცხებდნენ — მათ გამარჯვება მხოლოდ დიდი მამულისთვის შეეძლოთ. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ სტალინმა უკვე ყოყმანის გარეშე დაიწყო პატრიოტიზმისა და რელიგიური რწმენის კარტის გათამაშება. მან გარკვეული ნაბიჯები გადადგა მართლმადიდებლური ეკლესიისკენ, ხოლო თავის გამოსვლებში იყენებდა ისეთსავე მოწოდებებსა და გამონათქვამებს, რაც ჯერ კიდევ 1812 წლის სამამულო ომისას ჟღერდა. მან საჩქაროდ გამოუშვა ბანაკებიდან წმენდისას მოყოლილი ოფიცრები, — ირწმუნება სერჯიო რომანო, — ასევე, მოუწოდა არტისტებსა და ინტელიგენციას, საკუთარი წვლილი შეეტანათ ქვეყნის მორალურად ამაღლების პროცესში. ჩრდილიდან გამოვიდნენ ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ანა ახმატოვა და დიმიტრი შოსტაკოვიჩი. კინემატოგრაფისტებმა დაიწყეს ისტორიული ფილმების გადაღება, რომლებიც განადიდებდნენ ისეთ ისტორიულ პიროვნებებს, როგორიცაა: მეფე ალექსანდრე ნეველი, მეფე ივანე მრისხანე და ა. შ. სტალინმა თავისუფლება მიანიჭა ებრაელებსაც, რომელთაც ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდა — მათ შეეძლოთ, ისევ გაეხსნათ თავიანთი ნაციონალური თეატრი, შეექმნათ კულტურული ასოციაციები. ამას გარდა, სტალინმა საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი შეერთებულ შტატებშიც კი მიავლინა, რომ მათ ამერიკელი თანამოძმეები საბჭოთა რეჟიმის მხარდაჭერის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

ფრონტზე, სადაც იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, მსგავსმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უდიდესი დადებითი ეფექტი მოახდინა. რუბრიკის წამყვანი წერილის ავტორს ურჩევს, წაიკითხოს ვასილი გროსმანის წიგნი „ცხოვრება და ბედი“, რომელშიც აღწერილია სტალინგრადის ბრძოლა. ამ ნაწარმოების გმირები კომუნიზმისთვის კი არა, სამშობლოსთვის იბრძოდნენ, — აღნიშნავს სერჯიო რომანო. მაგრამ, როგორც კი საომარი სიტუაცია საფუძვლიანად შეიცვალა, ამ პატრიოტული ოპერაციის ფარგლებში ბოძებული თავისუფლებები ისევ გაუქმდა. ომი დამთავრებულიც არ იყო, რომ ბანაკებში უკვე აგზავნიდნენ მათ, ვინც ხელმძღვანელობას კონფლიქტის დასაწყისში არასწორი სტრატეგიის გამო აკრიტიკებდა. უკვე ომის შემდეგ ათასობით მებრძოლი იგზავნებოდა გულაგში, ხოლო გადარჩენილები დიქტატორის სიკვდილს ელოდებოდნენ, რათა სახლში დაბრუნებულიყვნენ, — წერს ჟურნალისტი.

Corriere della Sera

# მთელი ვატიკანი სუკის ჯაშუში იყო

**ამერიკული დაზვერვის ყოფილმა ოფიცერმა სისტემაში მოიყვანა მონაცემები აგენტების შესახებ, რომელნიც ცივი ომის დროს რომის პაპს გარს ეხვია, — წერს მაურიციო მოლინარი La Stampa-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

ამერიკის სამხედრო დაზვერვის ყოფილმა ოფიცერმა ჯონ კეხნერმა, რომელიც 1980-იან წლებში პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი იყო, გამოსცა წიგნი სახელწოდებით „ჯაშუშები ვატიკანში“, რომელშიც თავი მოუყარა დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომ საბჭოთა კავშირი საიდუმლო ომს აწარმოებდა წმინდა ტახტთან.

მოსკოვსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა დედაქალაქებში გასაიდუმლოებული დოკუმენტების შესწავლისას წიგნის ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ბოლშევიკები თავიდანვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვატიკანი მტრულად განწყობილი სახელმწიფოა. მოგვიანებით, 1960 წელს, საბჭოთა სპეცსამსახურებმა მიიღეს გადაწყვეტილება წმინდა ტახტის სტრუქტურაში აგენტების შეგზავნის შესახებ. ვატიკანის აღმოსავლური პოლიტიკა, იგივე „Ostpolitik“, აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში სახიფათო ჩარევად აღიქმებოდა. სუკმა ოპერაციის ჩატარება გდრ-ს სპეცსამსახურ „შტაზის“ დაავალა, რომელსაც მარკუს ვოლფი მეთაურობდა. მან, თავის მხრივ, როგორც გაზეთი წერს, არნახულ შედეგებს მიაღწია.

მრავალთა შორის „შტაზის“ აგენტები იყვნენ: მონსენიორ პოლ დესმონდი, ბენედიქტელი ბერი ეჟენ ბრამერცი და მიუნხენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ალფონს ვაშბიუში. გადაბირებული აგენტებისგან სუკი და „შტაზი“ უმნიშვნელოვანეს, ხანდახან გასაიდუმლოებულ დოკუმენტებსაც კი იღებდნენ იმათი სახელებითა და „პოლიტიკური შეხედულებებით“, ვინც ვატიკანში ეგრეთ წოდებულ აღმოსავლურ პოლიტიკაზე მუშაობდა. კაროლ ვოიტილას პაპად არჩევის შემდეგ სწორედ ბრამერცმა უპატაკა სუკს „ვატიკანში პოლონური სულიერების მზარდი გავლენის შესახებ“.



აღმოსავლეთევროპელ მრავალრიცხოვან ჯაშუშებს შორის, რომელთაც იოანე პავლე მეორესთან დაახლოება შეძლეს, იყო კონრად სტანისლავ ხეიმო, დომინიკანელი მამა, ვოიტილას მეგობარი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან, რომელიც რომში პოლონელი მომლოცველების ვიზიტებს კურირებდა და „შეუზღუდავი ურთიერთობა“ ჰქონდა პონტიფიკოსთან მისი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. ნაკლებმნიშვნელოვანი ჯაშუშების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ პოლკოვნიკი ალოის ესტერმანი, შვეიცარიის გვარდიის მეთაური, რომელიც „შტაზიზე“ მუშაობდა: ის ვატიკანის ტერიტორიას აკონტროლებდა, მაგრამ ეკლესიის პოლიტიკურ წყობაზე ღირებულ ინფორმაციას არ ფლობდა.

ავტორის მიერ წიგნში მოყვანილ საბუთებს შორის თვალსაჩინოა სკკპ ცკ-ის 1979 წლის 13 ნოემბრით დათარიღებული დირექტივა, რომელშიც მოცემულია ბრძანება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისთვის ნებისმიერი საშუალების გამოყენების შესახებ „პოლონელი პაპის მიერ გატარებული ახალი პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ სამოქმედოდ“ და, საჭიროების შემთხვევაში, „დამატებითი ზომების“ მიღების თაობაზე. კეხნერის აზრით, ეს დოკუმენტი მტკიცებულებაა იმისა, თუ ვინ იყო პაპზე თავდასხმის რეჟისორი. ამ დოკუმენტის ქვეშ 9 საბჭოთა ხელმძღვანელის, მათ შორის, სკკპ მდივნის მიხეილ გორბაჩოვის ხელმოწერაცაა.

La Stampa

# „ბარმენი-პრეზიდენტის“ ლუდის დიპლომატია

**ბარაკ ობამამ შესარიგებლად თეთრ სახლში პროფესორი გეითსი და პოლიციელი კროული მიიწვია, — წერს ანჯელო აკუარო გაზეთ La Repubblica-ში დაბეჭდილ სტატიაში.**



არაოფიციალური ინფორმაციით, ამერიკის პრეზიდენტმა კათხა Bud Light მიირთვა ცოტა ხნის წინანდელი რასისტული სკანდალის ორ მონაწილესთან — პროფესორ ჰენრი ლუის გეითსთან და პოლიციელ ჯეიმს კროულთან ერთად. მაგრამ არის ერთი „მაგრამ“ — შეძლებს კი „bartender in chief“ — „უზენაესი ბარმენი“ (როგორც ობამას გაზეთმა New York Times), ერთი კათხა ლუდით ჩააქროს სკანდალი შავკანიან პროფესორთან დაკავშირებით, რომელმაც მის დამკავებელ პოლიციელს რასიზმში დასდო ბრალი? თეთრ სახლში ამ მიღებით ობამას სურს, დახუროს საქმე, რომელიც თავად გაბერა, როცა პოლიციის ქმედებებს „სულელური“ უწოდა, ხოლო შემდეგ თავადვე აღიარა, რომ სიტყვები უნდა შეარჩიოს. მაგრამ საინტერესოა, რომელ ლუდს მიირთმევენ შეხვედრაზე? როგორც ცნობილი გახდა, კემბრიჯელი პოლიციელი ბელგიურ შავ ლუდს, Blue Moon-ს ანიჭებს უპირატესობას, პროფესორი გეითსი კი იამაიკურ Red Stripe-ს მიირთმევს. ფაქტი, რომ ობამამ ძველი და ყველასთვის საყვარელი Bud აირჩია, იმით აიხსნება, რომ იგი ამერიკაში ყველაზე პოპულარულ და ყველაზე გაყიდვად ლუდადაა აღიარებული. მხოლოდ ერთი რამაა ცუდი, — აღნიშნავს იტალიელი კორესპონდენტი, — ის, რომ ეს სორტი აღიარებულია ცნობილი „საწარმოო შპიონაჟის“ სიმბოლოდ, პრაქტიკულად ასლია იმ ლუდისა, რომელსაც ჯერ კიდევ 1870 წელს ჩეხურ ქალაქ ბუდეიოვიცეში — გერმანულად Budweiss-ში ასხამდნენ. ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა, — წერს სტატიის ავტორი, — სენტ-ლუისში მდებარე ცნობილი ლუდის ქარხანა მრავალნაციონალურ ბელგიურ კომპანია Anheuser-Busch InBev-ს ეკუთვნის.

La Repubblica

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# თეზამი და რუსის ხევი

## საგურამო

**დაგვიზამთრდა... თბილისში თოვლჭყაპია, ქალაქგარეთ კი ხვავრიელად თოვს. დღემდე ვერ ამიხსნია, რა საიდუმლო აქვს თოვლს: კვდომისა თუ შობის მოლოდინი? მე მგონი, მაინც, ახალი სიცოცხლის მოლოდინი. ალბათ, ამიტომ მოაქვს ამ თეთრ მდუმარებას თავანკარა ყრმობის სუნთქვა და ხალისი, რომელიც მწუხარებასა და ტკივილს გავიწყებს... მამაზეციერის ფიქრებს ჰგავს ფანტელები, შენს ფიქრებს უერთდება, კოსმიურ ბილიკებს ათეთრებს და ცრუ წუთისოფლის ნახანძრალ სხეულზე მალამოსავით გედება...**


ნავდარაანთკარის კომპლექსი



— კიდევ კარგი, რომ წინა კვირას მოვასწარით ზედაზენზე ასვლა, — მეუბნება ჩემი მუდმივი მეწყვილე, ოპერატორი სოზარ გულბანი, — ახლა იქ ვერანაირი მანქანა ვერ ავა.

მინდა, ვთქვა, რომ არც სხვა ძეგლებთან მისვლა იქნება იოლი, მაგრამ ხმას არ ვიღებ, არ მინდა, მძღოლი და, მეტადრე, ჩემი ქალიშვილი ავაფორიაქო წინასწარ. ქვეითად რომ ხშირად მოგვიწევს სიარული, ადგილზე დარწმუნდებიან და წინააღმდეგობას აღარ შეუშინდებიან.

გავცდით საგურამოს. სოფელ გალავანში, სადაც ძველი ციხე-დარბაზის უსახური ფრაგმენტები და ახალი, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, ნაკლებმნიშვნელოვანი ეკლესია დგას, დიდხანს არ ვჩერდებით. ისევ მდინარე თეზმის მარცხენა სანაპიროზე ვბრუნდებით, სადაც სოფელ ნავდარაანთკარში გზაკვალის საუკეთესო მცოდნეებს ვეძებთ — გვსურს, გავიგოთ, მოხერხდება თუ არა ჩვენი „ნივით“ თეზმის ხეობის ზედა მონაკვეთში, კერძოდ, ცხვარიჭამიაში, ასვლა.

— ვერაო, — გვეუბნებიან, — მაგ გზით ზაფხულშიც ძალიან უჭირთ სიარული მანქანებს და, მით უმეტეს, ახლა უაზროდ გაიტანჯებით, ბურიანის გადასახვევის შემდეგ ტყეში ჩარჩებითო.

— ეგ არაფერი, — ვამშვიდებ თანამგზავრებს, — ჯერ სხვა ძეგლებს მივხედოთ, ცხვარიჭამიასა და კევლიანში კი ხვალ ავალთ, მამკოდის გავლით.

ნავდარაანთკარის ზედა უბანში ავდივართ, საიდანაც სულ 300 მეტრში, ტყის დასაწყისში, ძალიან საინტერესო წმ. გიორგის სახელობის ეკლესია დგას. ეს არის VIII საუკუნის გრძელი დარბაზული საყდარი, რომელიც ახალი აღდგენილია. როგორც ჩანს, ეკლესიის ერთადერთი, სამხრეთის შესასვლელი გარედანაც არქიტრავული ყოფილა, მაგრამ მოგვიანებით ტიმპანად გადაუკეთებიათ. ტაძარს ჩრდილოეთიდან მოზრდილი მინაშენი აქვს, რომელშიც მთავარი დარბაზიდან გაჭრილი არქიტრავული კარი გადის. ძირითადი დარბაზის შიდა სივრცე ვიწრო და ზემსწრაფია. საკურთხევლის იატაკის დონე სამი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდი ინტერიერში ნალისებრია, ექსტერიერში — შვერილი. ტაძარი, ძირითადად, ნაგებია რიყის დამუშავებული ქვით და მკვიდრადაა ნაშენი. კალატოზს შეძლებისდაგვარად დაუცავს წყობის ჰორიზონტალობა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლს არანაირი სამკაული არ აქვს, მაინც მიმზიდველია. ამას, უთუოდ, მისი სიძველე განაპირობებს.

წმიდა გიორგის საყდართან ახლოს, 10-15 მეტრში, დგას ღვთისმშობლის ნიშიც, რომელიც სულ 5 კვ. მეტრია. აქვეა ბზის ბუჩქები და საკადრისებით აფერადებული ნატვრისხე.

ისევ სოფელ გალავანს ვუბრუნდებით და სანამ მეორე სოფელში — ზაქაროში შევიდოდეთ, ჯერ მანქანით, შემდეგ კი ქვეითად მუხლამდე თოვლს მივარღვევთ ჩრდილო-აღმოსავლეთით. აღმართი დამღლელი არაა, ამის უმთავრესი მიზეზი კი თვალწინ გადაშლილი სანახაობაა. წარმოიდგინეთ გადათეთრებული ფერდობი, რომლის დასაწყისში ეული თეთრი მუხა დგას, მის ზევით, თვალსაწიერზე კი 11 მუხის გარემოცვაში ჩადგმული ტაძარი — წმიდა გიორგის სახელობის VIII-IX საუკუნეთა მიჯნის საყდარი. ტაძარი რიყის ქვითა და ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები. გამორეულია ძველი აგურიც, რომლის გამოყენება ძალიან ადრე დაიწყეს კახეთში. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია, ხოლო მასში გაჭრილი სარკმელი სწორკუთხა. იგი ზევიდან ბრტყელი ქვის ზღუდარითაა გადახურული. 25 კვ. მეტრის ფართის ტაძარს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. იგი გარედან ტიმპანის ფორმისაა, შიგნიდან კი — არქიტრავული. შემორჩენილია გვიანდელი მხატვრობის აზრისები და მათი ფერები: ოქროსფერი, მუქი წითელი, მუქი ლურჯი...

როგორც მერე გავიგეთ, თურმე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე 6 მაისსა და 23 ნოემბერს მლოცველთა და მოხატეთა ტევა არაა. ეკლესიას მეორენაირად „შინდიანის ხატი“ ჰქვია, რითაც, შესაძლოა, მთლად უძველესი სალოცავის სახელი შემორჩა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილებში ოდესღაც წარმართული საზორავიც იარსებებდა. გასაკვირი მხოლოდ ერთია: სად მუხათა კორომი და სად სახელწოდება „შინდიანი“. როგორც ჩანს, შინდი გადაშენდა, მუხა კი დარჩა.

მაინც როგორ იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა ტაძრის ალაგის შერჩევა, რა გემოვნება და სულიერება ჰქონდათ!.. აი, ჭეშმარიტი სახლი ღვთისა. სასიამოვნოდ მონუსხულნი ვდგავართ და ხმას ვერ ვიღებთ. მაგრამ საჭიროა კი აქ კაცის სიტყვა?! მდუმარებაა თავად სიტყვა, თავდაპირველი სიტყვა: **„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“** („იოანეს სახარება“).

...სოფელ ზაქაროში შევდივართ. სოფელს ეს სახელი მარტყოფის ეპარქიის იმ წინამძღოლის პატივსაცემად უნდა ჰქონდეს შერქმეული, რომელმაც ამ მხარის ტაძრების აღდგენაში უდიდესი როლი შეასრულა გვიან შუასაუკუნეებში. ეს სოფელი ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს დატანილი თავის რუკაზე. ჩვენი აზრით, ზუსტად სოფლის ხნისა უნდა იყოს მის ძველ ცენტრში მდგარი მცირე დარბაზული ეკლესია თავისი ჩრდილო მინაშენით, მაგრამ იგი იმდენად უდიერად აღუდგენია სოფელს, რომ არანაირი ეფექტი არ შერჩენია. სანაცვლოდ, ძალიან საინტერესო გამოდგა სოფლის და მთელი ამ ხეობის უხუცეს ქალთან — დარიკო პირმისაშვილთან შეხვედრა. იგი თავის ასაკს ლენინის გარდაცვალებიდან ანგარიშობდა — მაშინ 32 წლისა ვიყავიო. დარიკო პირმისაშვილის საუბარი 2002 წელს ჩავიწერეთ და იგი 110 წლისა გამოდიოდა. გრძელ თავშალში გამოხვეული მოხუცი წინკარიდან გასცქერის, ასევე, მოხუცი ვაჟიშვილის საქმიანობას, თან ჩივის — ყურს დამაკლდა და ძველებურად აღარ მესმისო.

...ზაქაროდან წინამძღვრიანთკარში მივემგზავრებით, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უცნაური დასახელების — ტუხალდის, იგივე რუსის ხევი ჩამოუდის. ეს ხევი ვახუშტი ბატონიშვილს საერთოდ არ აქვს მონიშნული თავის რუკაზე და, ამდენად, მისი უძველესი სახელწოდების დადგენა შეუძლებელია.

წინამძღვრიანთკარიდან ჩვენს „ნივას“ სულ უფრო უჭირს თოვლის გარღვევა და კვლავ ქვეითად განვაგრძობთ გზას აღმოსავლეთით. ხევი არცთუ წყალმცირეა, ტყე კი — ძალიან ხშირი. სოფლიდან დაახლოებით 2,5 კილომეტრში, ხევის მარჯვენა ნაპირზე, შემორჩენილია გვიანი შუასაუკუნეების ნამონასტრალი — ორი ერთმანეთზე მიდგმული, აგურით ნაგები, ეკლესიისა და კოშკის ნანგრევები. ერთ ეკლესიას „ბერების საყდარი“ ჰქვია, მეორეს, რატომღაც, — „მობრუნებული საყდარი“. ისინი ისეა ჩამოშლილი და ძეძვგადავლილი, რომ ორად-ორი კადრის გადაღება თუ ხერხდება.

კვლავ აღმოსავლეთით მივყვებით რუსის ხევს. ნამონასტრალიდან ერთი კილომეტრის დაცილებით და ისევ წყლის მარჯვენა მხარეს კლდეზე მიდგმული ეკლესია გამოჩნდება. მასთან მიახლოება ციცაბოზე დაკიდებული ბილიკით შეიძლება და ჩვენც გაჭირვებით მივიწევთ ზევით.

კლდეზე მიდგმული, უსახელო ტაძარი წარმოადგენს ორ, ერთმანეთზე მიდგმულ ნაგებობას. მათში მოხვედრა დასავლეთის ნაგებობის სამხრეთ კედელში არსებული კარით შეიძლება. როგორც ირკვევა, ესაა კარიბჭე, რომელსაც ცილინდრული კამარა აქვს. მთავარ დარბაზში კარიბჭიდან შევდივართ. საყდარი ორსართულიანი ყოფილა: ზევით — სალოცავი, ქვევით — კრიპტა. სართულები ხის კოჭებზე გაშლილი იატაკით ყოფილა გამოყოფილი. კედლებში კარგად ჩანს კოჭების ბუდეები.

ტაძარი ნაგებია რიყის ქვით, ჩრდილოეთ კედლის მაგივრობას კი კლდე ასრულებს. აღმოსავლეთ კედელში, როგორც ეკლესიის აფსიდში, ისე კრიპტის მონაკვეთში, ვიწრო სარკმლებია გაჭრილი. ეკლესიას სამხრეთ კედელშიც აქვს სარკმლები. კრიპტას ცალკე შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ეს მცირე კომპლექსი XV-XVI საუკუნეებისა უნდა იყოს და იგი, უთუოდ, ქვევით არსებულ ეკლესიებთან ერთად, რომელიღაც დიდი, უცნობი, მონასტრის მთავარი ნაგებობაა.

ახალი შთაბეჭდილებით ვიმუხტებით, მაგრამ მთავარი განცდა თურმე წინ გველის. რატომღაც მხოლოდ წამოსვლის დროს აღმოვაჩენთ კარიბჭის ხარისხზე, ქვის ქვეშ ამოდებულ პატარა ბარათს. ვხსნით და ვკითხულობთ: წინამძღვრიანთკარელი მოსწავლეები წერენ — ამა და ამ კლასის ბიჭები „შატალოზე“ წამოვედი, რომ რუსის ხევის ეკლესიები გვენახა და მოგველოცაო. აქედან ბედნიერები მივდივართო...

რას იტყვი, მკითხველო? ამას, მგონი, გაკვეთილების გაცდენა არ ჰქვია. ყმაწვილებს დიდი ეროვნული გამოცდა ჩაუბარებიათ ფრიადზე...

იმედიანად დავუყევით თოვლიან ბილიკებს.

მახსოვს, 22 თებერვალი იყო. ტყეში ზამთრის მზე ჩამომხდარიყო და ყინულს ალხვობდა. თეთრი მდუმარების წიაღში ახალი სიცოცხლე იბადებოდა, სწორედ ისე, კვერცხიდან რომ იჩეკება ხოლმე ბარტყი...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**


შინდიანის ხატი




კლდეზე მიკრული ეკლესია

# ისტორიული მეხსიერება და გეოპოლიტიკური კანონზომიერება ითხოვს

**უნდა დაგარწმუნოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ საღად მოაზროვნე ანალიტიკური ქართველობა პატივ სცემს ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც ღაღადებს: რუსეთის მეშვეობით საქართველო გადაურჩა გარდაუვალ ასიმილაციას. მან თურქეთს ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსტაცა ხელიდან სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული მიწები, კერძოდ: ახალციხე-ახალქალაქის მხარე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა-ბათუმი, ფოთი და ა.შ. ყოველივე ამისთვის რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ ოთხი მძიმე ომი გადაიხადა. ამ ომებს ბევრი რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა ქართველ პატრიოტებთან ერთად. ისტორიული მეხსიერება არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ აღნიშნულ ომებში დაღვრილი სისხლი დავიწყებას მიეცეს. ამ სისხლის საფასურად რუსეთმა არა მარტო თურქების მიერ მიტაცებული მიწები დაგვიბრუნა, არამედ ერთ მთლიან ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ჩარჩოშიც მოგვაქცია, ასე ვთქვათ, აკინძა სამეფო-სამთავროებად გათიშულ-გაფანტული და დაპირისპირებული, ხშირად ურთიერთ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქართული მიწები.**



ვიცით, ოპონენტები თავს დაგვესხმებიან, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვით და შევეცდებით, რუსეთთან ჩვენი უპირატესი სიახლოვის გარდაუვალობის შესახებ მკითხველს სათანადო არგუმენტებით მივაწოდოთ.

დიახ, მეფის რუსეთი ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის თუ სხვა ქვეყნების მსგავსად, კოლონიზატორულ პოლიტიკას ეწეოდა, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმო თანამედროვე გერმანელ ისტორიკოსს, პროფესორ ანდრეას კაპლერსაც, რომელიც წერს: „მთლიანობაში რუსეთის იმპერია არსებითად განსხვავდებოდა კოლონიური იმპერიისაგან; მასში არ იყო მკვეთრი დაყოფა გაბატონებულ ფენასა და არარუსულ ქვედა ფენებს შორის. მეფის იმპერია არ იყო უბრალოდ „ხალხთა საპყრობილე“, როგორც ლენინი ფიქრობდა, არც კოლონიური იმპერია, როგორც დღეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არარუსი ეროვნებისა და დასავლეთელი ისტორიკოსები აცხადებენ“. შემდეგ კაპლერი აგრძელებს: „რუსებიც არარუსებივით ჩიოდნენ, რომ ცარისტული სახელმწიფო მათ ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს“. ბოლოს კიდევ ერთი ამონაწერი მისი ვრცელი წერილიდან: „რუსი გლეხები უფრო უარეს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ, ვიდრე ბალტიისპირა თუ კავკასიელი გლეხები“ (ანდრეას კაპლერი, „რუსეთი საკუთარი ისტორიის ტყვეობაში რჩება“, თარგმანი გერმანულიდან პროფესორ ნ. მუშკუდიანისა, გაზეთი „PS“, იანვარ-თებერვალი, 1996 წ.). ვინც კი ჩაუფიქრდება გერმანელი პროფესორის აქ მოყვანილ მოსაზრებას და გაიხსენებს, თუ როგორ მოქმედებდნენ ანგლოსაქსები თავიანთ კოლონიებში, ის ჯანსაღად გაიაზრებს ქართველების რუსებთან ერთად ყოფნის ორი საუკუნის ისტორიას ყველა თავის განზომილებაში.

გადავხედოთ ისტორიას, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ქართველებით დასახლებული მიწები მე-18 საუკუნის ბოლოს:

**ეს იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის ცალკე სამეფოები; გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ასევე, ცალ-ცალკე არსებული სამთავროები; თავადური სეპარატიზმით, ირანულ-თურქული აგრესიით და ლეკიანობით განამებული ქვეყანა; უცხო არ იყო ქართველთაშორისი ომებიც — სამეგრელო-გურიის, სამეგრელო-იმერეთის და ა.შ. შერკინებები.**

ყველაფერ ამას ემატებოდა ისეთი მახინჯი და ველური, ერის შემარცხვენელი მოვლენა, როგორიც იყო ქართველი გოგო-ბიჭების ცხვრებივით ყიდვა-გაყიდვა თურქეთის ბაზარზე (გაიხსენეთ კინოფილმი „მამლუქი“). ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დროისათვის, რუსეთთან მიერთების წინ, ძირძველი ქართული მიწები — აჭარა-ბათუმის მხარე, ფოთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვები თურქების მიერ იყო მიტაცებული და თანაც სულიერად და ხორციელად გათურქებული, უკვე ასიმილირებული. მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა ნახევარ მილიონს ოდნავ თუ აღემატებოდა.

უცილობელი ფაქტია, რომ გაფანტული ქართული მიწების მოკრებას და ერთ მთლიან ეკონომიკურ, სულიერ-კულტურულ და ადმინისტრაციულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას რუსეთმა მე-19 საუკუნის მთელი 80 წელი მოანდომა. ხაზგასმით გეთანხმებით, ოპონენტებო, რომ ყოველივე ამას მეფის რუსეთი თავისი იმპერიული მიზნებისთვის აკეთებდა და არა ქართველთა სიყვარულით, მაგრამ ობიექტურად ქართველთა საქმეც ხომ გაკეთდა? თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში რუსებთან ერთად ქართველების სისხლიც დაიღვარა, შედეგად კი ქართული მიწების ერთად თავმოყრა მივიღეთ; თურქული ასიმილაციისგან ქართველთა დიდი ნაწილი გადავარჩინეთ. დიდი სისხლის ფასად დაუჯდა რუსეთს ამ მისიის შესრულება. ხომ ისტორიული ფაქტია ყოველივე ეს? სწორედ ეს არის ისტორიული მეხსიერება, რომელსაც რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც ვერ დაივიწყებს.

არავინ იფიქროს, რომ რუსეთი სისხლით მოპოვებულს იოლად დათმობს და ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და, გნებავთ, უკრაინულ მიწებს გათავხედებულ ნატოელებს სამხედრო ბაზების მოსაწყობად დაუთმობს.

რუსეთი აუცილებლად მიმართავს კონტრზომებს, როცა მის ინტერესებს საფრთხე დაემუქრება; აკი, მიმართა კიდეც და საქართველოს ვაიხელმძღვანელობის 2008 წლის აგვისტოს ავანტიურისტულ სიბრმავეს აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონების და კიდევ ახალი მიწების ფაქტობრივი მიტაცებით უპასუხა; მ. სააკაშვილი ორივე ყურით ხელში ჩაიჭირა, გეოპოლიტიკური კანონზომიერებით იმოქმედა; ამერიკის შეერთებულ შტატებს განუცხადა: თქვენს ნატოს აქ არაფერი ესაქმება.

ისტორიულ მეხსიერებას პატივი რომ უნდა მივაგოთ, ეს ჭეშმარიტება ავადსახსენებელმა გორბაჩოვმაც კი შეგვახსენა ამ 12 წლის წინათ, როცა გვითხრა: „... რუკას შეხედეთ, ისტორიამ ვერაფერი გასწავლათ?.. სიკეთის მეტი რუსეთს თქვენთვის არაფერი გაუკეთებია, რატომ ხართ უმადურები? გადახედეთ ისტორიას და ნახავთ, რაც მოგელით“ (გაზ. „კვირის პალიტრა“, 26 მაისი — 1 ივნისი 1997 წ.). აქ ნამდვილად ვერ შევედავებით; მისი თქმული სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

გორბაჩოვის თქმისა არ იყოს, ისტორიას მართლაც უნდა გადავხედოთ: ქურთებს, ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ერს, რუსეთის მსგავსი კოლონიზატორი რომ გასჩენოდათ, თურქი ასიმილატორების ბატონობის ქვეშ დღემდე აღარ დაიტანჯებოდნენ და თავიანთი სახელმწიფოებრიობა ექნებოდათ, როგორც, მაგალითად, სომხებს, რომლებიც ამას დღეს რუსეთს უმადლიან, ისტორიულ მეხსიერებას არ ივიწყებენ და მოგებულიც რჩებიან.

მე-19 საუკუნის შუახანებში რუსეთის ქვეშევრდომობაში არსებულ საქართველოში მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი აქტიურად მონაწილეობს ქართული თეატრის აღორძინებაში; ეხმარება გიორგი ერისთავს თეატრალური დადგმების მატერიალურ უზრუნველყოფაში. ბევრ სხვა ქართულ საქმესაც მხარს უჭერს, კერძოდ, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემას. ყოველივე ამისთვის მოგვიანებით მიხეილ ვორონცოვი აკაკი წერეთლის ქებას იმსახურებს, რომელმაც მას პოემაც კი მიუძღვნა. მოგვიანებით, 70-იანი წლების დასაწყისში, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ იბადება; ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ქართულენოვანი შემოქმედება ემსახურება.

ანტირუსული ბაცილით შეპყრობილ ნათაძეებს, წიკლაურებს, თარგამაძეებს და ა.შ. ვეკითხებით: ბატონებო, ახლა თქვენ თვითონ ბრძანეთ, იმავე მე-19 საუკუნის შუა ხანებში როგორ პირობებში ცხოვრობდა და საქმიანობდა ჯერ კიდევ თურქეთის გამგებლობაში მყოფი აჭარა-ბათუმის მხარის ქართველობა. ჰქონდათ მათ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ა.შ.?

**თქვენ იძულებული იქნებით, აღიაროთ, რომ თურქეთის ხელში დარჩენილ ქართველობას წართმეული ჰქონდა ქართული გვარ-სახელები, ქართული ენა და თვით სხეულის ნაწილიც კი, როგორც იძულებით გამაჰმადიანებულებს. უცილობელი ფაქტია, რასაც ვერ გააყალბებთ!**

როგორ გაიხარა დიდმა ილიამ, მთელმა ქართველობამ, როცა 1877-78 წლების ომში რუსი და ქართველი მეომრების ერთობლივი ძალებით აჭარა-ბათუმის მხარე დავიბრუნეთ. სულ მალე აღნიშნული მხარის ქართველობა შეუფერხებლად ეზიარა იაკობის „დედა ენას“, ილიასა და აკაკის შემოქმედებას; გავრცელდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა. ყოველივე ეს ისტორიული მეხსიერებაა, მემკვიდრეობა და დავიწყებას არ ექვემდებარება!

მიუხედავად ყველა წყენისა, რაც რუსეთმა მოგვაყენა, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, უმეტესი ბრალი ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის გამო ჩვენ თვითონ მიგვიძღვის მის უსაფუძვლო, უტაქტო და წინდაუხედავ გაღიზიანებაში, ჩვენ მაინც მასთან უნდა ვეძებოთ საერთო ენა, თანამშრომლობა და კეთილმეზობლობა. რატომ რუსეთთან? შევეცდებით, ამის შესახებ ჩვენეული ხედვა ამ წერილის გაგრძელებაში გაახლოთ.

პოლიტოლოგები:
**გივი გურეშიძე**
**ნუგზარ ავალიანი**
*ქუთაისი*

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**



# „ცხელი აგვისტო, 2008“




**პოლიტოლოგების — ნუგზარ ავალიანის და გივი გურეშიძის წიგნი „ცხელი აგვისტო, 2008“ პირველი ორი ნაშრომით ავტორებმა ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში მოამზადეს დასაბეჭდად. მაგრამ გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს იმის იმედით, რომ დაპირისპირებული მხარეები გონიერებას გამოიჩენდნენ და პრობლემებს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ.**

**„მაგრამ ახლა, როდესაც ვრწმუნდებით, რომ მხარეებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო იძაბება და არც ომის განახლების საფრთხეა დაძლეული, ხოლო ამ საქმეში ახლახან მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების შეხვედრამ სასურველი პერსპექტივა რეალობად ვერ აქცია, გადავწყვიტეთ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოვაქვეყნოთ ჩვენი ნაშრომი პირველყოფილი სახით და მას დავუმატოთ ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დაიწერა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით“, — ნათქვამია წიგნის შესავალში.**

**ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი ერთობლივი შრომა მცირედ წვლილს შეიტანს საქართველოს გადარჩენის, ქართველი ერის გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ფარაონების კიდევ ერთი საიდუმლო ამოიცნეს

დასასრული. დასაწყისი იხ. №22-23

**ათასწლეულების მანძილზე ინახავდა ძველი ეგვიპტე თავის საიდუმლოებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, დადგა დრო, უძველესი მანუსკრიპტები და ხელნაწერები ალაპარაკებულიყვნენ, ნათელი მოეფინათ საიდუმლოებებისათვის. მათ რიცხვს განეკუთვნება ფარაონის ცილინდრები, რომლის ამოცნობითაც XX საუკუნის ბოლომ დაგვასაჩუქრა.**





ქალი-ფარაონი ცხოვრობს რუსეთში

### ვისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო ფარაონის ცილინდრები?

1) ადამიანის ორგანიზმზე ფარაონის ცილინდრების ზემოქმედების შედეგად მაღლდება საერთო ენერგეტიკული დონე და ენერგია ჰარმონიულად გადანაწილდება ორგანოებსა და სისტემებს შორის, აღიკვეთება პათოლოგიური დისბალანსი, აქტიურდება დაცვითი ფუნქციები და ორგანიზმში წარმოიშობა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გაცილებით ადვილდება პრობლემებთან გამკლავება. ასე რომ, ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა დაავადებები აწუხებთ, ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში ფარაონის ცილინდრების სახით იძენენ ძლიერ მოკავშირეებს.

ამას გარდა, ფარაონის ცილინდრები ადვილად უმკლავდება უძილობას, თავის ტკივილს, მაღალ წნევას, სტრესულ მდგომარეობებს და გამორიცხავს ქიმიური სამკურნალო პრეპარატების მიღების აუცილებლობას. როგორც დაკვირვების სტატისტიკამ აჩვენა, ფარაონის ცილინდრები, ასევე, მნიშვნელოვნად ზრდის ლაქტაციას მეძუძურ დედებში;

2) ინტენსიური ფიზიკური თუ გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანები (ექიმები, პედაგოგები, ბიზნესმენები, სპორტსმენები, სტუდენტები...) ხშირად გადაიღლებიან ხოლმე სამუშაო დღის ბოლოსთვის და სტრესის მოსახსნელად დამხმარე საშუალებებს, სრულფასოვან დასვენებასა და ენერგიის აღდგენას საჭიროებენ. ამ შემთხვევაში ფარაონის ცილინდრები შეუფასებელ სამსახურს გაუწევს მათ.

შემოქმედებითი ადამიანები, რომლებიც ფარაონის ცილინდრებით სარგებლობენ, მათი ზემოქმედების შედეგად შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას გრძნობენ. ამ საოცრებათა გამოყენების სფეროდ შეიძლება იქცეს სპორტული მედიცინაც;

3) თანამედროვე რთულ სამყაროში ბევრ ოჯახს აწუხებს ურთიერთშეუთავსებლობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი პარტნიორთა ენერგეტიკული დონის განსხვავებულობაა. წყვილის მიერ ცილინდრების ერთად გამოყენება ათანაბრებს პარტნიორთა ენერგეტიკულ დონეს და აღწევს მათ შორის ურთიერთგაგებას, რაც ეხმარება პარტნიორებს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში;

4) ძნელია, შეაფასო ის სიკეთე, რომელიც ფარაონის ცილინდრებს მოაქვს მათთვის, ვინც თვითგანვითარებით, „შლაკებისაგან" ორგანიზმის გაწმენდით, სამკურნალო შიმშილობით, ცივ წყალში გაკაჟებით, გაჯანსაღებით, ციგუნით, იოგით, აღმოსავლური ორთაბრძოლებითაა დაკავებული. ფარაონის ცილინდრებთან დამოკიდებულება ასეთ დროს საგრძნობლად ზრდის მათ ეფექტიანობას და მეტად მოკლე დროში წარმატებების მიღწევის საშუალებას იძლევა;

5) ფარაონის ცილინდრებს აქვს უნიკალური თვისება, დამუხტოს წყალი. როგორც ცდებმა აჩვენა, დამუხტული წყალი ისეთივე ეფექტს იძლევა, როგორსაც ცილინდრები მათი გამოყენებისას;

6) პრაქტიკულად ცილინდრები 100 პროცენტით იცავს ორგანიზმს ელექტრონული ტექნიკის გამოსხივებისაგან. მათი გამოყენება, ასევე, შეიძლება ნებისმიერ მცენარესთან მუშაობისას. **ფარაონის ცილინდრებს შეუძლია, გაასუფთავოს გარემო, რომელშიაც იმყოფებით;**

7) ცხოველები განსაკუთრებით ძლიერად ემორჩილებიან ფარაონის ცილინდრების საოცარ ზემოქმედებას.



### რის მიღწევა შეიძლება ფარაონის ცილინდრებით?

მათი რეგულარული გამოყენებით მთელს ორგანიზმში უმჯობესდება ენერგიისა და სისხლის მიმოქცევა, აზროვნება ხდება უფრო მკაფიო, ფსიქიკა უფრო გაწონასწორებული. ამას გარდა, სხეულის გარშემო წარმოიქმნება უფრო სქელი ენერგეტიკული ბიოველი, რომელიც იცავს ადამიანს მასში უარყოფითი ენერგოინფორმაციის შეღწევისაგან; მაღლდება ორგანიზმის დაცვითი ფუნქციები, კაჟდება სხეული, იკურნება დაავადებები. ორგანიზმის ენერგია, კოსმოსური ენერგიიდან იღებს რა შევსებას, უფრო ძლიერად იწყებს ცირკულირებას არხებში. იმ ადგილებში, სადაც დაავადების შედეგად არხები გაუმტარია, ცირკულაცია წარმოშობს წინააღმდეგობას და ენერგია ავადმყოფობის კერას ეჯახება, რამაც შეიძლება სხვადასხვა სახის შეგრძნება და სპონტანური მოძრაობა გამოიწვიოს. ეს მოძრაობები არხების გაწმენდასა და დაავადების აღკვეთას განაპირობებს.

თუ განაგრძობთ ცილინდრების გამოყენებას, მაშინ პროფილაქტიკური ეფექტის გარდა, თანდათან გაიხსნება დაფარული ფუნქციები — გაუმჯობესდება მხედველობა, სმენა, საერთო შეგრძნება, გაძლიერდება ინტუიცია.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნება თვითსრულყოფისათვის სერიოზული მუშაობის გარეშე.

### ცილინდრების გამოყენების წესები

ფარაონის ცილინდრებთან პირველივე კონტაქტისთანავე, მათთან სამუშაოდ ორგანიზმის მოსამზადებლად რეკომენდებულია „ფეხი-ხელის" მდგომარეობის გამოყენება: მარცხენა ფეხი ნახევარი ნაბიჯით წინ დგას, ცილინდრები ხელებშია ჩაბღუჯული, მკლავები დაშვებული, სახე მზისკენ მიშვერილი. ცილინდრების ზემოქმედების ეფექტიანობას აძლიერებს მიწაზე ფეხშიშველა დგომა (მხოლოდ უქარო ამინდში) და სეანსების ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ჩატარება.

ცილინდრების შემოქმედების ყველაზე ეფექტური მეთოდიკა შეიმუშავა ექიმმა-ბიოენერგეტიკოსმა ტ. ა. მეშკოვმა. ექიმ სტონესა და რიჩარდ გორდონის გამოკვლევათა თანახმად, ჩვენი სხეულის ზედაპირზე არსებული ენერგეტიკული მუხტების ერთგვარი განაწილება ხდება. ორგანიზმის ნორმალური მუშაობიდან ავადმყოფური გადახრები მაშინვე ამ გადანაწილებულ მუხტებზე აისახება. ექიმი ტ. ა. მეშკოვი თვლის, რომ უმჯობესია ცილინდრების კონტაქტის განსაზღვრული თანმიმდევრობა სხეულის ნაწილებთან, რაც შინაგანი ორგანოების მუშაობის კორექტირების საშუალებას იძლევა.

### პაციენტთა გამოკვლევების კომენტარები

გამოკვლევაში 10 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მონაცემები საშუალებას იძლევა, გაკეთდეს დასკვნა, რომ ცილინდრების გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონალურ სისტემებზე და თავის ტვინის მუშაობის რიტმის ორგანიზებას ახდენს, რაც შემდეგში გამოვლინდა:

1) ყველა გამოკვლეულს გამოუვლინდა მნიშვნელოვანი ფუნქციონალური პასუხი; არც ერთი გამოკვლეული არ დარჩენილა ინერტული ცილინდრების ზემოქმედებისას;

2) ოთხი ადამიანი გამოკვლევის დაწყებამდე თავს ჯანმრთელად მიიჩნევდა, მაგრამ 10-15 წუთის მანძილზე ცილინდრების ზემოქმედების დროს ფუნქციონალური მაჩვენებლების საერთო გაუმჯობესებისას მას ზოგიერთი ორგანოების დისფუნქცია გამოუვლინდა. ეს ცილინდრების ზუსტ ფუნქციონალურ ზემოქმედებაზე მეტყველებს და იმაზე, რომ შეუძლია, დაეხმაროს ექიმს ან პაციენტს ჯანმრთელობის ჭეშმარიტი მდგომარეობის განსაზღვრაში, მთლიანად მოახდინოს ორგანოში ან ცალკეულ სისტემებში პათოლოგიური ცვლილებების ლიკვიდაცია;

3) ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ საშუალო სიმძიმის მიმდინარე დაავადებები, პროცედურის მსვლელობისას ადაპტაციისა და თვითრეგულაციის დონემ დაცემა დაიწყო, პროცედურის შემდეგ კი, ერთი საათის განმავლობაში, თანდათან იზრდებოდა და გადააჭარბა საწყის მაჩვენებელს;

4) სეანსების დროს თანაბრდებოდა პულსი და არტერიული წნევა. ადამიანები სასიამოვნო მოდუნებას და სიმშვიდეს გრძნობდნენ;

5) საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დარღვევების მქონე პაციენტებს (ალკოჰოლის მიღების შემდეგ, ან სიგარეტის მოწევის, ან მეტისმეტად გაძღომის და ა.შ.) ცილინდრების ზემოქმედებიდან 15 წუთის შემდეგ ნორმის ფარგლებში მთლიანად აღუდგათ ფუნქციონალური მაჩვენებელი.

**რეზიუმე:** ფარაონის ცილინდრების ზემოქმედებისას საკმაოდ გამოკვეთილი დადებითი ეფექტი შეინიშნება. ყველა გამოკვლევა ჩატარდა აპარატებზე, რომლებიც არეგისტრირებს ადამიანის ფუნქციონალურ მდგომარეობას.

### ქალი ფარაონი ცხოვრობს რუსეთში

ამ ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პავლეს ძე კოვტუნს დაურეკა ნაცნობმა ქალმა, რომელიც რამდენიმე წელია, ფარაონის ცილინდრებით სარგებლობს. მან მეცნიერს მისთვის ოქროსა და ვერცხლის ცილინდრების დამზადება სთხოვა.

კოვტუნი ამ თხოვნამ ცოტა არ იყოს დააბნია და ამ უცნაურ ქალბატონს უცნაურ თხოვნაზე უარი უთხრა. მან არ იცოდა, როგორ იმუშავებდა ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ცილინდრები. თუმცა ფიზიკოსს უკვე სხვა ლითონებისაგან ნაცადი ჰქონდა ცილინდრების დამზადება, მაგრამ მათ ფარაონის ცილინდრების მსგავსი ზემოქმედება კი არა, არავითარი ძალა არ ჰქონდა.

„სად არის გარანტია, რომ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ცილინდრები გაამართლებს? თანაც რა ეღირება მათი დამზადება?" — მეცნიერის ამ ორჭოფობას უცნაურმა ქალბატონმა დაბეჯითებით უპასუხა: „მე თქვენ გიკვეთავთ. დაამზადეთ!"

მეცნიერისათვისაც ფრიად საინტერესო იყო ამ კვლევის ჩატარება და დათანხმდა, მაგრამ მას საკმაოდ დიდხანს მოუხდა იუველირების ძებნა, რომლებიც აუცილებლად იყო საჭირო ზოგიერთი დეტალის დასამზადებლად. სამწუხაროდ, კეთილსინდისიერი ადამიანების პოვნა ძალიან გაუჭირდა, თუმცა მოგვიანებით მიზანს მაინც მიაღწია. და აი, 25 წლის შემდეგ, რაც რუსლან დობროვოლსკიმ პირველი ფარაონის ცილინდრები დაამზადა, დამზადდა ახალი — ძვირფასი ლითონების ცილინდრები.

კოვტუნმა ასე აღწერა პირველი შეგრძნებები, რომლებიც მას ამ საგნების ხელში დაჭერისას გაუჩნდა: **სწრაფვა გაფრენისაკენ, ძლიერი შეგრძნებები, ნათელი აზროვნება, არავითარი თავბრუსხვევა; შემდეგ ფრენა საგრძნობლად ჩქარდება, იწყება სიმაღლის თავიდან აღება ერთხელ, მეორედ. მე ვხვდები რაღაც ახალ სამყაროში, რომელშიც ჩემს თავს აღვიქვამ, როგორც ყველაფრის შემძლეს, ოღონდაც ვისურვო. ხარისხის მიხედვით იცვლება შინაგანი ხილვის ყველა შესაძლებლობა — თვალწინ დასრულებული, დამთავრებული ფორმით წარმომიდგება ბრწყინვალე პეიზაჟები. ვცდილობ, ისინი სულის სიღრმეში შევინახო, რათა შემდგომ ფუნჯით გადავიტანო ტილოზე. და იმავე დროს ვგრძნობ, რომ საკმარისია, თუნდაც წამით შევცდე აზრის მიმართულების არჩევაში, ფრენა დასრულდება და მე დავიმტვრევი, ჩამოვვარდები რა ძალიან დიდი სიმაღლიდან**.

ეს შეგრძნებები არაფრით ჰგავდა ჩვეულებრივი ფარაონის ცილინდრების შედეგად გამოწვეულ სიმშვიდეს, ჰარმონიულობას... ამჯერად შენში ენერგიის არნახული ნიაღვარი გროვდება. მთელი კვირის მანძილზე ძვირფასი ცილინდრების 10-10 წუთით გამოყენებისას კოვტუნი ენერგიის უზარმაზარ მოზღვავებას გრძნობდა.

სხვადასხვა ადამიანებზე გამოკვლევებით მალე გაირკვა, რომ ამ ცილინდრებთან დამოკიდებულებისას შეგრძნებები ყველას სხვადასხვაგვარი აღმოაჩნდა, ზოგი საერთოდ არაფერს გრძნობდა. აი, კიდევ ერთი გამოცანა!

ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა მთელი რიგი მეცნიერული კვლევები. შედეგად მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოქროსა და ვერცხლის ცილინდრების ზემოქმედება უფრო ძლიერია და რომ მათ „კოსმიური ძალა" გააჩნიათ. მაგრამ ეს ყველაფერი არაა და მეცნიერებს კვლავაც უამრავი კითხვა აქვთ პასუხგაუცემელი, ამას კი დრო და კვლევების გაგრძელება სჭირდება.

აი, ასეთი საინტერესო მემკვიდრეობა მიიღო თანამედროვე კაცობრიობამ ჩვენი პლანეტის უძველესი ცივილიზაციისაგან, რომელიც, ალბათ, კვლავაც ბევრჯერ გაგვაკვირვებს.

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძე**

# რომელია უსაფრთხო შემავსებელი?

**კვების დღიური რაციონის სამოც პროცენტს აუცილებელი ნატურალური პროდუქტი წარმოადგენს, მაგრამ უცხოური ან იაფი პროდუქტის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომელი უსაფრთხო შემავსებლით არის იგი (E ნომერი, რომელიც წარმოადგენს საღებავს, კონსერვანტს ან ემულგატორს) დამზადებული.**
**გთავაზობთ სპეციალურ ჩამონათვალს, რომელიც 2009 წლის მონაცემებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერაა დაშვებული:**

**E ნომრები, რომლებიც არ არის საშიში ჯანმრთელობისათვის!**

E 100-101;
E 120;
E 131 — E 133;
E 140 — E 141;
E 150a — E 150b — E 153;
E 160 (a, cd) E 162 — E 163;
E 170 — E 172;
E 200 — E 202 — E 203 E 260 E 263;
E 270;
E 290 E 296 — E 297;
E 300 — E 302 E 304 E 306 E 309 E 322 E 325 E 327 E 330 E 337 E 335 E 357 E 363;
E 415, E 422, E 440, E 460, E 461, E 463, E 465; E 470b, E 470a, E 471, E 472 (a, b, c, d e f); E 473; E 482;
E 500; E 501; E 503; E 504; E 507; E 509; E 511; E 513; E 517; E 524, E 530, E 535, E 536, E 538, E 551, E 552, E 553a — E 553b, E 558, E 570, E 585;
E 640;
E 901 — E 904 E 914 E 927, E 938 E 939, E 941, E 942, E 948, E 950, E 959;
E 1404, E 1410, E 1412, E 1414, E 1420, E 1422, E 1440, E 1442, E 1450;

# ორსულთა ხშირი ულტრაბგერითი გამოკვლევა დაუშვებელია



**ხშირი ულტრაბგერითი კვლევა უარყოფითად მოქმედებს ნაყოფის ტვინის განვითარებაზე, — ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

მათ კვლევები ჩაატარეს ორსულობის საწყისი ეტაპიდან (16 დღის ორსულობიდან) ნაყოფის სრულ ჩამოყალიბებამდე, რომლის შემდეგაც გააკეთეს დასკვნა, რომ ნაყოფის ტვინის ნერვული უჯრედები ამ კვლევების დროს უარყოფით ცვლილებებს განიცდის.

# ირანში ავიცენას რეცეპტით დამზადებული წამლები იყიდება



**თავად ავიცენას საფლავის ხელის შეხება ბევრი ტურისტისა თუ ირანელისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც თვლიან, რომ ამ შეხებით განიკურნებიან.**

მავზოლეუმს, სადაც ავიცენაა დაკრძალული, დიდი პარკი აკრავს. მის ცეტრში გახსნეს აფთიაქი, რომელშიც ავიცენას რეცეპტით დამზადებულ ბუნებრივ წამლებს ყიდიან.

წამლების ეფექტიანობაში მის შემქმნელებს ეჭვი არ ეპარებათ, გარდა ამისა, ამით ბევრ ტურისტსაც მიიზიდავენ.

# ყოველწლიურად მსოფლიოში გენეტიკური დეფექტით 8 მილიონი ბავშვი იბადება



**ყოველწლიურად მსოფლიოში დაბადებულ ბავშვებს შორის 8 მილიონ ახალშობილს სერიოზული გენეტიკური დეფექტი აქვს.**

ეს მსოფლიოში დაბადებულ ბავშვთა 6 პროცენტს შეადგენს, — განაცხადეს ამერიკის საქველმოქმედო ორგანიზაცია „მარჩ ოფ დაიმსის“ წარმომადგენლებმა. კვლევა 193 ქვეყანაში ჩატარდა.

ამ დაავადების გამომწვევ მიზეზად კი ისინი ორსულობის დროს დედის ორგანიზმში მოხვედრილ ქიმიურ ნივთიერებებს ასახელებენ, რომლებიც ჩანასახზე უარყოფითად მოქმედებს.

# ახალშობილთა სისხლში აღმოჩენილია ტეფლონის მავნე პოლიმერი

**სინთეტიკური პოლიმერი „C8“, რომელიც ტეფლონის საოჯახო ჭურჭლის წარმოებაში გამოიყენება, ამერიკაში ახალშობილის სისხლში აღმოაჩინეს!**

კვლევები ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აწარმოეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ **300 გამოკვლეული ახალშობილიდან პოლიმერი „C8“ 298 ბავშვშია აღმოჩენილი!** ეს საგანგაშო მაჩვენებელია, ვინაიდან პოლიმერი კანცეროგენური თვისებების მატარებელია.

ახალშობილებზე რამდენიმე თვის დაკვირვების შემდეგ მეცნიერები გამოაქვეყნებენ კვლევების სრულ შედეგებს, თუმცა მანამდე კომპანია „დუ-პონტი“, რომელიც ტეფლონის საოჯახო ჭურჭელს აწარმოებს, უარყოფს იმ ფაქტს, რომ პოლიმერი „C8“ მავნეა ჯანმრთელობისათვის. კვლევები სრულყოფილად ამ წლის ბოლოს დამთავრდება.



# მკერდის კიბო უფრო ხშირად 45 წლამდე ასაკის მანდილოსნებს ემუქრებათ

**მკერდის კიბო უფრო ხშირად 45 წლამდე ქალებს ემართებათ, ვიდრე უფროსი ასაკისას, — ამ დასკვნამდე მივიდნენ ბელგიელი მეცნიერები, რომელთაც მასშტაბური კვლევები ჩაატარეს.**



ეს ონკოლოგიური დაავადება ქალებში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ადრე მეცნიერები დაავადების მძიმე შედეგების მიზეზად მის გვიან გამოვლენასთან ერთად ახალგაზრდა სხეულის კანის სიმკვრივესაც თვლიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დაავადების ნაადრევი გამოვლენა საქმეს ვერ შველის! ასე რომ, პაციენტთა მაღალი სიკვდილიანობა არ შეიძლება მხოლოდ გვიანი დიაგნოსტიკით აიხსნას. მეცნიერთა აზრით, სიმსივნის მძიმე ფორმას ხშირად განაპირობებს შემდეგი:

1. ადრეული სქესობრივი მომწიფება; 2. გვიანი მენოპაუზა; 3. უშვილობა; 4. გენეტიკა.

სამწუხაროდ, მკერდის კიბოთი ყოველწლიურად მსოფლიოში 1 მილიონი ქალი ავადდება. ერთ-ერთი რამ, რომელიც შეიძლება ამ დაავადების მიზეზი გახდეს, არის ჰოთ-დოგი, რომელიც შეიცავს ნივთიერებებს, რომელნიც შეწვის დროს მუტაციას განიცდის და მერე ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს. ძირითადად, საქმე ეხება ნატრიუმის ნიტრატს, რომელიც კონსერვანტების შემადგენლობაშია.

ნებრასკის შტატის ქ. ომახას სპეციალისტების აზრით, ამ კონსერვანტის მაჩვენებელი ჰოთ-დოგში დასაშვებ ზღვარზე 240-ჯერ მეტია!!! ამდენად, ჰოთ-დოგის ხშირი მირთმევა ონკოლოგიური დაავადების რისკს ზრდის.

# წელის ზომა ჯანმრთელობის მაჩვენებელია



ხიბერა ფიქრობს, რომ საჭიროა, ყველამ გაიცნობიეროს, რომ მთავარი სხეულის სინატიფეა და არა — ტანსაცმლის ზომა; ასევე, მიხვდნენ, რომ ჯანმრთელობა და სილამაზე წონაში კი არა — ფორმაშია!

დამტკიცებულია, რომ სხეულის წონის ინდექსი იდეალური ფიგურის მაჩვენებელი არ არის, არამედ აუცილებელი თეძოსა და წელთან მისი შესაბამისობაა! სწორედ მუცლის გარშემო წარმოქმნილი ცხიმია დაავადებათა გამომწვევი მიზეზი.

ისმის კითხვა: რომელი დიეტა უნდა შევარჩიოთ? — უნდა შეარჩიოთ ისეთი, რომლის დაცვაც შეგიძლიათ მთელი ცხოვრების მანძილზე! ის უნდა მოგწონდეთ, იყოს თქვენთვის სასარგებლო და ყველანაირად დაბალანსებული. თუ საკვებს პირამიდის სახით წარმოვიდგენთ, მასში ყველაზე მეტი ხილი და ბოსტნეული უნდა იყოს, შემდეგ მოდის მარცვლეული, რძისა და ცილის შემცველი პროდუქტები, ხოლო ყველაზე ბოლოს მცირე რაოდენობით — შაქარი და ცხიმი.

**დევიდ ხიბერა, აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებული კვების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი: — ამერიკის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ლოს-ანჯელესის მოსახლეობა უფრო დაკვირვებითა და სწორად აღიქვამს სიმსუქნის პრობლემას, ვიდრე სხვა ქალაქების მცხოვრებნი, რაც ამ ქალაქის ჰოლივუდთან სიახლოვითაა გამოწვეული.**

# ამერიკელებმა კიბოთი დაავადებული მისივე იმუნური უჯრედებით განკურნეს

**ამერიკელმა მეცნიერებმა არაოპერირებადი მეტასტაზირებული კიბოთი დაავადებული 55 წლის მამაკაცი მისივე იმუნური უჯრედების მეშვეობით განკურნეს. თერაპიის შემდეგ 2 წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ექიმები პაციენტს მუდმივად აკვირდებოდნენ. მას სიმსივნის არავითარი ნიშანი აღარ აქვს!**



**ვაშინგტონის** შტატის ქალაქ სიეტლში მდებარე **ფრედ ჰატჩინსონის სახელობის კიბოს შემსწავლელი ცენტრის** თანამშრომლებმა საზარდულის ლიმფურ კვანძებსა და ფილტვებში მეტასტაზირებული მელანომისაგან კიბოს საწინააღმდეგო პოპულაციების T-ლიმფოციტების იზოლირება მოახერხეს.

სიმსივნური უჯრედების ცილების ამომცნობ (NY-ESO-1) უჯრედულ კულტურას ლაბორატორიაში ორი თვის განმავლობაში ზრდიდნენ, რის შემდეგაც 5 მილიარდი ამომცნობი უჯრედი პაციენტს ერთდროულად შეუყვანეს. ლაბორატორიაში **გამოზრდილმა T-ლიმფოციტებმა დაავადებულ ორგანიზმში სიმსივნე მოსპო.** მკვლევართა ჯგუფმა ეს ახალი მეთოდი კიდევ 8 პაციენტზე გამოიყენა, რომლებზეც ამჟამადაც მიმდინარეობს კვლევები. ისიც უნდა ითქვას, რომ მკურნალობის ეს ექსპერიმენტული მეთოდი მელანომით დაავადებულ ყველა ნებისმიერ პაციენტს ვერ უშველის. ის ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავთვისებიან სიმსივნეს ისეთი ანტიგენური ბუნება აქვს, როგორიც ჰქონდა კონკრეტული გამოჯანმრთელებული პაციენტის სიმსივნეს. ამდენად, საჭიროა მელანომით დაავადებული პაციენტის ანტიგენურობაზე გამოკვლევა.

# ყავა ხელს უშლის დაორსულებას

**დღეში ოთხი ფინჯანი ყავის სმა ხელს უშლის ბავშვის ჩასახვას, — დაასკვნეს ჰოლანდიელმა მეცნიერებმა მას შემდეგ, რაც 9 ათასი ექსტრაკორპორალური მეთოდით განაყოფიერებული ქალი გამოიკვლიეს.**



მათ დაამტკიცეს, რომ დღეში 4 და მეტი ფინჯანი ყავის, მაგარი ჩაის ან კოფეინის შემცველი სხვა სასმელის მიღება 26 პროცენტით ამცირებს ჩასახვის რისკს, ასევე, — კვირაში სამჯერ ალკოჰოლის მიღება, — განაცხადა კვლევების ხელმძღვანელმა ბეა ლინტესმა.

ამრიგად, ვისაც შვილი უნდა, ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# რატომ მიდის ალა პუგაჩოვა რუსეთიდან?



**ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა საცხოვრებლად კიევში აპირებს გადასვლას. რუსული ესტრადის პრიმადონა 1 ივლისიდან რუსეთში ყველა კაზინოს დაკეტვამ გაანაწყენა. სწორედ ამ თარიღიდან შევიდა ძალაში რუსეთის ფედერაციის კანონი, რომლის მიხედვითაც სათამაშო დაწესებულებებისთვის ოთხი ზონა განისაზღვრა — ზღვისპირეთი, ალტაი, კალინინგრადის ოლქი და კრასნოდარ-როსტოვის ოლქის საზღვარი.**

რუსეთის ფედერაციის დანარჩენ ტერიტორიაზე კაზინოები და სხვა სათამაშო დაწესებულებები ველარ იმუშავებენ. ალა ბორისოვნამაც სწორედ კაზინოების დაკეტვით ახსნა კიევში გადასახლების სურვილი, ვინაიდან აზარტული თამაშების დიდი მოტრფიალეა და უიმისოდ ცხოვრება გაუძნელდება.

ისე, კიევი საბოლოო ვარიანტი როდია. მომღერალი მომავალი საცხოვრებლის ამპლუაში ჯერჯერობით ბელარუსსაც მოიაზრებს.

ყოველივე ეს პრიმადონამ იურმალაში, კონკურს „ახალ ტალღაზე“ ყოფნისას გაახმაურა. თავად კონკურსი წელს მერვედ გაიმართა. მისი შექმნის იდეა კომპოზიტორებს — იგორ კრუტოისა და რაიმონდ პაულსს 2002 წლის დასაწყისში გაუჩნდათ. 2005 წლიდან კი რუსული ესტრადის პრიმადონა ამ კონკურსის მუზა გახლავთ.

კონკურსის მთავარი მიზანი ახალი მომღერლების აღმოჩენაა.

წლევანდელი კონკურსი სულ რამდენიმე დღის წინათ უჩვეულოდ დასრულდა — ორ კონკურსანტს ქულების ზუსტად ერთნაირი რაოდენობა დაუგროვდა და გამარჯვებულებიც, შესაბამისად, ორივე გახდა — უკრაინელი ჯამალა და ინდონეზიელი სანდი სონდორო.

# რას ერჩოდა 82 წლის პენსიონერი იელოვას მოწმეებს?

**გერმანიის ქალაქ ბილეფელდში იელოვას მოწმეების შეკრებაზე ავტომატით შეიარაღებული 82 წლის ნიღბიანი პენსიონერი შევარდა და ცეცხლის გახსნა სცადა. დარბაზში 81 ადამიანი იმყოფებოდა.**

თავდამსხმელს იარაღმა უმტყუნა. ხალხმა მომენტით ისარგებლა და ერთმა მოხერხებულმა იელოველმა უკანა კარიდან ყველა გააქცია. თავდამსხმელი, რომელმაც ერთი გასროლაც კი ვერ შეძლო, ასევე გაიქცა შენობიდან და ეზოს მეორე მხარეს გაჩერებულ თავისსავე მანქანაში ჩაჯდა. მოგვიანებით პოლიციამ მის მანქანაში აღმოაჩინა სამი მჭიდი ვაზნებით, დანა და სამურაის ხმალი. არავინ იცის, რატომ გაიქცა დამნაშავე თავისი მანქანისკენ — იმიტომ, რომ იარაღი მოეწესრიგებინა, თუ იმიტომ, რომ გაქცევა მოეხერხებინა... ფაქტია, რომ შეკრების მონაწილე ორმა მამაკაცმა არც ერთის საშუალება მისცა და არც მეორის. ამასობაში შეკრების მონაწილეთა მიერვე გამოძახებული პოლიციაც მოვიდა და დამნაშავე დააკავა. თავდამსხმელის სახელი არ გახმაურებულა. უცნობია მოტივიც, თუ რის გამო დაესხა თავს იელოვას მოწმეებს 82 წლის მოხუცი, მაგრამ გამოძიება მომხდართან დაკავშირებით უკვე დაწყებულია.

# რატომ იზიდავს მადონას კაბალა?

**ცნობილმა მომღერალმა მადონამ ისრაელის უმსხვილეს ყოველდღიურ გაზეთ „Yediot Ahronot“-თვის კაბალით საკუთარი გატაცების შესახებ დაწერა ვრცელი სტატია სათაურით „როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება“, გაზეთმა კი დაბეჭდვამდე ანონსი წინა ნომრის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა.**



მადონა ებრაელი არ არის. ის ყოფილი კათოლიკეა, რომელიც 2003 წელს უძველესმა მისტიკურმა სწავლებამ (კაბალამ) გაიტაცა და 2004 წელს ბიბლიური სახელი ესფირი მიიღო. იმავე 2004 წელს მომღერალმა საიდუმლოდ მოილოცა ისრაელი, ახლა კი საგასტროლო ტურ Sticky & Sweet–ის ფარგლებში თელ-ავივში აპირებს კონცერტის გამართვას. თავად კაბალისტები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება სამყაროს შექმნის საიდუმლოების ჩაწვდომას მიუძღვნეს, ლოს-ანჯელესში მდებარე კაბალის შემსწავლელთა მსოფლიო ცენტრის ახალბედებს აგდებულად უყურებენ, მადონა კი თავის სულიერ მოძღვრად სწორედ ლოს-ანჯელესის „კაბალის ცენტრის“ რაბინს ფილიპ ბერგს მიიჩნევს. ზემოხსენებულ სტატიაში 50 წლის ვარსკვლავი ხსნის ებრაული რელიგიისადმი საკუთარ ინტერესს. მისივე თქმით, დიდება და წარმატება ზღვარი კი არა, მხოლოდ გზის დასაწყისია. მადონას ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი ივრითზე ითარგმნა.

# მავნე პროდუქტები მხოლოდ მითია?

**უკანასკნელ წლებში მეცნიერული კვლევებით სულ უფრო ხშირად მტკიცდება, რომ ნებისმიერი გემრიელი საკვები მავნებელია, უგემური კი — სასარგებლო, მაგრამ სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, მათი კოლეგების მიერ მიღებული შედეგები შეემოწმებინათ და საოცარ დასკვნამდე მივიდნენ.**



დიდი ხანია, გვიმტკიცებენ, რომ მწვადი უზომოდ მავნე საკვებია და უგემრიელეს ლუკმას საშინელი წინასწარმეტყველებებით გვიშხამავენ. ახალმა კვლევებმა კი აჩვენა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ღვინის, ძმრის, ნივრის, ლიმონის, მდოგვის, ზეითუნის ზეთისა და სუნელების ნაზავში შენახული ხორცი შეწვისას ანეიტრალებს სწორედ იმ კანცეროგენურ ნივთიერებებს, რომლებითაც ასე გვაშინებენ დიეტოლოგები.

იგივე ბედი ეწია მეორე საფრთხობელას — ცხიმიან საკვებს, რომელიც, თითქოსდა, ქოლესტერინის დონეს გვიზრდიდა ორგანიზმში და სისხლძარღვებისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასად იყო შეფასებული. გერმანიის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში რამდენიმე წლის განმავლობაში მოხალისეები მხოლოდ ძალზე ცხიმიანი კერძებით იკვებებოდნენ და ეს ოდნავადაც არ ასახულა მათ სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელზე.

ყავა ერთ-ერთი იმ პროდუქტთაგანია, რომელიც აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ითვლებოდა მრავალი წლის განმავლობაში საშინელ სნეულებათა ხელისშემწყობად. მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ყავას თირკმელების გაღიზიანებასთან არანაირი კავშირი არ აქვს და მის მოყვარულებს ზუსტად იმავე პროცენტით აქვთ შანსი, დაავადდნენ შაქრიანი დიაბეტით ან მიიღონ ინფარქტი, რამდენითაც — „უყავო ცხოვრების წესის“ მიმდევართ.

რაც შეეხება მარილს, მეცნიერებმა გულები გაგვიხეთქეს — სისხლის წნევას მაღლა წევს და უკიდურეს შემთხვევაში ინსულტის გამოწვევა შეუძლიაო, მაგრამ იმის თქმა, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, რომ საკვებიდან მარილის გამორიცხვა ინფარქტის გამომწვევია.

მოკლედ, სულ არაა აუცილებელი, ოდები ვუძღვნათ ისპანახს, რომელიც, თითქოსდა, ერთადერთი საშველია ორგანიზმის რკინით მომარაგებისთვის. აღმოჩნდა, რომ ისპანახი ათჯერ ნაკლებ რკინას შეიცავს, ვიდრე აქამდე ეგონათ და კიდევ უფრო მეტიც, რასაც შეიცავს, იმასაც კი ვერ ითვისებს ადამიანის ორგანიზმი.

# გატეხავს ახალი ვირუსი «Одноклассники»-ს?

**„Одноклассники“-ზე არანაკლებ პოპულარული სოციალური ქსელი „В Контакте“ ოპერაციული სისტემა Windows-ისთვის შექმნილმა ვირუსმა უკვე დააზიანა. მავნე პროგრამა მომხმარებელთა ექაუნთებს ტეხავს.**




როდესაც საყვარელ საიტზე შესვლას ცდილობთ, დავირუსებული კომპიუტერის ბრაუზერი საიტის ორეულს ხსნის და მასში შეყვანილი ელექტრონული ფოსტის მისამართიცა და პაროლიც მოპარულ რესურსებს შორის იკავებს ადგილს. სპეციალისტები იტყობინებიან, რომ რისკის ჯგუფს წარმოადგენენ მომხმარებლები, რომელთა კომპიუტერებშიც ტროას პროგრამა DNS Changer უკვე ჩასახლდა. ეს პროგრამა DNS-სერვერის წყობას ცვლის და მსხვერპლის კომპიუტერიდან ყველაფერი ბოროტმოქმედთა DNS-სერვერს გაივლის. დავირუსებული კომპიუტერის მომხმარებელი აკრეფს თუ არა თავის ბრაუზერში საიტს www.vkontakte.ru, ნამდვილ საიტზე კი არა, სულ სხვა IP-მისამართზე განლაგებულ მის ორეულზე მოხვდება.

როგორც სპეციალისტები იუწყებიან, „Одноклассники“-ს ანალოგი უკვე შექმნილია და სულ მალე იგივე საფრთხე მის მომხმარებლებსაც ელით. ამიტომ ისინი გვირჩევენ, სპეციალურ საიტ securelist.ru-ზე შევამოწმოთ, ხომ არ აღმოჩნდა ჩვენი მონაცემები ბოროტმოქმედთა ხელში.

# რა ემუქრება სიცოცხლეს დედამიწაზე?



**ეკოლოგიური ორგანიზაციების კვლევების მიხედვით დედამიწაზე სიცოცხლე მეექვსედაა აღსასრულის წინაშე. უკვე ამჟამად სამხრეთ ნახევარსფეროს დიდი ნაწილი განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაშია.**

ახალი ზელანდია და მასთან ახლომდებარე წყნარი ოკეანის კუნძულები შესაძლოა, გაწყვეტის პირველ კერებად იქცეს. ბიოლოგიური სახეობების გარკვეული ნაწილი გაწყვეტის პირასაა, იქაური არაჩვეულებრივი ბუნება კი თვალსა და ხელს შუა კვდება. ეს ყოველივე კი ადამიანთა ქმედებების შედეგია.

მაგალითად, ავსტრალიაში სოფლის მეურნეობის შენებას სატყეო მასივების ნახევარი ემსხვერპლა, დარჩენილის 70 პროცენტი გაჩეხვის საფრთხის წინაშეა; სახეობათა 80 პროცენტი — ბუნებრივი არეალის გარეშე დარჩენის.

2050 წლისათვის ადამიანთა რაოდენობა ავსტრალიაში 35 პროცენტით გაიზრდება, ახალ ზელანდიაში — 25 პროცენტით, პაპუა ახალ გვინეაში კი ეს მაჩვენებელი 76 პროცენტს მიაღწევს.

დედამიწის დაღუპვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ შეწყდეს სახეობების გაწყვეტა სოფლის მეურნეობის განვითარების ან რაიმე სხვა საბაბით, ტყეების გაჩეხვა, მოიზომოს თევზჭერა, შემცირდეს ნახშირორჟანგითა და სხვა ნივთიერებებით გარემოს დაბინძურება და ასე შემდეგ.

**მეცნიერები ირწმუნებიან, რომ, თუ კაცობრიობა პლანეტის გაფრთხილებას დღეიდანვე არ დაიწყებს, სიცოცხლის მეექვსე გადაშენების პროცესი სულ მალე შეუქცევად ხასიათს მიიღებს.**

# ვინაა ყველაზე საშიში კიბერდამნაშავე?

**როგორც უსაფრთხოების სპეციალისტები ირწმუნებიან, რუსები მსოფლიო მასშტაბით ყველაზე ორგანიზებული და საშიში კიბერდამნაშავეები არიან. მათთან გამკლავება ძალიან ძნელია, ვინაიდან რუს დამნაშავეებს, ფაქტობრივად, ვერ პოულობენ.**





გარდა ამისა, რუსეთში კიბერდამნაშავეობისგან მოტანილ ზიანთან შეუსაბამო სასჯელია დაწესებული, რის გამოც თვით დაკავებული რუსი კიბერდამნაშავეებიც ღიად აცხადებენ, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ძველ საქმიანობას განაგრძობენ. როგორც ამ ყველაფრით შეშფოთებულმა აშშ ცენტრალურმა საგამოძიებო ბიურომ აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა, საქმეს ისიც ართულებს, რომ ჰაკერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამშრომლობენ. ამერიკელების განცხადებით, რუსი კიბერდამნაშავეები დიდი ხანია, სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენენ მთელი მსოფლიოსთვის. ჯერ კიდევ 1994 წელს მათ Citibank-ს 10 მილიონი დოლარი მოჰპარეს. მათვე ბრალად ედებათ მსოფლიო ქსელში არა ერთი წლის მანძილზე მომხდარი უამრავი უკანონობა. რაც ყველაზე სახალისოა, თავად რუსი ჰაკერები თავს დამნაშავეებად კი არა, პოლიტიკურ აქტივისტებად მიიჩნევენ — კონკურენტებს ებრძვიან და ამით ფულსაც შოულობენ. ინტერნეტთაღლითობის საჩივრების ცენტრის უკანასკნელი მონაცემებით, ორგანიზებული კიბერდამნაშავეობა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში 256 მილიონ დოლარს ჰპარავს ორგანიზაციებს.

# რატომ სცემა სენატორობის კანდიდატმა პორნოვარსკვლავმა ქმარს?

**აშშ ფლორიდას შტატში დააპატიმრეს პორნოფილმების ვარსკვლავი. მან ძალზე წარმატებით დაიწყო პოლიტიკური კარიერა ლუიზიანას შტატის სენატორის კანდიდატის როლით. ეს შემთხვევა ნამდვილად შეუშლის ხელს მის გასენატორებას.**



საუბარია სტომი დენიელსზე, რომლის ნამდვილი სახელიც სტეფანი კლიფორდია. ის ქალაქ ტამპის საკუთარ აპარტამენტებში ოჯახური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. პოლიციის ოფიციალური განცხადებით, ვარსკვლავის სახლში მისულებმა მისი მეუღლე მაიკლ მოსნი სახლის წინა ვერანდაზე ჩამომჯდარი აღმოაჩინეს. დაზარალებული მშვიდად გამოიყურებოდა და სხეულზე ცემის კვალიც არ აღმოაჩნდა.

სამაგიეროდ, სტეფანი კლიფორდი გახლდათ უკიდურესად განრისხებული, როცა სამართალდამცველები დაკავების წინ საკუთარ უფლებებს აცნობდნენ. სასტუმრო ოთახში იატაკზე ეყარა დამტვრეული სანთლები, ოთახის ყვავილები, თეფშები და შუშები.

დაზარალებულის განცხადებით, 29 წლის პორნოვარსკვლავთან მან ორი წელი იცხოვრა. იმ საბედისწერო დღეს მაიკლის მამამ შვილისა და რძლის ოჯახიდან ჭუჭყიანი თეთრეული წაიღო სამრეცხაოში, მაგრამ სტეფანის სამრეცხაოს ნამუშევარი არ მოეწონა და გუნება გაუფუჭდა. მერე ელექტრონული ფოსტით შეტყობინება მიიღო დავალიანების შესახებ და კიდევ უფრო გაბრაზდა, ხელი დაავლო ოთახის ყვავილს და ქოთნიანად შეალეწა სამზარეულოს კედელს. ამის შემდეგ კი ქმარს მისდგა და კარგადაც მიბეგვა.

# რომელი ავიალაინერია ყველაზე საშიში?

**საქმიანი გამოცემა BusinessWeek-ის ცნობით, სამგზავრო თვითმფრინავებიდან ყველაზე საშიშთა ათეულში სამი რუსული ავიალაინერიც მოხვდა. რეიტინგზე მუშაობისას სპეციალისტები მგზავრების დაღუპვით დამთავრებულ უბედურ შემთხვევებს შეისწავლიდნენ. ტერორიზმით გამოწვეული კატასტროფების შედეგები ამ დათვლაში არ გამოუყენებიათ.**



ამერიკული „Boeing 737“ არასაიმედოობისა და ფრენის საშიშროების მიხედვით პირველ ადგილზე აღმოჩნდა. სტატისტიკის მონაცემებით, ამ მარკის ლაინერებმა ფრენის 507 500-საათში ერთხელ მაინც განიცადეს კატასტროფა.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა რუსული „Ил-76“ 549 900 საათში ერთი კატასტროფით. ამჟამად მსოფლიოში ამ მარკის 247 ლაინერი დაფრინავს. აღნიშნული თვითმფრინავის ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა 2003 წელს მოხდა. ირანული ავიაკომპანიის ლაინერი მაშინ ჰაერში აფეთქდა და 275 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სამეულს ასრულებს რუსული „Ту-154“, რომელიც დსთ ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული მარკაა. ფრენის 1 041 000 საათში ერთი ავიაკატასტროფა მისი სტატისტიკური მახასიათებელია. წელს, 15 ივლისს, ისევ ირანული ავიაკომპანიის კუთვნილი ამ მოდელის მორიგ ფრენას 168 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„Airbus A310“ 1067700 საათში ერთხელ განიცდის კატასტროფას. მსოფლიოს უმსხვილესი ავიაკომპანიების უმეტესობამ უკვე განაცხადა უარი ამ ლაინერის ექსპლუატაციაზე. სწორედ ამ მოდელის მგზავრები აღმოჩნდნენ ოკეანეში 30 ივნისს. 154 მგზავრიდან ერთადერთი გადარჩენილი 12 წლის გოგონა გახლდათ.

„McDonnell-Douglas DC-9“-ის გამოშვება ჯერ კიდევ 1982 წელს შეწყდა, მაგრამ მას მაინც იყენებს ზოგიერთი ავიაკომპანია. ამ მოდელის 1 068 700-საათიანი ფრენისას ერთი კატასტროფა გარდაუვალია და ის საშიში ავიალაინერების სიაში მეხუთე ადგილს იკავებს.

მეექვსე ადგილზე ისევ რუსული ლაინერი არის „Ту-134“. მისი წარმოება 1986 წელს შეწყდა, მაგრამ დღემდე რჩება ექსპლუატაციაში.

მეშვიდე ადგილზეა „Boeing 727“, რომელმაც 2003 წლის შობას აფრიკაში 151 ადამიანი იმსხვერპლა.

მერვე ადგილის მფლობელმა „McDonnell-Douglas MD-80“-მა შარშან აგვისტოში კანარის კუნძულებისკენ ფრენისას 153 ადამიანი იმსხვერპლა.

მეცხრე ადგილზეა „McDonnell-Douglas DC-10“, რომელსაც უკანასკნელად ავიაკატასტროფა 1999 წელს შეემთხვა. მართალია, მისი უსაფრთხოება ნამდვილად საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ავიაკომპანიები დღემდე უნდობლობას უცხადებენ.

მეათე ადგილის მფლობელი „McDonnell-Douglas- MD-11“-იც უკანასკნელად კატასტროფაში 1999 წელს მოყვა — ტაიფუნის დროს ჰონ-კონგში დაჯდომისას დაიწვა.

# ვინ არიან შავშლაპიანები?

**Black Hat-ის პირველი კონფერენცია ლას-ვეგასში 1997 წელს გაიმართა. მისი მიზანი იყო უსაფრთხოების სისტემების შემქმნელებისა და „იატაკქვეშა სპეციალისტების“ თავმოყრა, მაგრამ, ამ კეთილი განზრახვის მიუხედავად, შავშლაპიანებმა უმალ მოიხვეჭეს მსოფლიო ჰაკერთა გაერთიანების სახელი.**




დროთა განმავლობაში მათი შეკრებები ყოველწლიური სერიების სახით ამსტერდამში, ტოკიოში, ვაშინგტონსა და სხვა ქალაქებში იმართება, მაგრამ მთავარი სხდომა ყოველთვის ლას-ვეგასშია.

უკანასკნელ წლებში შავშლაპიანთა შეკრებებით აშშ სპეცსამსახურები დაინტერესდნენ, 2009 წელს კი პროექტის დამაარსებელი ჯეფ მოსი თეთრ სახლში კომპიუტერული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლად დანიშნეს.

# მხოლოდ შენ და შენ და შენც?

**პოლიამორია — ყველას თანხმობით ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან ურთიერთობა — თამამად შეიძლება ჩაითვალოს ახალი სექსუალური რევოლუციის თვალხილულ ნიშნად. ეს სვინგერობას არ ნიშნავს და შემთხვევით პარტნიორებთან სექსუალური ურთიერთობა აქ არაფერ შუაშია.**



პოლიამორისტები ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან აბამენ სასიყვარულო და ინტიმურ ურთიერთობებს. მაგალითად, 41 წლის მსახიობმა და კინორეჟისორმა ტერიზა გრინენმა 12 წლის წინათ რომანი გააბა მწერალ სკოტთან. მათი ურთიერთობის ორი წლის თავზე სკოტმა ტერეზას პროგრამისტი ლარი გააცნო. მას და ტერიზას მალე ერთმანეთი შეუყვარდათ, ოღონდ სკოტის თანხმობით. უკვე ათი წელია ეს სამეული ერთად და ბედნიერად ცხოვრობს. სულ ახლახან კი თაიგულს შეემატა მეთი, რომლის ცოლიც სულაც არ აღმოჩნდა ქმრისა და ტერიზას რომანის წინააღმდეგი. რაც შეეხება სკოტს, ის თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ თუ მაინც გაუჩნდება დაჩაგრულობის განცდა, ყველას თანხმობით მას თავისუფლად შეუძლია, დაურეკოს მეგობარ გოგონას. ამ ერთობის ყველა წევრი ჰეტეროსექსუალია და, როგორც თავად ირწმუნებიან, არასდროს აქვთ ინტიმური ურთიერთობა სამი ან მეტი ადამიანის მონაწილეობით.

კვლევების თანახმად, ამჟამად აშშ-ში 500 ათასზე მეტი ამგვარი ოჯახია, მაგრამ ისინი საკუთარი უფლებების დასაცავად არ იბრძვიან. როგორც თავად ამბობენ ხუმრობით, პირადი ცხოვრება ამისათვის დროს არ უტოვებს. სამაგიეროდ რელიგიური ფუნდამენტალისტები ნელნელა იწყებენ მათ სახალხო გაკრიტიკებასა და შევიწროვებას. პოლიამორისტები თვლიან, რომ მათი მოძრაობა ონეიდას უტოპიურ კოლონაში 1848 წელს, რომელიც თავის მხრივ იელის უნივერსიტეტელმა ჯონ ჰემფრი ნოიესომ დააარსა. ეს უკანასკნელი სქესთა თანასწორობისაკენ მიისწრაფოდა და ამტკიცებდა, რომ ყველა მამაკაცი ყველა ქალის ქმარია. თანამედროვე პოლიამორის 1960-იანი წლების დასასრულიდან წამოვიდა, სახელი კი 1990 წელს მოუფიქრეს.

ბიოანთროპოლოგი ელენ ფიშერი თვლის, რომ პოლიამოეული წყვილები ადამიანში ბუნებით ჩადებულ ეჭვიანობას ებრძვიან. თავად ამ წესით მცხოვრებნი თვლიან, რომ კი არ ებრძვიან ეჭვიანობის ბუნებრივ ინსტინქტს, არამედ, უბრალოდ, გვერდს უვლიან მას. ზოგიერთი პოლიამორისტი ოფიციალურად ნორმალური წყვილის სახით ცხოვრობენ და მეუღლის გარდა კიდევ მრავალი პარტნიორი ჰყავთ, ნაწილს ჯგუფად, მაგრამ არაოფიციალურად ცხოვრება ურჩევნია. ცხოვრების ამ წესს თავისუფლად შეიძლება სექსუალური ფანტაზიებით შეპყრობილი სტუდენტის ფანტაზიები ვუწოდოთ, მაგრამ თავად პოლიამორები თვლიან, რომ ეს მონოგამიის პრობლემებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა და თანაგრძნობას უცხადებენ წყვილებს, რომლებსაც ერთად ყოფნის ან დაშორების გარდა საკუთარი ურთიერთობის ვერანაირი პერსპექტივა ვერ წარმოუდგენიათ.



# ვინ უფრო ბედნიერია?



**მამაკაცებისათვის 177 სანტიმეტრზე მეტი და ქალებისათვის 162 სანტიმეტრზე მეტი სიმაღლე ხშირ შემთხვევაში მათი ბედნიერების მაჩვენებელია. ყოველ შემთხვევაში ამერიკული ეკონომიკური ბიუროს კვლევებმა სწორედ ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა.**

ბიურომ განათლებისა და შემოსავლების მაჩვენებლები დააჯამა და მაღალ ადამიანებს ძალიან ხშირად აქვთ დაბლებზე მეტი განათლებაცა და ანაზღაურებაც.

ამასთანავე, ცნობილია, რომ მაღალ ადამიანებს უფრო რბილი და ხალისიანი ხასიათი აქვთ, იოლად იპყრობენ გარშემომყოფთა ყურადღებას, არასდროს რჩებიან თვალთახედვის მიღმა და ამ ყველაფრის შედეგად უმაღლდებათ თვითშეფასება, რაც თავისთავად აძლევს მათ სილაღისა და ჯანსაღი ამბიციის წინაპირობას.

# ფანქარი წერდა, საშლელი შლიდა

**ჩვენი ურთიერთობა უნივერსიტეტის კედლებიდან დაიწყო. სტუდენტები ორ კატეგორიად იყვნენ დაყოფილნი. ერთნი ლექციების შემდეგ სახლში ან ბიბლიოთეკაში გარბოდნენ; სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მეორენი ლექციებს აცდენდნენ და ბიბლიოთეკის კარიც არ იცოდნენ, სად იყო. ნიჭიერები ორივე კატეგორიაში იყვნენ. მათ უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი კარგად იცნობდა. ერთ დღეს მან თავისთან იხმო ქართლოს კასრაძე:**
**„ხვალ უნივერსიტეტის კლუბში კონცერტია, საპატიო სტუმრები გვეყოლება და კონცერტს შენ წაიყვან!“**



აქ დაირწა „ქართველი რაიკინის“ აკვანი. ქართლოსი ყველა სიკეთესთან ერთად ბრწყინვალე პაროდისტიც გახლდათ. ერთხელ უნივერსიტეტის დერეფანში რექტორის ხმით ყვიროდა. შემთხვევით კეცხოველი გამოჩნდა, ყური მოკრა რა თავის ხმას, ცნობისმოყვარეობამ სძლია და ჩვენკენ წამოვიდა, გავიფანტეთ, ქართლოსი საპირფარეშოში შევარდა, რექტორიც კომენდანტთან ერთად თან შეჰყვა და ქართლოსი შარვალჩაუხდელად ჩაცუცქულ-შეშინებული რომ დაუნახავს, სიცილი ვერ შეუკავებია: „ერთი ამას დამიხედე, ზეპირად არა შვრება?“

ძვირფასო მკითხველო! იმის გადმოცემა, რაც ქართლოსს შეეძლო გაეკეთებინა, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ გავკადნიერდები და მაინც შევეცდები.

ილია აბულაძე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ, ბესო ჟღენტი კი ამ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა. ქართლოსმა ლექციების გაცდენის მიზნით, ჯერ ბესოს დაურეკა ილიას ხმით და შემდეგ — ილიას ბესოს ხმით. ერთიც და მეორეც ბოდიშს იხდიდნენ, რომ რაღაც აუცილებელი ღონისძიებების გამო ლექცია არ უნდა ჩატარებულიყო. რა თქმა უნდა, ლექციები ჩაიშალა. ამ საქმის გამოძიება არ იყო ძნელი. „აბა, ვის უნდა გაეკეთებინა ეს ქართლოს კასრაძის გარდა?“ — ამბობდნენ პროფესორ-მასწავლებლები.

ამ ამბავმა უნივერსიტეტის რექტორამდე მიაღწია. ქართლოსი უნივერსიტეტიდან უნდა გაერიცხათ, მაგრამ რატომღაც ბრძანებაზე ხელის მოწერის დროს ნიკო კეცხოველმა თავი შეიკავა. მისი სუსტი წერტილი ნიჭიერება გახლდათ, ამიტომ სასჯელის სხვა ფორმა შეარჩია. გაიგო რა ქართლოსი უნივერსიტეტის კრივის სექციაში დადისო, ფიზკულტურის კათედრის გამგეს კრივში შეჯიბრის მოწყობა და ქართლოსის მოწინააღმდეგედ უძლიერესი მოკრივის შერჩევა დაავალა. არჩევანი რონდელზე შეჩერდა. ბატონმა ნიკომ ფერადი ფოტოაპარატი მოიმარჯვა და შეხვედრას დაესწრო. ასპარეზობა რონდელის დიდი უპირატესობით დამთავრდა. გავიდა დრო და რექტორმა ქართლოსი კაბინეტში დაიბარა: „ქართლოს! შენ რომ რონდელთან გაჩხუბე, ფერადი ფოტოები გადაგიღე, თურმე აპარატის ხუფი დახურული მქონია, მეორედ უნდა გაჩხუბო, რას იტყვი?“ დღემდე გაურკვეველია, ეს ნახევრად ხუმრობა სასჯელის შეხსენება იყო, თუ ქართლოსისადმი მოფერება.

უნივერსიტეტის ხუმრობები სახელმწიფო გამოცდებზე დაგვირგვინდა. გამოცდა პირველი კორპუსის მესამე სართულზე, ხუნდაძის სახელობის აუდიტორიაში, ტარდებოდა. „ბალელშიკები“ იქვე, დერეფანში, ვიდექით. ქართლოსის ჯერი რომ დადგა, ორივე ხელი მაღლა აწია, სიცილით გამოგვხედა და აუდიტორიის კარი გააღო, იქიდან სიცილხარხარი შემოგვესმა.

გამოცდაზე შესულ ქართლოსს მორიგეობით საკეტის ჭუჭრუტანიდან ვუთვალთვალებდით. ქართლოსი შუა აუდიტორიაში იდგა და მისთვის ჩვეული ხუმრობით ახალისებდა ლექტორებს. პროფესორების გაშარჟებისას საბოლოოდ დადგინდა, ბესო ჟღენტისა და ილია აბულაძის სატელეფონო საუბარი ვისი მოწყობილიც იყო. გაბედეს და ნიკო კეცხოველიც კი გააშარჟებინეს. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და ბილეთის აღების დრო დადგა; ქართლოსის ხუმრობამ არ გაჭრა, გამოცდა ვერ ჩააბარა.

ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს კიდევ უფრო გაღრმავდა. საქმე ერთი გვქონდა — გამომცემლობა და რედაქცია. საერთო მეგობრებიც ბევრი გვყავდა, მათ შორის, მისი უბნელი და მეზობელი, ქალაქის კოლორიტი ნიაზ დიასამიძე.

— **პრივეტ ნიაზ, დარაგოი, კაკ ჟიზნ მალადაია?**

— **შენ რა, ბოლო გაკვეთილი რუსული გქონდა?**

— **ნიაზ, აი, აქ, მარცხენა ლოყაზე, წვერი აღარ ამომდის...**

— **ეეე, რასაც შენ „სკრიპკაზე“ უკრავდი!**

იუმორთან ერთად მან მამის — დავით კასრაძის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ნაშრომის გამოცემა დაიწყო. ამავე დროს მისი ავტორობით დაისტამბა ისტორიული რომანი „ფარნავაზ“ (ეს წიგნი ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს, სატიტულე ფურცელზე აწერია: „ჩემს ძმას — ჟანი სიხარულიძეს სიყვარულით); ნარკვევი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ცეკვის ანსამბლის შესახებ ორ წიგნად — „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“ და „ტრიუმფი გრძელდება“ 1963 წლიდან 1987 წლამდე პერიოდში დაიწერა; თითქმის ყველა გაზეთში და ჟურნალში თანამშრომლობდა, მაგრამ ჟურნალი „ნიანგი“ მისთვის ოჯახივით იყო. აქ ისინჯებოდა და იფილტრებოდა ქართლოსის შემოქმედება, განსაკუთრებით სატირისა და იუმორის ჟანრში.

ერთხელ ნოდარ დუმბაძემ სიყვარულითა და მოფერებით უთხრა: „ძამა! ნიჭიერი კი ხარ მარა, გიჟი ხარ, ნორმალურობის ცნობას თუ არ მომიტან, აღარაფერს დაგიბეჭდავ!“

გავიდა რამდენიმე დღე, გაიღო ჩემი კაბინეტის კარი და მაგიდაზე დაფრიალდა დიდი ბლანკი: „ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული დისპანსერი. ქართლოს დავითის ძე კასრაძე არ არის გიჟი. იგი ნორმალურია“, რასაც ხელს აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი აწერდა.

ნოდარი ამ დროს კაბინეტში იმყოფებოდა. ქართლოსი თავის ცნობიანად მასთან გავგზავნე; გავთვალე და ზუსტად იმ დროს შევედი, ნოდარის სავარძელი ორ ფეხზე რომ იდგა და ნოდარი სიცილით იხრჩობოდა: „მოდი, ძამა, მოდი! ეს რა მოიტანა, ნახე!“ და ბლანკი გამომიწოდა. ქართლოსი იდგა და ისეთი სიამოვნებით იღიმებოდა, რომ შეგშურდებოდა. „ახლა, ჩემო ქართლოს, ერთი ცნობა კიდევ უნდა მომიტანო, ამის დამწერი რომ ნორმალურია“, — უთხრა ნოდარმა. როგორც გაირკვა, ქართლოსი ასათიანის ქუჩაზე, დისპანსერში, მივიდა, კანცელარიას გამოართვა ცარიელი ბლანკი, ტექსტი თვითონ დაბეჭდა და გამზადებული შეუტანა ბატონ ავლიპს. მოუყვა ანეკდოტები და მხიარულებაში, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოაწერინა ხელი.

ერთი ჩვენი საერთო მეგობარი იმ დროს პატიმარი იყო. იგი შორეული ციმბირიდან ქსნის კოლონიაში გადმოიყვანეს, წავედით სანახავად, კოლონიაში შესვლა ზემოდან იყო ნებადართული. პურმარილი გაიმართა. თამადად ქართლოსი ავირჩიეთ. ქართლოსის ოხუნჯობას საზღვარი არ ჰქონდა. კონცერტ-პურმარილი რომ დამთავრდა, კოლონიის ტერიტორიაზე გამოვედით. პატიმრები ქართლოსს შემოეხვივნენ, კოცნიდნენ, ეფერებოდნენ.

ქართლოსის გარეშე ჩვენს ოჯახში წვეულება წარმოუდგენელი იყო. დედაჩემს ეტყოდა ხოლმე: „დეიდა ჟენია! ტყუილად ამზადებთ ამდენ საჭმელს, ამისათვის ვერ მოიცლიანო“. ჩემი მეგობარი, მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი წყალბურთელი პეტრე (კაკო) მშვენიერაძე მოსკოვიდან ჩამოვიდა, ჩემთან იყო სტუმრად. ქართლოსმა, რომ იტყვიან, ისე აიწყვიტა და იმდენი აცინა სტუმარი, რომ ლამის გული შეუწუხდა და ეხვეწებოდა: „თუ ძმა ხარ, გაჩერდი, აღარ შემიძლიაო“. ეს ამბავი ქართლოსმა გაზეთში გამოაქვეყნა სათაურით: „როგორ ჩავძირე მსოფლიო მნიშვნელობის წყალბურთელი“.

ბრწყინვალე წარმომავლობა ჰქონდა: მამა — დავით კასრაძე, მწერალი საზოგადო მოღვაწე პარიზის სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო; დედა — ქრისტინე ბიბილური, იაკობ გოგებაშვილის შვილთაშვილი გახლდათ და ლექსებსაც წერდა. მის ლექსებს ხალხი მღერის:

**„ვარდების კოშკი აგიგე,**
**იის სურნელი გაპკურე,**
**მთვარე დაირად მოგართვი**
**და ვარსკვლავები**
**საყურედ!**
**ლალ-მარგალიტში**
**ჩაგთვლიმა,**
**დაგხურე ნისლის საბანი,**
**ოქროს ქოშები შეგიმკე**
**ზურმუხტის იასამანით...**
**გამომელვიძა საბრალოს**
**და სინანულით ავივსე,**
**იმდენი რამე მოგართვი,**
**ღიმილიც კი**
**არ მაღირსე...“**

როგორც ჩანს, შიგადაშიგ სევდიანიც იყო. მასთან მეგობრობდა გოგლა ლეონიძე, ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ დუმბაძე, ვასო გოძიაშვილი, ჟორა შავგულიძე, დოდო აბაშიძე, ნიაზ დიასამიძე და სხვა მრავალი. დავით კასრაძის ქელეხში თამადა გოგლა ლეონიძე გახლდათ. იგი ნაღდი ქალაქელი, ვერელი ბიჭი იყო. მისი ბიჭობის დროს ქალაქელობა მარტო თბილისში ცხოვრებას არ ნიშნავდა.

მსახიობი, ფილოლოგი, ნოველისტი, ლინგვისტი, პოეტი, იუმორისტი, მრავალი ინსტიტუტის და ბოლოს უნივერსიტეტის მრავალჟამიერი სტუდენტი ქართლოსი ჯაზმენი იყო. პირველად მან უმღერა „ამერიკელ მისტერ ვუს“, იყო საუცხოო კონფერანსიე, ორი ათასზე მეტი კონცერტი ჰქონდა ჩატარებული 19 სხვადასხვა ენაზე. სადაც ჩავიდოდა, იმ ქვეყნის ქუდს იხურავდა და იმ ენაზე ლაპარაკობდა. ბევრჯერ მითქვამს: ნოდარ დუმბაძე იყო იუმორის მზე, ქართლოს კასრაძე კი — იუმორის მეფე. კარგი იქნება, ნოდარ დუმბაძისა და ქართლოს კასრაძის ქვეყანაში იუმორის შესაფასებლად ქართლოს კასრაძის სახელობის პრიზი დაწესდეს.

ქართლოსი 1926 წლის 27 აგვისტოს დაიბადა, 2005 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა. მაშინვე „ნიანგის“ რედაქციაში საიქიოდან დეპეშა „მოვიდა“:

— წაიყვანეთ ეს კაცი აქედან, დაგვხოცა სიცილით!

ქართლოსს გაუგია ეს და უთქვამს:

— თქვე კაი ხალხო, დახოცილები არ იყავით, მე რას მაბრალებთ?

— დახოცილები კი ვიყავით, მაგრამ შენ გაგვაცოცხლე და ისევ დავიხოცეთ სიცილითო, — მოისმა საიქიოდან.

ეს პატარა წერილი ქართლოსის უკანასკნელ დღეებში დაწერილი პატარა სახუმარო ლექსით მინდა დავასრულო:

**„ფანქარმა ცოლად**
**შეირთო საშლელი,**
**ყველამ დაულოცა**
**ოჯახი წმინდა,**
**მას შემდეგ უკუღმა**
**ბრუნავდა ჩარხი**
**— ფანქარი წერდა,**
**საშლელი შლიდა!“**

**ჟანი სიხარულიძე**










მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ბონდო მძინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net